



ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

კულტურის კვლევათა ინსტიტუტი
Institute of Cultural Studies

ცივილიზაციური კიებანი **CIVILIZATION RESEARCHES**

№ 21, 2023



**უნივერსიტეტის
გამომცემლობა**

„ცივილიზაციური ძიებანი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოდის 2003 წლიდან. 2007 წლის ივნისში იუნესკოს ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო მრგვალი მაგიდის – „კავკასია: ინტერკულტურული დიალოგის პერსპექტივა“ – გადანაცვებით, ის არსებობას განაგრძობს, როგორც საერთაშორისო გამოცემა. კრებული ინტერდისციპლინური; მოიცავს კროსკულტურული კომუნიკაციისა და ინტერკულტურული დიალოგის, შედარებითი რეგიონული კვლევების (ისტორიული და ტიპოლოგიური საკითხები), კულტურის კვლევების და სხვა საკითხებს.

კრებული თანამშრომლობს ქართველ და უცხოელ კოლეგებთან, რომლებიც წარმოდგენილი არიან როგორც სარედაქციო საბჭოში, ისე ავტორების სახით.

სარედაქციო ჯგუფი მზადაა თანამშრომლობისათვის დაინტერესებულ პირებთან და სტრუქტურებთან.

“**Civilization Researches**” is an annual edition of the Institute of Cultural Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The articles cover spheres including, but not restricted to:

- Cross-cultural communication and intercultural dialogue;
- Comparative regional studies (including historical and typological perspectives);
- Cultural studies.

Traditional and non-traditional paradigms of study are equally welcomed.

The journal cooperates with Georgian and international scholars. It is open for collaboration with the interested individuals and structures.

მოთხოვნები ავტორებისადმი

მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულად, ინგლისურად, რუსულად ან ფრანგულად (მაქსიმუმ 4.000 სიტყვა, Times New Roman 12, 1,5 ან 2.500 სიტყვა, AcadNusx 12, 1,5 – ქართული ტექსტები) ელექტრონულ მისამართზე culturalstudies@tsu.com. ყველა სტატიას (გარდა ინგლისურ ენაზე წარმოდგენილისა) უნდა ახლდეს ინგლისური რეზიუმე 800-1000 სიტყვის მოცულობით. ციტირება – MLA სტილი.

შერჩევის პირველი ეტაპი – სარედაქციო საბჭოს წევრთა მიერ შერჩეული სტატიები იგზავნება თბილისში, რედაქციაში, ელექტრონული ფოსტით.

მეორე ეტაპი – სტატიები ეგზავნება სარედაქციო საბჭოს წევრებს (სპეციალობათა მიხედვით) საბოლოო შერჩევისათვის.

წარმოდგენის ვადები:

1 ივნისი – წარმოდგენა სარედაქციო საბჭოში

1 ივლისი – სარედაქციო საბჭოს წევრთა საბოლოო გადანაცვლებით

Submission

The articles should be submitted in Georgian, English, Russian or French (max. 4000 words, Times New Roman 12, 1,5, or 2500 words, AcadNusx 12, 1,5 space (Georgian texts) to the email address culturalstudies@tsu.com. All the articles (except those in English) must be presented together with the summary in English, 800-1000 words. Citation – MLA style.

First stage of selection: The articles recommended by the members of the Review Board should be delivered to Tbilisi (by e-mail).

Second stage: The papers should be distributed among the members of the Editorial Board for the final selection.

Deadlines for delivering the articles to Tbilisi:

1 June (submission to the Editorial Board)

1 July (final decision of the Editorial Board members)

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადანაცვლებით.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2025

ISBN 978-9941-36-341-2

© კულტურის კვლევათა ინსტიტუტი, 2025

Institute of Cultural Studies, 2025

ISSN 1512-1941

სარედაქციო საბჭო:

ნინო ჩიქოვანი, პროფესორი
(სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე)

ქეთევან კაკიტელაშვილი

ასოც. პროფესორი

ირაკლი ჩხაიძე

ასოც. პროფესორი

ივანე წერეთელი

ასოც. პროფესორი

მაია ქვრივიშვილი

ასისტენტი-პროფესორი

მიხეილ ბორგოლტი

პროფესორი

ნინო ქიმერიძე

ასოც. პროფესორი

ემილ დრაგნევი

პროფესორი

ფრენკ ჯეიკობი

პროფესორი

მალხაზ მაცაბერიძე

პროფესორი

ნინო ფირცხალავა

პროფესორი

თინათინ ლუდუშაური

ასოც. პროფესორი

ბეჟან ჯავახია

პროფესორი

კულტურის კვლევები, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

კულტურის კვლევები, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

კულტურის კვლევები, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

კულტურის კვლევები, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

კულტურის კვლევები, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

შუა საუკუნეების ევროპის შედარებითი ისტორია, *ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი, გერმანია*

გერმანული ფილოლოგია, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კვლევები, *მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოლდოვა*

ისტორიკოსი, *ნორდის უნივერსიტეტი, ნორვეგია*

პოლიტიკის მეცნიერებები, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

შედარებითი ლიტერატურული კვლევები, *ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

კულტურის ანთროპოლოგია, *ჰუმანიტარული სკოლა, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო*

შუა საუკუნეების ისტორია, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

რედაქციის მისამართი:

საქართველო, 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №3

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

II კორპუსი, ოთახი 151

ელ. ფოსტა: culturalstudies@tsu.com

ჟურნალის ინტერნეტვერსია და სხვა ინფორმაცია ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის შესახებ იხ. ვებგვერდზე: www.culturedialogue.com

EDITORIAL BOARD:

Nino Chikovani , Professor (Head of the Review Board)	Cultural Studies, <i>Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
Ketevan Kakitelashvili Associate Professor	Cultural Studies, <i>Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
Irakli Chkhaidze Associate Professor	Cultural Studies, <i>Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
Ivane Tsereteli Associate Professor	Cultural Studies, <i>Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
Maia Kvrivishvili Assistant Professor	Cultural Studies, <i>Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
Michael Borgolte , Professor	Comparative History of Medieval Europe, <i>Humboldt University, Berlin, Germany</i>
Nino Kimeridze Associate Professor	German Philology, <i>Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
Emil Dragnev , Professor	South-East European Studies, <i>Moldova State University, Moldova</i>
Tinatin Ghudushauri Associate Professor	Cultural Anthropology, <i>School of Humanities, University of Georgia</i>
Frank Jacob , Professor	Historian, <i>Nord University, Norway</i>
Bejan Javakhia , Professor	Medieval Studies, <i>Ilia State University, Georgia</i>
Malkhaz Matsaberidze , Professor	Political Sciences, <i>Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
Nino Pirtskhalava , Professor	Comparative Literary Studies, <i>Ilia State University, Tbilisi, Georgia</i>

ADDRESS OF THE EDITORIAL OFFICE:

UNESCO Chair in Intercultural Dialogue, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
3, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179, Georgia.
E-mail address: culturalstudies@tsu.com

The electronic version of the journal and the information about the UNESCO Chair in Intercultural Dialogue is available at: www.culturedialogie.com

შინაარსი CONTENTS

ლადო ვარდოსანიძე. საქართველოს პირობებში „ტრადიციონალისტური“ (სოფლური) და „მოდერნისტული“ (ქალაქური) (სუბ)კულტურების მახასიათებელთა შეპირისპირების მცდელობა (მასალა განსჯისთვის)	7
Vladimer (Lado) Vardosanidze. An Attempt to Compare the Characteristics of “Traditional”/Rural and “Modern”/Urban (Sub)cultures under the Conditions of Georgia (a material for reflection)	16
Tea Gergedava. Rethinking University Design	18
მაია ნადარეიშვილი. ბედუინური წარსული და თანამედროვეობა ელიტ ზექსერის ფილმში „სამუმი“	28
Maia Nadareishvili. The Past and Present of the Bedouins in Elite Zexer’s Sand Storm	35
ესმა კუნჭულია. ევროპული რეცეპტები, როგორც ევროპული არჩევანის მინიშნება XIX საუკუნის საქართველოში	37
Esma Kunchulia. European Recipes as an Indicator of European Choices in 19 th Century Georgia	58
ოლეგ კაპანაძე, ნუნუ კაპანაძე. ქართული წინადადების ავტომატური ანალიზი	59
Oleg Kapanadze, Nunu Kapanadze. The Automatic Analysis of the Georgian Sentence	67
თამუნა გიორგაძე. საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზაციის პრობლემა საქართველოში (2012 წლიდან დღემდე)	68
Tamuna Giorgadze. The Problem of Political Polarization of the Society in Georgia (from 2012 to the present day)	91
ნინო ზანდუკელი. ილია ჭავჭავაძის ფიგურის ინსტრუმენტალიზაცია საქართველოში (1980-2024)	93
Nino Zandukeli. The Instrumentalization of Ilia Chavchavadze’s Figure in Georgia (1980-2024)	111
მიხეილ წვერავა. ალტერნატიული მემარჯვენე იდენტობის ფორმირება 2010-იანი წლების დასავლურ ინტერნეტსივრცეში	112
Mikheil Tsverava. The Formation of Alternative Right-Wing Identity in the 2010s Western Internet Sphere	125
გილად ჰირშბერგერი. კოლექტიური ტრავმა და მნიშვნელობის სოციალური კონსტრუირება	127
ავტორები	154
Authors	154

ლადო ვარდოსანიძე

**საქართველოს პირობებში „ტრადიციონალისტური“ (სოფლური)
და „მოდერნისტული“ (ქალაქური) (სუბ)კულტურების
მახასიათებელთა შეპირისპირების მცდელობა**

(მასალა განსჯისთვის)

*„მე ერთ პატარა სოფელს დავაკლდი,
და შენს სიდიდეს ვერ მივემატე“
ლექსიდან „დიდი ქალაქი“.*

ანზორ აბულაშვილი (1932, სოფ. ჯუგაანი – 2013, თბილისი) – ქართველი პოეტი

*„პარიზელობა არ ნიშნავს პარიზში დაბადებას.
ეს ნიშნავს პარიზში ხელმეორედ დაბადებას“*

საშა გიტრი (Alexandre Georges-Pierre Guitry)

(1885, სანქტ-პეტერბურგი, რუსეთის იმპერია – 1957, პარიზი, საფრანგეთი)

ფრანგი მწერალი, მსახიობი, რეჟისორი, პროდიუსერი

გაეროს მონაცემებით, 2023 წლის სექტემბრისთვის, დედამიწის მოსახლეობის რაოდენობამ 8 მილიარდს გადააჭარბა. ამ მხრივ, საქართველო, 3,7-მილიონიანი მაჩვენებლით, მსოფლიო რუკაზე 130-ე ადგილზეა (სულ აღრიცხულია 242 სახელმწიფო, „ჯუჯა სახელმწიფოების“ ჩათვლით). დღეს, დედამიწის მოსახლეობის 57,5% ქალაქებში და ურბანულ აგლომერაციებში ცხოვრობს; გაეროს პროგნოზით, 2050 წელს ეს წილი 68,6% შეადგენს. საქართველოს ქალაქებსა და დაბებში ქვეყნის მოსახლეობის 59,5% ბინადრობს, მათ შორის 1,2 მილიონი თბილისშია. ამ მონაცემებს 2024 წელს დაგეგმილი საქართველოს მოსახლეობისა და საცხოვრისის საყოველთაო აღწერა დააზუსტებს.

ეს ციფრები ცხადად მეტყველებს, რომ ქართული საზოგადოება გადის „გაქალაქების“, ურბანულ გარემოში ცხოველქმედობის რთულ, მაგრამ გარდაუვალ და შეუქცევად ისტორიულ ეტაპს. მაგრამ, ურბანიზაციის, „გაქალაქების“ ტენდენციის შეფასება მხოლოდ სტატისტიკური მონაცემებით საკმარისი არ არის – გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ამ პროცესის „ხარისხობრივი“ მახასიათებლების გამოვლენა. ზოგადად, ურბანიზაციის ასეთი ორბუნებოვნება, უფრო კონკრეტულად კი – მატერიალურ-გეგმარებითი და სოციალურ-კულტურული სინკრეტიზმი ურბანისტთა სამეცნიერო წრეებში ჯერ კიდევ საბჭოეთის პერიოდში იყო გაცნობიერებული (ჯაოშვილი, ლუტიძე 1976: 170; Философская энциклопедия 1970: 285-286).

ურბანიზაციის პროცესის მართვა, სრულფასოვანი სოციალურ-ეკონომიკური წარმატება და მდგრადობა დიდადაა დამოკიდებული საზოგადოების უკლებლივ ყველა ჯგუფისა თუ ცალკეული წევრის მხრიდან ამ ფენომენის რაობისა თუ ბუნების სიღრმისეულ გაცნობიერებასა და პრაქტიკულ გათავისებაზე. მეტიც, ასეთი მიდგომა, საზოგადოებრივი განვითარების დღევანდელ ეტაპზე, ეროვნული იდეოლოგიის საფუძველი უნდა გახდეს; მასზეა დასაშენებელი საზოგადოების ცხოველქმედობის ყველა ინსტიტუტი თუ დარგობრივი/სექტორული პოლიტიკები.

დასამალი არაა, რომ, ისტორიულად, ქართული კულტურა სოფლური, ტრადიციონალისტური კულტურაა; ურბანული წარმონაქმნები მასში დისკრეტული ხასიათისა იყო და, ძირითადად, უცხოტომელთა სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობას – ხელოსნობასა და ვაჭრობას, ხშირად, მართვასაც კი უკავშირდებოდა. ამიტომაც, რომ დღემდე ჩვენ ვაზროვნებთ ქართული (ეროვნული) კულტურის ერთიანი, თითქოსდა განუშრევებელი, განუყოფელი სხეულის კატეგორიებით და ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ მასში მიმდინარე დიფერენცირების დინამიკურ პროცესებს, უნინარესად, ქართული მოდერნული ურბანული კულტურის სწრაფ ფორმირებას.

ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესია ზოგადეროვნული კულტურის წიაღში ქალაქური (ურბანული) (სუბ)კულტურის კრისტალიზების გააზრება. ჩვენი თანამემამულეების ფართო წრისთვის ეს (სუბ)კულტურა ეფემერული რამ არის; მისი ხელშესახები, ხილვადი, ცხოვრებისეული მახასიათებლები თუ გამოვლენები ნაკლებადაა გაცნობიერებული. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია სოფლური და ქალაქური (სუბ)კულტურების მახასიათებლების მაქსიმალურად კონკრეტული, ხშირად უტრირებულიც კი, გამოვლენა და წარმოჩენა.

ხაზი უნდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ამ თემაზე მსჯელობას პირველად არ ვთავაზობ და ინტერესებულ აუდიტორიას – ჯერ კიდევ ოციოდე წლის წინ, ჟურნალის „ა+d ქართული პროექტი“, 2004 წლის ივლისის ნომერში გამოვაცქეყენ სტატია „გზაჯვარედინი: რურალური-ურბანული. მასალები განსჯისათვის“. თავის დროზე, ასპირანტურაში სწავლისას, ამ თემით დაინტერესებისკენ მიბიძგა ჩიკაგოს ეკოლოგიური სკოლის გამორჩეული წარმომადგენლის, ლუის ვირთის (Louis Wirth) ურბანოციოლოგიის კლასიკად ქცეულმა თეორიულმა ნაშრომმა – „ურბანიზმი, როგორც ცხოვრების წესი“ (Wirth 1938; ვირთი 2014). ამ სტატიაში ავტორს შემოაქვს „ქალაქის“ შემდეგი განსაზღვრება: „სოციოლოგიური მიზნებისათვის ქალაქი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც სოციალურად ჰეტეროგენურ ინდივიდთა შედარებით მსხვილი, მჭიდრო და მუდმივი დასახლება“ (ვირთი 2014: 31). გარკვეული კატეგორიულობის მიუხედავად, ეს დეფინიცია არსებითად იძლევა ქალაქის ფენომენის ზოგად მონახაზს.

ლ. ვირთი გამოყოფს ურბანული კულტურის რამდენიმე იმანენტურ მახასიათებელს, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

- „[...] ქალაქის საზოგადოების წევრებს შორის პიროვნულ შტრიხთა, საქმიანობის ფორმათა, კულტურული ცხოვრებისა და იდეების უფრო ფართო დიაპაზონი, ვიდრე სოფლის მცხოვრებთა შორის“ (ვირთი 2014: 35);
- „როგორც წესი, ქალაქელები ერთმანეთს ძალიან სეგმენტირებულ როლებში ხვდებიან. სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას ისინი, ბევრად მეტ სხვა ადამიანზე არიან დამოკიდებულნი, ვიდრე სოფლის მაცხოვრებლები. [...] სწორედ ეს აქვთ მხედველობაში, როდესაც ამბობენ, რომ ქალაქს მეორადი, და არა პირველადი კონტაქტი ახასიათებს“ (ვირთი 2014: 36);
- „საზოგადოებაში, რომლის წევრთა რაოდენობა გადაცდა იმ ზღვარს, როდესაც თითოეული ადამიანი შეიძლება ერთმანეთს იცნობდეს და ერთადაც მოიყაროს თავი, წარმოიშობა გაშუალებული კომუნიკაციისა და ინდივიდუალურ ინტერესთა დელეგირების გზით გამოხატვის საჭიროება“ (ვირთი 2014: 37).

ჩვენთვის არსებითია, რომ ამ ურბანულ მახასიათებლებს ლ.ვირთი მეორე – სოფლური („რურალური“) კულტურის პოლუსის – ფონზე განიხილავს. ზოგადად, ეს ნაშრომი მაღალ თეორიულ დონეს განეკუთვნება. რაც შეეხება ამ პრობლემატიკის ემპირიულ კვლევას, აქ გამოირჩევა ორი ავტორის – პოლონელისა და ამერიკელის – არანაკლებ მნიშვნელოვანი, საფუძვლიანი ნაშრომი – „პოლონელი გლეხი ევროპასა და ამერიკაში“ (Thomas, Znaniecki 1918).

ლუის მამფორდმა (Lewis Mumford) საყოველთაოდ ცნობილ მონოგრაფიაში – „ქალაქების კულტურა“ – ჩამოაყალიბა ქალაქის მასშტაბური, მრავალმხრივი განსაზღვრება: „ქალაქი, სრული გაგებით, არის გეოგრაფიული კომპლექსი, ეკონომიკური ორგანიზაცია, ინსტიტუციური პროცესი, სოციალურ ქმედებათა თეატრი და კოლექტიური ერთობის ესთეტიკური სიმბოლო“ (Mumford 1938). (ფრჩხილებში აღვნიშნავ, რომ ჩემთვის პროფესიულ გზამკვლევად იქცა ამ წიგნში ჩამოყალიბებული მაქსიმა: „ენასთან, როგორც ასეთთან, ერთად, ის [ქალაქი] რჩება ადამიანის უდიდეს მონაპოვრად (greatest work of art)“ (თარგმანი ინგლისურიდან ჩემია – ლ.ვ.).

უფრო ადრე, ქალაქის გააზრებას თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი შესძინა ურბან-სოციოლოგიის კლასიკოსის – მაქს ვებერის (Max Weber) ნაშრომმა „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება“ (Вебер 1990). ამ სტატიის დაწერისას, ვსარგებლობდი სხვა, ჩემთვის ცნობილი წყაროებითაც (მაგ., Гумилёв 1993; Нижарадзе 2014).

ხსენებულ (სუბ)კულტურათა შეპირისპირებისათვის თვალნათლივ წარმოსაჩენად ვარჩიე ცხრილის ლაკონიური, „ღია“ (არასასრულო) ფორმატი – „ღია“, რადგან მკითხველს შეუძლია თავის წარმოდგენაში თავად გააგრძელოს, შეავსოს მახასიათებლების შეთავაზებულ წყვილთა ნუსხა. ამასთან, პუბლიკაციის შინაარსის უკეთ შესაცნობად, საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე წინასწარი დათქმის, ერთგვარი განმარტებების, წარმოდგენა. ეს დათქმებია:

- (1) „შეპირისპირება“ შინაარსობრივად არ ნიშნავს „დაპირისპირებას“; ასეთი მიდგომა არაკორექტული იქნებოდა, უწინარესად, ქართული ტრადიციული სოფლური (სუბ)კულტურის მიმართ;
- (2) განსაზღვრება „სოფლური“ მოკლებულია ნეგატიურს თუ კნინებითს კონოტაციას; ის, უბრალოდ, მიუთითებს განსაზღვრების განუყოფელი სისტემის ორიდან ერთ-ერთ პოლუსზე და შეიძლება შეიცვალოს უფრო „პოლიტიკორექტული“ ტერმინით – „ტრადიციონალისტური“;
- (3) გასათვალისწინებელია, რომ შეთავაზებული მახასიათებლები თეორიული კონსტრუქტია, რადგან ეს მახასიათებლები, განსაკუთრებით, ჩვენს ეპოქაში, წმინდა, „სტერილური“ სახით, ფაქტობრივად, აღარ არსებობს ურბანიზაციის პროცესში სოციოკულტურული დიფუზიის გამო. ეს ქმნის მეტად საგულისხმო მოვლენას – თანამედროვე ქართული საზოგადოებისა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მარგინალობას. ამგვარი მდგომარეობის ასახსნელად გამოვიყენებ ჩემს საკუთარ ფორმულას – „აღარც სოფლური, მაგრამ, ჯერ არც ქალაქური“;
- (4) აგრეთვე მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ჩვენი საზოგადოება არსებობს არა აღწერილ ორ პოლარულ მდგომარეობაში – „კლასიკურ სოფელში“ ან „კლასიკურ ქალაქში“, – არამედ სოციოკულტურული კონტინუუმის გარკვეულ, თანაც დინამიკურ სკალაზე, სადაც ყოველ კონკრეტულ მდგომარეობას მახასიათებლების კონკრეტულივე, უნიკალური კომბინაცია განსაზღვრავს;
- (5) გასათვალისწინებელია ამა თუ იმ მახასიათებლის არა დღევანდელი მდგომარეობა, არამედ საკმარისად გამოკვეთილი, ცხადი ტენდენცია – განურჩევლად ამა თუ იმ პიროვნების ინდივიდუალური შეხედულებებისა თუ პირადი ცხოვრებისეული პრაქტიკისა;
- (6) შეთავაზებული შეპირისპირება, მის **სოფლურ ნაწილში**, რელევანტურია ქართული ან, თუ გნებავთ, კავკასიური კულტურული წრისთვის; ხოლო **ქალაქურ ნაწილში** კი ის ასახავს საქართველოსთვის სამიზნე იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებად არჩეულ, დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურბანულ მახასიათებლებს;¹
- (7) ჩემთვის, როგორც ურბანისტიკისთვის, მთავარია მკითხველმა, შეპირისპირებულ მახასიათებელთა ყოველ წყვილში, და მათ შორის გაშლილ კონტინუუმში, დაინახოს „გეორეფერენტულობა“, ანუ ადამიანთა თუ ინსტიტუციების სივრცითი ქცევის მოდელების („პატერნების“)

¹ იოსებ გრიშაშვილის მიერ „ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“ ბრწყინვალედ აღწერილი ტფილისური („ახლო აღმოსავლური“) ქალაქური კულტურა, ამ შემთხვევაში, გამოუსადეგარია.

გავლენა საზოგადოების ცხოველქმედობის სივრცეზე (ტერიტორიის ორგანიზებაზე, ანთროპოგენულ სტრუქტურებზე და ა.შ.). საამისოდ სასურველია მკითხველმა მოახდინოს შეპირისპირებულ წყვილთა შინაარსების პროეცირება მისთვის ცნობილ ვითარებებზე თუ მაგალითებზე – იქნება ეს მისი პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება (ე.წ. „ჩართული დაკვირვების“ შედეგი) თუ მასმედიის (მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, თეატრი, კინო, ტელევიზია, ინტერნეტი) მეშვეობით გაცნობილი სიუჟეტები/ტექსტები.

- (8) დაბოლოს, მატრიცა ასახავს მხოლოდ ჩემს სუბიექტურ პოზიციას და, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს „საბოლოო ინსტანციის“ ჭეშმარიტების“ პრეტენზიას. ამ გარემოების ხაზგასასმელად, ტექსტი შეგნებულადაა დაწერილი პირველი პირისგან, თუმცაღა მესმის, რომ ამგვარი მოდუსი ნაკლებადაა მიღებული სამეცნიერო პრეტენზიის მქონე პუბლიკაციებში.

მახასიათებელთა ქვემოთ მოყვანილი შეპირისპირებული წყვილები დაჯგუფებულია თემატურ რუბრიკებად; ასეთი ფორმალური ხერხი, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება მეტად პირობითი ან ხისტი აღმოჩნდეს და, მკითხველის აზრით, გადაჯგუფებას საჭიროებდეს.

„ტრადიციონალისტური“ (სოფლური) და „მოდერნული“ (ქალაქური) (სუბ)კულტურების მახასიათებლების შეპირისპირების მატრიცა

„ტრადიციონალისტური“ (სოფლური) (სუბ) კულტურის მახასიათებლები	„მოდერნული“ (ქალაქური) (სუბ) კულტურის მახასიათებლები
განსახლების სისტემა, ხელთქმნილი გარემო	
სპონტანური, დაუგეგმავი, „ორგანული“, „ფოლკლორული“ განაშენიანება და არქიტექტურული ფორმები	პროფესიულ დაგეგმარებაზე დაფუძნებული განაშენიანება და არქიტექტურული ფორმები
დასახლების როგორც ეთნოკონფესიური, ისე ფუნქციურ-გეგმარებითი ერთგვაროვნება	ეთნოკონფესიური მრავალფეროვნება; ზონირების პრინციპზე დაფუძნებული ფუნქციურ-გეგმარებითი სტრუქტურა
თვითკმარ, ფუნქციურ-ტერიტორიულად შეკრულ სოფლებში ბინადრობა	ფუნქციურ-ტერიტორიულად გახსნილ ურბანულ აგლომერაციებში ცხოველქმედობა
მოსახლეობისა და განაშენიანების დაბალი სიმჭიდროვე	მოსახლეობისა და განაშენიანების მაღალი სიმჭიდროვე
ახლო ნათესავების საგვარეულო უბნებად სახლობა	ნათესავების ურბანულ სივრცეში დისპერსიული ბინადრობა
(საქორწინო) პარტნიორის შერჩევის შეზღუდული ეთნოკონფესიური და გეოგრაფიული არეალი	(საქორწინო) პარტნიორის შეუზღუდავი შერჩევა
ცენტრალური ფუნქციებისა და საზოგადოებრივი სივრცეების/ობიექტების სიმწირე და ფუნქციურ-გეგმარებითი ბუნდოვანება	მკაფიოდ გამოხატული, მრავალრიცხოვანი ცენტრალური ფუნქციები და საზოგადოებრივი სივრცეები/ობიექტები
ისტორიული, ტრადიციული ტოპონიმები, არა-ფორმალური დამისამართება	ფორმალიზებული ურბანონიმები და ფორმალიზებული დამისამართება
საზოგადოებრივი სივრცეების ბუნებრივ-ლანდშაფტური ხასიათი	არქიტექტურულ-მხატვრულად კეთილმოწყობილი საზოგადოებრივი სივრცეები

ეკონომიკა, მეურნეობა, დრო, შრომა	
შრომის, სამეურნეო საქმიანობის ერთგვაროვნება და კონკრეტულ ადგილ(ებ)ზე „მიზმა“	პროფესიებისა და სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის ღრმა სპეციალიზაცია და დისტანციური მუშაობის შესაძლებლობა
პროფესიული საქმიანობის შეზღუდული დიაპაზონი	პროფესიული საქმიანობის უკიდურესი დიაპაზონი
სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული აქტივობების ხისტი ფენოლოგიური განრიგი, ბუნებრივი ციკლები	სამეურნეო ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული აქტივობების უწყვეტი, თავისთავადი, თვითმყოფი განრიგი
საცხოვრისის სტრუქტურის გენდერული ზონირება	საცხოვრისის სტრუქტურის ფუნქციური ზონირება
ნატურალური მეურნეობა, „ბარტერული“ ურთიერთობები	ფულად-საკრედიტო ურთიერთობებზე დაფუძნებული საბაზრო ურთიერთობები
ფულად-საკრედიტო ურთიერთობების გაუცნობიერებლობა და მევახშეობის მავნე მოვლენად აღქმა	ფულად-საკრედიტო ურთიერთობების გაცნობიერება-გათავისება და საბანკო სისტემის განვითარება
დროის აღქმისა და ათვისების ციკლური ხასიათი	დროის აღქმისა და ათვისების ხაზობრივი ხასიათი
ცხოვრების წყვეტილი, ბუნებრივ ციკლებსა და პირობებზე დამოკიდებული ხასიათი	საზოგადოებრივი ცხოვრების უწყვეტი, სადელამისო ხასიათი
მანძილის კატეგორიის ბუნებრივი, ცალსახა აღქმა	მანძილის კატეგორიის დროის კატეგორიაში ინვერსია (წარმოსახვითი გადაყვანა)
მამაკაცების აგროკულტურაში გარდაუვალი და-საქმება, ქალების დიასახლისობა	ვაჭრობა, ხელოსნობა, მართვა, არამატერიალური წარმოება, თავისუფალი პროფესიები
წლის სტრუქტურირება შრომის თვალსაზრისით ერთგვაროვან აგროკულტურულ პერიოდებად და ბუნებრივ განათებულობაზე დამოკიდებულება	წლის სტრუქტურირება დღე-ღამის მონაკვეთებად, „ღამის ცხოვრება“, კვირებად (სამუშაო და სადაგი დღეები), შვებულებების სისტემა
გძელვადიანი დაგეგმვისა და საპროექტო აზროვნების დეფიციტი, „დღეს და ახლა“ სინდრომი	დაგეგმვის მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდების გათვალისწინება, „საპროექტო აზროვნება“
ტექნიკური საშუალებების პრიმიტიული, უცვლელი ფორმები	სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პროდუქტების საყოველთაო გავრცელება და ათვისება
სამეურნეო-ეკონომიკური სოლიდარობა, ნებაყოფლობითი კოოპერირება	მძაფრი ინდივიდუალური და ინსტიტუციური კონკურენცია
ადამიანებისა და ქონების დაუზღვევლობა	ადამიანებისა და ქონების დაზღვევის გავრცელებული პრაქტიკა
ცხოველქმედობის კაპიტალიზაციის არარსებობა	ცხოველქმედობის ტოტალური კაპიტალიზაცია
ტრადიციული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები	ახლებური სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები
უნარჩენო სამეურნეო საქმიანობა	დიდი რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა
საკარმიდამო განაშენიანების ტიპოლოგიური ერთფეროვნება	განაშენიანების ტიპოლოგიის მრავალფეროვნება

პოლიტიკა, მმართველობა, ინფორმაცია	
საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი დაუნერგელი ადამი, ჩვეულებითი სამართალი, საყოველთაოდ აღიარებული ტრადიცია, არაფორმალური სოციალური კონტროლი	საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ფორმალიზებული და ინსტიტუციონალიზებული საკანონმდებლო-ნორმატიული სისტემა
გერონტოკრატია, უფროსთა ავტორიტეტი, „ბიზანტიზმი“	ბიუროკრატია, მერიტოკრატია, ინსტიტუციონალიზებული მმართველობა
ადგილობრივ, სათემო საკითხებში ჩართულობა	საზოგადოებრივი მნიშვნელობის, სახელმწიფო მასშტაბის საკითხებით დაინტერესება
უშუალო დემოკრატია	დელეგირებული დემოკრატია
პოლიტიკური პასიურობა	პოლიტიკური აქტიურობა
ინფორმაციის გავრცელების ქსელური („რატიალური“), პიროვნებათაშორისი სისტემა	ინფორმაციის გავრცელების კომბინირებული სისტემა – ქსელური (ინტერნეტზე დაფუძნებული) და ლერძული („აქსიალური“)
არსებული წესწყობილების შენარჩუნება – კონსერვაცია	ინოვაციების უწყვეტი პროცესი
საცხოვრისის მართვა ოჯახის უფროსის მიერ	საცხოვრისის მართვის ფორმების მრავალფეროვნება
ბუნება	
ადგილობრივი თემისა და ბუნების სინკრეტიზმი	საზოგადოებისა და ბუნების გამიჯვნა, რეფლექსია ბუნების მიმართ
ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარება, მდგრადობის გათვალისწინება	ბუნებრივი რესურსების შეუზღუდავი ათვისება, მომხმარებლობა
ბუნება – ყოველდღიურობის გარემო	ბუნების ელემენტების შემოტანა ურბანულ გარემოში; ბუნების „გაკეთილშობილება“
შინაური ცხოველების პრაგმატული დანიშნულება	შინაური ცხოველების „კომპანიონის“ სტატუსი; მათი ესთეტიზაცია
სამეურნეო და სოციალური აქტივობებისა და უქმეების ფენოლოგიური და რელიგიური რეჟიმი	ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული აქტივობების ყოველკვირეული და წლიური რეჟიმი
შინაურ ცხოველთა და მცენარეების ენდემური, შეზღუდული ნომენკლატურა	შინაურ ცხოველთა და მცენარეების გლობალური ნომენკლატურის ფართო გავრცელება-ინტროდუქცია
ბუნებრივ ლანდშაფტზე მორგებული სამეურნეო საქმიანობა	ბუნებრივი ლანდშაფტის მორგება სამეურნეო-ეკონომიკურ მიზნებზე
სოციალურ-დემოგრაფიული და ფსიქოლოგიური მოდელი	
სამყაროს რელიგიურ-მისტიკური აღქმა, ცრუმორწმუნეობა	სამყაროს სამეცნიერო-რაციონალური ინტერპრეტაცია
რელიგია – ცხოვრების იმანენტური ნაწილი	რელიგია – კულტურული იდენტობის კომპონენტი
დიდი, რამდენიმეთაობიანი, პატრიარქალური, პატრილინეარული, პატრილოკალური ოჯახი	ნუკლეარული, ორთაობიანი, ეგალიტარული ოჯახი; ოჯახის ფორმების მრავალფეროვნება

გვარიშვილობის, წარმომავლობის პატივისცემა	ადამიანის პირადი ღირსებების/წარმატებების პატივისცემა
უფროსი თაობის, „დროული ადამიანების“ განსაკუთრებული პატივისცემა	„ეიჯიზმის“ ყოველგვარი გამოხატვის უარყოფა
დაუნერეელი ტრადიციით მკაფიოდ განსაზღვრული სოციალური როლები	ფორმალიზებული სოციალური როლები
უშუალო, პირველადი სოციალური კონტაქტები	გაშუალებული, მეორადი სოციალური კონტაქტები
არჩევანის კატეგორიის (დიაპაზონის) შეზღუდულობა, ცხოვრების გზის წინასწარგანსაზღვრულობა	ცხოვრების წესის და პროფესიული კარიერის შეუზღუდავი არჩევანი
სოციალური მობილობის მინიმალური შესაძლებლობა და პროფესიული კარიერის ინსტიტუტის არარსებობა	პროფესიული მობილობისა და კარიერული ზრდის ფართო შესაძლებლობა
ოჯახში ბავშვების შეუზღუდავი რაოდენობა (ბუნებრივი, უმართავი რეპროდუქცია), ბავშვთა სქესისადმი სელექციური მიდგომა („ბიჭის“ უთუო პრიორიტეტი)	რეპროდუქციულობის მართვა, „Zwei Kinder System“, ბავშვთა სქესისადმი არასელექციური მიდგომა
ინტელიგენციის არარსებობა	ინტელიგენციის/ინტელექტუალების ფენის წარმოშობა
ბავშვის სოციალურ-კულტურული ასაკის გამოუყოფლობა, ადრეული სოციალიზაცია	ბავშვის ასაკის სოციალურ-კულტურული გამოყოფა, გვიანი სოციალიზაცია
სექსუალური ქცევის პროკრეატიული (რეპროდუქციული) დომინირება და ორკეცი გენდერული სტანდარტები	სექსუალური ქცევის ძირითადად რეკრეაციული ხასიათი და უნივერსალური სტანდარტი
საზოგადოებრივი ცხოვრების ტაბუდადებული თემები	საზოგადოებრივი ცხოვრების ტაბუდადებული თემების არარსებობა
სოციალურ-კულტურული აქტივობა ოჯახის ფარგლებში	სოციალურ-კულტურული სერვისების ინსტიტუციონალიზება
მოკლე სოციალური დისტანციები	გაზრდილი სოციალური დისტანციები
დაბალი სოციალური და ტერიტორიული მობილობა	მაღალი სოციალური და ტერიტორიული მობილობა
არსებული სოციალურ-კულტურული ჯგუფების შენარჩუნება	ახალი სოციალურ-კულტურული ჯგუფების აღმოცენება
უმცირესობათა უფლებების იგნორირება/დევნა	უმცირესობათა უფლებების აღიარება და დაცვა
არაფორმალური სოციალური კონტროლი	ფორმალიზებული სოციალური კონტროლი
თემისა და საზოგადოებრივი აზრის დიქტატი, კონფორმიზმი	ინდივიდუალიზმი, „ნონკონფორმიზმი“, privacy
თანდაყოლილი სოციალური კავშირების (ნათესაობა, მეზობლობა) დომინირება	შეძენილი სოციალური კავშირების (მეგობრები, თანამშრომლები) უპირატესობა
მკაფიოდ გამოკვეთილი, შინაგანი და გარეგანი გენდერული იდენტობა	გენდერული იდენტობის გაბუნდოვნების, მკაფიო საზღვრების წაშლის ტენდენცია, „უნისექსუალობა“
უშუალო სოციალური კონტაქტები	გაშუალებული სოციალური ურთიერთობები
ნეპოტიზმი	პირადი თვისებების დაფასება

ლადო ვარდოსანიძე

ეთნოცენტრიზმი, ვიწრო ნაციონალიზმი, კუთხურობა, ქსენოფობია	მსოფლიოს მრავალფეროვნების აღქმა, რაციონალური პატრიოტიზმი, რწულმემწყნარებლობა, ემპათია
სტუმარმასპინძლობის კულტი	რაციონალური სტუმართმომღებლობა
კულტურული რეფლექსიის არქონა	კულტურული რეფლექსია
კულტურის უნიფიცირება, მონოლითური ხასიათი	მულტიკულტურულობა, კულტურათა დიფუზია, აკულტურაცია
რაინდული ეთიკა	„ბურჟუაზიული“ ეთიკა
ინდივიდუალური ინტერესების, გატაცების არქონა	ინდივიდუალური ინტერესები; ჰობი – ფსიქოლოგიური წონასწორობის მექანიზმი
გაცხადებული ნეკროფილია	თავშეკავებული მემორიალიზება
ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური პატერნების ტერიტორიული განსაზღვრულობა	ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური პატერნების უცვლელი, ინტერნალიზებული (გაშინაგანებული) ფორმები
იდენტობის, ინტერესებისა და პასუხისმგებლობის ვიწრო არაეალი	იდენტობის, ინტერესებისა და პასუხისმგებლობის ფართო არეალი
სოციალური ქცევის ტრადიციული სტანდარტებისგან უმნიშვნელო გადახრა (დევიანტობა) ორივე მხარეს	სოციალური ქცევის ფორმალიზებული სტანდარტებისგან გადახრის (დევიანტობის) ფართო დიაპაზონი
უცნობების მიმართ დამოკიდებულების დიქტომია: „მტერი ან მოყვარე“	უცნობების მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება
„სხეულის ენის“ რეგლამენტაცია და სიმკაცრე	სხეულის ენის თავისუფლება
თემში დაცულობისა და ფსიქოლოგიური კომფორტის შეგრძნება	„ბრბოში (ხალხმრავლობაში) მარტოობის“ შეგრძნება
სარიტუალო წვეულების სუფრაზე დასხდომის გენდერული დაყოფა	წვეულების სუფრაზე გენდერულად თავისუფალი დასხდომა
სარიტუალო მოვლენებისადმი მიძღვნილი სუფრების მრავალრიცხოვნობა	სარიტუალო მოვლენებისადმი მიძღვნილი სუფრების მცირერიცხოვნობა
კოლექტიური (სათემო) პასუხისმგებლობის გათავისებული ვალდებულება	პერსონალური ინდივიდუალური პასუხისმგებლობა კანონის წინაშე
პატრონყმური ურთიერთობები, კლიენტელიზმი, „ბიზანტიზმი“	საქმის პრიმატი, საკონტრაქტო სისტემა
ძალის პატივისცემა და დამორჩილება	გონების პატივისცემა
ადათებით განსაზღვრული, რიტუალიზებული საზოგადოებრივი ცხოვრება	ფორმალური კანონმდებლობით დეტერმინირებული, ფართო საზოგადოებრივი ცხოვრება
კვების (კერძების) ადგილობრივი მენიუ	კერძების გლობალური დიაპაზონი
სუფრის გაძღოლის ავტორიტარული სტილი	წვეულებების დემოკრატიული ფორმები
ხელოვნება, კულტურა	
კულტურის რეტროორიენტაცია	ახლის ძიებასა და შექმნაზე ორიენტირებული კულტურა
ხელოვნების სამოყვარულო, „ხალხური“, ანონიმური ხასიათი (ფოლკლორი)	ხელოვნების სფეროში პროფესიული მოღვაწეობა, პერსონიფიცირება
კულტურის ერთიანი „სხეული“	კულტურის განშრევება ელიტურ და მას(პოპ) კულტურად; კულტურის კერპების ფენომენი

ზეპირსიტყვიერება; ლეგენდების; მითების, ზღაპრების თაობიდან თაობაზე გადაცემა	წერილობითი არტეფაქტები, პროფესიული ლიტერატურა, დაცული საავტორო უფლებები
კონსერვატიული, უცვლელი მხატვრულ-ესთეტიკური მჯობინებები და ფორმები	სტილური მრავალფეროვნება; ხშირად ცვალებადი მოდის ფენომენი
კულტურის ფორმების რეგიონული თავისებურებები	კულტურის ფორმების უნივერსალური, უნიფიცირებული ხასიათი
ლოკალური, საყოველთაო, უცვლელი კულტურული იდეალი	ტრანსლოკალური, მრავალფეროვანი, დინამიკური კულტურული იდეალები
საყოველთაო ხასიათის ხალხური და რელიგიური დღესასწაულები, ადგილობრივი „დღეობები“	ოფიციალური მემორიალური დღეები, პერსონიფიცირებული იუბილეები, ქალაქების დღეები
ისტორიული, ორგანული, ხალხური ტოპონიმია	პოლიტიკურად ორიენტირებული, იდეოლოგიური ტოპონიმია
სახასიათო კუთხური დიალექტები და კილოკავები	ქართლურ დიალექტზე დაფუძნებული ქართული სალიტერატურო ენა; არგო, ჟარგონები, სლენგები, ბარბარიზმები
ფიზიკური განვითარების შერწყმა შრომით საქმიანობასთან	ფიზიკური კულტურის განცალკევებულ ფენომენად დამკვიდრება
სანიტარიული პრაქტიკების ჩამორჩენა	მაღალი სანიტარიული სტანდარტები
კულტურული კარჩაკეტილობა	სხვა კულტურებით დაინტერესება, ტურიზმის განვითარება
.....	
.....	
.....	

ცხრილის ბოლოში დატოვებული თავისუფალი პუნქტები შემთხვევითი არ არის – ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს რეალობაში რურალური და ურბანული (სუბ)კულტურების ამსახველი შეპირისპირებული წყვილების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება. დარწმუნებული ვარ, რომ დაინტერესებული მკითხველი შეავსებს საკუთარი თვალითა და გონებით დანახულ სტატიის ხარვეზებს. პუბლიკაციის მიზანიც ხომ ეს არის – პროფესიული და საზოგადოებრივი აზრის გააქტიურება, ურბანიზებულ სამყაროში ცხოვრების გაცნობიერება...

ამ ჟანრისა და ხასიათის სტატია დასკვნას საჭიროებს. მთავარი ისაა, რომ სტატია არ უნდა იყოს გაგებული, როგორც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ახლო თუ შორეული წარსულისათვის დამახასიათებელი „ახალი ადამიანის“¹ „ახალი ქართველის“ კონსტრუირების წინაპირობა/მინიშნება. იგულისხმება უკვე მივინწყებული, მკვდრადშობილი, საბჭოთა პერიოდის „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი“¹ და პრინციპულად ანალოგიური, უკვე ჩვენს დროში, პრეზიდენტ მ.სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში, ტრადიციული ფასეულობების ძალადობრივი, დაჩქარებული მსხვერვის მრავალმხრივი ზეღიბერალური პრაქტიკა. ამ უტოპიური განზრახვების საწინააღმდეგოდ, სტატია ერთგვარი სოციალურ-ფსიქოლოგიური სარკეა; მასში ჩახედვა ხელს შეუწყობს ქართული საზოგადოების ესოდენ სასურველ რეფლექსიას და მარგინალური მდგომარეობიდან ურბანული ცხოვრების წესისაკენ მიმავალ მაგისტრალურ გზაზე შეუქცევად სვლას.

¹ „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი“ – კომუნისტური ფასეულობების 12-პუნქტიანი ნუსხა, რომელიც აისახა სკკპ-ს XXII ყრილობის მასალებში (1961 წ.).

ბიბლიოგრაფია:

- ჯაოშვილი, ვ., ლუტიძე ბ. „ურბანიზაცია“. სტატია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, ტ. 10, თბილისი, 1976, გვ.170.
- «Урбанизация». Статья в Философской энциклопедии, т. 5. Москва, Советская энциклопедия, 1970, сс. 285-286.
- Wirth, L. "Urbanism as a Way of Life". The American Journal of Sociology, 1938, 44 (1), pp. 1-24.
- ვირთი, ლ. „ურბანიზმი, როგორც ცხოვრების წესი“. ქალაქი. კრიტიკული შესავალი (რედ. ლ. ასაბაშვილი), თბილისი, ღია საზოგადოება – საქართველო, 2014, გვ. 24-49.
- Thomas, W.I., Znaniecki, F. The Polish Peasant in Europe and America, V 1-5. Gorham Press, 1918.
- Mumford, L. The Culture of Cities, Harcourt Brace & Company, 1938.
- Вебер, М. «Протестантская этика и дух капитализма». В сб.: М. Вебер. Избранные произведения, Москва, Прогресс, 1990.
- Гумилёв, Л. Н. Этногенез и биосфера земли, Москва, ТОО «Мишель и К», 1993.
- Нижарадзе, Г. «Мы – грузины. Полемические заметки по поводу некоторых социально-психологических аспектов грузинской культуры». В сб.: Народы перед зеркалом. Эссе, статьи, очерки, Москва, Дружба народов, 2014, сс. 16-48.

VLADIMER (LADO) VARDOSANIDZE

AN ATTEMPT TO COMPARE THE CHARACTERISTICS OF “TRADITIONAL”/RURAL AND “MODERN”/URBAN (SUB)CULTURES UNDER THE CONDITIONS OF GEORGIA (A MATERIAL FOR REFLECTION)

Summary

Today, Georgian society is going through a difficult, but inevitable and irreversible historical stage of urbanization and living in an urban environment. However, it is not enough to evaluate the trend of urbanization only based on statistical data – it is much more important to reveal the qualitative characteristics of this process.

The management of the urbanization process, full-fledged socio-economic success and sustainability are highly dependent on the deep understanding and practical comprehension of the nature of this phenomenon by all groups or individual members of the society. Moreover, such an approach, at the current stage of public development, should become the basis of the national ideology; all the institutions of the society's activities and sectoral policies are to be built on it.

It is no secret that, historically, Georgian culture is rural, traditionalist; urban forms in it were of a discrete nature and were mainly related to the economic activities of foreign elements – handicrafts and trade; often, it was even related to urban management. We still think of Georgian (national) culture with the categories of a single, seemingly inseparable, indivisible body, and we pay less attention to the dynamic processes of differentiation taking place in it, first of all, the irreversible formation of modern Georgian urban culture.

In this regard, it is very important to understand the crystallization of urban (sub)culture in the core of universal Georgian culture. For a wide circle of our compatriots, this (sub)culture is an ephemeral thing; its intangible, invisible characteristics or manifestations are little understood. That is why it is important to reveal and present the characteristics of rural and urban (sub)cultures as concretely as possible, often in an exaggerated manner.

The theoretical work of Louis Wirth, a prominent representative of the Chicago ecological school, which became a classic of urban sociology, “Urbanism as a way of life” led me to be interested in this

topic. He examines urban characteristics against the background of the second cultural pole – rural culture.

As for the empirical study of this problem, it is worth noting the important and thorough work – “The Polish Peasant in Europe and America” – written by William I. Thomas and Florian Znaniecki.

In his well-known monograph “The Culture of Cities”, Lewis Mumford formulated a large-scale, multi-faceted definition of the city: “A city, in its full sense, is a geographical complex, an economic organization, an institutional process, a theater of social action and an aesthetic symbol of collective unity.”

Earlier, Max Weber, a classic of urban sociology, in his “Protestant Ethic and the Spirit of Capitalism” provided a theoretical-methodological basis for the understanding of the city nature.

But what are the immanent components/characteristics of the both – rural and urban – (sub)cultures? In this paper comparison of this components is suggested in the format of table. In order to better understand the content of the publication, it is necessary to present some preliminary reservations:

- (1) “comparison” does not mean “confrontation”;
- (2) the definition “rural” do not bear the load of negative or pejorative connotation;
- (3) proposed characteristics are a theoretical construct, because, in a pure, “sterile” form, these characteristics – due to sociocultural diffusion in the process of urbanization – actually no longer exist. This creates a very significant phenomenon – the marginalization of a certain part of the modern Georgian society.
- (4) our society does not exist in the described two polar states – “classic village” or “classic city” – but on a certain and dynamic scale of the sociocultural continuum, where each concrete/personal situation is defined by a specific, unique combination of factors;
- (5) not the current state of some characteristic that should be taken into account, but a sufficiently distinct, clear trend;
- (6) The proposed oppositions, in their rural part, are relevant for the Georgian, or, if you like, Caucasian cultural circle; and in the urban part, they reflect the historically formed urban characteristics of the developed countries of Western Europe;
- (7) The main thing for the reader is to see “geo-referentiality” in each pair of opposing features, and in the continuum between them, i.e. the influence of spatial behavior models (“patterns”) of people or institutions on the space of society’s activity (territorial organization, anthropogenic structures, etc.).
- (8) The table reflects only the subjective position of the author and does not represent the claim of “ultimate instance truth”.

The opposing pairs of features are grouped under the following broad thematic headings:

- Settlement system, manmade environment;
- Economy, time, work;
- Policy, management, information;
- Nature;
- Socio-demographic and psychological patterns;
- Culture and art.

Such a formal way, in some cases, can be too conditional or rigid and, according to the reader’s opinion, may be regrouped.

The free lines left at the bottom of the table are not accidental – it means that in the reality of Georgia, one can endlessly enumerate opposite pairs representing rural and urban (sub)cultures. The interested reader will fill in the gaps of the article seen with his/her own eyes and mind. This is the purpose of the publication – activation of professional and public opinion and awareness of the way of life in the contemporary urbanized world.

Tea Gergedava

RETHINKING UNIVERSITY DESIGN

Introduction

The design of university campuses has traditionally mirrored the hierarchical organization of academic disciplines, with faculties and departments compartmentalized into separate buildings. This spatial arrangement, while practical for discipline-specific activities, has historically reinforced the boundaries between fields of study, limiting opportunities for collaboration and cross-disciplinary innovation. However, as the world grapples with increasingly complex challenges like climate change, technological disruptions, and global health crises, universities are beginning to recognize the limitations of this traditional model. Addressing such multifaceted issues requires interdisciplinary and transdisciplinary approaches that integrate and even transcend conventional academic boundaries.

At the core of fostering these new approaches lies the physical space where learning and research take place. The design of university campuses is now recognized as a powerful tool for shaping interactions among students, faculty, and researchers, influencing the extent to which collaboration can thrive. Modern university design increasingly prioritizes flexible, open spaces that encourage communication and the exchange of ideas across disciplines. These adaptable environments not only break down physical and intellectual barriers but also support the creative thinking needed to tackle complex global problems. Open spaces, collaborative hubs, and multi-functional areas allow for spontaneous interactions and collaborations, which are often the sparks for innovative, cross-disciplinary research.

This article delves into the critical role of spatial design in promoting interdisciplinary and transdisciplinary research within universities. It investigates how the physical layout of campuses can either hinder or facilitate collaborative efforts and emphasizes the need for adaptable spaces that accommodate a wide range of academic interactions. With the advent of digital technology, the article also highlights the increasing relevance of technology-enhanced spaces, which support virtual collaboration and enable real-time communication across geographical boundaries. These technologically equipped areas are crucial for modern academic practices, as they allow faculty and students to collaborate with peers globally, participate in international research, and share knowledge instantaneously.

Furthermore, creating environments that engage both academic and non-academic stakeholders is essential in fostering transdisciplinary research, which often requires input from a variety of perspectives to address complex societal issues. By designing spaces that are accessible and welcoming to individuals from diverse backgrounds – including industry experts, community members, and policymakers – universities can facilitate the cross-pollination of ideas necessary for impactful research outcomes.

As universities adapt to meet the demands of the 21st century, the integration of flexible, shared learning and research spaces will be crucial to their success. These spaces will not only foster a culture of collaboration, but also equip universities to produce cutting-edge, solution-oriented research that addresses the pressing challenges of our time. By reimagining the physical spaces where education and research take place, universities can become hubs of innovation that transcend traditional academic boundaries, fostering an academic ecosystem capable of responding dynamically to the evolving needs of society.

1. University Design and Professional Development

University spaces play a vital role in promoting professional development by fostering environments where academic staff and students can engage, collaborate, and innovate.

1.1. Collaborative and interdisciplinary spaces

In modern universities, the shift towards interdisciplinary and collaborative research has transformed the architectural and spatial design of campuses. Universities are increasingly incorporating shared spaces that encourage interdisciplinary work, providing platforms for both research and teaching that extend beyond traditional disciplinary boundaries. Such shared spaces include research hubs, co-working areas, and dedicated meeting rooms designed to facilitate interaction across diverse disciplines and cultural backgrounds. These spaces are essential for fostering a collaborative academic environment that promotes innovative research, as they encourage engagement and idea exchange between individuals from different academic, cultural, and professional backgrounds. By creating environments where scholars from varied disciplines can intersect, universities support a holistic approach to knowledge generation, allowing for the synthesis of diverse perspectives that can lead to groundbreaking research and academic growth.

Research by Mitrany and Stokols (2005) emphasizes the impact of environments that promote collaboration on innovation rates within academia. Their findings suggest that shared spaces designed for interdisciplinary collaboration are not merely functional but strategically essential for enhancing innovation. In environments that support collaboration, faculty and students are more likely to engage in creative problem-solving, develop novel approaches, and produce impactful research that transcends traditional academic silos. Such spaces not only contribute to individual professional advancement but also elevate the collective academic and research output of the institution. These collaborative environments are particularly vital in the fields addressing complex, global challenges – such as public health, climate change, and social equity – where solutions require input from multiple disciplines.

Moreover, the presence of interdisciplinary spaces can attract a more diverse academic community, including international researchers, visiting scholars, and professionals from various sectors. This diversity enhances the university's capacity to address global challenges by drawing on a broad range of expertise and perspectives. Shared spaces foster a sense of community and intellectual alliance, enabling researchers and students from different parts of the world to collaborate on projects that benefit from a plurality of insights. This cultural and intellectual exchange is crucial in a globalized academic context, as it equips scholars with a broader understanding of issues and solutions relevant to diverse populations.

By integrating technology, these collaborative spaces also accommodate remote and hybrid models of working, further broadening the scope for interdisciplinary research. Video conferencing

facilities, interactive whiteboards, and virtual collaboration tools enable researchers to connect seamlessly with colleagues worldwide, facilitating global partnerships and enriching the research process. Universities equipped with technologically advanced collaborative spaces can thus position themselves as leaders in international research, fostering a global network of knowledge exchange that strengthens their institutional reputation and academic reach.

1.2. Multifunctional spaces for global collaboration

As universities become more internationalized, the integration of multifunctional spaces that support both in-person and virtual interactions has become increasingly important. These adaptable spaces enable institutions to foster a blend of local and international collaboration, promoting a dynamic environment where faculty, students, and researchers can engage with global partners in real time or asynchronously. Such multifunctional spaces are typically equipped with advanced technological tools that facilitate virtual collaboration, such as video conferencing systems, smartboards, and other digital interfaces. By accommodating both face-to-face and remote interactions, these spaces provide universities with the flexibility needed to engage in global research partnerships and to connect with a diverse array of stakeholders across geographical boundaries.

The design of these spaces reflects a response to the increasingly interconnected nature of the academic world, where cross-border collaborations are essential for addressing complex global challenges. As universities seek to enhance their research and educational missions, the creation of adaptable, technology-enabled environments allows them to participate actively in international academic networks. For example, a multifunctional space can host a research team from various countries working on a shared project, allowing team members to collaborate seamlessly despite physical distance. This setup not only facilitates immediate communication but also enriches the research process by enabling the integration of diverse perspectives.

Moreover, multifunctional spaces play a crucial role in enabling universities to fulfill their roles as global institutions. These spaces empower universities to establish and maintain partnerships with academic and research institutions worldwide, fostering an academic culture that values inclusivity, adaptability, and innovation. By supporting international engagement, multifunctional spaces help universities attract global talent, encourage cross-cultural exchange, and build institutional reputation on an international scale. Such spaces underscore the commitment of universities to engage in transnational research endeavors, contributing to the creation of a global knowledge ecosystem where ideas, resources, and expertise are freely exchanged.

In a world where global challenges require collaborative solutions, multifunctional spaces designed for flexibility and connectivity are essential for modern universities. They are not merely physical locations but strategic assets that enhance a university's capacity to be an active participant in the global academic community. As institutions continue to evolve, the emphasis on creating spaces that support both local and international collaboration will be pivotal in achieving their goals of impactful, globally-relevant research and education.

1.3. Technology-enabled learning environments

In the contemporary academic landscape, technology-enabled learning environments have become essential for fostering professional development among both faculty and students. These environments, which include smart classrooms, digital libraries, and online learning platforms, provide access to a range of resources and tools that are critical for skill development in an increasingly digi-

tal world. By incorporating advanced technology into the learning experience, universities equip their communities with the competencies needed to remain competitive on a global scale. Smart classrooms, for instance, offer interactive boards, real-time data sharing, and internet-connected devices that allow for an enriched, adaptable teaching and learning process. Similarly, digital libraries grant users immediate access to vast collections of academic literature, research databases, and multimedia resources, broadening the scope of accessible knowledge beyond traditional, physical libraries.

Technology-enabled environments also play a pivotal role in encouraging faculty to innovate in their teaching practices. According to Cunningham et al. (2019), exposure to these technology-rich settings motivates educators to adopt digital pedagogies, expanding their teaching methods and enhancing their professional capabilities. By integrating digital tools into their instruction, faculty members can create more engaging and interactive lessons that cater to the needs of diverse learners. Online platforms, for example, allow instructors to blend in-person and remote learning, facilitating a more flexible learning experience and accommodating students who may be participating from different locations or time zones.

Furthermore, technology-enabled learning environments foster a culture of continuous learning and adaptability among students and faculty. As they engage with new digital tools and platforms, students develop critical skills in information technology, data analysis, and digital communication – skills that are highly valued in a globalized job market. Faculty, on the other hand, benefit from professional growth opportunities that come with mastering these digital tools, making them more effective educators and better prepared for future shifts in educational technology.

The impact of technology-enabled learning environments extends beyond individual development to the institution as a whole. Universities that prioritize such environments signal their commitment to innovation, attracting students and faculty who value cutting-edge resources and professional growth. This, in turn, strengthens the institution's reputation and aligns it with global academic standards, ensuring it remains a competitive player in the international higher education landscape. As technology continues to evolve, maintaining and advancing these environments will be critical for universities aiming to support their members' growth and adapt to new educational challenges.

2. University Design and Personal Development

A university's physical and social environments significantly influence students' personal growth, particularly as institutions attract diverse student bodies.

2.1 *Culturally inclusive spaces*

With the growing internationalization of higher education, universities are increasingly focusing on creating culturally inclusive spaces that support diversity and foster a sense of belonging among students from all backgrounds. These spaces, such as international student centers, multicultural hubs, and designated areas for cross-cultural activities, play a significant role in promoting interactions between students from various cultural, ethnic, and national origins. By providing a welcoming environment that encourages students to share their cultural experiences and perspectives, these spaces facilitate not only personal growth but also mutual understanding and respect among diverse groups.

Culturally inclusive spaces help students develop essential communication skills and foster intercultural understanding, preparing them for global citizenship. According to Hashimshony and

Haina (2006), such environments are vital for enhancing students' ability to engage effectively with individuals from different backgrounds, a skill that is increasingly valuable in today's interconnected world. Through activities organized in these spaces – such as language exchange programs, cultural festivals, and discussion forums – students are able to explore diverse cultural perspectives, break down stereotypes, and gain insights into different worldviews. This exposure promotes adaptability and empathy, attributes that are invaluable for professional and personal success in a multicultural society.

Additionally, culturally inclusive spaces support the broader goals of inclusivity and equity within the university community. By acknowledging and celebrating cultural diversity, universities create an environment where all students feel valued and supported, contributing to their well-being and academic success. For international students, these spaces often serve as vital support networks, helping them transition into a new cultural and academic environment. For local students, engaging with their international peers broadens their horizons and challenges them to think beyond their immediate cultural contexts, enriching their educational experience.

The presence of culturally inclusive spaces also enhances the university's reputation as an institution committed to diversity and global engagement. Prospective students and faculty from around the world are more likely to be attracted to universities that actively promote intercultural interactions and provide resources tailored to diverse populations. This commitment to inclusivity strengthens the institution's appeal on a global scale and contributes to a vibrant, dynamic campus culture. As universities continue to expand their international reach, investing in culturally inclusive spaces will be essential for fostering a supportive, globally minded academic environment.

2.2. Social and communal spaces

Social and communal spaces on university campuses, including dining halls, lounges, and recreational facilities, play a pivotal role in fostering social interaction among students. These areas are not only places for relaxation and recreation but also vital environments for developing social skills, particularly for international students adjusting to a new cultural context. The casual, inclusive nature of communal spaces encourages spontaneous conversations and interactions, allowing students to build friendships, practice language skills, and expand their social networks beyond academic settings.

For international students, communal spaces offer essential support for cultural adaptation. By engaging with peers in informal settings, they can gain insights into local customs, norms, and social expectations, which can help ease the challenges of living in a new country. The presence of diverse groups within these spaces creates opportunities for cultural exchange, where students from various backgrounds can share experiences, discuss global perspectives, and learn from one another. This interaction fosters an inclusive environment that enhances cross-cultural understanding and empathy, skills that are increasingly valuable in both personal and professional contexts.

Research highlights the importance of diverse and interactive residential environments in cultivating interpersonal skills and cultural awareness among students. According to Andrade (2006), students who engage in socially rich communal settings are more likely to develop a deeper appreciation for global cultures and diverse perspectives. These interactions contribute to students' personal growth by broadening their worldview and enabling them to interact effectively with individuals from different backgrounds. Moreover, the social skills acquired through these experiences – such as

active listening, empathy, and adaptability – are essential for thriving in multicultural workplaces and communities.

In addition, communal spaces serve as a foundation for building a sense of community on campus, which is crucial for student well-being and belonging. By fostering social connections and offering spaces for collective experiences, these areas help reduce feelings of isolation and homesickness, particularly for students far from home. Universities that prioritize creating well-designed communal spaces contribute to a more cohesive, supportive campus environment that promotes student satisfaction and retention. As higher

education institutions continue to emphasize global engagement and diversity, investing in vibrant social and communal spaces will be vital for enhancing both the student experience and intercultural competence.

2.3 Sustainable campus design

Sustainable campus design has become a significant focus in modern universities, not only for reducing environmental impact but also for shaping students' values and identities. By incorporating environmentally conscious elements into university buildings – such as energy-efficient systems, green roofs, sustainable materials, and waste reduction programs – universities create a living and learning environment that promotes awareness of global sustainability issues. Students who engage with these sustainable spaces are often inspired to consider their own environmental impact and are encouraged to adopt sustainable practices in their personal lives. The physical environment of a campus thus plays a key role in shaping students' attitudes toward sustainability, fostering a sense of responsibility and mindfulness toward environmental issues.

Living and studying in spaces that prioritize sustainability instills in students a heightened awareness of ecological challenges, helping them to understand the importance of their role in contributing to global solutions. This aligns with research by Cortese (2003), who emphasizes that experiences within sustainable, eco-friendly environments promote a commitment to environmental responsibility. As students observe and interact with these sustainable practices daily, they are more likely to develop values that reflect a commitment to sustainability, aligning with the ethical expectations of an increasingly eco-conscious society. This environmental awareness extends beyond their university years, potentially influencing their personal and professional choices in ways that support global sustainability.

Furthermore, sustainable campus design can serve as an educational tool, allowing students to witness firsthand the practical applications of sustainability principles. For instance, universities with green buildings often showcase energy and water usage data in common areas, educating students on how their environment conserves resources. Some campuses integrate sustainable practices, such as composting and recycling programs, directly into student life, making sustainability an accessible and integral part of the campus culture. As a result, students gain a deeper understanding of how individual and collective actions contribute to environmental stewardship.

By prioritizing sustainable design, universities send a powerful message that sustainability is a critical value in today's society. This not only enhances the university's image and aligns with societal values but also prepares students to become environmentally responsible leaders. In a world increasingly impacted by climate change and resource scarcity, instilling values of sustainability through campus design is essential for fostering a generation that prioritizes ecological well-being.

3. University Design and Internationalization

University architecture is instrumental in supporting internationalization efforts by creating spaces that welcome and engage global academic communities.

3.1. Facilitating global mobility and cultural exchange

Universities that aim to attract a diverse international student body recognize the importance of providing resources that support global student mobility. To meet the needs of students from varied cultural and geographic backgrounds, campuses are increasingly establishing dedicated international offices and accessible support centers. These facilities assist students with essential services, such as navigating visa applications, securing housing, and adjusting to cultural differences, making it easier for them to integrate into their new academic environment. By offering these resources, universities not only enhance their global appeal but also create an inclusive environment that eases the transition for international students, fostering a sense of belonging and support.

Moreover, these international offices serve as central hubs for cultural exchange and interaction, organizing events and programs that bring together students from different backgrounds. Through events such as international festivals, cultural workshops, and language exchange programs, these spaces provide opportunities for cross-cultural learning and mutual understanding. As Neuman (2013) highlights, such environments promote international awareness and cultural appreciation within the academic community, helping local and international students alike to broaden their global perspectives.

The presence of such culturally inclusive spaces also enriches the university experience for domestic students, exposing them to diverse worldviews and customs. This interaction builds a more globally aware and culturally competent student body, equipped with the interpersonal skills needed for a connected world. By facilitating these exchanges, universities play a crucial role in preparing students to navigate and succeed in multicultural professional and social environments after graduation.

In essence, by establishing support structures and cultural engagement opportunities, universities not only aid international students in overcoming the challenges of studying abroad but also create a dynamic campus culture that celebrates diversity and fosters international understanding. This approach strengthens the university's reputation as a globally oriented institution, appealing to prospective students worldwide and reinforcing the value of cultural exchange as a core element of the academic experience.

3.2. Virtual and transnational education

The rise of virtual education has become a transformative force in higher education, significantly impacting the internationalization efforts of universities. Digital learning platforms and online resources now enable institutions to offer courses and programs to students across the globe, regardless of geographical location. This shift to virtual classrooms allows universities to extend their educational reach, engaging in transnational education where students can participate in courses and interact with peers and faculty without the need for physical relocation. This is particularly valuable for students who may not have the resources or ability to travel internationally, giving them access to diverse academic opportunities.

Virtual and transnational education supports the development of international partnerships and fosters global educational exchange. Through virtual learning environments, universities can colla-

borate on joint programs, exchange courses, and connect faculty and students worldwide, enriching the academic experience for all involved. As Knight (2015) notes, these virtual spaces facilitate cross-border learning and provide a platform for sharing diverse perspectives and expertise, broadening the educational landscape and reinforcing the global nature of academic inquiry.

Furthermore, virtual education promotes flexibility, enabling students to balance their studies with personal and professional responsibilities. This adaptability has become increasingly important as the demand for lifelong learning grows. With virtual classrooms, universities are not only able to reach a broader audience but also to diversify their offerings, catering to the evolving needs of students worldwide.

In conclusion, virtual and transnational education is a powerful tool for universities aiming to expand their global presence and foster international collaboration. By embracing digital platforms, institutions can break down geographic barriers, allowing students from various backgrounds to engage in high-quality education and cross-cultural interactions. This approach aligns with the goals of internationalization by enhancing accessibility and inclusivity, ultimately contributing to a more interconnected and globally aware academic community.

3.3. Attracting international talent through innovative design

A university's campus design can play a significant role in attracting international talent, helping the institution build a strong global reputation. Campuses that integrate multicultural, accessible, and flexible spaces demonstrate a clear commitment to diversity, inclusivity, and adaptability – qualities highly valued by prospective international students, faculty, and researchers. When a campus is thoughtfully designed to accommodate diverse needs, it becomes a more inviting and supportive environment for individuals from varied cultural backgrounds, signaling that the institution values inclusivity and global perspectives.

These design features contribute to an institution's appeal, showcasing its readiness to welcome a diverse population. Multicultural spaces like international student centers, accessible infrastructure, and flexible classrooms that support various teaching and learning styles create a vibrant and inclusive community. Moreover, a campus that facilitates cross-cultural interaction and provides access to global learning resources embodies the qualities of a progressive and international institution.

Institutions with a well-designed campus that prioritizes inclusivity and accessibility position themselves as leaders in global education, drawing talent from around the world. By creating a campus environment that reflects these values, universities can bolster their international standing and attract students, faculty, and staff who are eager to contribute to and benefit from a globally engaged academic community. This alignment of design and purpose ultimately strengthens the institution's mission and its appeal on the international stage, supporting its long-term growth and development as a world-class educational hub.

Conclusion

The design of university campuses plays a pivotal role in shaping the experiences and outcomes of students, faculty, and staff, particularly within an internationalized context. A thoughtfully designed university environment not only addresses practical needs but also enhances the educational journey, fostering a sense of belonging, inclusivity, and cultural exchange. As universities navigate the complexities of a globalized world, the importance of innovative and inclusive design cannot be overstated.

First and foremost, the physical layout and aesthetics of a university campus significantly influence the way individuals interact with one another and engage with their surroundings. Open spaces, communal areas, and multifunctional facilities create opportunities for collaboration and informal interactions among students from diverse backgrounds. Such spaces encourage the sharing of ideas and perspectives, enriching the academic experience and enhancing the learning environment. For instance, outdoor gathering areas or flexible classrooms can facilitate group work and discussions, promoting active learning and fostering a community of inquiry.

Moreover, the integration of technology in campus design is crucial in supporting the needs of an international academic community. With the rise of digital learning platforms and remote collaboration, universities must provide the infrastructure that enables seamless connectivity and access to resources. This includes state-of-the-art lecture halls equipped with advanced audiovisual technology, collaborative workspaces, and high-speed internet access throughout the campus. By prioritizing technological integration, universities can create an environment conducive to innovation and ensure that all members of the community have the tools necessary for success in a digital age.

Cultural exchange is another vital aspect of university life that can be enhanced through intentional design. Universities serve as microcosms of the global community, bringing together individuals from various cultural backgrounds. By incorporating elements that celebrate diversity – such as multicultural centers, art installations, and programming that highlights different cultures – universities can foster a deeper understanding and appreciation of global perspectives. These initiatives not only enrich the university experience but also prepare students for the increasingly diverse workplaces they will encounter after graduation.

In addition to physical and cultural design elements, universities must also consider the emotional and psychological well-being of their members. Safe and supportive environments are essential for fostering personal development and academic success. This can be achieved through well-designed spaces that prioritize accessibility, comfort, and mental health.

Finally, the commitment to sustainability in university design is increasingly important in an era of climate change and environmental awareness. Sustainable design practices not only reduce the ecological footprint of campuses but also serve as a model for students and faculty, instilling a sense of responsibility towards the planet. Incorporating green spaces, energy-efficient buildings, and sustainable transportation options reflects a university's dedication to fostering a holistic and forward-thinking environment.

In conclusion, the design of university campuses is a crucial factor in supporting the professional and personal development of students, faculty, and staff in an international context. Through innovative, inclusive, and thoughtful design, universities can create vibrant environments that promote collaboration, cultural exchange, and global engagement. As the world becomes increasingly interconnected, universities must continue to reimagine their campuses to meet the evolving needs of their diverse academic communities, ultimately contributing to the holistic development of their members and preparing them for success in a global society.

Acknowledgements: This research project would not have been possible without the generous support of mentors, colleagues, friends, and family. The research for this paper was carried out during my PhD studies at the University of Lisbon (Portugal) in 2015-16. I would like to gratefully acknowledge my mentor at the University of Lisbon Professor António Castelbranco for his valuable review and comments. In addition, I would like to acknowledge Professor Ekaterine Pirtskhalava from

the faculty of Psychology and Education Sciences at Ivane Javakhishvili Tbilisi State University for her assistance, unwavering support.

Bibliography:

Andrade, Maureen Snow. *International Students in English-Speaking Universities: Adjustment Factors*. Journal of Research in International Education, vol. 5, no. 2, 2006, pp. 131-154.

Cortese, Anthony D. "The Critical Role of Higher Education in Creating a Sustainable Future." *Planning for Higher Education*, vol. 31, no. 3, 2003, pp. 15-22.

Cunningham, Una, et al. "Smart Classrooms for Smart Pedagogy: Supporting Digital Literacy for Internationalization." *Educational Technology & Society*, vol. 22, no. 1, 2019, pp. 97-109.

Hashimshony, Rami, and Jeffrey Haina. "Designing the University of the Future." *Planning for Higher Education*, vol. 34, no. 2, 2006, pp. 5-19.

Knight, Jane. *Internationalization of Higher Education: New Directions, New Challenges*. IAU Global Survey Report, International Association of Universities, 2015.

Mitrany, Michal, and Daniel Stokols. "The Psychology of Interdisciplinary Teamwork: A Case Study of Collaboration on a Master Planned Community Development Project." *Environment and Behavior*, vol. 37, no. 5, 2005, pp. 728-741.

Neuman, William. *Campus Life in the Digital Age: Culture and Higher Education in the U.S.* University of California Press, 2013.

მაია ნადარეიშვილი

**ბედუინური წარსული და თანამედროვეობა
ელიტ ზაქსარის ფილმში „სამუმი“**

ძნელია ქართული პოეზიის მეფის ვინმესთან შედარება, მაგრამ გალაკტიონის სულის გამო-
ძახილივით ცოცხლდება კადრებში უცნაურად მშვენიერი ქართული სიტყვები, ლექსიდან „სასაფ-
ლაონი“ (1), ებრაელი კინორეჟისორი ქალის, ელიტ ზექსერის ფილმში „სამუმი“ (2). მრავალნაირი
რეცენზია დაიწერა სანდენსის ფესტივალის 2016 წლის გამარჯვებულ ამ უცხოენოვან ნამუშე-
ვარზე. ბედუინების ტრადიციული ცხოვრების თანამედროვე გლობალურობასთან ატომებივით
შეხლა-უკუქცევის ეკრანიზებამ თითქმის ყველა ავტორს საკუთარი საფიქრალი გაუჩინა. ერთი
კინორეჟისორის, თითქოსდა, მარტივი სათქმელი ათასობით თვალსაზრისის, ინტერპრეტაციისა
თუ შეფასების საფუძველი გახდა.

ფიქრობ, ამ ფილმის გენიალობა საგრძნობლად სცილდება ტრადიციების დაცვისა და თანა-
მედროვე ცხოვრების წესის მიუღებლობის ერთ მნიშვნელოვან, მაგრამ ლოკალურ პრობლემას.
ამიტომაც აღიქმება „სამუმი“ მრავალფეროვნად. ფედერიკო ფელინის (3) ფილმებივით, იგი გა-
სართობად არაა გადაღებული და მასაც შესაფერისი განწყობით, დასვენებული გონებით უნდა
უყურო. დრო რომ გავა, კიდევ ერთხელ ნახო; იქნებ, მესამედაც. თუმცა დაფიქრებით ათასჯერ
დაგაფიქრებს აღმოსავლური რეალობიდან სრულიად შორს, დემოკრატიულ-ლიბერალური ცხოვ-
რების ეპიცენტრში. ასეთი ძლიერია ზექსერის ფენომენი.

რეჟისორის ჩანაფიქრს სრულყოფილად შეასხეს ხორცი ნიჭიერმა არაბმა მსახიობებმა. აღსა-
ნიშნავია, რომ ფილმში რამდენიმე არაპროფესიონალი ბედუინი მამაკაციც მონაწილეობს, მაგა-
ლითად, ლეილას ბაბუის როლის შემსრულებელი. ამავე დროს, თითოეულმა საკუთარი სათქმელი
ჩააქსოვა სცენარის საერთო ქარგაში და ამგვარად გაამდიდრა უმთავრესი იდეა. სწორედ გუნ-
დურმა ინდივიდუალიზმმა დაუახლოვა „წითელი ქარი“ (ისტორიის მამის, ჰეროდოტეს ტერმინს
თუ გამოვიყენებთ) გალაკტიონის კოსმიურ აზროვნებას:

„როს მხურვალეა ქვიშაზე კენესის
უნდა, რომ სული არ მიისილოს...“ (1)

ძნელი სათქმელია, საერთოდ ვინმე თუ „თამაშობს“ როლს, იმდენად ბუნებრივია თითოეული
კადრი. არც რეალითი შოუს განცდა მოდის. საქათმეში შეპარული მელიასავით საკბილოს (ანუ
სააზროვნო თემების) თვალთვალს ნააგავს მაყურებლის პოზიცია. დრო თითქოს გაჩერებულია
და, ამასთანავე, უდაბნოს შვილთა ოჯახის პრობლემა მათი ერთსულოვანი პულსაციით ქმნის
ემოციურ დინამიზმს. ეს შთაბეჭდილება ცალსახად რეჟისორული ოსტატობის შედეგია.

ფილმს, ერთი შეხედვით, მთავარი პერსონაჟი – შეყვარებული მოზარდი გოგონა ლეილა ჰყავს,
მაგრამ მისი ცალკე აღქმა გამორიცხულია. იგი, მშობლებისა და დამხმარე მსახიობების ფონზე თუ
ხელშეწყობით, იხსნება მაყურებლის თვალწინ. სწორედ ლეილას არ სურს, რომ მისი „სული მიისი-
ლოს“ ბედუინური რეალობის ქვიშის ქარბუქში. არც მამამისს უნდა ასეთი ბედი უსაყვარლესი ასუ-
ლისთვის. ერთი მხრივ, ქმრის უსიტყვოდ მორჩილ დედამისს, რომელიც თავიდან მამაზე მკაცრი
ჩანს, საბოლოო ჯამში, შვილის ბედნიერება ურჩევნია საკუთარ შერცხვენას, რასაც ქალიშვილის
შინიდან გაპარვა მოუტანს მთელ ოჯახს. ასეთია ბედუინური ცხოვრების მოჯადოებული წრე, რომ-
ლის ზღვარზე, როგორც დანის წვერზე, გადი-გამოდინ ლეილა და მისი მშობლები.

თითქოს, რა უნდა იყოს სტუდენტური სიყვარულის ამბავზე უფრო ნაცნობი და, გარკვეული აზრით, ბანალურიც. სამხრეთ ისრაელში ახალგაზრდების ქორწინებასთან დაკავშირებით სირთულე თავს იჩენს მათი განსხვავებული წარმომავლობის გამო. განვითარებულ დასავლეთშიც, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს შორის კავშირი ყოველთვის მიუღებელ ან წამგებიან „ალიანსად“ ითვლებოდა. გარკვეულწილად, დღემდე ასეა. პოლიტიკური გათვლებისა და პიარისგან დამოუკიდებლად, შოთა რუსთაველისეული „მოცალებობა“ აქტუალური მუდამ იქნება: მდიდარს მდიდარი ეიოლება შესაცნობად, ღარიბს – ღარიბი, განათლებულს – განათლებული, ფიონას – შრეკი და ა.შ. – „მსგავსი მსგავსს შეიმეცნებს“, ფერი ფერსა... რეალური ცხოვრება ხშირად რჩება მასის ყურადღების მიღმა, რადგან ზღაპარს თანამედროვე კონკიაზე უფრო ხალისიანად იჯერებენ, ვიდრე – რომეოსა და ჯულიეტას მსგავსად განწირულ სიტუაციას.

არაბ დედ-მამას ქალიშვილის ბედნიერება სურს, მაგრამ, სოფლის ღირსების შელახვის შიშით, მის არჩევანს მხარს ვერ უჭერს. ფილმის რამდენიმე მომენტი აშკარად მიუთითებს, რომ, ადგილობრივი თემის „ციციკორეთა“ დიქტატი რომ არა, ლეილას მშობლები შვილის სურვილს არ აღუდგებოდნენ. გადამწყვეტ მომენტში ჯალილა ქმრისა და საკუთარი დედის (ლეილას ბებიის) წინააღმდეგ მიდის: ჯერ ქალიშვილის შეყვარებულს სულეიმანთან შეხვედრაში ეხმარება, შემდეგ ქმრისგან ითხოვს „იმ ვილაც“ მუნირზე ღირსეული საქმროს პოვნას, ბოლოს კი ქალიშვილს გზას დაულოცავს გულის სწორთან ერთად ბედნიერების საძებნელად.

მამას აშკარად აკლია სიმკაცრე და მხოლოდ მასავით მორჩილებისკენ მოუწოდებს გოგონას. შვილს არასდროს აძალებს რამეს. პირიქით, თქმასაც კი ვერ უბედავს და გაურკვეველი ვადით გადადებს მასთან გარიგებით გათხოვებაზე საუბარს. სულეიმანი სულ ორჯერ უბრაზდება ლეილას. ერთხელ, როდესაც გოგონა 63 ქულას მიიღებს, 90-ის ნაცვლად, და არ განიცდის დაბალ ნიშანს. მეორედ, როცა ქორწინებაზე საუბარი არ სურს და, თემის შეცვლის მიზნით, მამა უმცროსი დების მოვლა-პატრონობას მოსთხოვს უფროს ქალიშვილს. ეს საკუთარი უძლურებით გულგატეხილი მშობლის რეაქცია უფროა, ვიდრე სიმკაცრე ანდა ძალადობა. „შენი აზრით, მოციქულს ვგავარ?!“ – ეს სულეიმანის განწირული სულის ძახილია, ღვიძლი შვილის ბედნიერებისთვის წაგებულ ბრძოლის გამო. გოგონა ვერ ხვდება ქვეტექსტს მაშინვე. მამის სიტყვების ფარული მნიშვნელობა მხოლოდ თავისუფლების გვირაბის კიდესთან გაუნათებს გონებას.

სულეიმანსა და ლეილას შორის ზედმეტად „ევროპული“, ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე დაფუძნებული მამაშვილობაა პირველივე კადრიდან, რაც სრულიად გამორიცხავს ამ ურთიერთობის მყისიერ შეცვლას ვინმეს გამო. ყველაზე მოულოდნელი კადრია, როცა საჭესთან მჯდომ გოგონას მამა ადგილს უცვლის სოფლის შესასვლელთან. მხოლოდ ამ მომენტში ახსენდება დასავლელ მაყურებელს, რომ მუსულმანურ სამყაროს ხედავს, სადაც ქალის მიერ ავტომობილის მართვა აკრძალული ან მკაცრად ლიმიტირებულია დღემდე. მამა-შვილის სიყვარულით აღსავსე ლაღი დამოკიდებულების ბრალია, ჰიჯაბიც რომ ნაკლებად თვალში საცემია ფილმის დასაწყისში. დამნაშავე შეთქმულებივით გახედავენ სულეიმანი და მისი ასული ერთმანეთს თანასოფლელებთან შეხვედრის შემდეგ. ფილმი გამოირჩევა ასეთი უსიტყვო კადრების სიმრავლით. ამით არაბული რეალობაც ფიქსირდება და რეჟისორის ჩანაფიქრიც, გამგებმა გაიგოსო. არც ფელინი უღეჭავს სათქმელს თავის აუდიტორიას.

ლეილას მუდმივად აქვს შინიდან გაქცევის საშუალება. მას არავინ უკეტავს კარს სტერეოტიპულად, რასაც არაბი მშობლებისგან ელოდება მაყურებელი. პირიქით, სოფლური ფარღალაღა ერთსართულიანი შენობის კარიცა და ფანჯრებიც მუდმივად, დემონსტრაციულად ღიაა ლეილასთვის. მას ჯერ მამის რიდი, შემდეგ უმცროს დებზე პასუხისმგებლობა, ბოლოს კი დედის სიყვარული აფერხებს. უხილავი, მორალური კარი საკუთარი ხელით რამდენჯერმე ჩაკეტა და უკან გაბრუნდა შეყვარებული, ბედს დამორჩილებული გოგონა.

ლეილა ძალიან მამაცია და გაქცევა იოლად შეუძლია. რამდენჯერმე უყოყმანოდ ჩაალაგა ზურგჩანთა, მაგრამ ყოველთვის ლოგიკური დასკვნის გაკეთებამ გადააფიქრებინა. ბოლოს მამისეული პიკაპით მიატოვა მშობლიური სახლი და შეყვარებულთან შესახვედრად წავიდა, რადგან ეგონა, რომ მამამ უღალატა და მოატყუა, როცა უცხო ბიჭზე მის გათხოვებას დათანხმდა. ერთადერთი გვირაბი აქვს გასავლელი გაქცეულ საპატარძლოს. თამამად შეუხვია შარაგზის ბოლო მოსახვევში, გვირაბის დასასრულსაც მიუახლოვდა. უდაბნოს ბრდღვიალა მზე უნათებდა ბედნიერი მომავლისკენ გზასავალს. ასეთია ფილმის კულმინაციური მომენტი, რომელიც სრულყოფილად წარმოაჩენს ლეილას ადამიანურ დიდებულებას:

„არ შეუძლია იყოს პირფერი,
არ შეუძლია, მტვერი არ იყოს“. (1)

სულიერი სიძლიერის ამ მეტყველ მომენტში სრულიად მოულოდნელად უნათდება გონება და საბოლოოდ გაიაზრებს მშობლის სიტყვებს. თავისუფლების მზის სხივების შემყურე ხვდება, რომ „მოციქულის შვილი“ არც თვითონაა. ასე მიიღებს საბოლოო გადანყვეტილებას. როდესაც საჭეზე დამხობილი ქვითინებს, ეს სისუსტის გამოვლინება არანაირად არაა. სწორედ გვირაბის დასასრულთან ხვდება გონიერი გოგონა ყველაფრის მიზეზს: მამის ხელმეორედ ქორწინების ვალდებულებას, დედის დუმილის არსს, მშობლების ერთმანეთისა და შვილებისადმი სიყვარულის უკიდვანობას, მეორე ცოლის გულში ჩაკლულ ტკივილს. ლეილა მხოლოდ იმ წამს ხვდება, რომ გვირაბის ბოლოს მომლოდინე შეყვარებული ანვარი კი არაა მისი ცხოვრების აზრი, არამედ მისი მშობლები და უმცროსი დები არიან. ამიტომ არ აქცევს აიფონზე განუწყვეტლად წამოსულ შეტყობინებებს ყურადღებას და ისევ მიზანსწრაფულად ბრუნდება შინ, როგორც დილით გაიქცა იქიდან.

მორალური კარი გაცილებით მყარი და საიმედოა – ასეთია ფილმის დედააზრი. ოთხი ქალიშვილის მამა, სულიერი ბედუინისთვის უჩვეულო დემოკრატიულობით ზრდის უფროსს: უნივერსიტეტში სწავლის უფლებას აძლევს, უკეთესი ნიშნების მიღებაზე აგულიანებს, მანქანის ტარებაში ავარჯიშებს სოფლის მცხოვრებლებისგან ფარულად. სწორედ ასეთი აღზრდის გამო, ვერაფრით დაითანხმა ანვარმა გაპარვაზე გოგონა. მამას ამას ვერ გავუკეთებო, კატეგორიულად პასუხობს ბიჭს, რომელსაც „თავიც რომ წააცალონ“ მისი სიყვარულის გაბედვისთვის, მაინც მისთხოვდება. ლეილას ბოლო წუთამდე სწამს, რომ მამა დაიცავს და მხოლოდ დედის მაგალითზე გაიაზრებს, რომ სულიერად უძლურია მუსულმანური თემის ზენოლის წინაშე. მისი თანამედროვე მეთოდები მხოლოდ სოფლისგან მალულად და ოჯახური გარემოს ფარგლებში ანიჭებს თავისუფლებას მის ცოლ-შვილს. საათნახევრიანი ფილმის მსვლელობისას სულიერად ზოგჯერ სიტყვით, უფრო ხშირად – თვალებით ემუდარება პატიებას პირველ ცოლს. ლეილა მხოლოდ გაქცევის შემდეგ გაიაზრებს საკუთარი ოჯახის მთელ ტრაგიზმს.

ქალიშვილთან ყოველი საუბრის დროს ჩანს, რომ სულიერად შეშინებული, კუთხეში მიმწყვდეული ცხოველის ინსტინქტებით მცხოვრები „პაიკია“, თავის ნებაზე რომ დაათამაშებს სოფელი. ტრადიციულად მკაცრი მამა რომ არაა, ეს განსაკუთრებით იგრძნობა პირმშოსთან მის ბოლო დიალოგში, როდესაც ახალგაზრდა ქალის ნებისყოფა სრულად იმორჩილებს მორალური წნეხის ქვეშ ფიზიკურადაც და სულიერადაც მოდრეკილ მშობელს. სულიერად ცდილობს მომავალი ქორწინების პერსპექტიულობა დაუმტკიცოს საყვარელ ასულს, მაგრამ თავის მართლებასავით ჟღერს მისი სიტყვები: „მას ძალიან დიდ პატივს სცემენ. კარგი კაცია, მართლა ძალიან კარგია. მასთან სიმშვიდეს პოვებ“. ასე აქებს სასიძოს და თვალს ვერ უსწორებს ზვარაკად შესანიშნავ გოგონას. ამ დროს იმდენად მოულოდნელია ლეილას თანხმობა უსიყვარულო ქორწინებაზე, რომ პირველად ნათქვამს მამამისი ვერც იგებს, მეორედ კი ძლივს იჯერებს; ცდილობს ქალიშვილს თვალეში ჩახედოს და მისი გულისწანდები იქ ამოიკითხოს. „განა არ მენდობი?“ – უფრო გასამ-

ხნეველად, ვიდრე დასარწმუნებლად ეკითხება მამა, მაგრამ ლეილა უარყოფის ნიშნად თავს გაიქნევს და ლაკონიურად მოუჭრის: „არა“.

ოჯახის თავკაცის მორჩილი, ფაქტობრივად, მონური ბუნება ფილმის ორ მომენტში უსიტყვოდ, მაგრამ მეტყველად ნარმოჩენილი: როდესაც მეორე ცოლს ირთავს, მემკვიდრის გაჩენის აუცილებლობის გამო, მაგრამ პირველი მეუღლე – ოთხი ქალიშვილის დედა ძველებურად უყვარს და როდესაც სასიძოდ მუნირს აურჩევს სოფელი. სიტყვაძუნწი სულეიმანი მაყურებელს ყველაზე ხშირად ნათქვამი მისი ფრაზით ამახსოვრდება: „ასე უნდა მოვიქცე“. ცოლიცა და უფროსი ქალიშვილიც მის მორჩილებას აპროტესტებენ თავიდან. ვერსად ვხედავთ, მაგრამ მძლავრად ვგრძნობთ ბედუინთა „ციციკორეს“, რომელიც ამ თბილ, მოსიყვარულე ოჯახის ბედნიერებას მეთოდურად ებრძვის.

სულეიმანსა და ჯალილას არა მხოლოდ გააზრებული აქვთ მათი სოფლის საზოგადოებრივი დიქტატის ძალა, არამედ მთელი არსებით ემიჯნებიან ასეთ უსამართლობას. არაჩვეულებრივად ძლიერი რეჟისორულ-სცენარისტული მიგნებაა ლამის სიბნელეს შეფარებული ცოლ-ქმრის ლაკონიური დიალოგი, ვითომდა, სიგარეტის მოწვევასთან დაკავშირებით. ბოლოს მათი ხანგრძლივი ჩახუტება მოსიყვარულე წყვილის თანამოაზრეობასა და „თანამოდარდობას“ (4) გახაზავს. სწორედ ლამის ეპიზოდში ქრება მანამდე შეგნებულად გამოყენებული ორაზროვნება და ნათელი ხდება, რომ ლეილა არაა ერთადერთი მსხვერპლი. ყველაზე ტრაგიკული მსხვერპლი სულეიმანია, რომელიც ოჯახს ვერ თავკაცობს და საყვარელ ადამიანებს ვერ იცავს თემის დიქტატისგან. პირველი ცოლი უსიტყვოდ თანაუგრძნობს.

ფილმის რეცენზენტების ნაწილში გამოიკვეთა ამ თანამედროვე და რეალისტური ნამუშევრის სტერეოტიპული აღქმა. შესაძლოა, ყველა საკუთარი გადასახედიდან უყურებს თემისა და ინდივიდის დაპირისპირების პრობლემას. იქნება, ვაჟა-ფშაველასეული ჯოყოლას (5) ფესვებზე აღზრდა ეხმარება ქართველ მაყურებელს, რომ, ელიტ ზექსერის შედეგში ქალთა უუფლებობისა და გენდერული დისბალანსის ასე უაზროდ ატაცებულ-გაფეტიშებული მოდის ანარეკლის ნაცვლად, ავტორის ქეშმარიტი სათქმელი მართებულად გაიგოს. საინტერესოა, რომ რეჟისორი ჟურნალ „მუვიმეიქერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ცალსახად ადასტურებს ჩვენი ვარაუდის სისწორეს: „ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი პერსონაჟია მამა. ამ ფილმში უარყოფითი ტიპაჟები საერთოდ არ არიან. ყველა ხელფეხმეკრულია არსებული რეალობით და თითოეული მათგანი ცდილობს საკუთარი მაქსიმუმის გაკეთებას სიტუაციის შესაბამისად. ლეილას მამაც გამოუვალ მდგომარეობაშია. მასაც საყოველთაო კანონთა დაცვით უწევს ცხოვრება. ფილმის დასაწყისში ნამდვილად კარგ მეოჯახედ თვლის საკუთარ თავს. იგი კარგი ქმარი და კარგი მამაა. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქალიშვილებისთვის ყველაფრის მიცემა, რისი საშუალებაც ჰქონდა. ფილმის მსვლელობისას მას ამ ყველაფერს ართმევენ. სრულიად მოულოდნელად, ის აღარაა კარგი ქმარი და აღარც კარგი მამა... კაცს წარმოდგენა არა აქვს, როგორ გაუმკლავდეს ასეთ სიტუაციას“. (6) ეს ვრცელი ციტატა მნიშვნელოვანი დასტურია სწორედ იმ ფაქტის, რაც ფილმში ნამდვილად ხაზგასმულია როგორც რეჟისორის ჩანაფიქრით, ისე სულეიმანის როლის შემსრულებლის, ჰითამ ომარის სამსახიობო ოსტატობით.

„სამუმი“ ბედუინებზე გადაღებული ფილმია, რომელშიც რელიგიური საფუძველი გაცილებით სუსტადაა გამოკვეთილი, ვიდრე ამას ელის მაყურებელი არაბულენოვანი ფილმისგან. ესეც მნიშვნელოვანი სცენარისტული მიგნებაა, რის გამოც ერთი კონკრეტული სოფლის ამბავი იოლად განზოგადდება მრავალ ქვეყანაზე, სადაც ოჯახის კულტი ჯერ კიდევ შემორჩენილია, სადაც, ახლობლების სიყვარულის გამო, პირადულზე უარს ჯერაც ამბობს ადამიანი.

სულეიმანისგან მამის საერთაშორისო დონის სტერეოტიპის შექმნას ხელს უწყობს სწორედ ზოგადსაკაცობრიო პრობლემის გაშლა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის კონფლიქტის

ფონზე, რომლის საფუძველიც პროგრესული ინდივიდის შეუთავსებლობაა გაუმართლებელ ადათებთან. დღეს ასე მოდური ბულინგის თემა, რატომღაც, მხოლოდ თანატოლების მიერ ბავშვის ან მოზარდის დაჩაგვრის მაგალითებს ააშკარავებს. ამ დროს, თემის თუ საზოგადოების მხრიდან ინდივიდის შევიწროება („დაბულინგება“) არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია და, იქნებ, უფრო სიღრმისეულიც. სანამ ზრდასრულები იჩაგრებიან, მცირეწლოვანთა დაცვაც არ გამოუვათ. ეს პრობლემა საქართველოშიც მწვავედ დგას.

ძალიან ბევრი მშობლისთვის ნაცნობია, დასავლური განათლების სისტემის უვარგისობის გამო, მისი დაუცველი შვილის ჩაგვრის წინაშე სრული უსასოობისა და უღონობის შეგრძნება. მედია ძუნწად, მაგრამ მაინც აშუქებს ხოლმე ამერიკულ და ევროპულ სკოლებში თანატოლებზე მოძალადე მოსწავლეთა მიმართ სრულიად ალოგიკურ ლმობიერებას; (7) როცა ხშირად სწორედ მსხვერპლი გამოჰყავთ დამნაშავე, ხოლო მოძალადეს იცავენ მისი დასჯის შემთხვევაში „მსხვერპლად“ გახდომისგან. რა მნიშვნელობა აქვს დასავლური სკოლა იქნება თუ ბედუინების სოფელი, როცა „ძალა აღმართს ხნავს“? სულეიმანის გამოუვალი მდგომარეობა წააგავს „ჩემი თავგადასავალიდან“ იმ ეპიზოდს, როცა გიმნაზია აკაკი წერეთლის დასჯას მოითხოვს და მშობლები შვილს დამორჩილებას ურჩევენ: „რა ვუყოთ, გაგროზგონ, ეგ მარტო შენ თავზე ხომ არ არის – ყველას როზგავენ. მოითმინე, მოიჭირვე, მიეჩიე და ბოლოს კაცი გამოხვალ“. (8) ქართველი თავადებით, არაბი დედ-მამაც დათმობას ურჩევს ლეილას. თან ძალას არცერთი მათგანი არ ატანს, რადგან გულში ორივე გოგონას მხარესაა.

სულეიმანმა ძლიერი, დამოუკიდებელი, მოაზროვნე და თანამედროვე შვილი აღზარდა, მაგრამ ბედუინების ცხოვრების წესის შეცვლა მის ძალებს აღემატება. ამიტომ, დრომოჭმული კანონების სისასტიკისგან შვილის დაცვა ამ პრინციპით სცადა – ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო. საბოლოოდ, გოგონა მიუხვდა მამას. ფილმის რეჟისორმა დედა-შვილზე თქვა: „თუ გადარჩენა სურთ, სამყაროს აღქმა ერთმანეთის თვალთ უნდა დაიწყონ“. (6) თუმცა ასევე სამართლიანად ესადაგება ეს ციტატა მამა-შვილისა თუ დების ურთიერთობასაც. საბოლოოდ, ოჯახის ოთხი უფროსი წევრი დანარჩენების თვალთ შეხედავს ცხოვრებას. მხოლოდ მსგავსის გაკეთების უნარის მქონე ადამიანი ჩასწვდება ამ ფენომენს სრულად. სწორედ ეს ადგილი რჩება დასავლელი, განსაკუთრებით, ამერიკელი მაყურებლის უმრავლესობისთვის (თუ ონლაინ კომენტარებით ვიმსჯელებთ) (9) გაუგებარი და მიუღებელი. ზოგიერთს საერთოდ სისუსტე ან შიში ჰგონია სულიერად ძლიერი, მამაცი ლეილასა და მისი მშობლების მიერ ერთმანეთის საკეთილდღეოდ გაღებული მსხვერპლი – პირადულის დათმობა.

როდესაც შვილი ულტიმატუმს უყენებს სულეიმანს, ნათელი ხდება, რატომ გაიმეტა უსიყვარულო ქორწინებისთვის საკუთარი თავი თანამედროვედ აღზრდილმა და თავისუფლებისმოყვარე ლეილამ. სულეიმანმა პირველი ცოლი საკუთარი ნებით არ მოიკვეთა. მუნირის სასიძოდ დაწუნება არ აპატიო თემმა ჯალილას და ქმარს ძალით მოაშორა, მისი გავლენისგან რომ დაეცვა კაცი. უდიდესი სურვილის მიუხედავად, სულეიმანი ვერ ბედავს სიმამრის სახლში მისვლასა და ძველებურად ძვირფასი მეუღლის შინ წაყვანას: „არ შემიძლია, ავდგე და ასე მივადგე. იბრაჰიმს უნდა ვაცალო...“, მაგრამ ლეილა შეუვალია და მკაცრი ტონით, ფაქტობრივად, უბრძანებს მამას: „არაფერიც არ უნდა“ გააკეთო“. გოგონა მუნირზე მხოლოდ იმიტომ ქორწინდება, რომ დედ-მამას ისევ ერთად ცხოვრებისკენ გაუხსნას გზა. ცხადია, ლეილას ულტიმატუმი სულეიმანისთვის კი არა, სოფლის თავკაცობისთვისაა გამიზნული. ამ ადგილას რეჟისორი მრავლისმეტყველ კადრს გვთავაზობს: სულეიმანი ხან თემის მამრთა თავყრილობას გახედავს, ხან თვალს არიდებს. ბოლოს მზერას საჭისკენ მიმართავს, მერე თვალს გააპარებს ლეილასკენ და მანქანას შემოაბრუნებს. მამაც მიუხვდა შვილს. თეთრი ტოიოტა კაცების კლუბს მოშორდა, შარაგზიდან გადაუხვია და ლამის სიბნელეში ჰორიზონტივით განათებული ტრასისკენ წავიდა.

აქ შეიძლება ფილმის დასრულება, მაგრამ, როგორც გაბრიელ გარსია მარკესი რომანში „მარტოობის ასი წელი“ (10) ანდა ოთარ ქილაძე ტრილოგიაში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, (11) ელიტ ზექსერიც პრობლემის მარადიულობაზე მიუთითებს. ფილმის უკანასკნელი კადრი რეალობას ასახავს: თაობები ჩაკეტილ წრეზე დადიან და ყოველი მცირე თუ დიდი ცვლილება მხოლოდ სპირალის ეფექტს ტოვებს. საბოლოოდ, ცხოვრება წრე კი არა – მარყუჟია; ბედნიერებაა, შიგ თუ თავი არ მოგყვება.

ბედუინების სოფელში ქორწინების პირველი ღამისთვის ემზადებიან ლეილა და გოდორა მუნირი. რკინის ცხაურიდან უთვალთვალებს სულეიმანის მეორე ქალიშვილი, მოზარდობაში გადასული თასნიმი. შემდეგი ის იქნება. მასაც თავისუფლების სიყვარულით ზრდის მამა: არ აიძულებს თავშლის ტარებას, სკოლაშიც უშვებს, ჯინსის შარვლით სახალხოდ ტანტალის ნებასაც რთავს, კაცების თავყრილობაზე საქმეთა გარჩევის დროს გვერდით უზის. ისიც „მამიკოს გოგოა“, როგორც ლეილა. თუმცა იგრძნობა მკაცრი მომავლის პერსპექტივა, სადაც მასაც დაემსხვრევა ილუზორული თავისუფლების განცდა; მასაც ვერ გამოესარჩლება და ვერ დაიცავს სულეიმანი თემის უღმრთელი მოთხოვნებისგან. ბედუინების ხრიკი სოფელში მისი სულიც „მიისილება“, როგორც ლეილასი. ამას განიცდის უფროსი და, რომელიც ქორწინების პირველ ღამეს ქმარს მათი საძინებლის ფერის გამო საყვედურობს: „მეწამული კედელი საშინელია“. მუნირი სულეიმანივით დამთმობი ჩანს და მაყურებელს იმედი უჩნდება, რომ მამამ სწორად შეურჩია ქმარი საყვარელ ასულს.

ფილმი მთავრდება და უსასრულო ფიქრი იწყება: იქნებ, სწორედ უცხოტომელი ანგარის მომთხოვნი, თემის წინააღმდეგ წამსვლელი ბუნება გააუბედურებდა მომავალში ლეილას? სტუდენტის შეყვარებულები ხომ ყოველი შეხვედრისას კამათობდნენ და ვერაფერზე თანხმდებოდნენ. მუნირი ცდილობს ახალგაზრდა ცოლის საყვარელი ფერის გამოცნობას:

„ – კარგი, გადავლება. ოღონდ, რა ფერში?

ლეილა დუმს.

- ცისფრად. ცისფერი სასიამოვნოა.
- არა, – მუნირის ხასიათს ცდის პირქუშად შემყურე ლეილა.
- წითლად ხომ არა? იქნებ, ვარდისფრად?“ (2)

დიალოგი მინიშნებასავითაა: ილუზორული თავისუფლება, რომელსაც სულეიმანმა მიაჩვია, ლეილას ქმრის ოჯახშიც ექნება. მამამისი ვერ მოახდენდა კულტურულ რევოლუციას უდაბნოში, ვერ შეცვლიდა ბედუინების ტრადიციებსა და ცხოვრების წესს. ამიტომ გოგონას თავისი მსგავსი მეუღლე შეურჩია; სოფლისგან მალულად რომ გააბედნიერებს, ისეთი. სწორედ ამ დროს ერთი სიტყვით იკვეთება რეჟისორის უმთავრესი მინიშნება მომავლის პერსპექტივაზე. სიძის ბოლო შეკითხვაზე, ფანჯრის ცხაურს აკრული პატარა თასნიმი დაიკოს ასწრებს პასუხს და შეჰყვირებს: „არა!“. ფერუმარილით ნაკვებგამქრალი ლეილა დასთან მიდის. დედამამიშვილების მზერით ნაუბარი განსაკუთრებული სათქმელია, თითოეული მაყურებლისთვის განსხვავებულად აღქმული. ვფიქრობ, ლეილა თავისუფლების მოჯადოებულ წრეზე რჩება. მისი მაგალითით ნაქეზებული თასნიმი, იმედია, მარყუჟიდან თავის დახსნას მოახერხებს, როცა მისი დროც მოვა.

დასავლელი მაყურებელი მეტ-ნაკლებად ხვდება, ჯერაც რა მწირია მისი ცოდნა არაბულ სამყაროზე. ზოგისთვის ბევრი მომენტია გაუგებარი. ვილაც მეტ დიალოგს ნატრობს, (9) რადგან უსიტყვოდ ნათქვამს ვერ ხვდება. მავანი უკმაყოფილოა „ბედნიერი დასასრულის“ არარსებობით. ეს ფილმი შეღებული სარკმლიდან მეზობლის პირადი ცხოვრებისთვის თვალის შევლების განცდას ტოვებს. ამგვარად, ბევრს ვერც დაინახავ და ვერც მიხვდები. (17)

რეჟისორმა ათ წელზე მეტი გაატარა ბედუინებს შორის, შეისწავლა მათი ყოფა და დაუმეგობრდა მრავალს. (19) შემდეგ ორი წელი დაუთმო არაბული ენის შესწავლას. სამი თვე ვარჯი-

შობდნენ ფილმის არაბი მსახიობები ბედუინთა დიალექტის ათვისებაზე. „სამუმის“ გადაღებამდე, 2010 წელს ელიტ ზექსერმა ჯერ მოკლემეტრაჟიანი ფილმი „თასნიმი“ შესთავაზა ადგილობრივებს. (18) მხოლოდ მათი დადებითი რეაქციისა და მხარდაჭერის შემდეგ შეუდგა საკუთარი თვალთა ნანახი რეალური ამბების ხორცშესხმას სრულმეტრაჟიან ფილმად. ეს კინემატოგრაფიისადმი სერიოზული, კლასიკური მიდგომაა. (12) ამიტომაც გამოუვიდა. ეგვიპტური სფინქსით, თითქოს, საუკუნოვანი ქვიშის საფარიდან ამოიწვერა და თანამედროვე სამყაროს წინაშე წამოიშალა უდაბნოს შვილთა ყოველდღიურობა.

ბიბლიოგრაფია:

- ტაბიძე, გალაკტიონი. „სასაფლაონი“, *geolit*, 1925, geolit.ge/galaktioni/sasaplaoni.htm. (ნანახია 18 მაისი, 2024).
- Sand Storm* (Sufat Chol, 2026, director – Elite Zexer).
- Federico Fellini (1920-1993). Films, imdb.com/name/nm0000019/?ref_=nv_sr_srsq_0_tt_4_nm_4_q_ფელლინი (ნანახია 18 მაისი, 2024).
- „დევი სტურუა“, გამომცემლობა „საარი“, 2002.
- ვაჟა-ფშაველა. „სტუმარ-მასპინძელი“, *geolit*, 1893, geolit.ge/vaja/poezia/stumar-maspindzeli1.htm. (ნანახია 18 მაისი, 2024).
- Aguilar, Carlos. “Bedouin Dreams: Elite Zexer Talks Ancient Gender Bias in Israel’s Oscar Entry *Sand Storm*,” *Moviemaker*, 31 Jan 2023, www.moviemaker.com/bedouin-dreams-elite-zexer-sand-storm/. (ნანახია 18 მაისი, 2024).
- “Lilyhammer” (TV series, 2012-2014; creators – Eilif Skodvin, Anne Bjørnstad).
- წერეთელი, აკაკი. „ჩემი თავგადასავალი“, *geolit*, 1894-1908, geolit.ge/akaki/proza/chemi_tavgadasavali_1.htm. (ნანახია 18 მაისი, 2024).
- User reviews about “*Sand Storm*” (2016), *imdb*, www.imdb.com/title/tt4365518/reviews?ref_=tt_urv. (ნანახია 18 მაისი, 2024).
- მარკესი, გაბრიელ გარსია. „მარტოობის ასი წელი“, გამომცემლობა „მერანი“, 1984.
- ჭილაძე, ოთარ. „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, 1973, biblioteka.litklubi.ge. (ნანახია 18 მაისი, 2024).
- Nadare, Maia. *Semiotics of the Cine Media*, Publishing House Universal, 2023 (in Georgian).
- Kay, Jeremy. “Sundance directors: Elite Zexer, *Sand Storm*,” *Screen Daily*, 19 Jan 2016, www.screendaily.com/sundance/sundance-directors-elite-zexer-sand-storm/5099034.article. (ნანახია 18 მაისი, 2024).
- Taylor, Ella. “Sundance Film Review: *Sand Storm*,” *Variety*, 24 Jan 2016, <https://variety.com/2016/film/festivals/sand-storm-review-sundance-1201687447/>. (ნანახია 18 მაისი, 2024).
- Rezayazdi, Soheil. “For Three More Years, I Rewrote and Rewrote”: Director Elite Zexer | *Sand Storm*, *Filmmaker*, 25 Jan 2016, <https://filmmakermagazine.com/97059-for-three-more-years-i-rewrote-and-rewrote-director-elite-zexer-sand-storm/>. (ნანახია 18 მაისი, 2024).
- Heeney, Alex. “Elite Zexer on Jury Prize Winner *Sand Storm*,” *Seventh Row*, 1 Feb 2016, seventh-row.com/2016/02/01/elite-zexer/. (ნანახია 18 მაისი, 2024).
- Dargis, Manohla. “*Sand Storm* Follows a Bedouin Mother and Daughter in Quiet Revolts,” *The New York Times*, 27 Sep 2016, www.nytimes.com/2016/09/28/movies/review-sand-storm-follows-a-bedouin-mother-and-daughter-in-quiet-revolts.html. (ნანახია 18 მაისი, 2024).
- Travers, Andrew. “Aspen Film Academy Screenings: ‘*Sand Storm*’ writer-director Elite Zexer on making her Bedouin family drama,” *The Aspen Times*, 26 Dec 2016,

www.aspentimes.com/entertainment/aspen-film-academy-screenings-sand-storm-writer-director-elite-zexer-on-making-her-bedouin-family-drama/. (განახილ 18 მაისი, 2024).

TOI Staff. “Behind the scenes with Israeli ‘Sand Storm’ director Elite Zexer,” *The Times of Israel*, 3 Mar 2017, www.timesofisrael.com/behind-the-scenes-with-israeli-sand-storm-director-elite-zexer/ (განახილ 18 მაისი, 2024).

MAIA NADAREISHVILI

THE PAST AND PRESENT OF THE BEDOUINS IN ELITE ZEXER’S SAND STORM

Summary

Many reviews have been written about foreign-language winning film *Sand Storm* by female filmmaker Elite Zexer, presented at the 2016 Sundance Film Festival. Nearly all reviewers and critics expressed their own opinion about the portrayal of the interaction between traditional Bedouin life and modern globalization. A seemingly simple statement made by one filmmaker became the basis for thousands of perspectives, interpretations, and evaluations.

The parent-child relationship between Suleiman and Layla is built on mutual understanding and respect, evident from the opening scene of the movie. The unexpectedly “European” dynamic between them is disrupted by tribal intervention, leading the audience to believe in the strength of their relationship. However, the perception changes when Layla, initially driving, switches places with her father before entering their village. This action serves as a reminder to Western viewers that the film portrays Muslim reality, where women are often forbidden to drive or face severe limitations.

Even the hijab is less noticeable at the beginning of the film due to the light-hearted attitude of the father and daughter. Suleiman and his daughter exchange guilty glances like conspirators when they notice some fellow villagers on the road. The film is characterized by numerous wordless episodes, vividly portraying Arab reality and conveying the movie director’s position: those who can understand will do so even without words. Similarly, Federico Fellini did not extensively explain what he wanted to convey to his audience through his films.

Layla constantly finds ways to escape the burden of reality in her village. Surprisingly, no one locks the doors for her, as might be expected from her Muslim parents. On the contrary, both the front and back doors, as well as all the windows of the rustic one-story building where her family lives, are always wide open. Layla is held back by different reasons: first, respect for her father; then, her responsibility towards her younger siblings; and finally, her love for her mother. Despite being in love, she surrenders to her fate due to her moral values, choosing to sacrifice her personal happiness to secure the happiness of her family members.

Layla is a brave young lady who is capable of defying societal norms. She considered eloping with her boyfriend to escape the tribal rules in her village. Despite packing her backpack several times, she ultimately decided against it. Instead, she chose to stay with her family. However, she eventually left home to avoid an unwanted marriage to someone she did not love. She drove her dad’s truck, feeling betrayed by her father’s approval of the marriage. As she approached the end of a tunnel, representing her path to freedom and happiness, the blazing sun of the desert temporarily blinded her. This climactic moment in the film highlights Layla’s extraordinary strength and resilience.

In this overwhelming moment of spiritual strength, her mind is enlightened with maturity, and she finally understands the truth behind her father’s words: ‘I am not the Prophet Muhammad.’ Looking at the sunbeams of freedom, she realizes that she is not the ‘child of the Prophet’ either. She makes the final decision based on this thought. Then she weeps over the steering wheel, but this is not a demonstration of

her weakness. It is at the end of the tunnel that the wise young woman realizes the reason for everything in the life of her family: the commitment of her father to remarry, the essence of her mother's silent acceptance, the immensity of her parents' love for each other and their daughters, the heartbreak of the second wife who is stuck in an unloved wedlock with Layla's dad. Only then does Layla realize that her boyfriend, Anwar, waiting at the end of the tunnel, cannot be the meaning of her life, while her parents and younger sisters are. That is the reason why she pays no attention to the constant incoming text messages on her iPhone; instead, she makes a U-turn, and rushes back home with the same enthusiasm as she left her home that morning.

The movie has received mixed reviews. Some viewers find the silent moments confusing and wish there were more dialogues to clarify what is left unsaid. Others are disappointed by the lack of a 'happy ending'. Overall, the film gives the impression of peering into someone's private life through a tinted window, leaving viewers unable to fully understand the whole picture unless they can sense it.

It seems that everyone views the conflict between the community and the individual from their national perspective. Vazha-Pshavela's epic character, Jokola, may help the Georgian audience better understand what Elite Zexer intended to convey with her film, rather than seeing it as just hints about women's disenfranchisement and gender imbalance. The director explains in her interview with *Moviemaker* magazine. Whatever is left unsaid to be understood independently based on the skills of the viewers, she fully explains in the publication. *Sand Storm* is a masterpiece about the Bedouins, portraying the story of a specific village, which can be applied to many other countries. Family values are still highly regarded there, and people are still willing to sacrifice personal gain for the love of their family members. This is an eternal dilemma and will remain such forever.

The director spent more than ten years among the Bedouins, immersing herself in their lifestyle and customs in preparation for making this film. She befriended many locals and dedicated two years to studying the Arabic language. The Arab actors in the film underwent three months of training to master the Bedouin dialect. Before shooting *Sand Storm* in 2010, Elite Zexer first made a short film called *Tasnim* to test it with the local audience. Only after receiving a positive reaction, did she begin working on *Sand Storm*. This dedicated approach to cinematography proved successful, allowing the centuries-old sand-covered lifestyle of the desert to be portrayed on the silver screen for the modern world audience to see, much like the emergence of the Sphinx.

ესმა კუნჭულია

ევროპული რეცეპტები, როგორც ევროპული არჩევანის მინიშნება

XIX საუკუნის საქართველოში

შესავალი

ევროპული სამზარეულოს რეცეპტების ქართულ ენაზე გამოქვეყნებას 200 წლის ისტორია აქვს. საქართველოს უკანასკნელი მეფის ვაჟს, პეტერბურგში იძულებით ემიგრირებულ ბაგრატ ბატონიშვილს, უცხოური რეცეპტების პირველი ქართულენოვანი კრებული 1818 წელს პეტერბურგში გამოუცია.¹ პირველი ქართული ლიტერატურული ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორს, გიორგი ერისთავს კი ევროპული სამეურნეო რჩევებისა და რეცეპტების ბეჭდვა პირველივე ნომრიდან – 1852 წლიდან დაუწყია. ევროპული გამოცდილებისა და რჩევების გავრცელებას ემსახურებოდა „ცისკრის“ დამატებაც, პირველი ქართული სამეურნეო ჟურნალი „გუთნის დედა“.² 1860-იანი წლების ბოლოდან კი „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორს, თერგდალეულ გიორგი წერეთელს უცხოური რეცეპტების შესანიშნავი კოლექცია შეუქმნია. ქართული კერძების გვერდით, ევროპული რეცეპტები შეუტანია 1874 წელს გამოქვეყნებულ პირველ ქართულ სამზარეულო წიგნში („ქართული სამზარეულო“) ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძეს. ევროპული რეცეპტებით დახუნძლულია ჯორჯაძის წიგნის შემდგომ (XIX საუკუნეშივე) გამოცემული სამზარეულო წიგნებიც. მაგალითად, 1891 წელს, თბილისში, გრიგოლ ჩარკვიანის ტიპოგრაფიაში გამოცემულ წიგნს პირდაპირ ჰქვია: „სრული სამზარეულო – ქართული და ევროპული საჭმელები“.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ, პირველი ქართული სამზარეულო წიგნის გამოცემამდე, 1874 წლამდე, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ძირითადად ევროპული (უცხოური) რეცეპტები იბეჭდებოდა, რაც 1874 წლის შემდეგაც გაგრძელებულა.³ თუმცა, ქართული თუ უცხო-

¹ ბაგრატის წიგნის სრული სათაურია: „წიგნი ესე საუკეთესოთა სანოვაგეთა, შაქარლამათა, და სასმელთა შესამზადებელი“. შესავალ წერილში ბატონიშვილი წერს, რომ მან წიგნი რუსული ენიდან თარგმნა და გამოსცა „ძეთა თვის მამულისა ჩემისათა“, რადგან მსგავსი წიგნი იმ დრომდე არ არსებულა. საქართველოს მეფის, გიორგი XII-ის ძე წიგნის გამოცემის დროს უკვე ყოფილა იმპერატორის სასახლის კამარლერმანი, წმინდა ანას ორდენის პირველი ხარისხისა და იოანე იერუსალიმელის ორდენის მეორე ხარისხის კავალერი. გამოცემამდე ბაგრატ ბატონიშვილის წიგნი განუხილავს სახელმწიფო კოლეგიას, „უცხო მხრისათა მსახურებლისა ნადვორნის სოვეტნიკისა და კავალერისა გოდერძი ფირალოვის მიერ“. წიგნი დაბეჭდილა ქართველი აზნაურის, გიორგი ელიოზოვის ზედამხედველობით, იოსებ იოანესოვის სტამბაში, 1818 წლის 12 აპრილს.

² „გუთნის დედა“ იყო პირველი ქართული აგრონომიული ჟურნალი, რომელიც ორ კვირაში ერთხელ გამოდიოდა თბილისში, 1861 წლიდან 1876 წლამდე. სხვადასხვა წელს მას რედაქტორობდნენ: ი. კერესელიძე, ა. ვართანოვი, ა. ფურცელაძე.

³ პირველი ქართული სამზარეულო წიგნი 1874 წელს თბილისში, ექვთიმე ხელაძის სტამბაში გამოიცა. წიგნის სრული სათაურია „ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი (დამატებით ზოგიერთთა რუსულთა საჭმელთა)“, ხოლო მისი ავტორი იმ დროს ცნობილი პოეტი და პოლემისტი ქალი, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე იყო. ჩვენი კვლევის მიხედვით, პირველად სწორედ ბარბარე ჯორჯაძემ შეადგინა საქართველოში გავრცელებულ საჭმელთა სია და ამ წიგნის შემდეგ არაერთი წიგნი გამოიცა მისი წიგნის სარჩევის მიხედვით. იხ.: კუნჭულია, ე., „ქართული სამზარეულო როგორც გამოგონილი ტრადიცია“, ჟურნალი „სპეკალი“, თსუ, <https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/16/290>, ნანახია: 21.11.2023.

ური წყაროების მიხედვით, XIX საუკუნის ქართველების ყოველდღიურ მენიუში რთული უცხოური რეცეპტები არ შედიოდა.¹ მიუხედავად ამისა, ჟურნალ-გაზეთების გამომცემლები მაინც მონდომებით ცდილობდნენ, მკითხველისთვის მიეწოდებინათ „ფრანკფურტის გარჩიცის“, „კრემ ბრიულეს“, „პორტუგალიური ლიმონადის“, „ანგლიური ჯინისა“ თუ „დოპელ-კუმელის“² რეცეპტები.

თანამედროვე ქართველისთვის ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ XIX საუკუნის საქართველოში, ჩიხორთმასა თუ ბოზბაშთან ერთად, სცოდნიათ როგორ მზადდებოდა: შვეიცარიული ყველი, ინგლისური ყველი ჩესტერი, ინგლისური ყველი სტილტონი, პოლკეზე, ვესტფალიური ლორები, ფრანგულად და ამერიკულად დამარილებული ლორი, გერმანული და ბოლონიური ძეხვები, ფრანკფურტული მდოგვი, პორტუგალიური ლიმონათი, იტალიური ვაფლი და შოკოლადები, უნგრული ღვინო, ფრანგული შამპანური და სხვა უცხოური კერძები და სასმელები. ამ არაქართული რეცეპტების მოსამზადებლად კი, 170 წლის წინანდელ საქართველოში, იშვიათი ინგრედიენტების ყიდვაც შეეძლოთ, მაგალითად, იამაიკური რომის – ინგლისური ყველი სტილტონისთვის.

ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, გაგვიჩნდა კითხვა: რაზე მიგვანიშნებდა XIX საუკუნეში ევროპული რეცეპტებისადმი ქართველ გამომცემელთა ასეთი ინტერესი? რა იყო ეს – დროის მოტანილი მოდა თუ რაღაც სხვა შეტყობინება?

უცხოენოვანი წყაროებიდან ჩანს, რომ იმავე პერიოდში მთელ მსოფლიოში ძლიერ პოპულარული გამხდარა ევროპული (განსაკუთრებით ფრანგული) რეცეპტების სხვადასხვა ენაზე თარგმნა. მაგალითად, XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიაში იბეჭდებოდა უამრავი სამზარეულო წიგნი, სადაც არა მხოლოდ რუსული, არამედ სხვა ქვეყნების რეცეპტებიც შეჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ ევროპულ რეცეპტებს განსხვავებული დატვირთვა უნდა ჰქონოდა, რასაც იმავე პერიოდის სხვა პროდასავლური ტექსტებიც გვიდასტურებს.

ქართული ნაციონალიზმის გარიჟრაჟზე შექმნილი იდენტობის ნარატივებიდან და პროდასავლური ტექსტებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ქართულ კულტურულ ელიტას გეზი აღებული ჰქონდა არა ერთმორწმუნე რუსეთისკენ, არამედ პროგრესისა და განათლების კერისკენ – ევროპისკენ. რუსეთის იმპერიის გუბერნიად ქცეული საქართველოს ევროპის წიაღში დასაბრუნებლად კი საჭირო გამხდარა ერის წევრთა ცნობიერების გაღვიძება და ევროპული წარსულისა და მომავლის გახსენება. ჩვენი შესწავლილი ტექსტებიდან ვლინდება, რომ ეროვნულ პროექტში ჩართული აქტორები იშველიებდნენ დასავლეთის არა მხოლოდ პოლიტიკური და სამეურნეო წარმატებების მაგალითებს, არამედ სხვა მრავალფეროვან ტექსტებსა თუ სიმბოლოებს. ჩვენი აზრით, სწორედ ამ ერთგვარ „დამხმარე საშუალებათა“ რიგებში უნდა მდგარიყო ქართულ ენაზე ნათარგმნი ევროპული რეცეპტებიც, როგორც მინიშნება და მხარდაჭერა ევროპული არჩევანისა.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში და, მათ შორის, საქართველოშიც სწორედ ნაციონალიზმის ეპოქაში დაწყებული ეროვნული სამზარეულოს პირველი წიგნების შექმნა და გამოცემა. ერის სახელით დაბრენდილი სამზარეულო წიგნების განხილვა კი სცდება მხოლოდ სამზარეულოს რადიუსს და ეროვნული იდენტობის კვლევების ველში ინაცვლებს.

¹ შესწავლილი წყაროების მიხედვით, XIX საუკუნის ბოლომდე საქართველოს სხვადასხვა მხარეში ტრადიციულ სუფრებზე ტრადიციული კერძები ჩანს და უცხოური რეცეპტები იშვიათად გვხვდება. მაგალითად, 1894 წლის ჟურნალ „მოამბეში“ დაბეჭდილი, ფრანგი მოგზაურ ემილ ლევიეს მოგონებებიდან ვიგებთ, რომ სოფელ ბეჩოში (სვანეთში) მას ექიმ სეგალთან და მის მეუღლესთან, ქალბატონ ტრუველერესთან სტუმრობისას სუფრაზე უნახავს ჩაი, ხმელი ხილი, მურაბები და ათასი სხვა რამ, ხოლო ბოქაულთან გამართულ ვახშამზე კი სტუმრად მისული ლევიესთვის ჩიხორთმა, ცხვრის ხორცი, შემწვარი ქათმები, ტკბილეული და თავზესასხმელად ბევრი იმერული ღვინო დაუხვდებოდათ. იხ.: „მოამბე“, 1894, N12.

² დოპელ-კუმელი – გერმ. Kümmel, არის კვლიავისა და ცერეცოს თესლისგან დამზადებული ალკოჰოლური სასმელი, ლიქიორი. ამ სასმელის პოპულარობა გაიზარდა XIX საუკუნეში და კონკურენციას უწევდა ჯინს.

ჩვენ დავამუშავეთ 1874 წელს გამოცემული პირველი ქართული სამზარეულო წიგნი, რომელსაც არა მხოლოდ კულინარიული სახელმძღვანელოს დანიშნულება, არამედ ეროვნული იდენტობის გამამყარებელი ტექსტის ფუნქციაც ჰქონია მინიჭებული (კუნჭულია 2021: 21).

თუმცა საქართველოში პირველი ეროვნული სამზარეულო წიგნის გამოცემას (1874) მთელი 25 წლით ასწრებს ევროპული რეცეპტების ჟურნალ-გაზეთებში გამოჩენა. ქართული სალიტერატურო ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გიორგი ერისთავის ევროპული რჩევებისა და რეცეპტების ბეჭდვა იმ დროს ემთხვევა, როცა თბილისში ევროპული სასტუმროების, საკონდიტროების, რესტორნებისა და დიზაინერების რიცხვი იზრდება. შესწავლილი წყაროებიდან ჩანს, რომ იმ დროს თბილისში რესტორნები და საკონდიტროები უცხოელებს გაუხსნიათ (მაგალითად: გილიეს, რენიეს, კელბერის საკონდიტროები, გიუტხის, ფინკეს, ჟან-პოლის ქვრივის, ლიუმეს რესტორნები და სხვ.). იმ დროის გერმანელები ყოფილან მეძებვეებიც, მესაათებიცა და მეეტლეებიც.

ევროპა ქართველთა სამოსშიც ინტენსიურად 1850-იანი წლებიდან შეჭრილა. პარიზსა და თბილისს შორის მანძილი 4360 კილომეტრია, მაგრამ 1860-იან წლებში, პარიზული მოდის მიზიდვით, თბილისელი და ქუთაისელი ქალებისთვის ვაჭრებს ხაზარდა კაბებისთვის მასალები ევროპიდან (ბავარიის ბაზრობებიდან) ჩამოჰქონდათ.¹ უნგრელი თავადის, ჟან-შარლ ბესის თვალს მდიდარი ქართველი ქალბატონების ფუფუნებისადმი ლტოლვა არ გამოჰპარვია, რომლებიც, მისი თქმით, თავს ფრანგული და გერმანული მოდური აქსესუარებითა და ტუალეტებით ირთავდნენ (ნაჭყებია 2018: 202).²

ევროპული ნაწარმისა და სტილის პოპულარობის ფონზე, ჩვენ შეგვეძლო ქართულ ენაზე თარგმნილი უცხოური რეცეპტები მხოლოდ დროის მოტანილი მოდის კარნახად განგვეხილა, რომ არა რამდენიმე გარემოება:

1. ქართულ ენაზე ევროპული რეცეპტების ბეჭდვა დროში ემთხვევა ქართული ნაციონალიზმის გარიჟრაჟსა და თვითიდენტიფიკაციის პროცესს, როდესაც, ეროვნული იდენტობის ნარატივებთან ერთად, გაძლიერდა პროდასავლური დისკურსი. კითხვაზე – საიდან მოვდივართ და საით მივდივართ – პასუხად მკაფიოდ გამოიკვეთა კულტურული და პოლიტიკური მისამართი – ევროპა;
2. პირველი უცხოური რეცეპტების ქართულ ენაზე მთარგმნელები და გამავრცელებელნი არა სამზარეულო სფეროს წარმომადგენლები ანდა გურმანები (მაგალითად, როგორც საფრანგეთში), არამედ ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმული ჰუმანიტარი ინტელექტუალები იყვნენ, რომელთაც საკუთარ თავზე ჰქონდათ აღებული ერის წევრთა ცნობიერების გაღვიძება და ქვეყნის ევროპული მომავალი;
3. ქართულ ენაზე პირველი ევროპული რეცეპტების ბეჭდვა ლიტერატურულ და საზოგადოებრივ გაზეთებში დაუწყიათ და არა კულინარიულ წიგნებში. ეს ფაქტი კი მიგვითითებს იმაზე, რომ ევროპის პოლიტიკური, ლიტერატურული და ეკონომიკური სიახლეების გვერდით ევროპული რეცეპტების განთავსებას ბევრად მეტი დატვირთვა უნდა ჰქონოდა;
4. წერილობითი წყაროებით დგინდება, რომ იმ პერიოდში ქართველთა ყოველდღიურ მენიუმში ჯერ კიდევ არ იყო შეტანილი რთული უცხოური კერძები, თუმცა ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები მაინც გულმოდგინედ ცდილობდნენ მათ თარგმნასა და პოპულარიზაციას.

¹ 1860-იან წლებში პარიზული მოდა თამამშევის ქარვასლიდან ვრცელდებოდა, რისთვისაც „ცისკრის“ რედაქტორ ივანე კერესელიძეს „თბილისური პალეროიალი“ უწოდებია. სიტყვა „ხაზარდა“ ახსნილი აქვთ „ქალაქურ ლექსიკონში“. იხ.: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=30&t=11765>, ნანახია: 21.11.2021.

² ირინა ნაჭყებიას დამოწმებული აქვს ჟან-შარლ ბესის წიგნი – Besse, Voyage en Crimée au Caucase, გვ. 351-352, 393.

ამ და სხვა მიზეზების გამო, XIX საუკუნის საქართველოში ევროპული რეცეპტები განვიხილეთ არა როგორც მხოლოდ სამზარეულოს კუთვნილება, არამედ როგორც პროდასავლური განწყობების მინიშნება.

კვლევის მიზანი. ჩვენი მიზანი იყო XIX საუკუნის ისტორიულ და ლიტერატურულ მასალებში იმ ტექსტთა დაძებნა და შესწავლა, სადაც მკაფიოდ ჩანდა ევროპული არჩევანი, როგორც ქართველთა კულტურული მეხსიერების შემადგენელი ნაწილი. ამ ტექსტთა სივრცეში კი ევროპული რეცეპტები გავიაზრეთ არა როგორც კულინარიის კუთვნილება, არამედ როგორც პროდასავლური დისკურსის ნაწილი და კულტურული ელიტის მიზანმიმართული მესიჯი, რომელსაც ჰქონდა გარკვეული მისია – ევროპული გზის მხარდაჭერა.

თეორიული ჩარჩო. ჩვენი კვლევა წარმოადგენს ინტერდისციპლინურ ნაშრომს, სადაც გამოვიყენეთ ნაციონალიზმის, მეხსიერებისა და კულტურის კვლევების თეორიები, რომელთა მიხედვითაც კულტურული ელიტის პროდასავლური ნარატივები და სხვა ქმედებები (მათ შორის, ევროპული სამეურნეო რჩევები და რეცეპტებიც) განვიხილეთ, როგორც ეროვნული პროექტისთვის საჭირო აქტები.

კვლევაში მოვიშველიეთ გერმანელ კულტუროლოგ ალეიდა ასმანის თეორია მეხსიერების ფორმების შესახებ, რომელიც მეხსიერებას აქტიურ და პასიურ ფაზებად ყოფს და აწმყოსთან მიმართებაში განიხილავს.¹ ასმანის მიხედვით, აქტიურ/ფუნქციურ მეხსიერებაში (*Funktionsgedächtnis*) სიცოცხლისუნარიანია მხოლოდ ის ნარატივები, სიმბოლოები და მოვლენები, რომელიც კონკრეტული ეპოქის აწმყოსთვის არის მნიშვნელოვანი, ხოლო ის მოვლენები, რომლებიც აწმყოს არ (ან აღარ) აინტერესებს, პასიურ მეხსიერებაში ინაცვლებს და დავინწყებას ეძლევა.²

ამ თეორიის ფარგლებში, XIX საუკუნეში ქართულ ენაზე ევროპული რეცეპტების ინტენსიური ბეჭდვა იმ დროის აწმყოს დაკვეთაზე მიუთითებს და მათ ფუნქციურ/აქტიური მეხსიერების ფაზაში ათავსებს.³

რა იყო XIX საუკუნის ქართველისთვის ევროპა?

ქართული ნაციონალიზმის საწყის ეტაპზე შექმნილი ეროვნული იდენტობის მშენებელი ტექსტების შესწავლისას დავრწმუნდით, რომ ქართველ ჰუმანიტარ ინტელექტუალებს რუსული კოლონიზაციის არცერთ ეტაპზე არ დავინწყებიათ ევროპის (გა)ხსენება. ევროპის (გა)ხსენება კი იმ კულტურულ ტრადიციებში დაბრუნებას გულისხმობდა, რომლისგანაც საქართველო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იყო მოწყვეტილი. ამ განწყობებით XIX საუკუნის ქართველი ძალიან

¹ ალეიდა ასმანის წერილი „მეხსიერების ფორმები“. იხ.: <https://www.bpb.de/themen/erinnerung/geschichte-und-erinnerung/39802/kollektives-gedaechtnis/> ნანახია: 04.05.2022.

² მეხსიერებათა ამ ორი ფაზის ურთიერთქმედება კარგად ჩანს ქართული ღვინისა და სამზარეულოს მაგალითზე. XXI საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიოში ეროვნული სასმელ-საჭმლის მიმართ ინტერესის ბუმმა, რომელშიც საქართველოც აქტიურად ჩაება, შენახული მეხსიერებიდან ფუნქციურ მეხსიერებაში ბევრი მივიწყებული კერძი და სასმელი, წესი და ადათი გადმოანაცვლა. აწმყოს დაკვეთით შესაძლებელი გახდა მივიწყებული რეცეპტების მოძიება-აღდგენა და ქართული ეროვნული სამზარეულოს მარაგში მათი შეტანა. აწმყოს დაკვეთითვე აღადგინეს საბჭოთა დროს გამქრალი ვაზის ჯიშები და დაიწყეს მივიწყებული ღვინოების წარმოება.

³ ალეიდა ასმანი ტრილოგიაში – „ისტორიის დავინწყება – ისტორიით შეპყრობა“ წერს, რომ დავინწყებული ამბების, ნივთების, დოკუმენტების, წიგნების თავიდან აღმოჩენა სწორედ აწმყოს მოთხოვნით ხდება, ხოლო ის, რაც აწმყოს არ აინტერესებს, შენახულ მეხსიერებაში (*Speichergedächtnis*) გადადის და არქივებში, ბიბლიოთეკებში, წყაროებში იქამდე ინახება, ვიდრე მას აწმყოს აქტუალობა არ გააცოცხლებს (A. Accman 2019: 17).

ჰგავდა XXI საუკუნის ქართველს, რაც საქართველოს ევროპული არჩევანის უწყვეტობაზე მიგვაჩვენებს.¹

ქართველთა პროდასავლურობის უწყვეტობის შესახებ პუბლიცისტი გერონტი ქიქოძე წერდა, რომ, ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, ქართველ მეფეებს ის პოლიტიკა აურჩევიათ, რომელიც რომისა და ბიზანტიის იმპერიის მეზობელ და მეგობარ იბერიელებსა და კოლხებს ჰქონიათ. XI-XII საუკუნეებში კი ქართველების ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნის მიზეზი არა მხოლოდ ეთნიკური სისხლის ნათესაობა და სწორი პოლიტიკა ყოფილა, არამედ კოლხეთსა და იბერიაში ფესვგადგმული ხმელთაშუა ზღვის აუზიდან მომდინარე კულტურული ტრადიციები (ქიქოძე 1942: VI).

ევროპაზე ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ფრაზა, რომელიც XIX საუკუნის სიღრმიდან გაისმის, ასე ჟღერს: *„ევროპა არის ლამპარი მთელი ქვეყნისა, განმანათლებელი კაცის გონებისა, მეცნიერება მოსწავლეთა, სიბრძნე გამგეთა, და სიკეთილე კაცობრიობისა“*. ეს ფრაზა ჟურნალ „ცისკარში“ ერეკლე მეორის შვილიშვილს, მწერალ ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს დაუწერია, რომელსაც რუსეთის წინააღმდეგ 1832 წლის აჯანყებაშიც მიუღია მონაწილეობა და სამუშაო კაბინეტის კედელზე სიცოცხლის ბოლომდე ნაპოლეონ ბონაპარტისა და ჯუზეპე გარიბალდის პორტრეტები ჰკიდებია.

XIX საუკუნის კულტურული ელიტის ერთ-ერთი მთავარი მესიჯი ევროპული ნორმატივის მაგალითებით ქართველთა შეგუიანება ყოფილა, რასაც მაღალი სტანდარტების მეურნეობების გაშენება მოჰყოლია.² ერთ-ერთი პირველი ევროპულად მოწყობილი მეურნეობა XIX საუკუნის გამორჩეულ პერსონაჟს, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტ ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონს ჰქონია. 1862 წელს ჟურნალი „გუთნის დედა“ წერდა, რომ იმ დროს უკვე „ძველებრივ მამულის კეთების დაწყობილებას“ აღარ ჰქონია ჯეროვანი შედეგები და ვერც ის სარგებლობა მოჰქონდა, რაც ევროპაში („გუთნის დედა“, 1862, N 1). გაზეთის ამ ნომერში ივანე მუხრანბატონს ამერიკული ტექნიკის – შუმანის გუთნის გამოყენების საკუთარი გამოცდილება აღუწერია: *„დღედად ვმეცადინებდი სოფლისა მუშაობისა საქმე როგორმე მიმეყუანა იმა წესს ზედ, როგორიცა მიღებულია ევროპაში“* (იქვე).

ევროპულ ნორმატივებზე წერილები უწერია ეთნოლოგსა და ისტორიკოსს, მღვდელ დიმიტრი ჯანაშვილს ჟურნალ „მნათობში“. ჯანაშვილს განათლებულ ქართველთათვის უთხოვია, აღწერათ – *„...რა სახსრებს ხმარობენ ხალხები ევროპაში თავიანთ ცხოვრების გასათამამებლად“*, რადგან ჩვენს ხალხს ცოდნა აკლდა და „იმეების“ ასრულება არ შეეძლო, რასაც იქ – ევროპაში ასრულებდნენ („მნათობი“, 1869, N3, N4).

1872 წელს, პირველი ქართული ევროპული სტილის ყოველდღიური გაზეთ „დროების“ რედაქტორს, პეტერბურგის უნივერსიტეტში ნასწავლ სერგეი მესხს კეთილდღეობის მოპოვების ერთადერთ საშუალებად არა რუსული, არამედ დასავლეთევროპული განათლება უღიარებია. 150 წლის წინათ მესხი წერდა, რომ დასავლეთ ევროპაში გაზრდილი ერთი ქართველი, თავისი სწავლითა და სამაგალითო ცხოვრებით, უფრო მომეტებულ სარგებლობას შესძენდა საქართველოს, ვიდრე ხუთი და ათი სხვა ქვეყანაში გამოზრდილი („დროება“, 1872, N41).

1872 წელს თერგდალეული გიორგი წერეთელი ჟურნალ „კრებულში“ ირწმუნებოდა, რომ დასავლეთ ევროპა იყო ნამდვილი წყარო კაცობრიობის განათლებისა და, მაშასადამე, ადრე თუ გვიან, ჩვენი ახალმოზარდი თაობა დასავლეთისკენ უნდა წასულიყო სასწავლებლად. წერეთელს

¹ ამ თემაზე მსჯელობენ მკვლევრები გიორგი საბანაძე და ემზარ ჯგერენაია 2017 წელს გამოცემული წიგნის – *„ევროპა, როგორც მასწავლებელი“* – შესავალში, რომელიც XIX საუკუნის ჟურნალ-გაზეთებიდან ამონარიდი მასალების კრებულს წარმოადგენს.

² ამ თემაზე საინტერესო მასალებს შეიცავს ნათელა ნაცვლიშვილის წიგნი *„მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია აღმოსავლეთ საქართველოში“*, *„მეცნიერება“*, თბილისი, 1971.

წერილში ისიც მიუთითებია, რომ რუსეთის მკაცრ ჰავაში ქართველი სტუდენტები ხშირად ავად-
დებოდნენ, ხოლო დასავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნების (შვეიცარიის, საფრანგეთის, იტა-
ლიის) ჰავა საქართველოსას ჰგავდა და ქართველი სტუდენტები ევროპაში ამიტომაც უნდა გაეგ-
ზავნათ („კრებული“, 1872, N 10-11-12).

XIX საუკუნის პროდასავლურ დისკურსში აქტუალური იყო ქალთა უფლებებზე მსჯელობაც. სიტყვა „ემანსიპაცია“ პირველად სწორედ გიორგი წერეთელს აუხსნია: „დედაკაცის ემანსიპაცია (თავისუფლებას) ამასწინათ სხვა აზრი ჰქონდა, ახლა სხვა აზრი აქვს. უწინ ამ სიტყვას საძრახ მნიშვნელობას აძლევდნენ. ახლა ემანსიპაცია ისე ესმით, რომ დედაკაცს უნდა ღონისძიება მიე-
ცეს, რომ თავისის შრომით დააწყოს საკუთარი ცხოვრება, და გონების გახსნით ზნეობითი დამო-
უკიდებლობა მოიპოვოს, ასე რომ ამ გვარათ კეთილ-მოქმედი გავლენა იქონიოს საზოგადოება-
ზე... რას ვხედავთ ამ დროს ევროპაში? ვხედავთ, რომ ყოველს ევროპიულს სატახტო ქალაქებში
წესდება დედაკაცის შრომის საზოგადოებები, რომელთაც საგნად აქვთ რომ იმათ გზა გაეხსნას
აქამომდე იმათთვის დახშულის მოქმედებისთვის“ („დროება“, 1867, N19).

1860-იანი წლების ბოლოს „დროების“ მკითხველს სცოდნია, რომ ემანსიპაციაში ევროპის-
თვის მაგალითი ამერიკასა და ინგლისს უჩვენებია, რადგან ყველაზე ადრე სწორედ ამ ქვეყნებში
დაწყებულია მოთხოვნა ქალთა საპოლიტიკო უფლებებისა. იმ დროს კანზასის შტატში ქალებს უკ-
ვე ჰქონიათ მინიჭებული არჩევნებში ხმის უფლება, პენსილვანიის სენატორ კოუენს კი ვაშინ-
გტონის კონგრესში წინადადება შეუტანია, რომ ქალებისთვის ხმის უფლება სხვა შტატებსაც მიე-
ნიჭებინათ.¹ 1871 წლის „მნათობში“ ეკატერინე ღვინიაშვილს გერმანელი ფემინისტი ქალის, ფანი
ლევალდის წერილის ციკლი უთარგმნია – „ქალების წინააღმდეგ და სასარგებლოდ“ („მნათობი“,
1871, N6, N7, N8).

XIX საუკუნის ქართული პრესა წერდა ევროპელ და ამერიკელ სასახელო ადამიანებზე, რო-
მელთა საქმენიც სამაგალითო უნდა გამხდარიყო ქართველთათვის. მაგალითად, ალექსანდრე
ჯამბაკურ-ორბელიანს „ისპანიის“ საზოგადოებისგან ამოჩემებული ქრისტიანული კოლუმბის აღ-
მოჩენილი ამერიკა ასე აღუწერია: „ამერიკა იყო მაშინ (კოლუმბის დროს – ე.კ.) ველურთ ხალხით
სავსე, ეხლა არის საკვირველი ამერიკა! სადაც ღრმა მეცნიერება სუფევს და უპირველესი განათ-
ლება... ეხლახანს ამ ამერიკის ქვეყნიდან გამოვიდნენ კაცნი გონიერნი, მეცნიერებით სრულნი,
რომელთაც როგორც ვთქვი, ატლანტიის უკიანეთში გაატარეს ტელეგრაფის მართული და მთელს
ქვეყანას შესძინეს დიდი სარგებლობა!...“ („ცისკარი“, 1858, N12).

1875 წლის „დროებას“ ვრცელი წერილი მიუძღვნია ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონ-
ისთვის, სადაც ვკითხულობთ: „კაცობრიობის წარსული ცხოვრება ძნელად წარმოგვიდგენს მეო-
რე ისეთს მაგალითს, რომ კაცს უაშინგტონისოდენა ეშრომოს თავის სამშობლო ქვეყნისათვის,
იმდენი თავგანწირულება, მხნეობა გამოეჩინოს, და თან იმასავით დაევიწყოს თავისი კერძო პი-
როვნების სარგებლობა“. ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ ქართველთათვის სამაგალითო უნდა გამ-
ხდარიყო იმ კაცის შრომა და სამშობლოსთვის თავდადება, ვისაც ისეთი ძლიერი შეერთებული
შტატების რესპუბლიკა დაუფუძნებია, რომელსაც „...ეხლა ზოგიერთი ევროპიის ხალხები შეჰ-
ნატრიან და ჰბაძავენ“ („დროება“, 1875, N31).

¹ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „დროებაში“ წერილის ავტორი ამგვარ ინფორმაციებს ცნობილი გაზეთე-
ბიდან იღებდა: *Saturday Review*, *Spectator*, *Liverpool Mercury* და სხვა. ემანსიპაციაზე წერეთლის წერი-
ლებს კი მრავალი საინტერესო წერილი მოჰყოლია, მაგალითად, 1870 წელს „დროებაშივე“ დაბეჭდილი
ეკატერინე თარხან-მოურავის (შემდგომ გაბაშვილის) და დარია მამაციშვილის წერილები, საიდანაც
გაისმოდა ქართველ ქალთა ხმა: დედანო და დანო! დროა გავიღვიძოთ, ჩვენზეა დამოკიდებული ჩვენი
ქვეყნის წარმატებაო. 1871 წელს კი სერგეი მესხს ჟურნალ „კრებულში“ დაუბეჭდავს წერილი „რა დაუკა-
რგავთ ქალებს“. იხ.: „კრებული“, 1871, N3.

1879 წელს თერგდალეულთა ხუთეულის წევრს, ნიკო ნიკოლაძეს, ევროპაზე მსჯელობისას, მაგალითად ლუი ბლანისა და ლეონ გამბეტას პოლიტიკური დებატები მოუყვანია და ამით აუხსნია, თუ რატომ უნდა ევლო საქართველოს დასავლეთისკენ და არა პოლიტიკურად გაყინული აღმოსავლეთისკენ: „*ხან ერთ მათგანს (გამბეტას – ე.კ.) გაუმარჯვია, ხან მეორეს (ბლანს – ე.კ.), მაგრამ ყოველთვის კი მათი ბრძოლით ხალხს უსარგებლებია, იმიტომ რომ ბრძოლის შემდეგ მისთვის უფრო ნათლად გამოსახულა საქმის მდგომარეობა; უფრო ნათლად გამოჩენილა ის გზა, რომელსაც ხალხი უნდა დასდგომოდა... ოსმალეთში კი, ან სპარსეთში მსგავსი ბრძოლის ხსენებაც კი არ არის. იქ რასაც ერთი ბრძანებს, ან ერთი წამოროტავს, ყველა ისე იქცევა. მიბრძანეთ, ახლა, რომლის ჩვეულების შემოღებას უნდა ვცდილობდეთ, ჩვენის მამულის სიკეთე თუ გვაქვს მხედველობაში?*“ (ნიკოლაძე 2014: 120).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული პრესა ეხებოდა ყველაფერს, რაც კი დასავლეთში მნიშვნელოვანი ხდებოდა. მაგალითად, 1869 წლის „სასოფლო გაზეთის“ მკითხველს უკვე სცოდნია, რომ საფრანგეთში შეშის ნაცვლად მზის სითბოს იყენებდნენ და, როცა ქვის ნახშირი დაილეოდა, სამომავლოდ „ბუნების ეს მუქი ღონე“ უნდა გამოეყენებინათ. მზის სიცხარის გამოყენება კი ფრანგ გამომგონებელ ოგიუსტ მუშოს დაუწყია, ვისაც იმ დროს მზის სხივებით წყალიც აუდუღებია, სპირტიც გამოუხდია, ხორცი მოუხარშავს და პურიც გამოუცხვია („სასოფლო გაზეთი“, 1869, N6).

იმ დროის ქართველ მკითხველს ისიც სცოდნია, რომ საფრანგეთის მეფის, ნაპოლეონ III-ის ცოლის – ეუჟენიას გვირგვინში ელექტრონული სინათლე გაუტარებიათ და აღმასები, ლალები და სხვა პატიოსანი ქვები მზის სხივებით აუციმციმებიათ. ხოლო მას შემდეგ, რაც დედოფალ ეუჟენიას მოდაში შინიონები შემოუღია, საფრანგეთში ქალის თმა ერთბაშად გაძვირებულია და 1 მანეთიდან 15-16 მანეთამდე აწეულა („დროება“, 1875, N28). ავსტრიის დედოფალს კი ძალზე ჰყვარებია ხალხური საჭმელები და ერთ დღესაც, როცა გლეხურად შემწვარი გოჭი მოსდომებია, მხლებელ ქალთან ერთად მიუნხენში გაპარულა და გოჭის შეწვით განთქმულ დუქანში უსადილია („ცნობის ფურცელი“, 1896, N51).

ევროპა ჩართული ყოფილა ქართულ ხალხურ ცნობილ ლექსში „თხამ ვენახი შეჭამა“, რომელიც 1888 წლის „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ფელეტონში ახლებურად აუხსნია ისტორიკოს მოსე ჯანაშვილს. ფელეტონში „ძველი ზნე-ჩვეულებანი“ ჯანაშვილი წერდა: „... ეს ლექსი, როგორც დაგვარწმუნა პატ. იაკობ გოგებაშვილმა, ლექსის ჩამწერმა, დედანში არ არის დასრულებული, მას აკლია კიდევ დათვი და ფრანგი. ამ სახით გამოდის, რომ ფრანგი სჭამს დათვს, დათვი კატას, კატა თაგვს, ეს მიწას, მიწა ჟანგს, ეს თოფს, თოფი მგელს, მგელი თხას და თხა კი ვენახს (საქართველოს). მაშასადამე, საქართველოს ხსნას ქართველნი... მოელოდნენ ფრანგისაგან (ევროპელთაგან)“ („ივერია“, 1889, N51).

პროდასავლური ტექსტები მკაფიოდ ისმოდა ბოლშევიკების შემოსვლამდე, XX საუკუნის დასაწყისში. 1918 წელს, თბილისის უნივერსიტეტის გახსნის დღეს, უცხო ენების ლექტორად მიწვეულ ელისაბედ ორბელიანისას უთქვამს: „*ევროპა გვიცნობდა და ჩვენ მას ვუყვარდით. ჯერ კიდევ მე-13-ე საუკუნეში რომი გვიგზავნიდა მისსიონერებს. მე-15-ე საუკუნეში ჩვენ უახლოვდებით საფრანგეთს – საბა სულხან ორბელიანი ელჩად მიდის ლიუდოვიკო მე-14-ესთან და თავის იგავ-არაკებში თითქოს ლაფონტენის გავლენითაც გაიმსჭვალა... უკანასკნელმა ასმა წელმა ძალაუნებურად დაგვაშორა საფრანგეთის აზროვნების თავისუფალ აღორძინებას. ეხლა საჭიროა დაკარგული დროის მოგება... ნუ დაგავიწყდება, რომ საფრანგეთის 1789 წლის წყალობითაა, რომ 1918 წელს გვაქვს თავისუფალი ქართული უნივერსიტეტი*“ (ე. ორბელიანი 1818: 4).¹

¹ ციტირებულია ჟურნალიდან „თეატრი და ცხოვრება“ (N6), რომელიც 1918 წელს გამოიცა.

ევროპული ცვლილებები XIX საუკუნეში

საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად კიდევ ერთხელ გავიაზრეთ საქართველოს ისტორიის ის მონაკვეთი, როცა საქართველოში ევროპული რეცეპტების ბეჭდვა გამხდარა აქტუალური.

ვახტანგ ბერიძე წერდა, რომ საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ბუნებრივი კულტურული ორიენტაცია ევროპული იყო, აღმოსავლეთი და აღმოსავლური წესები კი ქართული სამეფოებისთვის არსებობის ბოლო საუკუნეებში თავს ძალით მოუხვევიათ (ბერიძე 1960: 17). ევროპული ჩვევების თავიდან მიღება საქართველოში XIX საუკუნიდან დაწყებულია.

1872 წელს, ჟურნალ „კრებულში“ რაფიელ ერისთავის ფელეტონიდან ვიგებთ, რომ სწორედ იმ დროს, პირველად საქართველოში, შემოსულა სიტყვები: ფორტეპიანო, კომუნა, ოფიციალური, ფოტოგრაფია, ცივილიზაცია, პროკლამაცია, ირიგაცია, ნაციონალური და სხვა.

1894 წელს ჟურნალ „მოამბეში“ ნოე ჟორდანიას წერდა, რომ ფეოდალური წყობილებისგან დაქუცმაცებული ქართველობა იმ დროის სიახლეს – საპოლიტიკო ძალას (ნაციონალიზმს) გამოუღვიძებია, რომელიც XIX საუკუნის საქართველოში მძლავრად შემოვარდნილა და ერისთვის ძველი პოლიტიკური ქერქი სამარისებური სიჩუმით გაუძვრია („მოამბე“, 1894, N5). ქართველ ერს კი ისტორიული ნახტომი იმ დროს გაუკეთებია, როცა ბატონყმობა გადავარდნილა, ფოსტა-ტელეგრაფი და რკინიგზა ამუშავებულია, როცა ქართველ ვაჭრებს ევროპელი ვაჭრებისთვის თვალყურის დევნება და ევროპული გამოცდილების გაზიარება დაუწყიათ („მოამბე“, 1894, N5).

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან თბილისის იერსახეც თვალში საცემად შეცვლილა, რაც ევროპული სტილის მშენებლობებს გამოუწვევია. ახლებური თბილისის შექმნაში მონაწილეობა კი არაერთ უცხოელ არქიტექტორს მიუღია. შვეიცარიელი (ლუგანოელი) ჯუზეპე ბერნადინი ყოფილა შაქრის მეწარმისა და მეცენატის, იაკობ ზუბალაშვილის სახლის არქიტექტორი.¹ გერმანელი იაკობ სიმონსონი ყოფილა მეფისნაცვლის სასახლის არქიტექტორი.² თბილისის ოპერის შენობის გეგმაც გერმანელ ვიქტორ შრეტერს შეუქმნია და შენობის პროტოტიპად ვაგნერისეული ბაიროითის თეატრი აუღია. თბილისში პირველი ულამაზესი თეატრის შენობის აგება კი იტალიელ ჯოვანი სკუდიერის უკავშირდება.³ თუმცა თბილისის ევროპულ ყაიდაზე გადაწყობა ერთ დღეში არ მომხდარა, რაც არაერთი უცხოელი მოგზაურის დღიურებშიც არის არეკლილი.

ინგლისელი მოგზაური რიჩარდ უილბრაჰამი თბილისში 1837 წლის 1 სექტემბერს ჩამოსულა, ზუსტად მაშინ, როცა კავკასიის მთავარმართებელი ბარონი როზენი რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზ I-ის ვიზიტისთვის ემზადებოდა. ინგლისელ სამხედროს დღიურებში ის სიჭრელე აღუწერია, რომელიც 1830-იანი წლების ბოლოს თბილისში დახვედრია (უილბრაჰამი, 1990: 17). უილბრაჰამის აღწერილ „რუსულ უბანში“ კლერკებს ნიკაპამდე აქაჩული უნიფორმები სცმიათ, რაც შესაშური როდი ყოფილა ქალაქის ცხელ ჰავაში. ოფიცრების გულზე დაკიდებული ურიცხვი ჯვარ-მედლები კი იმაზე მიუთითებდა, რომ რუსეთის სამსახურში ჯილდოებს ხელგამლილად არიგებდნენ (უილბრაჰამი, 1991: 27).

1840-იანი წლების ბოლოდან თბილისის ფორტუნისა და ფულის მაძიებელი უცხოელი ვაჭრები და ხელოსნები მოსწყდომიან, რასაც ქალაქში ახალ-ახალი მაღაზიების გახსნა და სხვადასხვა ენაზე აბრების გამოჩენა მოჰყოლია („Кавказ“, 1846, N16; И. Евлахов, „Заметки о Тбилиси“, „Кавказ“, 1846, N47). 1870-იან წლებში თბილისში ჩამოსულ ინგლისელ ისტორიკოს ჯეიმს ბრეისს

¹ ამ უნიკალურ შენობაში 1952 წლიდან განთავსებულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმი.

² დრეზდენის სინაგოგის მცველის ვაჟი, პროფესიით არქიტექტორი სიმონსონი თბილისში 1858 წელს ჩამოსულა. მეფისნაცვლის სასახლის გავერობელების გეგმა კი მას 1868 წელს შეუდგენია. ამ ინფორმაციას მაია მანია იმონშებს წიგნიდან: *Skizzen, Architektonischen Entwürfe, Akademiker Otto Simonson, Tiflis*.

³ სწორედ თეატრის ამ შენობაში, რომელიც დღეს აღარ არსებობს, 1858 წელს სპექტაკლს დასწრებია ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა. მიხეილ ვორონცოვის ინიციატივით სკუდიერიმ შექმნა მიხეილის დიდი და მცირე ხიდების პროექტებიც. მცირე ხიდს, ამოშრობის შემდეგ, მშრალი ხიდი დაერქვა.

უნახავს თბილისურ მაღაზიებზე რუსული, გერმანული, ფრანგული, სომხური, სპარსული, ებრაული და ქართული აბრები (გელაშვილი 2017: 420).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სასახლის ქუჩაზე „ვენგრიულ მაღაზიაში“ თბილისელებს შეეძლოთ შეეძინათ ჰოლანდიური, ბელგიური, საქსონიური, ბოჰემიური წარმოების ტილოები, ყოველგვარი საცვალი ქალისა და მამაკაცისა, ბატისტის ცხვირსახოცები, ქვედაბოლოები, პენუარები, ხელსახოცები და მაგიდის აქსესუარები თორმეტ-, თვრამეტ- და ოცდაოთხკაციანი სუფრებისთვის („დროება“, 1875, N31). არწრუნის ქარვასლაში მდებარე ინგლისურ მაღაზიაში კი საუკეთესო ხარისხის ჩაი პირდაპირ პლანტატორებისგან ჩამოჭკონდათ, რომელიც, შეფუთვის გარეშე, გირვანქა 2 მანეთი ღირებულა. ინგლისურ მაღაზიაში ასევე იყიდებოდა: მურაბები, კანფეტები, უცხოური ყველი, შერბეთები, ჭურჭლეული, ჩაიდნები, გრაფინები და სპეციალური საპონი გადამდები ავადმყოფობების წინააღმდეგ. ლონდონის მაღაზიაში იყიდებოდა: მზის საათები, ქალის წინდები, ცხვირსახოცები, სუნამოები, თოფები, რევოლვერები, ჩანგლები, დანები, კოვზები და სხვა ათასნაირი უცხოური ნივთები.

რკინიგზის გაყვანის შემდეგ, უცხოურ სიახლეებს კარი ფართოდ გახსნიათ და ქართველებს „ევროპულ გემოზედ ცხოვრება“ დაუწყიათ, რაზეც „მნათობში“ პუბლიცისტსა და ადვოკატ მოსე ქიქოძეს ვრცლად უმსჯელია. თანდათან ძველებური ტახტები კაკლის ხის ევროპულ დივნებს ჩაუნაცვლებია და ტახტზე ფეხმორთხმით ჯდომაც მოდიდან გადასულა: „...ეხლა აქვთ სავარძლები (კრესლოები), სკამები. სადილის და ვახშმის ჭამას მამა-პაპურად ველარ ახერხებენ; თითებსაც აღარ ისვრიან საჭმელებით ძველებურად, ჩვენებურად. ეხლა აქვს ბევრს დანა, ჩანგალი და კოვზი. ერთი რიგი საჭმლის მაგიერ ბევრნი ექვს რიგს მიირთმევენ. ჩაის არ სვამდნენ, ღვინოს ეძალებოდნენ“ („მნათობი“, 1870, N3). ცვლილებები დასტუბია სამოსსაც: „უნინ უმაღლესის ხარისხის ქალები ქოშებით დადიოდნენ, ეხლა ლაქით გაპრიალებულ პოლსაპოშკებს ეტანებთან. დაბალი ხალხი ფეხ-ტიტველი დადიოდა, ახლა ფეხ-საცმელი შემოიღეს“.¹

ჩვენ შევეცადეთ, აღგვედგინა იმ დროის თბილისში ევროპელთა საქმიანობისა და ევროპული სტილის დამკვიდრების ისტორია, რომლისთვისაც XIX საუკუნის ცნობილი გამოცემა „კავკასიკი კალენდარი“ გამოვიყენეთ. საინტერესო ფაქტია, რომ თვით ამ რუსულენოვან გამოცემას საქართველოს დედაქალაქის კლიმატი ევროპული ქალაქების კლიმატისთვის შეუდარებია, მაგალითად, კარლსრუესთვის, ტურიინისთვის, მილანისთვის, პადუასთვის, მარსელისთვის, მანჩესტერისა და სხვა ქალაქებისთვის.

1850 წლის „კავკასიკი კალენდარში“ შეტანილი ცნობილი სასტუმროების სახელებიც ევროპულია: „ვარშავული“ და „მორიჯის სასტუმრო“ გოლოვინის პროსპექტზე, „დიუბეკის სასტუმრო“ ატამანის ქუჩაზე, „ზალცმანის სასტუმრო“ კი რიყეზე (ზალცმანისვე საკუთარ სახლში). მაღევე თბილისის სასტუმროები „დრეზდენი“, „იტალია“ და სხვები შემატებია. 1894 წლისთვის თბილისში 100-მდე სასტუმრო ყოფილა, მათ შორის საუკეთესო „ლონდონი“, სადაც დიდ სასადილო დარბაზში პიანინო და სხვა ლამაზი ავეჯი მდგარა. ჟურნალის მაგიდებზე დაწყობილი ჰქონიათ უცხოური ჟურნალ-გაზეთები, ხოლო სასტუმროს დირექტორი და მომსახურეთა უმრავლესობა ევროპელები ყოფილან, რომლებიც სამ-ოთხ ენაზე საუბრობდნენ. „ლონდონის“ პირისპირ მდგარა ულამაზესი „გრანდ ოტელი“ და მირზა-რეზე-ხანის აგებული ირანის საკონსულო. სასტუმრო „ვერსალი“ მოჯთაჰედის ქუჩის დასაწყისში მდებარეობდა, რომლის მფლობელიც ირანული წარმოშობის სომეხი – მონირიანი ყოფილა.

¹ თუმცაო, წერდა მოსე ქიქოძე, „...ამგვარი ცხოვრების გადაკეთება მარტო ქართველი ხალხის ხვედრი არ არის. ეს გამოსცადა ყველა ევროპიის ხალხმა. ისინიც ერთ დროში „მცირესა ზედა კმაყოფილნი იყვნენ... ასე, რომ იმათი ეხლანდელი ცხოვრება, რომ შევადართო იმათ ორის საუკუნის წინა ცხოვრებას, გავოცდებით“. ეს ფრაზა ადასტურებს იმ მოვლენებს, რაც XIX საუკუნის მსოფლიოში თანადროულად მიმდინარეობდა. იხ.: „მნათობი“, 1870, N3.

„კავკაზსკი კალენდარ“-ის მიხედვით, 1850-იან წლებში თბილისში ყოფილა: 8 ქარავან-სარაი, 12 ტავერნა, 400-ზე მეტი დუქანი და სასამეღვინო სახლი, 18 საკონდიტრო მაღაზია და 30 ყავის სახლი. კონდიტერ ბრადენშტაინის საკონდიტრო მაღაზია ერევნის მოედანზე (კეტხუდოვის სახლებში) ჰქონია გახსნილი. ერევნის მოედანზევე (ხაზაროვის სახლებში) ყოფილა განთავსებული პელარიუსისა და ტოლეს საკონდიტროები. კომენდანტის ქუჩაზე საფუნთუშეები ჰქონიათ იოჰან პანსა (ჩაცკოვის სახლში) და ვასილი რემის (ტერ-გრიჭუროვის სახლში). 1851 წლის „კალენდარის“ მიხედვით, თბილისში მეფუნთუშეთა რიგებს ადამ პაპე და იოჰან პაპე შემატებდნენ.

1850-იან წლებში თბილისში ცნობილი მეძებვე ბატისტ ფერარი ყოფილა, ვისაც მაღაზია ერევნის მოედანზე (ერივანცოვის სახლში) ჰქონია, ხოლო ფერარის შემდეგ ძეხვეულის ახალი მაღაზია ლიუდვიგ შერონს გაუხსნია. იმ დროს თბილისში სახელგანთქმული რესტორნები ჰქონიათ გიუტისს, რომელიც ნიკოლოზის მოედანზე (ზალცმანის სახლში) მდებარეობდა და ფინკეს (ატამანის ქუჩაზე, მესხიევის სახლში). ჟან-პოლის ქვრივს კი რესტორანი გერმანელთა კოლონიაში ჰქონია გახსნილი. 1851 წელს რესტორნების სიას ლიუშეს რესტორანი შემატებია.

1860-იან წლებში თბილისელები ტკბილეულს გოლოვინის პროსპექტზე სამ ცნობილ საკონდიტროში ყიდულობდნენ: გილიეს საკონდიტროში (ციციანოვის სახლში), რენიეს საკონდიტროში (არწრუნის სახლში) და კელბერთან (ზუბალაშვილების სახლებში).

ქალაქის თავს, დიმიტრი ყიფიანს „მემუარებში“ ჩაუწერია, რომ 1820-იან წლებამდე თბილისში არავითარი საზოგადოებრივი გასართობი არ ჰქონიათ, სადაც მოხეტიალე ჟონგლიორები ანდა ჯამბაზები გაართობდნენ პუბლიკას (ყიფიანი 1930: 4). იმ დროს იშვიათად თუ გაიმართებოდა შინაური წარმოდგენები, სადაც ქალების როლსაც მამაკაცები ასრულებდნენ. იმ დროის ქალთა გასართობი, ძირითადად, წვეულებებზე გამართული ცეკვები ყოფილა, სადაც მუდამ აკლდათ ფრაკოსანი მოცეკვავე კავალრები, რადგან ახალგაზრდა ოფიცრები მუდამ ომში ყოფილან განვეულნი (ყიფიანი 1930: 5).

მოგვიანებით კი თბილისში გასართობები მომრავლებულა: ოპერა, თეატრი, ცირკი, ლიტერატურული საღამოები, საღამოობით ბალები და ცეკვები, აზარტული თამაშები – პრეფერანსი, ლოტო, ყავახანები. ამასობაში თბილისი და თბილისელები ისე შეცვლილან, რომ ახლებურ ტანსაცმელსა და „ვარშავულ ტანცაობაში“ გაერთული საზოგადოება კომედიებში გემრიელი ხუმრობით წარმოუდგენია დრამატურგ გიორგი ერისთავს.

XIX საუკუნის ბოლოს სპარს სამხედროს, ყაჯართა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელს, მაჯდ-ოს-სალტანეს ორი კლუბი დაუსახელებია, სადაც ერთში მხოლოდ რუს ოფიცრებსა და ქართველებს უვლიათ, მეორეში კი სომეხ ვაჭრებს. იმ დროის კლუბებში ნილბიან ბალ-მასკარადებს ქალებიც ხშირად სტუმრობდნენ. თბილისურ კლუბებს ჰქონიათ სავახშმო და საცეკვაო დარბაზები, სადაც გამოფენილი ყოფილა ძველი და ახალი მხატვრების ნამუშევრები, ნიგნები და სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნის ნაწარმი. კლუბებშივე იყიდებოდა ლატარიის ბილეთები (მაჯდ-ოს-სალტანე 1971: 32).

განსაკუთრებული ევროპული განწყობები მოუტანია იტალიურ ოპერას. „ცისკარი“ წერდა, რომ ირგვლივ ყველანი გაიძახოდნენ სახელებს – როსინისა, ბელინისა, ვერდისა, დონიცეტისა, ვაგნერისა და კაცს ეგონებოდა, ვახტანგ გორგასლის ქალაქში კი არა, ევროპაში ვარო. ეს კი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრნი იმ დროს ლავრენტი არდაზიანის ნაწარმოების გმირის – თამარ სოლომონის ასული მეჯღანუაშვილის მსგავსად, ოპერაში მხოლოდ ძვირფასი სამოსისა და ოქროულობის გამოსამზებურებლად დადიოდნენ („ცისკარი“, 1861, N1, N2).

1858 წელს თბილისის თეატრის „მომაჯადოებელი“ ფარდა დიდ ფრანგ მწერალს, ალექსანდრე დიუმას დაწვრილებით აღუწერია, რომლის ტექსტშიც მნიშვნელოვანი პოლიტიკური მესიჯები იკითხება. გაგარინის მოხატული ფარდის მარცხენა მხარეს გამოსახული ყოფილა რუსეთი,

მარჯვენა მხარეს კი საქართველო. რუსეთის მხარეს ჩანდა სანქტ-პეტერბურგი და მდინარე ნევა, მოსკოვი და კრემლი, ხიდები, რკინიგზა, ორთქლის გემები, ანუ ცივილიზაცია. საქართველოს მხარეს იყო თბილისი თავისი ნანგრევებითა და ციხესიმაგრეებით, ბაზრებით, კლდინი ფერდობებით, დაუმორჩილებელი მტკვრითა და მოწმენდილი ცით – პოეზია. ფარდის შუაში გამოხატული იყო კვარცხლბეკი, რომლიდანაც რუსეთის მხარეს იყო კონსტანტინეს ჯვარი, წმ. ვლადიმირის სანაწილე, ციმბირული ბენჯი, ვოლგის თევზი, უკრაინის ხორბალი, ყირიმის ხილი – ანუ რელიგია, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, სიუხვე. საქართველოს მხარეს ჩანდა საუცხოო ქსოვილები, შესანიშნავი იარაღი, თოფები ვერცხლის სამაგრებით, ოქროთი და სპილოს ძვლით მორთული ხანჯლები, მოოქროვილი ვერცხლის კულები, სადაფით მორთული მანდოლინები, სპილენძის ზანზალაკებიანი დოლები, ზურნები, ანუ მორთულობა, ომი, ცეკვა, მუსიკა. დიუმას კომენტარი თბილისის თეატრის ფარდაზე კი ასე ჟღერს: რუსეთი – პირქუში მბრძანებელი, რომელსაც თავისი სიდიადე ვერ ახალისებს, საქართველო – ბედნიერი მონა, რომელსაც თავისი მორჩილება ვერ დააღონებს (ნაჭყებია, სანიკიძე 2018).

სწორედ დიუმას აღწერილ ფარდაზე გამოსახულ ვითარებაში იბადებოდა და ძლიერდებოდა ევროპული დისკურსი. ქართველი ჰუმანიტარი ინტელექტუალები პრესის დახმარებით ერის წევრებს შეახსენებდნენ, რომ მათი წარსული და მომავალი იყო ევროპა, მაგრამ ეს ხდებოდა სიფრთხილით, ქართული იდენტობის დაცვითა და შენახვით.

იმ პერიოდის წყაროებში ასევე ვხვდებით ევროპული სიახლეების გაზიარების გადაჭარბებულ მაგალითებსაც, რასაც ხშირად კრიტიკული წერილებიც მოსდევდა. 1873 წელს „გუთნის დედა“ წერდა, რომ ევროპიდან შემოსული სიკეთეები ჩვენში ბევრს ბრმად აუთვისებია, რასაც მათთვის ზიანი მოუტანია. მაგალითად, ზოგიერთი მეტიჩარა ქართველი ევროპის ნაბადვით ეტლებით სიარულს, ჩაისა და ყავის სმას, ხავერდისა და ფარჩის სამოსს, კაკლის ავეჯით გაწყობილ მრავალთაბიან სახლებს დასჩვევია, სადაც ხშირად, თურმე, ფრანგ მზარეულებს ქირაობდნენ და ფრანგულ საჭმელს მიირთმევდნენ. ამ ხარჯიანი ცხოვრების გამო კი მიმბაძველებს ფული მალე გამოლევიათ და გაკოტრებულან. წერილის ავტორს მოდას აყოლილი ქართველებისთვის ევროპული მაგალითები მოუყვანია, რომ, ქართველებისგან განსხვავებით, ევროპაში მსგავსი ღამაზი ცხოვრებისთვის ბევრს შრომობდნენ. მაგალითად, ბერნის ახლოს, ერთ სოფელში გამართული ჰქონიათ დუქანი, სადაც მოსახლეობა ყოველ საღამოს რძისა და ნაღების სასმელად დადიოდა და თან შრატსაც იმ დუქანში ყიდულობდნენ. დუქნის მეპატრონეს სულ 5 სული ფური ჰყოლია, მაგრამ უამრავი შემოსავალი ჰქონია. ეს კი იმიტომ, რომ „ევროპელებმა კარგად იციან ძროხის ბუნება და ბუნების შესაფერად უვლიან საქონელს“ („გუთნი დედა“, 1865, N5).

პირველი ევროპული რეცეპტები XIX საუკუნეში

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ლიტერატურის მუზეუმში ინახება რეცეპტების წიგნი – „წიგნი ესე საუკეთესოთა სანოვაგეთა შაქარლამათა და სასმელთა შესამზადებელი“, რომელიც 1818 წელს სანქტ-პეტერბურგშია დაბეჭდილი. საქართველოს უკანასკნელი მეფის ვაჟმა, ბაგრატ ბატონიშვილმა ნათარგმნი რეცეპტების წიგნი პირველად რუსეთის იმპერიაში, იძულებით ემიგრაციაში გამოსცა.¹ ბატონიშვილი შესავალშივე წერს, რომ რეცეპტები მას რუსული ენიდან უთარგმნია, რაც ნიშნავს, რომ მასში ქართული რეცეპტები არ შეუტანია (ბატო-

¹ ბაგრატ ბატონიშვილის წიგნის ადაპტირებული ვერსია 2017 წელს გამოცემული აქვს „ქარჩხაძის გამომცემლობას“. 1818 წლის გამოცემის წიგნის ელექტრო ვერსია განთავსებულია ქარჩხაძის გამომცემლობის ოფიციალურ გვერდზე. იხ.: <https://karchkhadze.ge/>, ნანახია: 21.02.2022.

ნიშვილი 1818: 2).¹ ეს პირველი წიგნია, რომლითაც საქართველოში სლავური და ევროპული კერძები ბეჭდური სახით შემოვიდა.² წიგნში მოცემული რეცეპტების სია ჩვენ ასე დავაჯგუფეთ:

სლავური კერძები: სჩი საზოგადო, ბორჰსჩი, მოხარშვა ქათმისა (ლაპშა ჰქვია), ჰსჩი მჟაუნის ბალახითა, ფიროგი თევზისა სამარხვო – ქულა-ბეკა, ფიროგი კოლცი ანუ დახვეული, ღორის ხორცი ბუჭინინად, ცივების მოხარშვა, რომელსაც სტუდინს უხმობენ და სხვა.

ევროპული კერძები: ჰსჩი ღრანციცული, ვენეგრადი, კოდლეტი, სუკების შენვა (რომელსაც ბივსტევესი ჰქვია), ნარინჯის (პომერანცის) შაქრით მოხარშვა, ქლიავის ან დამასხის მოხარშვა კოროლი კლავდის შემოღებული;

სოუსები ანუ ჩიხირთმანი:³ სოუსი ანგლიური, ჩოქოლათო შაქრით მოხარშული, ფუსტულის მოხარშვა შაქარში, ნუშის შაქარალამა, ნუშის ბისკვითი, ტყის თხილი ან წიფლის ბისკვითი, ბისკვითი ფუსტულისა, ბისკვითი ჩოქოლათოსი, ბისკვითი ნაბლისა შაქრით მოხარშული, ბისკვითი ბრინჯისა, ბისკვითი ლიმონისა და ნარინჯისა, ბისკვითი რძისა ანუ ნაღბისა, ბაფლის გამოხცობა, ბაფლი იტალიისა, ხილზე დასხმული ოტკები, ვითარცა იციან ფრანცუცთა, რატაფია ატმის, კომშის, ჭერმის კურკის ან ნუშისა, თხილის, ნაბლის, წიფლის, ვარდის ფურცლის, ღვინო ნარინჯის ქერქისა, ოტკა დარიჩინის, ლიმონის, კომშის, მიხაკის, ჯავზის, ატმის კურკის, ჭერმის კურკის, თხილის ნაბლის, წიფლის, ბადიანის ოტკა, კრემსი ანუ ნაღები აქაფებული, აქაფებული რძე მაყვლით, სოუსი იტალიისა, სოუსი იტალიური ნითელი და სხვა.

ტკბილეული: ბაგრატ ბატონიშვილს ქართულ ენაზე პირველად დაუბეჭდავს დღეს ასე ცნობილი ევროპული ტკბილეულის – ნაყინისა და ჟელეების რეცეპტები: *მოროჟინას რძითა, ჟელეის გაკეთებას ახალისა ნარინჯითა, მალაგის ან მადერის ტკბილი ღვინის ჟელე, ბუდინი⁴ ავსტრიისა, ბუდინი საქსონიისა, მინდალნი რძე აქაფებული ჩოქოლათით, ბოლიმანჟი და სხვა.*

მურაბები: 1818 წლის წიგნში პირველად ჩნდება მურაბების ბეჭდური რეცეპტები და მის მოსამზადებლად „შაქრის გარდახალისების“ აუცილებელი წესებიც. XIX საუკუნის დასაწყისში სწორედ ამგვარი ტექნოლოგიით ხარშავდნენ: ჭერმის, ყაისის, ქლიავის, დამასხის, ლიმონის, კომშის, ბლის, მოცხარის, კონახურის, მაყვლისა და მარწყვის მურაბებს.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ბაგრატ ბატონიშვილის წიგნში, სქოლიოებში მითითებულმა წყარომ, საიდანაც მას ქართულად გადმოუთარგმნია რეცეპტები: „ამ შაქრების გარდახალისება მრავალ გეგარად იხილე უვრცელესად, სამზარეულოსა წიგნსა შინა, რომელიცა დაბეჭდილ არს წელსა, ჩ ყ უ ვ. რომელსა ჰქვია პოვორ კოროლევის ტომსა გ. და დ. შინ“ (ბატონიშვილი 1818: 59).⁵

ჩვენ მოვიძიეთ ბაგრატ ბატონიშვილის მიერ წიგნის სქოლიოში წყაროდ დასახელებული წიგნი „პოვარ კოროლევისკი“ („Поваръ Королевскій или Новая Поварня, приспешная и кондитерская для всехъ состояній; съ показаніемъ сервированія стола отъ 20 до 60 и больше блюдъ и наств-

¹ წიგნის შესავლიდან ვიგებთ, რომ ცენზურა ტექსტს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო კოლეგიაში გაუვლია, „ნადვორნი სოვეტნიკის“ – გოდერძი ფირალოვის მონაწილეობით, ხოლო ბეჭდვის ზედამხედველობა კი ქართველი აზნაურის, გიორგი ელიოზოვის მიერ განხორციელებულა. წიგნს ყდაზე აწერია ფასი: ერთი რუბლი თეთრი ფულით.

² მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ წინაშეა ქართულ ენაზე გამოცემული პირველი სამზარეულო წიგნი, რომელიც „არა იყო ქართულსა ენასზედა აქამდე“ – ე.ი. 1818 წლამდე, მას პირველ ქართულ სამზარეულო წიგნად ვერ ჩავთვლით, რადგანაც მასში ქართული კერძები არ შედის.

³ ბაგრატ ბატონიშვილის ეს განმარტება მიუთითებს, რომ ჩიხირთმა ყოფილა სოუსის/წვნიანის ერთ-ერთი განმარტება.

⁴ იგულისხმება პუდინგი.

⁵ 79-ე გვერდზე უწერია: „იხილე რუსთა სამზარეულოთა წიგნთა შინა, რომელსა ჰქვია პოვორ კოროლევა“ (ბაგრატიონი 1818: 79).

леніємъ для приуготовленія разныхъ стедей; Сочиненная на французскомъ языке и переведенная съ послѣдняго изданія. Москва, Въ Типографіи Селивановскаго, 1816“).¹ როგორც წიგნის ამ ვრცელი სათაურიდან ჩანს, ვასილ სელივანოვსკის სტამბაში გამოცემული წიგნის პირველწყარო ფრანგული წიგნი ყოფილა, რომელიც რუსულ ენაზე უთარგმნია თავისი დროის ცნობილ ერუდიტს ვასილი ლიოვშინს, რომელიც ყოფილა ტულის მიწის მესაკუთრე, სახელმწიფო მრჩეველი, ბელვესკის მხარის მოსამართლე, პეტერბურგის თავისუფალი ეკონომიკური, ფილანტროპთა და ლიტერატურის მოყვარულთა საზოგადოებების წევრი, ასევე საქსონური ეკონომიკური საზოგადოებისა და ნეაპოლის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.²

ბაგრატ ბატონიშვილის წიგნის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, საკმარისია გავიხსენოთ იმ პერიოდის – 1810-იანი წლების ვითარება საქართველოში, რომელიც თბილისში ჩამოსულ რუსეთის დიპლომატიური აგენტის ცოლს, ფრედერიკა ფონ ფრეიგანგს აღუწერია: „ტფილისი წარმოადგენს ნანგრევებს, სადაც შიშველი კედლებია გამოშვერილი, ეს არის ალა მაჰმად ხანისა და მისი ჯარის უკანასკნელი დარბევის სამუშაო დეგლი. ქალაქი გარშემორტყმულია ციხის გალავნით, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მდინარის ნაპირი...“ („ლიტერატურული საქართველო“, 1938, N9).

მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის ათიან წლებში თბილისის ბაზარში იშოვებოდა ყოველგვარი სურსათ-სანოვარე და სავაჭრო საქონელი: ძვირფასი ირანული ქსოვილები, ხალიჩები, შალეები, აბრეშუმი, ფირუზები და სხვა ძვირფასეულობა; დუქნების გასწვრივ აკიდობად ეკიდა ყურძენი, ბროწეული, კომში, სხვადასხვა ხილი და ბოსტნეული. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 60-იან წლებში ფრანგი მოგზაური პეისონელიც წერდა, რომ თბილისის ბაზარზე ირანული ყველანაირი საქონლის ყიდვა იყო შესაძლებელი, რომელიც შემახიდან, განჯიდან, თავრიზიდან, ერევნიდან, არზრუმიდან ჩამოჰქონდათ (ნაჭყებია, სანიკიძე 2018: 314).

ბაგრატ ბატონიშვილის ნათარგმნი წითელი იტალიური სოუსის, ფრანციცული წვნიანის, ნაბლის ბისკვიტისა და ლიმონის რატაფიის რეცეპტები აზიური ყაიდით დალდასმულ თბილისში ნამდვილად წარმოადგენდა ევროპასთან მაკავშირებელ ძაფს.

ევროპული რეცეპტები XIX საუკუნის ქართულ პრესაში

ბაგრატ ბატონიშვილის წიგნის გამოცემიდან 34 წლის შემდეგ, 1852 წელს, ევროპული სამეურნეო რჩევებისა და რეცეპტების ბეჭდვა პირველ ქართულ ლიტერატურულ ჟურნალ „ცისკარს“ განუახლებია. ჟურნალის პირველივე ნომერში, პოეზიის („ლექსთ თხზულება“) და პროზის შემდეგ, რუბრიკაში – „სწავლა და ხელოვნება“, მთავარ რედაქტორ გიორგი ერისთავს ახალი რუბრი-

¹ ლიოვშინს ასევე გამოუცია კულინარიული ლექსიკონი, სადაც ნათლად ჩანს, რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმ პერიოდის რუსეთის იმპერიაში სხვადასხვა ევროპული რეცეპტის თარგმნას, იხ.: Лёвшин В.А. „Словарь Поваренный, Приспешничий, Кандиторский и Дистиллаторский, Содержащий по Алфавитному Порядку Подробное и Верное Наставление к Приготовлению Всякаго Рода Кушанья из Французской, Немецкой, Голландской, Испанской и Англинской Поварни; Пирожного, Десертов, Варений, Салатов, Вод, Эссенций, Ратафий, Ликеров; Двоению Водок, И Пр.; Также к Учреждению Стола с Планами, Подача, Услуги и Проч. И с Присовокуплением в Особливых Параграфах Полной Мещанской Поварни и Новой; Равным Образом Поварен Австрийской, Берлинской, Богемской, Саксонской и Русской“, том. 2, Москва, Въ Университетской Типографіи, у Хр. Ридигера и Хр. Клаудия 1795-1797 Г.

² ბაგრატ ბატონიშვილის მსგავსად, ლიოვშინიც დაჯილდოებული ყოფილა ანას II ხარისხის ორდენით. მას ეკუთვნის 80-ზე მეტი წიგნი ეკონომიკურ თემებზე და თარგმანები ფრანგული, გერმანული და იტალიური ენებიდან. მას შეუდგენია სახლის აფთიაქი, შინაურ ცხოველთა მოვლის წესები, ნადირობისა და თევზაობის ხალხური მეთოდები და სხვა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1818 წელს ბაგრატ ბატონიშვილს არა მხოლოდ სამზარეულო წიგნი, არამედ რუსული ენიდან გადმოუღია და დაუბეჭდავს სხვა წიგნიც: „სამკურნალო ცხენთა“, სადაც შეუტანია ძროხის, ხარის, ღორის, თხის, ცხვრის და ფრინველთა წამლობაც. ამ წიგნის თარგმნისას, სავარაუდოდ, ბატონიშვილს ლიოვშინის წიგნებიდან უნდა ესარგებლა.

კა – „სოფლიური სახლის პატრონობა“ დაუმკვიდრებია, სადაც სხვადასხვა ენიდან ნათარგმნი რჩევებისა და რეცეპტების ბეჭდვა გადაუწყვეტია.¹

თვალში საცემია გიორგი ერისთავის ღვაწლი საქართველოში ევროპული კულტურის პოპულარიზაციაში. პირველად სწორედ მას უთარგმნია *პეტრარკას, ბერანჟეს, შილერისა და ჰიუგოს* შემოქმედება. ისტორიკოსი ილია ფერაძე 1919 წელს გიორგი ერისთავზე გამოცემულ წიგნში წერდა: „*გორონცოვის დროზე ადრე ქართველ მოწინავე გვამებმა შეიგნეს, რომ ქართველ ხალხს იხსნის დაღუპვისაგან ევროპის კულტურის მიღება და შეთვისება, გაეგროპიელება, ისე კი რომ ყოველივე ეს მოხდეს ევროპის ნააზრევის ქართულ ნიადაგზე გადმონერგვით...*“ (ფერაძე 1919: 11). გიორგი ერისთავმა ჩვენს ცხოვრებაში შემოიტანა ახალი იდეები, ახალი ჟანრი და ახალი პერსპექტივა, რადგან 1832 წლის შეთქმულების შემდეგ პოლონეთში გადასახლებამ ერისთავის მსოფლმხედველობა შორს გასწია, წერდა ვახტანგ კოტეტიშვილი (კოტეტიშვილი 1965: 185).

საინტერესოა, რომ 1832 წლის შეთქმულებაში მხილებული გიორგი ერისთავის ვილნოში გადასახლების წლებს ემთხვევა პოლონეთში სამზარეულო და სამეურნეო თემების მიმართ გაზრდილი ინტერესი და პირველი სამზარეულო წიგნების გამოცემა.² შესაბამისად, ლიტერატურულ ჟურნალში გაჩენილი რუბრიკა – „სოფლიური სახლის პატრონობა“ ევროპული გავლენით შექმნილი რუბრიკა უნდა ყოფილიყო და არა შემთხვევითობა. შემთხვევითი არც ის უნდა ყოფილიყო, რომ სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის დღიურების ბეჭდვა ერისთავის „ცისკარში“ დაუწყიათ, რაც რუსეთის გუბერნიად ქცეული სამშობლოსთვის ევროპასთან ისტორიული კავშირების შეხსენებად უნდა ვაღიაროთ.

„ცისკრის“ პირველივე ნომერში დაუბეჭდავთ წერილი „გაკეთება ღვინისა ევროპულ გვარად“, სადაც ქართველი მეღვინეებისთვის, „უფალი ხერპენის“ რჩევების მიხედვით, ღვინის ევროპული წესით დაყენება შეუთავაზებიათ.³ ღვინის თემები რედაქტორს „ცისკრის“ მეორე ნომერშიც გაუგრძელებია და ამჯერად მკითხველისთვის „უფალი ებერსტაუდის მეთოდით ქართული თეთრის ღვინისგან „ვენგერულის მგზავსი“ ღვინის დაყენების წესები მიუწოდებია. ამავე ნომერში შეუტანიათ კონარის ღვინისა და შამპანურის გაკეთების რეცეპტებიც.

1852 წლის „ცისკრის“ მესამე ნომერი თავად რედაქტორის „პოლშური“ ლექსების ციკლით დაწყებულია: „ბაღჩი-სარაია“, „პატოცკას საფლავი“, „გარემსა საფლავნი“, „სიმღერა მაზურკის ხმა“. ამავე ნომერში გამოუქვეყნებიათ მეფე ვახტანგის, თეიმურაზ პირველისა და სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებებიც, მათ გვერდით კი თავად გიორგი ერისთავის სახელითაა დაბეჭდილი მურაბების რეცეპტები: მურაბებისთვის წინასწარ სიროფის მოდულების წესები, ჟოლოს, ალუბლის, ვარდის, კონახურის, ვაშლის, მსხლისა და ყურძნის მურაბების მომზადების წესები, ასევე მურაბა უწყლოდ (მშრალი) და კომშის ჟელეს რეცეპტები. მომდევნო ნომერში გამოქვეყნებულია კასრში ხორცის დამარილების რჩევები დაფნის ფოთლით, ღვითა და გვარჯილით; იქვეა მიხაკითა და „ანგლიური პილპილით“ ბატის ძმარში მომზადების რეცეპტიც („ცისკარი“, 1852, N4).

¹ არჩილ ჯორჯაძე წერდა, რომ საზოგადოებრივ ჟურნალში ამგვარი რჩევა-დარიგებები პუბლიცისტური წერილების მაგივრობას გვინევს, რადგან შეუდარებელი სიზუსტით ახასიათებს იმდროინდელ საზოგადოებრივ ვითარებას (ა. ჯორჯაძე 1914: 11).

² იხ.: Kasprzyk-Chevriaux, M., 19-th Century Polish Women's Cookbooks: The Hatching of a Social Monster (November 23, 2018), <https://culture.pl/en/article/19th-century-polish-womens-cookbooks-the-hatching-of-a-social-monster>, ნანახია: 21.10.2022; Kasprzyk-Chevriaux, M., Antique Cookbooks: The Meals of Poland's Past (November 05, 2019), <https://culture.pl/en/article/antique-cookbooks-the-meals-of-polands-past>, ნანახია: 02.02.2023.

³ ამავე წერილში მწერალ ერისთავს მკითხველისთვის ღვინის დანმენდის საკუთარი გამოცდილებაც გაუზიარებია, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ იმ დროს მწერალიცა და მეურნეც, ყველანი მისდევდნენ შინაური ღვინის დაყენებას („ცისკარი“, 1852, N1).

1861 წლის 15 დეკემბერს „ცისკრის“ ბაზაზე პირველი ორკვირეული აგრონომიული გაზეთი „გუთნის დედა“ გამოუციათ, რომლის მიზანიც საქართველოს მეურნეობაში მეცნიერული ცოდნის დანერგვა და ევროპეიზაცია ყოფილა (ჯოლოგუა 2013: 111). „გუთნის დედის“ პირველივე ნომერში სარედაქციო წერილი დასავლეთევროპული გამოცდილებისთვის მიუძღვნიათ, რაც სამაგალითო უნდა გამხდარიყო ქართველთათვის: „ორმოცდა ათი წელიწადია მას აქეთ, როდესაც დასავლეთის ევროპაში მიხვდნენ, რომ მიწის შემუშავების წარმატებისათვის საჭიროა ჰსწავლის საგნები და მრთელი ხალხი ამის მიხედვით უყურებდნენ საქმეს და გამობატულეებას, ანუ როგორც ახლა ანბობენ, გამოცდილებას და ჰსწავლას: ამ სახით მტკიცედ და სიჩქარით მომდინარეობდნენ წარმატების გზაზედ“ („გუთნის დედა“, 1861, N1).

„გუთნის დედა“ წერდა ყველაფერზე, რაც კი რამ იმ დროს საინტერესო უნდა ყოფილიყო სამეურნეო საქმეში ჩაბმული მკითხველისთვის. გაზეთში დაბეჭდილი ტექსტების შესწავლისას მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ყოველ ნომერში საგანგებოდ მოჰყავდათ ევროპული მაგალითები. მაგალითად, გაზეთი მკითხველს მოუწოდებდა, რომ, შორ გზებზე ქართული ღვინის უვნებლად გასაგზავნად, ფრანგებისგან ესწავლათ, უვნებლად როგორ ჩამოჰქონდათ საქართველომდე ბორდოსა თუ ბურგუნდიის ღვინოები: „სხვა ქვეყნების ღვინოც ნახდებოდა უეჭველად, თუ იმასაც იმგვარად ამგზავრებდნენ, როგორც აქაურ ღვინოებსა... ბურგონის და ბორდოს ღვინოს აქ ვხედავთ დაწმენდილსა და დაანკარებულსა... დიდი საქმე არ არის ღვინის დაწმენდა, მაგრამ მაინც ნახვა და სწავლა უნდა“ („გუთნის დედა“, 1863, N1).

1863 წელს „გუთნის დედის“ ერთ-ერთი ნომერი მთლიანად დაუთმიათ წერილისთვის „შვეიცარიის ყველის გაკეთება“, სადაც, ყველის რეცეპტის გარდა, დაწვრილებით აღწერილია შვეიცარიის სამეურნეო წარმატებებიც: „რაც ევროპაში ქვეყნებია, არც ერთი ისე არა ჰგავს ჩვენს მხარესა, როგორც შვეიცარია; ... ბუნება თითქო ერთია აქაცა და იქაცა, მაგრამ ხალხის მოქმედებასა, ხელოვნობასა, სარჩოსა არა აქვსთ არაფერი მსგავსება. კლდე კარიანობამ ვერ დაუშალა შვეიცარიას შემოტანა და მიღება ვერცა ერთის განათლების იმ ნაყოფებისა, რომელნიცა აქვსთ სასიქადულოდ ევროპეელებსა“ („გუთნის დედა“, 1863, N12). იმ პერიოდში საქართველოში პრუსიის ქვეშევრდომს, ბარონ ალექსანდერ ფონ კუჩენბახს, სკოლის მეგობრის – ვერნერ სიმენსის რჩევით, შვეიცარიიდან საქართველოში ერთი ოჯახი მოუწვევია, ვისაც თან შვეიცარიულ ყაიდაზე ყველის გასაკეთებლად ყველა საჭირო იარაღი ჩამოუტანია და ყველისა და ერბოს მზადება დაუწყია („გუთნის დედა“, 1863, N6). გაზეთი წერდა: „ამ სასიამოვნო ანბავს ვაცნობებთ ყოველს მამულის მომვლელს, იმ იმედით, რომ მიაქცევენ ყურადღებას ამ ახალს შემოღებას და თვითონაც იმის მიხედვით შეუდგნენ შვეიცარიის ყველის გაკეთებას“.1 ბარონ კუჩენბახს ყველის ქარხანა ჯერ თბილისთან ახლოს, შემდეგ კი დმანისთან ახლოს, სოფელ მამუთლოში გაუხსნია.2

შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ შვეიცარიული ყველისთვის ერთი მთლიანი გაზეთის დათმობა შემთხვევითობა არ ყოფილა. ამ ფაქტის უკან მყარად იდგა ქართველთა ფავორიტი ევროპული ქვეყნის – შვეიცარიის მიმართ სიმპათია. მოგვიანებით, „ივერიის“ თანამშრომელი, პუბლიცისტი იაკობ მანსვეტაშვილი თავის წიგნში წერს, რომ იმ დროის ახალგაზრდებს შვეიცარია „ალექმის ქვეყნად“ ეხატებოდათ და ჟენევის ნახვასა და იქ ცხოვრებას ისე ნატრობდნენ, „როგორც მართლმორწმუნე მაჰმადიანი მექაში წასვლას“ (მანსვეტაშვილი 1936: 10).

¹ ეთნოგრაფ თამილა ცაგარეიშვილის თქმით, ეს ფაქტი წარმოადგენდა თრიალეთის სუბალპურ ნოყიერ საძოვრებზე კავკასიის მასშტაბით რძის მრეწველობის ახალი დარგის, შვეიცარიული ყველის წარმოების ჩამოყალიბებას. იხ.: ცაგარეიშვილი, თ., „რძის მეურნეობა ქვემო ქართლში“, ჟურნალი „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის“, 1978, ნაკვეთი XIX, გვ. 59.

² მამუთლო 1949 წლამდე ერქვა სოფელ მთისძირს ქვემო ქართლის მხარის, დმანისის მუნიციპალიტეტში. სოფელი მდებარეობს ზღვის დონიდან 1350 მეტრზე, დმანისიდან კი დაშორებულია 5 კილომეტრით.

ამის კარგი მაგალითია, ჟენევაში გაზეთ „დროების“ სპეციალური კორესპონდენტის 1871 წელს გამოქვეყნებული რეპორტაჟები, სადაც მას შვეიცარიელების დამატებითი განათლების შესახებ უმსჯელია. გაზეთი წერდა, რომ შვეიცარიის მმართველობა სხვადასხვა კანტონიდან პროფესორებს ეპატიჟებოდა და ყოველწლიურად უფასო ლექციებს ატარებინებდა. მოწვეული პროფესორები სამეცნიერო საგნებს „მდაბიურად“ – ყველასათვის გასაგებ ენაზე კითხულობდნენ. ქართველი კორესპონდენტი ჟენევაში თავად დასწრებია ლექციების ციკლს, რომელიც ოთხი განსხვავებული საგნის – ფიზიკის, ასტრონომიის, ესთეტიკისა და თაღმუდის საკითხებს შეიცავდა. საინტერესოა კი ის ყოფილა, რომ ლექცია ლექციისთვის კი არ ჩატარებულა, არამედ მსმენელთათვის პრაქტიკაში გამოსადეგი დასკვნები მიუციათ. მაგალითად, ესთეტიკის შესახებ ლექციაზე პროფესორ რეიმონდს არა მხოლოდ ისტორიაზე, არამედ, ძველი ბერძნებიდან მოყოლებული, თანამედროვეობამდე, არქიტექტურის, ქანდაკებისა და მხატვრობის სტილის გაუმჯობესების გზებზე უსაუბრია. პოლიტიკური და სამოქალაქო კანონების შესახებ ლექციები იმ დროს სახელმწიფო მრჩეველს, ფაზის ჩაუტარებია. მას ჯერ შვეიცარიის რესპუბლიკის ისტორიაზე უსაუბრია, შემდეგ კი მაგალითები მოუყვანია წინაპართა შრომასა და დაღვრილ სისხლზე, რითაც შვეიცარიელებს იმჟამინდელი წყობილებისთვის მიუღწევიათ. ქალთა უფლებებზე ლექცია გარიბალდის თანაშემწე ქალს ჩაუტარებია, რომელსაც პრუსიისა და საფრანგეთის ომის დროს კოგეზის არმიაში შტაბის უფროსად უმუშავია. „დროების“ ქართველი კორესპონდენტი წერდა, რომ შვეიცარიაში თავისუფალ ლექციებს ზღვა მსმენელი ჰყავდა, რაც მეტყველებდა იმაზე, თუ „...რამდენად ჩანერგილი არის ჟენეველების გულში თავის მამულის სიყვარული და რამდენად აფასებენ და პატივსა სცემენ ისინი თავის მამა-პაპას, რომელთა სისხლი ასე ხშირად იღვრებოდა ამათი სამშობლოს თავისუფლებისათვის“.¹ იქაურ უფასო ლექციებს არა მხოლოდ ბეჯითი სტუდენტები, არამედ კირით დასვრილი კალატოზები და საღებავით დათხვრილი მღებავებიც ესწრებოდნენ, რომლებიც ყურადღებით ისმენდნენ ლექციებს კოპერნიკის სისტემებსა და ესთეტიკის კანონებზე. „დროების“ კორესპონდენტი წუხდა, რომ მაშინ ჩვენში მღებავებსა და მუშებს კი არა, თავადიშვილებსაც არ სცოდნიათ არამც თუ კოპერნიკის სისტემები, ტერმინები „ეკლიპტიკა“ ან „ეკვატორი“ პირველ თავ საჭმელად მიაჩნიათ („დროება“, 1872, N7).² ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ განათლების შვეიცარიული მოდელი მისაბადი უნდა გამხდარიყო ქართველთათვის, ისევე, როგორც სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლა.

ევროპაზე, ევროპულ გამოცდილებაზე ბევრს წერდა „სასოფლო გაზეთიც“, სადაც მის მთავარ რედაქტორს, გიორგი წერეთელს სპეციალური რუბრიკა „საოჯახო ცნობები“ მოუფიქრებია და უცხოური რეცეპტების შესანიშნავი კოლექციაც შეუქმნია.

მაგალითად, 1868 წლის „სასოფლო გაზეთის“ ერთ ნომერში ერთად გამოუქვეყნებიათ შემდეგი რეცეპტები: *ნემეცური მძეხვი კნაკურსტ, ბოლონიის მძეხვები, ლაკოტლინი ანუ ნაღები პარაშოკად გაკეთება, მომზადება შვიცარიის ყველისა, ყველი ჩესტერისა (ანგლიური), ყველი ანგლიურის სტილტონის გემოსი, პოლკეზე, კარტოფილის ყველი, მოხარშული ყველი მანვნისგან და სხვა* („სასოფლო გაზეთი“, 1868, N28).

ჩვენ ასევე დავამუშავეთ რეცეპტების ტექსტები და ის უცხოური ინგრედიენტები, რის შოვნაც შესაძლებელი ყოფილა XIX საუკუნის საქართველოში. მაგალითად მოვიყვანთ შემდეგ რეცეპტს:

¹ იხ.: „დროება“, 1872, N7.

² „დროების“ სხვა ნომრებიდან ჩანს, რომ 1870-იან წლებში საჯარო ლექციებს ნელ-ნელა ფეხი თბილისშიც აუდგამს. მაგალითად, თბილისის „კრუჟოკის“ დარბაზში ახალგაზრდა მეცნიერს, მედიცინის დოქტორ ივანე თარხნიშვილს საჯარო ლექცია ცხოველთა ქცევებში ნერვების მნიშვნელობის შესახებ წაუკითხავს. ლექციას ოთხასამდე მსმენელი დასწრებია და ყველა კმაყოფილი დარჩენილა, თუმცა თარხნიშვილის ლექცია ფასიანი ყოფილა და ოთხ ლექციაზე დასწრება 1 მანეთი ღირებულა („დროება“, 1871, N42).

ყველი ანგლიურის სტილტონის გემოსი

შვეიცარიის ძველი, გამხმარი ყველი, მაგრამ წამხდარი არ იყოს, ხრენის საფხეკზედ დაფხიკეთ, გარე კანიცა. დაასხი ზედ კარგი იამაიკის რომი, და პროვანსკის ზეთი იმდენი, რომ ქაშასავით გამოვიდეს ბანკაში, ბანკაში ჩადევით და პირი მაგრა მოჰკარით; ჩვენი ყველიც შეიძლება, მეცადე. რეცეპტში ჩანს, რომ ინგლისური ყველის, „სტილტონის“ მოსამზადებლად საჭირო ყოფილა იამაიკური რომი და პროვანსული ზეთი.

1871 წელს „სასოფლო გაზეთს“ საინტერესო წერილი დაუბეჭდავს – „ევროპის ოჯახობის სურათი“, სადაც ავტორს მკითხველისთვის დამაჯერებლად აუხსნია გერმანიის მეურნეობაში მიღწეული წარმატებების მიზეზები. გაზეთი წერდა, რომ იმ დროს გერმანიაში, საქართველოსთან შედარებით, ძალზედ დანიშნულებული ყოფილა: მინის ხელობა, კანონები, გზები, სახლები, ბაღები და ა. შ. გაზეთს დაუსვამს კითხვა: „რათი მიეცა ამისთანა წარმატებას გერმანიის მეურნეობა?“. წერილის ავტორს თავადვე გაუცია პასუხი: ამის მიზეზი თვითონ მინის მუშაკების ხასიათი ყოფილა, იმათი გულმოდგინეობა და მოთმინება, მეორე კი მინის ხელობის კარგი ცოდნა და კარგი სამეურნეო იარაღები. წარმატების მესამე მიზეზი კი იქაური საზოგადოების გაერთიანებული შრომა ყოფილა: „იმათ იციან ამხანაგობით საქმის დაწყება და ეს ძალიან ხელს უწყობს ყოველ საქმეს“ („სასოფლო გაზეთი“, 1871, N6).

ამ ქვეთავის დასკვნა ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ პრესაში ევროპული გამოცდილებისა და რეცეპტების მიმართ ინტერესი აწმყო დროის ნაკარნახევი თემატიკაა. ეს საკითხები ფეხდაფეხ მისდევს პროევროპულ სხვა ნარატივებს, რომელიც აშკარად გამოხატავს კულტურული ელიტის დასავლურ არჩევანს. რაც მთავარია, სხვადასხვა თემაზე შექმნილი პროდასავლური ტექსტების გვერდით დგას ქართულ ენაზე ნათარგმნი ევროპული რეცეპტებიც.

ბარბარე ჯორჯადის ევროპული რეცეპტები

1874 წელს გამოცემულ პირველ ქართულ სამზარეულო წიგნს სათაურად „ქართული სამზარეულო“ ჰქვია, რომელსაც ყდაზევე აქვს ქვესათაური: „დამატებით ზოგიერთთა რუსულთა საჭმელთა“. წიგნის სარჩევი ორად არის გაყოფილი: ქართულ და რუსულ საჭმელებად, თუმცა წიგნის ნაწილების ეს დასათაურება ავტორის სურვილით არ უნდა მომხდარიყო. თავად ავტორს წიგნის შესავალში დაუწერია, რომ, საქართველოში გავრცელებულ საჭმელთა გარდა, კრებულში რამდენიმე სახელდახელო ევროპული საჭმელიც შეუტანია: „...აქვე დავსძინე რაოდენიმე ევროპიული სახელ-და-ხელო საჭმელებიც“ (ჯორჯაძე 1874: 2). მიუხედავად ამისა, წიგნის ყდაზე მითითებულია: „დამატებით ზოგიერთთა რუსულთა საჭმელთა“. როგორც ჩანს, ჯორჯადის შესავალ წერილში ნახსენები სიტყვა „ევროპიული“ ცენზორს ყდაზე „რუსულად“ გადაუკეთებია.

ჯორჯაძეს წიგნში „ევროპიული“ კერძების ნაწილში შეუტანია 11 წვნიანის რეცეპტი: წითელი ბულიონი, წმინდა ბულიონი, სუპი ხბოსი, გოჭის სუპი, ბორშჩი, მჭაუნის შჩი, ბორშჩი, ბორშჩი (მეორენაირი), შჩი, სუპი პომპადურით, ხორცის აკროშკა; ასევე 4 სოუსის რეცეპტი: თეთრი სოუსი, თეთრი სოუსი კატლეთისათვის, წითელი სოუსი და ხრენის სოუსი. ცალკეა მოცემული ქვესათაური – „შემწვრები“, სადაც დაბეჭდილია 5 რეცეპტი: როზბიჭი, ბივშტეცსი, ჟარკოი, ცხვრის ბადე ანუ ჭაჭა გატენილი, ინდოური შემწვარი გინა ქათამი.

ჯორჯაძეს ცალკე შეუქმნია ქვეთავი „ტკბილეულობა“ და შეუტანია 8 რეცეპტი: სირნიკი, პუდინდი, ტორტი ნუშისა, ტორტი ნაღებისა, ტორტი, ვაფლი, ტრუბუჭკა, ბისკვითი. ხოლო განყოფილებაში, სახელად „ვაშლისა და რძისა“, ჩაუსვამს 9 რეცეპტი: ვაშლის კომპოტი, ვაშლის კრემი, კრემი უმი ნაღბისა, კრემი ყავისა, კრემი ყავისა ორთქლით, ლიმონის ჟილეი, ნესვის ჟილეი, მაროჟინა ნაღბისა, მაროჟინა ნაღბისა და ყავისა.

რეცეპტების ტექსტების შესწავლისას ჩვენი მიზანი იყო უცხოური ინგრედიენტების ამოკრება, რომელიც 1874 წლის სამზარეულო წიგნის მკითხველისთვის უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი. მაგალითად, ჯორჯიის წიგნში ერთ-ერთი პუდინგის რეცეპტის ინგრედიენტად საჭირო ყოფილა პორტუგალიური ღვინო მადეირა. „ვაშლის კომპოტის“ რეცეპტში კი ემატებოდა დარიჩინის ჯოხი, ვანილის ჩხირი, მიხაკი და უცხოეთიდან შემოტანილი სხვა ინგრედიენტები.

1891 წელს კი თბილისში, ჩარკვიანის სტამბაში გამოუციათ რეცეპტების წიგნი: „სრული სამზარეულო ქართული და ევროპული საჭმელები“ (ქართველთა ამხანაგობის გამოცემა N 7). 500-გვერდიანი წიგნი, რომელშიც 871 რეცეპტია შეტანილი, რამდენიმე თავისგან შედგება, რომლებიც ასევე ქვეთავებად – ევროპულ და ქართულ ნაწილებად არის დაყოფილი.

სარჩევის შინაარსის ამგვარად დაყოფა და კერძების მხოლოდ „ევროპულად“ დასათაურება გამომცემელთა აშკარა მიზანმიმართულ ნაბიჯს ჰგავს, რადგან მასში, ქართულისა და ევროპულის გარდა, მოცემულია რუსული და სხვა ქვეყნების რეცეპტებიც. მიუხედავად ამისა, წიგნის ყდასა და სარჩევში მითითებულია მხოლოდ „ქართული“ და „ევროპული“. თავად რეცეპტების სათაურებში კი მოცემულია რეცეპტის წარმოშობის ქვეყნის სახელიც, მაგალითად, წიგნის პირველ განყოფილებაში, რომელიც 1-54 გვერდებს მოიცავს, შეტანილია ქართული წვნიანების 20 რეცეპტი, ხოლო ევროპული წვნიანების ნაწილში 40 რეცეპტი: იტალიური სუფი მაკარონით, ფრანგული სუფი მწვანე ხაჭაპურისა, ნაღების საცივი ვანილით, პოლშური შჩი, ბოტვინია, მწვანე შჩი ჭინჭრისა, მჟაუნის შჩი, მჟავე კომპოტოს შჩი, მალაქოვსკი ბორშჩი, სუფი პიურე ისპანახისა და მჟაუნისა, სუფი პიურე კურდღლისა ან გარეული ფრინველისა, სუფი პიურე მწვანე ლობიოსი, სუფი პიურე პომიდორისა, სუფი პიურე კარტოფილისა, სამარხვო აკროშკა, ხორცის აკროშკა და სხვა. ჩამოთვლილ სიაში ჩანს, რომ მსახდრელი „ევროპული“ მორგებული აქვს მალაქოვსკი ბორშჩსა და რუსული სამზარეულოს კერძ „ბოტვინიასაც“.¹

წიგნის II განყოფილებაში (გვ. 54-65) მოუთავსებიათ სხვადასხვანაირი საწებლის რეცეპტები: ერბოსი და ფქვილის მომზადება თეთრი საწებლისათვის, დამწვარი შაქარი მუქი საწებლისათვის, ფქვილის მომუშვა საწებლისათვის, მარახოში (მომჟავო) საწებელა ქიშმიშით ენისთვის, თართისვის, ხბოს ფეხებისთვის, მარახოში საწებელა ხახვისა, წითელი ღვინის საწებელა პუდინგებზე დასასხმელად, ალუბლის და ქლიავის საწებლები პუდინგზე მოსასხმელად, შოკოლადის, რძის, ვანილის საწებლები პუდინგისთვის, ბრინჯის რძე მახახისთვის და პუდინგისთვის, ვაშლის საწებელა და სხვა.

III განყოფილება (გვ. 63-83) ეთმობა „წვანეულობას“; ეს განყოფილებაც დაყოფილია ორ ნაწილად: ქართულად და ევროპულად. ქართულში მოცემულია 7 რეცეპტი, ხოლო ევროპულ ნაწილში კი 13 რეცეპტი: მასედუანი მწვანე ხაჭაპურისა, ჟორჟინიორი, ნორჩი კარტოფილი, კარტოფილი რძის საწებელათი, შემწვარი გოგრა, მომუშული ვაშლი შემწვრისთვის და სხვა.

წიგნის შინაარსის მიხედვით, დიდი ინტერესი ჩანს პუდინგებისა და დესერტების მიმართ. მაგალითად, VI განყოფილებაში მოცემულია 25 პუდინგის რეცეპტი: პუდინგი ბისკვიტის მაგვარი, ტკბილი პუდინგი მურაბით, ბისკვიტის პუდინგი ლიმონით ან ფორთოხლით, პლუმ-პუდინგი, ინგლისური პუდინგი ძვლების ტვინით, ლაიბლის, ქლიავის, ვაშლის, შოკოლადის, ღვინის, მაკარონისა და სხვა პუდინგები. აქვეა შეტანილი მთელ-მთელი ვაშლის ღვეზელი მერინგითა (ბეზე) ან ბისკვიტის ცომით, ვაშლის ღვეზელი a la reine, სუფლე ვანილით, ლიმონის სუფლე და სხვა.

¹ რუსული სამზარეულოს მკვლევრები წერენ, რომ რუსეთის იმპერიაში ბოტვინიას პოპულარობის პიკმა XIX საუკუნეში მიაღწია და მას „წვნიანების დედოფალს“ უწოდებდნენ. ბოტვინია ცივი წვნიანია, რომელსაც პურის კვასისგან ამზადებენ. მისი მთავარი ინგრედიენტია ჭარხლის ფოთლები (Ботва) და ბალის ახალი მწვანე ხაჭაპური. მას მიირთმევენ შებოლილ თევზთან ან კიბორჩხალებთან ერთად. ძველად სუფრაზე ბოტვინიას გამოჩენა მიუთითებდა, რომ სუხიანი ზამთარი დასრულდა და დაიწყო თბილი და მცენარეებით სავსე გაზაფხული.

VIII განყოფილების 30 გვერდი ეძღვნება: ნაყინების, კრემების, ზეფირების, რძის კრემების, ბლომანჟეების და მჟავე ფაფების (ფრჩხილებში – კისელი) რეცეპტებს. მაგალითად, წიგნში შეტანილია: *მოროჟენი ნაღებისა, ნაღების მოროჟენი ყავიანი, ნაღების მოროჟენი შოკოლადნი, ნაღების მოროჟენი (ფრჩხილებში – crême brulee), მაროჟენი ნესვის, კონახურის, ლიმონის, ფორთოხლის და სხვა*. აქვე მოცემულია პუნში გლასეს (ფრჩხილებში – *Glace*). კრემების განყოფილებაში სხვადასხვანაირ კრემს შორის მოცემულია კრემი ბრულეს რეცეპტი.

1891 წელს გამოცემული სამზარეულო წიგნიდან ჩანს, რომ XIX საუკუნის ბოლოს ევროპული სამზარეულოს მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაზრდილა და, წინა წიგნებისგან განსხვავებით, სარჩევში ახალი უცხოური რეცეპტებიც დაუმატებიათ.

ევროპული რეცეპტების გარდა, XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში მკვიდრდებოდა ევროპული სერვისებიც. მაგალითად, 1890 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი რეკლამა იუწყებოდა, რომ ქალაქის ცენტრში, გოლოვინის პროსპექტზე, სასტუმრო „დანიაში“, სადაც ოთახის ფასი 60 კაპიკი ყოფილა, მსურველთათვის ჰქონიათ „საბანებელი ვანაც“ ცივი და თბილი წყლისა („ივერია“, 1890, N43). რეკლამაში შეუტანიათ მაღალი ხარისხის სერვისის სხვა დეტალებიც: „კანტორა თავმდებია, რომ მოსამსახურე ქალნი და კაცნი თავაზითა და პატივისცემით მოექცევიან მდგმურთ. სასმელ-საჭმელი გემრიელია, შინაური, სუფთად გაკეთებული“. სასტუმროს მფლობელი, ვინმე პეტრე საყვარელიძე წერდა, რომ სასტუმროს საკუთარი მოსარეცხე და იფრინდაც ჰყოლია, აქეთ-იქით გასაგზავნად; სადილი კი ორნაირი: ქართული და ევროპული, რომლის ორი თავიც 55 კაპიკი ღირებულა, სამი თავი კი 75 კაპიკი. მსურველთათვის სასტუმროს რესტორანში ჰქონიათ ყავაც.

გოლოვინის პროსპექტზე, მუხრან-ბატონის სახლებში მდებარე სასტუმრო „პურ-ღვინოს“ რეკლამაში მეპატრონენი (მამინაიშვილი და თოიძე) იუწყებოდნენ, რომ მათთან ყოველდღე მზადდებოდა ადგილობრივი და ევროპული საჭმელები; იმერულ და გურულ საჭმელებს კი სპეციალურად გურიიდან მოწვეული მზარეული ამზადებდა. აქ ჰქონიათ სხვადასხვა ღვინო, მუხრან-ბატონის მარნის შამპანური, ლუდი ადგილობრივი ქარხნებისა, ასევე ოდესიდან და ჟიგულევსკიდან ჩამოტანილი. სასმელების მენიუში ასევე ჰქონიათ ლიქიორები და საზღვარგარეთული ღვინოები. დარბაზში მდგარა ფრანგული და რუსული ბილიარდები.

დასკვნა

შესწავლილი ტექსტების მიხედვით, ქართული ნაციონალიზმის გარიჟრაჟზე, ეროვნული თვითიდენტიფიკაციის პროცესში, ქართველთა ფუნქციურ/აქტიურ მეხსიერებაში დიდი როლი სჭეირია ევროპის თემას. ეს კი ნიშნავს, რომ ევროპული საკითხი იმ დროის ანმეოს „დაკვეთა“ ყოფილა.

პროდასავლური განწყობებით, 200 წლის წინათ მცხოვრები მოაზროვნე ქართველი ძალიან ჰგავდა XXI საუკუნის ქართველს, რადგან ისიც მკაფიოდ პროდასავლური იყო. ევროპა მისთვის იყო კერა პროგრესისა, განათლებისა, წარმატებისა, ადამიანთა უფლებების დაცვისა, სამეურნეო და ეკონომიკური მიღწევებისა, რომელშიც უნდა დაბრუნებულიყო საქართველო.

კვლევამ დაგვარწმუნა, რომ XIX საუკუნის საქართველოში ევროპული რეცეპტების მიმართ ინტერესი არ წარმოადგენდა მხოლოდ ევროპიდან მონაბერი მოდურობის, კულინარიისა თუ გურმანობის ფაქტს. ეს იყო ეროვნულ მოძრაობაში ჩართულ გამომცემელთა და პუბლიცისტთა მიზანმიმართული ქმედება, რადგან ჰუმანიტარი ინტელექტუალები (და არა მზარეულები) ევროპულ რეცეპტებს ევროპულ გზაზე სვლის შესახსენებლად იყენებდნენ. შესაბამისად, შვეიცარიული ყველისა და ფრანგული შამპანურის, ავსტრიული და საქსონიური პუდინგების, ხილის რატაფიებისა და ბადიანის არყის რეცეპტების უკან მყარად იდგა ქართველთა დიდი ხნის არჩევანი – დასავლურ სამყაროსთან თანაცხოვრების სურვილი.

ბიბლიოგრაფია:

- ბენდიანიშვილი, ა. (1999). საქართველოს ისტორია 1901-1921. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
- ბერიძე, ვ. (1960). თბილისის ხუროთმოძღვრება, 1891-1917. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- ბერძენიშვილი, ნ. (1964). საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- ბერძენიშვილი, ნ. (1971). საქართველოს ისტორიის საკითხები, ტომი 5. თბილისი: მეცნიერება.
- ბოროზდინი, კ. (1934). სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861. სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი.
- გელაშვილი, გ. (2017). ინგლისელი მოგზაური ჯეიმს ბრეისი თბილისის შესახებ (1876). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, N 1 (20), 410-430.
- გელნერი, ე. (2003). ერები და ნაციონალიზმი. გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი.
- კუნჭულია, ე. (2021). როდის და როგორ იქცა ეროვნული სამზარეულო იდენტობის მშენებელ ტექსტად, სამეცნიერო საერთაშორისო ჟურნალი „ცივილიზაციური ძიებანი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, №19, 2021, გვ. 21-30.
- ნაჭყეაბია, ი., სანიკიძე, გ. (2018). საქართველოს ადგილი XIX საუკუნის ევროპა-ირანის ეკონომიკურ ურთიერთობებში: დაუსრულებელი და განუხორციელებელი პროექტები. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ირანელი და ფრანგი ავტორები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ, 314-336. ილიას სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- ნიკოლაძე, ნ. მამულის სიყვარული და მსახურება. ქუთაისი. 1914.
- სმითი, ე. (2008). ნაციონალური იდენტობა. გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბილისი.
- სმითი, ე. (2004). ნაციონალიზმი, თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თბილისი.
- სუნი, რ. გ. (2022). ქართველი ერის ჩამოყალიბება. გამომცემლობა „საარი“, თბილისი.
- კოტეტიშვილი, ვ. (1965). ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX საუკუნე). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- მანია, მ. (2006). „ევროპელი არქიტექტორები თბილისში“. თბილისი.
- მაჯდოს-სალტანე. (1971). ქალაქ თბილისის აღწერა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
- ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტომი პირველი, 1629-1920. (1941). წიგნის პალატის გამომცემლობა, თბილისი.
- ქიქოძე, გ. (1942). ერეკლე მეორე. გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი.
- ჩიქოვანი ნ., ჩხაიძე ი. და სხვ. (2014). იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918). თბილისი.
- ჩხარტიშვილი, მ. (2009). ქართული ეთნიკ რელიგიური მოქცევის ეპოქაში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- ჩხარტიშვილი, მ. (2011). ქართული იდენტობის საკრალური ასპექტი. კრებულში: თსუ-ს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 71-91. თბილისი.
- ჩხარტიშვილი, მ. (2014). ქართველი ერის იდეა ნაციის ფენომენის შესახებ ევროპული დისკურსის ფონზე. საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონფერენციის კრებული. 59-66. თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ჩხარტიშვილი, მ., მანია, ქ. (2011/2012). ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია და ე.რენანის „რა არის ერი?“, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. 13-14, 72-89.
- ცაგარეიშვილი, თ. (1978) „რძის მეურნეობა ქვემო ქართლში“, ჟურნალი „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის“, ნაკვეთი XIX, გვ. 59.
- ჯოლოგუა, თ. (2013). ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე). თბილისი.
- ჯონსი, ს. (2013). საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის შემდეგ. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი.

- ჯონსი, ს., თორიე, მ. (2022). მეხსიერეპის ადგილები დე ქართული ნაციონალური იდენტობის სიმბოლური გარემო (კრეპული). ილიას სხელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობე, თბილისი.
- პობსპეპი, ე. (2012). ერეპი დე ნაციონალიზმი 1780 წლიდან. პროგრეპე, მითი, რეელობე. ილიას სხელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობე, თბილისი.
- Anderson, B. (1991). *Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism*. London.
- Armstrong, J., A. *Nationalism before Nationalism*. Armstrong, John, *Nations before Nationalism*. Chapel Hill, University of North Carolina Press. 1982.
- Assman, J. (2001). *Cultural Memory and Early Civilizations*. Cambridge University Press.
- Billin, M. (n.d.). *Banal Nationalism*. London: SAGE.
- Bryce, J. (1876). *Transcaucasia and Ararat: Notes of a Vacation Tour in the Autumn of 1876*. London: Kindle Edition.
- Gellner, E. (1983). *Nations and Nationalism*. Ithaca, NY: Cornell University Press.
- Hobsbawm, E., Raner, T. (1983). *The Invention of Tradition*. Cambridge University Press.
- Smith, A. D. (1998). *Nationalism And Modernism, A Critical Survey of Recent Theories of Nations and Nationalism*. London And New-York.
- Ассман, А. (2016). *Новое недовольство мемориальной культурой*. Москва: Новое литературное обозрение.
- Ассман, А. (2019). *Забвение истории – одержимость историей*. Москва: Новое литературное обозрение.
- Ассман, Я. (2004). *Культурная Память*. Москва: Языки Славянской Культуры.
- Левшин, А. (1795). „Словарь поваренный, приспешничий, кандиторский и дистиллаторский, содержащий по азбучному порядку подробное и верное наставление к приготовлению всякого рода кушанья из французской, немецкой, голландской, испанской и аглинской поварни. Москва: Въ Унивкрситетской Типографі, у Хр. Ридигера и Хр. Клаудия.
- Смитт, Э. (2004). *Национализм и модернизм. Критический обзор современных теорий наций и национализма*. Праксис.

ელექტრონული რესურსები:

- Assman, A. *Kollektives Gedächtnis*, (20,02,2008), <https://www.bpb.de/themen/erinnerung/geschichte-und-erinnerung/39802/kollektives-gedaechtnis>, ნანახიე: 02.06.2021;
- Congdon, V, Spalvena, A., Zagrodzka, D.: *Cookbooks, Nationalism and Gastronationalism*, (November, 16, 2017), <https://recipes.hypotheses.org/10110>, ნანახიე: 23.02.2023;
- Kasprzyk-Chevriaux, M., *19-th Century Polish Women's Cookbooks: The Hatching of a Social Monster*, (November 23, 2018), <https://culture.pl/en/article/19th-century-polish-womens-cookbooks-the-hatching-of-a-social-monster>, ნანახიე: 21.10.2022;
- Kasprzyk-Chevriaux, M., *Antique Cookbooks: The Meals of Poland's Past*, (November 05, 2019), <https://culture.pl/en/article/antique-cookbooks-the-meals-of-polands-past>, ნანახიე: 02.02.2023;

პერიოდიკე (წლების მიხედვით):

- „კეპეპი“, 1847, N6 (რუსულ ენეზე); 1847, N 10; 1847, N14; 1847, N16; 1847, N20; 1847, N43-47; 1857, N77;
- „ცისკარი“ 1852, N1, N2, N3, N4; 1859, N 7; 1870, N1; 1974, N11; „ცისკარი“, 1858, N2;
- „გუთნის დედე“, 1863, N1, N6, N12;
- „სასოფლო გეზეტი“, 1868, N 28, 33, 34, 36, 38, 39;
- „მნეოპი“, 1869, N3;

„დროება“, 1866, N1; 1866, N21; 1870, N20; 1871, N7, N42; 1873, N 27; 1875, N 31, N81;
 „კრებული“, 1871, N4; 1872, N7; 1873, N1;
 „ივერია“, 1877, N1; 1882, N3; 1888: N 203; 1888, N211, N217; 1892, N3;
 „კვალი“, 1893, N16; 1896, N9;
 „მომბე“, 1894, N12;
 „მომბე“, 1895, N10;
 „სასოფლო გაზეთი“, 1868, N28; 31, N33, N38

ESMA KUNCHULIA

EUROPEAN RECIPES AS AN INDICATOR OF EUROPEAN CHOICES IN 19TH CENTURY GEORGIA

Summary

The publication of European cuisine recipes in Georgian has a 200-year history. The first European recipes in Georgian were published in 1818 in St. Petersburg by Bagrat Batonishvili, the son of the last king of Georgia, Giorgi XII.

Since 1852, the first Georgian literary magazine “Tsiskari” started publishing successful foreign agricultural and economic examples and recipes. The first Georgian agricultural magazine “Gutnis Deda” also published many articles about the European successful experience.

From the end of the 1860s, the writer Giorgi Tsereteli, the editor of the “Sasoplo Gazeti,” created an excellent collection of foreign recipes. In the first Georgian cookbook published in 1874, along with Georgian dishes, Barbare Eristavi-Jorjadze added European recipes. They were also printed in the cookbooks published after Jorjadze’s book (at the end of the 19th century). For example, in 1891, Grigol Charkviani’s printing house in Tbilisi published a book with the title: “Georgian and European Cuisine”.

In the 19th century, along with old Georgian dishes, many foreign recipes were known in Georgia. We collected and studied the following recipes translated into Georgian in the 19th century: Swiss cheese, English Chester cheese, English Stilton cheese, Westphalian ham, French and American salted ham, German and Bologna sausages, Frankfurt mustard, Portuguese lemonade, Italian waffles, chocolate candies, Hungarian wine, French champagne and other foreign foods and drinks. It is also interesting that 170 years ago in Georgia it was possible to buy foreign ingredients for the preparation of these non-Georgian recipes, for example, Jamaican rum is mentioned in the recipe for the English Stilton cheese.

Taking into account the historical context, the research question sounds as follows: What did the interest of Georgian publishers in European recipes in the 19th century point to? Was it the news brought by the time or some other message? Our research aims to study historical and literary texts of the 19th century, where the European choice of Georgians is clearly perceived as part of their cultural memory.

The study is based on the three different scientific paradigms which help to analyze the European recipes published in the Georgian language in the 19th century not as culinary or gourmet, but as part of the Georgians’ Pro-European discourse. The research made it possible to decipher the interest in foreign recipes as deliberate messages of the cultural elite of that time, who had a specific mission – to awaken Georgians’ consciousness and support the European choice.

Research has shown that a Georgian living 200 years ago was similar to a Georgian of the 21st century in terms of the clear European choice. For him, Europe was the center of progress, education, success, human rights and economic achievements, where Georgia wanted to return.

ოლეგ კაპანაძე, ნუნუ კაპანაძე

ქართული წინადადების ავტომატური ანალიზი

1. შესავალი

ბუნებრივი ენის ტექნოლოგია არის თანამედროვე კომპიუტერული მეცნიერების სფერო, რომელიც ეფუძნება ტექსტური ინფორმაციის კომპიუტერის მეშვეობით დამუშავებას. მისი მიზანია კომპიუტერული სისტემების შექმნა, რომლებიც შეძლებენ დიდი მოცულობის ტექსტის დამუშავებას (**Big Data Processing**), მსოფლიო ქსელებში სასურველი ინფორმაციის მოძიებას, ადამიანსა და კომპიუტერს შორის დიალოგის წარმართვას, ბუნებრივი ენის ტექსტისა და მეტყველების ავტომატურ თარგმნას და გამოყენებითი ხასიათის სხვა ამოცანების გადაწყვეტას.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სულ უფრო მზარდი გამოყენება, ბუნებრივია, უპირატესობას იმ ენებს ანიჭებს, რომლებიც წარმატებულად მუშავდება კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით. თანამედროვე პროგრამული საშუალებებით უზრუნველყოფილი ენები, რომლებიც ბუნებრივი ენის ტექსტის დასამუშავებლად მძლავრ კომპიუტერულ ტექნოლოგიას იყენებენ, საინფორმაციო მომსახურების თითქმის შეუზღუდავ შესაძლებლობას გვთავაზობენ.

იმის გათვალისწინებით, რომ ენის ტექნოლოგია მსოფლიოში სულ უფრო რეალურად ხელმისაწვდომი ხდება, უპირატესობა განსაკუთრებულად იმ ენებს ენიჭებათ, რომლებზეც ტექსტის შინაარსი ციფრულადაა გადმოცემული და ეს გარემოება არსებით მნიშვნელობას იძენს ნებისმიერი ენის მომავლისთვის. ამდენად, ისეთი ენების „ციფრული სიცოცხლისუნარიანობა“, რომელთაც არ გააჩნიათ კომპიუტერულად მხარდაჭერილი გარემო, საფრთხის წინაშე დგება.

ქვემოთ განხილულია ჩატარებული სამუშაო ქართული ენის ტექსტის მეტყველების ნაწილებად თეგირებისა (**tagging**) და სალექსიკონო ერთეულებად (**lemmatizing**) დაყვანისთვის საჭირო ხელსაწყოების ყუთის (**toolkit**) შექმნის მიზნით, რომელიც საშუალებას იძლევა, შევიშალოთ ზმნის სინტაქსურ ვალენტობაზე დამყარებული ენისთვის აუცილებელი ტექნოლოგიური რესურსი – მარტივი წინადადების ავტომატური სინტაქსური ანალიზატორი.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს ქართული ენისთვის კომპიუტერული რესურსების შექმნის ძალისხმევას, რათა შემცირდეს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების პირობებში მოწინავე ენებთან არსებული ჩამორჩენა.

2. მორფოპარსერი/POS-თეგერი ქართული ენისთვის

ქართული ენისთვის შემუშავებული აკადემიური გრამატიკებისა და ლექსიკონების სიმრავლის მიუხედავად, ეს რესურსები არ აკმაყოფილებენ კომპიუტერული ხელსაწყოებისადმი არსებულ ტექნოლოგიურ მოთხოვნილებებს. პირველ რიგში, ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი არ არიან ხელმისაწვდომი იმ ფორმით, რომელიც შესაძლებელს გახდის მათ გამოყენებას ქართული ენის ტექსტის კომპიუტერული პროგრამით დამუშავებისას.

ქართული აგლუტინაციური ენაა, რომელიც სიტყვაფორმის წარმოებისთვის იყენებს როგორც სუფიქსებს, ასევე პრეფიქსებს. ვინაიდან ავტომატური მორფოლოგიური ანალიზი აგლუტინაციური ენებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, მორფოპარსერი განიხილება, როგორც აუცილებელი კომპიუტერული რესურსი ქართული ტექსტის ანალიზისთვის.

მიმდინარე ათასწლეულის დაწყებამდე, საბაზისო ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით მხოლოდ „მთავარი ევროპული ენები“ იყვნენ განებივრებული, რომელთა შორის ინგლისური ენა შეუვალი ლიდერი იყო. შესაბამისად, ბუნებრივი ენის ტექნოლოგიის სფეროში მეთოდოლოგიის დიდი ნაწილი შემუშავებულია ინგლისურისთვის, რომელიც მწირი მორფოლოგიით გამოირჩევა. ასეთი ტიპოლოგიური მახასიათებლიდან გამომდინარე, მისი სინტაქსი მეტად შეზღუდულ სტრუქტურას გვიჩვენებს და, ამის გამო, მას სპეციალურ ლიტერატურაში „მკაცრად კონფიგურაციულ“ (**strongly configurational**) ენად მიიჩნევენ. ბუნებრივი ენების ტექნოლოგიისათვის განკუთვნილი მეთოდოლოგიის უდიდესი ნაწილი, ინგლისურის გარდა, ძირითადად შემუშავებულია სინტაქსურ კონფიგურაციაზე მკაცრი შეზღუდვების მქონე ენებისთვის.

კონფიგურაციული სპექტრის საპირისპირო მხარეს წარმოდგენილია ენები (ფინური, უნგრული, ბასკური, თურქული, ქართული და ა.შ.), რომლებიც, ამ მხრივ, ძირეულად განსხვავებულია ინგლისურისაგან. მათი სტრუქტურა მდიდარი მორფოლოგიით გამოირჩევა და, აქედან გამომდინარე, ეს ენები სინტაქსურ შემადგენელთა თავისუფალი რიგით ხასიათდებიან. შესაბამისად, ამ ენებში სინტაქსურ სტრუქტურებს გაცილებით მცირე შეზღუდვები ადევნა ნინადადების დონეზე. ამიტომ ამ ტიპის ენებს, მათი ფართო მორფოლოგიური შესაძლებლობებისა და სინტაქსური თვალსაზრისით ნაკლებად შეზღუდულობის გამო, მდიდარი მორფოლოგიისა და ნაკლებად კონფიგურაციულ ენებს (**Morphologically Rich and Less-Configurational Languages-MR&LC**) უწოდებენ (Fraser, et al., 2013: 58).

ჩვენ მიერ გამოყენებული ქართული ენის მორფოლოგიური გადამსახავი ეყრდნობა პროგრამულ ბიბლიოთეკებს, რომელსაც პროფესიულ წრეებში „ქსეროქსის სასრული მდგომარეობის მთვლელს“ (**XEROX Finite-State Calculus – FST**) უწოდებენ და სასრული მდგომარეობის ავტომატთა მეთოდოლოგიას ეფუძნება (Beesly et al., 2003). ხსენებული მიდგომის მთავარი ამოსავალია ის, რომ ბუნებრივი ენის მორფოლოგიური ანალიზატორი შეიძლება აიგოს ლინგვისტურ მონაცემთა სტრუქტურების (**Linguistic Data Structures**) გამოყენებით, რომელსაც სასრული მდგომარეობის ქსელი ეწოდება. ქსეროქსის მთვლელი ენის ლექსიკოგრაფიული ნაწილის აღწერისას იყენებს **Lexc** პროგრამულ ხელსაწყოს. **Lexc** ემყარება კონტექსტისაგან დამოუკიდებელი მორფო-სინტაქსური წრფივი გრამატიკის (**simple right-linear morphosyntactic context-free grammar**) ფორმალიზმს, რომელშიც პროდუქციის წესების მარჯვენა მხარე შეიძლება მხოლოდ ერთ არატერმინალურ ერთეულს შეიცავდეს. ამის გათვალისწინებით, ნებისმიერი ბუნებრივი ენის მორფოლოგიური აღწერისას გვაქვს რანგებად დაყოფილი მორფემების ურთიერთგამომრიცხავი სიმრავლეები (ლექსიკონების ერთობლიობა), რომლებიც იწყება ძირების ლექსიკონით (**root lexicon**). ყოველ ლექსიკონში თითოეულ მორფემას აქვს მისი განმვრცობი ლექსიკონი, რომლებიც, თავის მხრივ, განსაზღვრავენ მორფემების კონკრეტულ სიმრავლეს და მორფემების ჯაჭვში შესაძლოა მოცემული მორფემის გაგრძელებად იქცნენ (Szántó, et al., 2014: 136).

ქართული აკადემიური გრამატიკიდან გამომდინარე, არსებითი სახელების, ნაცვალსახელებისა და ზედსართავი სახელების ლემების ყოველი სიმრავლე განიხილება, როგორც ძირების ერთიანი ლექსიკონი (**N_St**). ძირებზე დართული მრავალრიცხოვანი სუფიქსების მიმდევრობები ქმნიან სიტყვის გრამატიკულად სწორ ფორმას. მაგალითად, თითოეულ ძირს მარჯვნივ შეიძლება დაერთოს მრავლობითი რიცხვის მარკერი (**PL_MK**), რომელსაც, თავის მხრივ, შეიძლება მოჰყვებოდეს ბრუნვის შვიდი ნიშნიდან ერთ-ერთი (**C_MK**), ხოლო მას – თანდებული (**PSTF**). ეს უკანასკნელი შეიძლება გავრცობილი იყოს ერთმანეთის თანმიმდევრობით ემპათიკური ხმოვნითა (**Eph_V**) და მავრცობით (**Eph_PT**):

N_St + PL_MK + C_MK + Eph_V + PSTF + Eph_V + Eph_PT

მოცემულ ჯაჭვში მხოლოდ **N_St** და **C_MK** წარმოადგენენ აუცილებელ ელემენტებს.

აღწერილი სქემისგან განსხვავებით, ზმნის სასრული ფორმის საწარმოებლად საჭიროა როგორც სუფიქსები, ისე პრეფიქსები.

$$A + B + C + \text{ROOT} + E + F + D + H + G$$

A არის ზმნისწინების ლექსიკონი (სიმრავლე), რომელსაც შეიძლება მოსდევდეს ზმნის სუბიექტ-ობიექტის მარკერების ლექსიკონი, მას კი, თავის მხრივ, გვარისა და ქცევის კატეგორიის მორფემების C ლექსიკონი. B და C ლექსიკონი ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში იმყოფებიან. ზმნის მორფემების ჯაჭვში მეოთხე ელემენტი ზმნის ძირების ROOT ლექსიკონს აღნიშნავს. ამ ლექსიკონიდან ნებისმიერი ძირი თეორიულად შეიძლება გავრცობილ იქნეს სუფიქსებით მომდევნო ხუთი (E + F + D + H + G) ლექსიკონიდან. საერთო ჯამში, ქართული ზმნის სასრული ფორმა შეიძლება აიგოს მარცხნიდან მარჯვნივ, ძირის ჩათვლით, მორფემების ცხრა ლექსიკონზე დაყრდნობით.

XEROX-ის სასრული მდგომარეობის ქართული ენის მორფოპარსერი ეფუძნება სქემას, სადაც ზმნის ძირების ლექსიკონში შეტანილ ყოველ ერთეულს შეიძლება წინ უძღოდეს სამი პრეფიქსალური მწკრივი (A, B, C) და მოსდევდეს სუფიქსების შესაძლო ხუთი სხვადასხვა სიმრავლე. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, უღლებადი ზმნის ფორმა შეიძლება ასევე შეგვხვდეს ზმნური ძირების სიმრავლის უშუალო ლექსიკური ერთეულის სახით, როდესაც აფიქსები წარმოდგენილია სამი პრეფიქსული რანგიდან და მომდევნო სუფიქსების ხუთი რიგიდან ნულოვანი ალომორფებით. მაგალითად, „წერ“ (ერთვალენტიანი ზმნა მეორე პირის მხოლობითში).

სადღეისოდ შემუშავებული გვაქვს ქართული FST მორფოპარსერის სამი ვერსია სხვადასხვა გამოსავალი ფორმატით: პირველი, TIGER-XML ფორმატით (Brants, et al., 2000: 1644ff), რომელიც საჭიროა სინტაქსურად ანოტირებული ქართული ხეების ბანკის ასაგებად; მეორე, შესავალი ტექსტიდან მორფოლოგიურად გაანალიზებული სიტყვებისათვის თანდართული ლემებით, და მესამე, გამარტივებული ვარიანტი ლემატიზებული შემავალი სიტყვების გარეშე. თითოეულ ჩამოთვლილ ვერსიას შეუძლია შესავალი ქართული ტექსტის ტოკენიზაცია, POS-თეგირება და მორფოლოგიური ანოტირება. მცირედი მანუალური რედაქტირების შემდეგ, მორფოპარსერის შედეგებმა შეიძლება თითქმის 100%-მდე სიზუსტეს მიაღწიოს.

მორფოლოგიური ანალიზის შედეგი მარტივი წინადადებისათვის „კაცები აქებენ ჭკვიან ქალებს“ მოყვანილია ქვემოთ:

კაცები

<lemma='კაც' morph="Pl.Nom", pos="NN"/>

აქებენ

TV[VAL=ND, SR=1, voice=ACT, mood=IND, prs=Pl3]

ჭკვიან

<lemma='ჭკვიან' morph="Sg*.Stm", pos="Adj"/>

ქალებს

<lemma='ქალ' morph="Pl.Dat", pos="NN"/>

<lemma='ქალ' morph="Pl.Dat", pos="NN"/>

.

<lemma="--" pos="\$."/>

ლემით ანოტირებული წინადადების ერთეულები (ტოკენები) დაჭდეებულია მეტყველების ნაწილების თეგებით (POS-tags). მაგალითში ეს არის ჩვეულებრივი არსებითი სახელი NN (Normal Noun), გარდამავალი ზმნა TV (Transitive Verb), ზედსართავი სახელი Adj და წინადადების ბოლო \$. (end of clause) ლემის გარეშე.

არსებითი სახელები გაჯერებულია მორფოლოგიური მახასიათებლებით გრამატიკული რიცხვისათვის – Pl(ural) და Sg*(singular tantum) და ბრუნვის მარკერებით – Nom (Nominative) და Dat (Dative). პუნქტუაციის ნიშნები (pos="\$,"/ pos="\$.") და მორფოლოგიური ფლექსიის არმქონე წინადადების წევრები ლემის გარეშე (lemma ="-".) არის მოცემული. გარდამავალი ზმნა (TV) ანოტირებულია სინტაქსური ვალენტობის მაჩვენებლით (VAL), რომელიც ასახავს წინადადების სინტაქსური შემადგენლების მეთაური სიტყვების (headword) ბრუნვებს: D(ative)N(ominative). ასევე, მითითებულია სერიის (SR=1), გვარის voice=ACT(ive), კილოს mood=IND(icative), პირისა და რიცხვის prs=Pl3 (3rd person plural) გრამატიკული მახასიათებლები.

მოცემულ მაგალითში lemma='ქალ' ორჯერადი გენერირება განპირობებულია ქართული ენის ლექსიკონში ისეთი ორი არსებითი სახელით, როგორიც არის – 'ქალი' და 'ქალა'. მორფოპარსერი ორივე შემთხვევაში ანალიზის შედეგად გამოსცემს ერთსა და იმავე lemma='ქალ' ერთეულს ბრუნვის მარკერის გარეშე.

ამ სახით აღწერილი მორფოპარსერის გამოსავალი მონაცემები, ავტომატურ სინტაქსურ ანალიზატორთან ერთად, ენის ტექსტის დამუშავებისათვის გამიზნული ნაკადსადენის (pipe-line) ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენს.

3. ქართული წინადადების ავტომატური სინტაქსური სეგმენტაცია

წინადადების სინტაქსური სეგმენტაცია (Syntactic Chunking), რომელიც ასევე ცნობილია ზედაპირული სინტაქსური ანალიზის (Shallow Parsing) სახელით, მიზნად ისახავს იმ ტიპის სინტაქსური შემადგენლების იდენტიფიცირებას წინადადებაში, როგორიცაა არსებითი სახელის ან ზმნის ფრაზა. თეორიულად, ის შეიძლება შედგებოდეს, VP (ზმნის ფრაზის) და ზმნის ვალენტობიდან გამომდინარე, აუცილებელი NP (არსებითი სახელის) ფრაზებისაგან. წინადადებაში NP-ის რაოდენობა განისაზღვრება ქართული ენის სასრული ზმნის ფორმის სინტაქსური ვალენტობის (VAL) პარამეტრით. VAL გამოითვლება შესავალი ტექსტის მორფოლოგიური ანალიზის პროცესში, ვინაიდან ცნობილია, რომ სინტაქსური ვალენტობის ჩარჩო დამოკიდებულია ზმნის გარდამავლობაზე და შეიძლება შეიცვალოს სერიების მიხედვით.

ქართულ აკადემიურ გრამატიკაში მიღებული სამი სერიის მიხედვით, სინტაქსური ვალენტობის, NP-ების და მათი შესაბამისი მეთაური სიტყვების (headword) ბრუნვის მარკერების განაწილება წარმოდგენილია ცხრილში, რომელიც განსაზღვრავს სინტაქსურ ჩარჩოებს გარდამავალი (TV) და გარდაუვალი (IV) ზმნების სიმრავლის რვა კლასტერისთვის. ცხრილი ეყრდნობა დ. მელიქიშვილის (2001: 60ff) მიერ შემოთავაზებულ ზმნის უღლების სისტემას:

ცხრილი 1. სინტაქსური ჩარჩოების დისტრიბუცია
ქართული ზმნების სიმრავლეებისთვის

ლასტერი	I სერია	II სერია	III სერია
IV01	VAL=N	VAL=E	VAL=D
TV02	VAL=NDD	VAL=END	VAL=DN (D+postf)
TV03	VAL=ND	VAL=EN	VAL=DN
IV04	VAL=N	VAL=N	VAL=N
IV05	VAL=ND	VAL=ND	VAL=ND
IV06	VAL=DN	VAL=DN	VAL=DN
IV07	VAL=D	VAL=D	VAL=D
IV08	VAL=zero	VAL= zero	VAL= zero

ცხრილში VAL მიუთითებს სასრული ზმნის ფორმის საშუალებით გამოხატული სინტაქსური ვალენტობის პარამეტრს. ცხრილის მეორე სტრიქონში VAL-ი TV02 კლასტერისთვის I სერიაში არის სამვალენტო, NP-ს (სუბიექტი) მეთაური სიტყვით სახელობითი (N) და პირდაპირი და ირიბი ობიექტის NP-თვის მიცემითი (D).

VAL პარამეტრი II სერიაში NP ფრაზული შემადგენლების მეთაური სიტყვებისათვის, შესაბამისად, გვიჩვენებს მოთხრობით (E), სახელობით (N) N და მიცემით (D) D ბრუნვებს. III სერიაში ის დადის ორვალენტო ზმნის ჩარჩოზე, რადგან მეორე ფრაზული შემადგენელი მიცემითი თანდებულით (D+postf) ჩნდება და არ შეიძლება იყოს იდენტიფიცირებული, როგორც სინტაქსურ ჩარჩოში ვალენტური ადგილის მფლობელი.

რაც შეეხება მერვე კლასტერს, სადაც VAL=zero, იგი ქართულ ენაში ბუნების მოვლენების აღსაწერ ზმნების მცირერიცხოვან სიმრავლეს შეესაბამება. ცნობილია, რომ მათ სინტაქსური ფუნქციის მქონე ფრაზული შემადგენლები არ ახლავთ წინადადებაში.

ქართული ენის ზმნური მასივის სინტაქსური ვალენტობის ჩარჩოების კლასტერიზება წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ქართული მარტივი წინადადების ავტომატურ ფრაზულ შემადგენლებად სეგმენტირებისათვის. როგორც ზემოთ იყო განმარტებული, VAL პარამეტრში ასომთავრული (N, E, D) აღნიშნავს შესატყვის NP ფრაზებში მეთაური სიტყვების ბრუნვის მარკერებს, რომელთა რაოდენობა წინადადებაში შეიძლება მერყეობდეს [0, 1, 2, 3] ფარგლებში. ანალიზის პროცედურა ტექსტის NP-ი ფრაზული სეგმენტების მისაღებად გულისხმობს თითოეული NP-თვის მეთაური სიტყვის (არსებითი სახელი ან მისი ეკვივალენტი) მაქსიმალური პროექციის გამოთვლას შესავალ ტექსტში.


NP-ების რაოდენობა წინადადებაში (resp. გრაფი/სინტაქსური ხე) განისაზღვრება წინადადების მეთაური სიტყვის (ზმნის სასრული ფორმის) სინტაქსური ვალენტობით, რომელიც იდენტიფიცირებულია მორფოპარსერის მიერ და დაფიქსირებულია, როგორც ერთ-ერთი მახასიათებელი VP-ში.

მას შემდეგ, რაც ყველა სავალდებულო და შესაძლო შემადგენელი, როგორც VP-სა და NP-ების მაქსიმალური პროექცია, იდენტიფიცირებული იქნება, სინტაქსურ სეგმენტატორს შეუძლია, ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის წესებზე (Lexical Production Rules – LPR) დაყრდნობით, დააგენერიროს წინადადების სინტაქსური შემადგენლების სტრუქტურა სინტაქსური ხის სახით.

აღწერილი სქემის პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობა შემოწმდა Natural Language Toolkit (NLTK) პროგრამული ბიბლიოთეკის მეშვეობით, რომელიც შემუშავებულია Python პროგრამირების ენაზე (Bird, et al., 2009). აღწერილ პრინციპებზე და ქართული ენის LPR-ით შედგენილ გრამატიკაზე დაყრდნობით, NLTK გამოიყენება მორფოლოგიურად და სინტაქსურად ანოტირებული სინტაქსური ხეების ავტომატურად ასაგებად. LPR წესები შეიძლება აიგოს სრულად ხელით ან ნახევრად ავტომატურად. ბოლო ვარიანტი ითვალისწინებს, რომ პარსერი/ანალიზატორი ტექსტს ავტომატურად ანიჭებს სინტაქსურ სტრუქტურას, რომელიც საბოლოოდ შემოწმდება ლინგვისტების მიერ და, საჭიროების შემთხვევაში, შესწორდება.

სურათზე 1 გამოსახულია NLTK მახასიათებლებზე ორიენტირებული კონტექსტისგან დამოუკიდებელი (Feature-Based Context-Free Grammar – FBCFG) პარსერის მუშაობის შედეგი ორვალენტო გარდამავალი ზმნის შემთხვევაში ქართული ენის წინადადებისთვის:

„ყველა მამაცი მეომარი ყოველთვის თავგანწირვით იცავს ყველა სუსტ ადამიანს“




სურათი 1

NLTK-ს გამოსავალი შედგება სინტაქსურ ხეებზე ორიენტირებული გრაფიკული გამოსახულებისაგან. მასში წარმოდგენილ სხვადასხვა დონის სინტაქსური ხის სტრუქტურებისთვის ხის თითოეულ ტერმინალურ ელემენტს („ფოთოლს“ = ტოკენს) და თითოეულ კვანძს (= ფრაზულ შემადგენელს) მინიჭებული აქვს ანალიზისას მისთვის გამოთვლილი სინტაქსური კლასის იდენტიფიკატორი (**‘type’**). შესავალი წინადადება ვიზუალურად წარმოადგენს გრაფს, რომელიც ემყარება ჰიბრიდულ მიდგომას და აერთიანებს ანოტირებას ფრაზული შემადგენლებისა და მათი შესაბამისი სინტაქსური ფუნქციების მიხედვით. გრაფის კვანძები ასახავს წესებს, რომლებიც რეალიზებულია მახასიათებლებზე ორიენტირებულ კონტექსტისგან დამოუკიდებელ გრამატიკაში (**Feature-Based Context-Free Grammar – FBCFG**). იგი შეიცავს წინადადების ფრაზულ შემადგენელთა გრამატიკული და ლექსიკური აღწერისათვის საჭირო წარმომშობ (**Grammatical and Lexical Production**) წესებს. ეს უკანასკნელი აყალიბებს კვანძებს, რომლებიც გაჯერებულია სხვადასხვა მახასიათებლით და მორფოსინტაქსური კლასის ჭდეებით (**resp. POS-tags**). **‘type’** მახასიათებელი წინადადების აღწერის ფრაზულ დონეზე აღნიშნავს ფრაზულ ჭდეებს (**S, VP, NP**). იგივე კვანძები ასევე მონიშნულია სინტაქსური ფუნქციის ინდიკატორებით (**SF – Syntactic Function**), როგორიცაა **SUB** (სუბიექტი), **DDO** (პირდაპირი ობიექტი) და **HEAD** (წინადადების ან ფრაზული შემადგენლის მეთაური სიტყვა – **Head of clause/phrase**).

შუალედური დონის MD (Modifier) კვანძები სინტაქსური ფუნქციის (SF) თვალსაზრისით მსაზღვრელს წარმოადგენს. VP კვანძი შეიცავს გრამატიკულ მახასიათებელს ser=1 და VAL="ND", რომლებიც რეალიზებულია "type"="TV02" ტერმინალური კვანძიდან (მეორე კლასტერი გარდამავალი ზმნით). VAL-მახასიათებლის (სინტაქსური ვალენტობა) მნიშვნელობა "ND" მიუთითებს მეთაური სიტყვის ბრუნვის მარკერზე (case='N[ominative]') მარცხენა NP-ში სინტაქსური ფუნქციით (SF='SUB') და მეთაური სიტყვის ბრუნვის მარკერზე (case='D[ative]') მარჯვენა NP-ში, როგორც SF='DO' (პირდაპირი დამატება – Direct Object).

გრაფის/სინტაქსური ხის ზოგადი სქემა ფრაზული შემადგენლების კატეგორიებისთვის და წინადადებაში მათ მიერ გადმოცემული სინტაქსური მიმართებები აგებულია ფრაზის სტრუქტურის X-Bar თეორიის პრინციპებზე (Kornai, et al., 1990: 25ff). წინადადების პრედიკატ-არგუმენტის სტრუქტურა (სინტაქსური ფუნქციები) ეფუძნება სინტაქსური ვალენტობის გრამატიკულ კონცეფციას, „თავ-მახასიათებლის პრინციპის“ (head feature principle) ანალოგს, რომელიც მიღებულია თავზე ორიენტირებული ფრაზის სტრუქტურის გრამატიკაში (Head-Driven Phrase Structure Grammar) (Pollard, et al., 1994: 15ff).

ამავე წინადადების ზედაპირული სინტაქსური სეგმენტაციის შედეგი ნაჩვენებია მე-2 სურათზე, რომელშიც თითოეული ფრაზული შემადგენლის სრული პროექცია სამკუთხედის ქვეშ არის მოქცეული:




სურათი 2

ავტომატური პარსერის მიერ განსხვავებული სინტაქსური ხეების გენერირების უნარის საილუსტრაციოდ მე-3 სურათზე მოყვანილია ხე წინადადებისათვის:

„ძალიან ძლიერად ითოვა მთელი დღის განმავლობაში“

იგი პრედიკატის სახით მერვე კლასტერის ზმნას შეიცავს, რომელიც ნულოვან ვალენტობას (VAL="zero") გვიჩვენებს და P ფრაზულ შემადგენელს გამოირიცხავს:



სურათი 3

პარსერის მიერ მისთვის გამოთვლილი სინტაქსური ხის სტრუქტურა წარმოდგენილია წინადადების საწყის კვანძთან ("type" = 'S') უშუალოდ დაკავშირებული შუალედური დონის VP კვანძის მეშვეობით. VP-ის ორივე მხარეს ხის სტრუქტურის იმავე დონეზე სეგმენტირებულია სხვადასხვა ტიპის ზმნიზედის ფრაზები (ADP1, ADPL), რომლებშიც მათი მეთაური სიტყვის სინტაგმატური კლასის მახასიათებლებია (SNC – Syntagmatic Classes) მითითებული.

4. სამომავლო გეგმები

სტატიაში წარმოდგენილია ქართული ენის სინტაქსური სეგმენტატორის/ზედაპირული ავტომატური ანალიზატორის შემუშავების კონცეფცია. შემოთავაზებული მიდგომის ინოვაციური ასპექტია მახასიათებლებზე ორიენტირებული კონტექსტისაგან დამოუკიდებელი გრამატიკის (FBCFG) გამოყენება ნაკლებად კონფიგურაციული ქართული ენის სინტაქსისთვის, თუმცა NLTK ტექნოლოგია არ იყო გამიზნული წინადადებაში სიტყვების თავისუფალი რიგის მქონე ენებისთვის.

ნაკლებად კონფიგურაციული ენებისგან განსხვავებით, ფიქსირებული სინტაქსური სტრუქტურის ენების წინადადების საწყისი (S) კვანძისათვის, როგორც წესი, მხოლოდ რამდენიმე პროდუქციული წესია საკმარისი ფრაზის სინტაქსურ შემადგენელთა გენერირებისათვის.

ქართული სინტაქსისათვის ჩვეული, წინადადებაში სიტყვების თავისუფალი რიგის გათვალისწინებით, სამვალენტიანი ზმნის ჩარჩოსათვის (NP1 NP2 NP3 VP) ფრაზული შემადგენლების ურთიერთის მიმართ გადაადგილების რაოდენობა თეორიულად შეიძლება $4! = 1 \times 2 \times 3 \times 4$ ტოლი იყოს. თუმცა წინადადებაში თითოეული მათგანის გამოჩენის ალბათობა განსხვავებული იქნება, რეალურად დასაშვები მიმდევრობების რაოდენობა საკმაოდ დიდია. შესაბამისად, ასეთი პროდუქციული წესების ხელით აგება მეტად შრომატევადია და მათი პრაქტიკული გამოთვლების პროცესში გამოყენებისას უზუსტობის გამორიცხვა არ შეიძლება.

არსებული პრობლემის გადასაჭრელად ვმუშაობთ პროგრამულ მოდულზე, რომელიც შეძლებს ავტომატურად განსაზღვროს ფრაზულ შემადგენელთა სწორი თანმიმდევრობა უშუალოდ შესავალი ტექსტიდან და იგი პროდუქციის წესების გრამატიკულ ნაწილს დაურთოს. მოდული ჩაშენდება, NLTK მოდულისგან დამოუკიდებლად, მონაცემთა ნაკადსადენში (pipe-line). ეს მნიშვნელოვნად გაზრდის ნაკლებად კონფიგურაციული ქართული ენის სინტაქსური ანალიზის ტექნოლოგიური პაკეტის მოქნილობას, რაც გააუმჯობესებს პარსერის ეფექტიანობას.

ბიბლიოგრაფია:

- მელიქიშვილი, დამანა. *ქართული ზმნის უღლების სისტემა*. თბილისი, ლოგოსპრესი. 2001. P
- Beesley, Kenneth R. and Lauri Karttunen. *Finite State Morphology*. CSLI Publications. Leland Stanford Junior University. 2003.
- Bird, Steven, Loper, Ewan and Edward Klein. *Natural Language Processing with Python*. O'Reilly Media Inc. 2009.
- Brants, Sabine and Silvia Hansen. >>>Developments in the TIGER Annotation Scheme and their Realization in the Corpus". *Proceedings of the Third Conference on Language Resources and Evaluation (LREC 2002)*, 1643–1649. Las Palmas de Gran Canaria, Spain. 2002.
- Fraser, Alexander, Schmid, Helmut, Farkas, Richárd, Wang, Renjing and Hinrich Schütze. "Knowledge Sources for Constituent Parsing of German, a Morphologically Rich and Less-Configurational Language". *Computational Linguistics*, Volume 39, Issue 1, 57-85. MIT Press Cambridge, Ma, USA. 2013. [http:// doi: 10.1162/COLI_a_00135](http://doi:10.1162/COLI_a_00135)
- Kornai, Andras and Geoffrey K. Pullum. "The X-bar Theory of Phrase Structure". *Language*, 66(1), 24–50. 1990.
- Pollard, Carl and Ivan A. Sag. *Head-Driven Phrase-Structure Grammar*. Chicago, IL: The University of Chicago Press. 1994.
- Szántó, Zsolt and Richárd Farkas, R. (2014). Special Techniques for Constituent Parsing of Morphologically Rich Languages. *Proceedings of the 14th Conference of the European Chapter of the Association for Computational Linguistics*, 135-144. Gothenburg, Sweden. 2014. [http:// doi: 10.3115/v1/E14-1015](http://doi:10.3115/v1/E14-1015)

OLEG KAPANADZE, NUNU KAPANADZE

THE AUTOMATIC ANALYSIS OF THE GEORGIAN SENTENCE

Summary

Until recently, most basic research in Natural Language Technology (NLT) has been performed on “major” languages such as (predominantly) English but also German, Japanese, Chinese, French, and Spanish. At the same time, Low-Density Languages (LDL) compete to take advantage of modern digital technologies implemented in high-quality computing systems. As a result, the long-term viability of languages not specifically supported by NLT is at risk, which can lead to their digital extinction.

This paper presents an undertaking for developing computational applications involving Georgian to fill a gap with technologically well-equipped languages and to lower the current scarcity of language resources for Georgian text processing.

It is well known that Georgian is a language with rich inflectional morphology and with very few fixed structures on the sentence level. The languages of similar design are called Morphologically Rich and Less-Configurational (MR&LC). This paper concerns issues related to developing crucial NLT tools for the MR&LC Georgian language: We discuss the development of a Feature-Based Context-Free Grammar (FCFG) and a Featured Grammar parser for the Less-Resourced Georgian language.

Generative lexicalised parsing models, which are the mainstay for probabilistic parsing, do not perform as well when applied to languages with free word order or rich morphology. Based on the syntactic valency property of the verb and language-specific features such as productive morphology, we designed a prototype FCFG parser for automatic syntactic chunking/shallow parsing of the Georgian clause, which we present here.

As the initial step to the syntactic analysis, we reimplemented the rule-based Finite-State Morphological Transducer for Georgian text morphological analysis, lemmatization and POS tagging. To build an interface between the TIGER XML scheme and an input format for conceived syntactic chunker, we had to disambiguate manually and reformat the output of the Georgian morphoparser.

As a necessary step in the syntactic valency-driven Feature-Based Grammar parser implementation, we have studied the Georgian verb stock and clustered it according to syntactic valency features. Eight verb clusters with different valency distributions and syntactic frames are identified to date. For each cluster, we developed and started training a prototype Feature-Based Grammar version for Georgian.

As a syntactic parsing testbed, we have utilized a broadly recognized open-source NLTK library developed using the Python programming language.

In the meantime, we are developing a converter module capable of porting automatically the output of the morphoparser at hand into the acceptable format for the NLTK input engine. This would provide an option for piping the morphological transducer with the Feature-Based syntactic parser for linking them in an unsupervised shallow syntactic chunker/parser of the Georgian language text.

თამუნა გიორგაძე

საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზაციის პრობლემა საქართველოში (2012 წლიდან დღემდე)

შესავალი

პოლარიზაცია არის მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის კონსენსუსზე დამყარებული დემოკრატიის დანერგვასა და განვითარებას. ამასთან, პოლარიზაცია ანგრევს მნიშვნელოვან სახელმწიფო ინსტიტუტებს; ქრება ნდობა როგორც პოლიტიკური სპექტრის, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების თუ მედიასივრცის მიმართ. პოლარიზაცია თავისი არსით შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც განსხვავებულ შეხედულებათა და იდეოლოგიათა შეუთანხმებლობა. თუმცა, მისი ნეგატიური გაგებით, ის სადემარკაციო ხაზის გავლებას გულისხმობს ორ ან მეტ ჯგუფს შორის, სადაც რადიკალიზმი და ანტაგონიზმი მნიშვნელოვანი წამყვანი მექანიზმებია. მწვავე პოლარიზაციის პირობებში არ არსებობს კონსენსუსი, ოპონენტი დემონიზებულია და ყოველი განსხვავებული აზრი „მტრის ბანაკის“ წევრობად აღიქმება. პოლიტიკური პოლარიზაცია, ემილია პალონენის სტატიის მიხედვით, არის პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც გამოხატულია საზღვრების დემარკაციისთვის „ჩვენსა“ და „მათ“ შორის. პალონენი წერს, რომ „პოლარიზაცია არის სიტუაცია, როდესაც ორი ჯგუფი კატეგორიულად გამოყოფს ერთმანეთს საზღვრის დემარკაციის გზით. დომინანტური პოლიტიკური საზღვარი ქმნის იდენტიფიკაციისა და კონფრონტაციის პუნქტს პოლიტიკურ სისტემაში, სადაც კონსენსუსი მხოლოდ თავად პოლიტიკურ ჯგუფებს შიგნით მიიღწევა“ (Palonel, 2015). საქართველო ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელსაც განიხილავენ მაღალპოლარიზებულ პილიტიკურ სივრცედ. აღნიშნული საკითხი დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია და მიმდინარეობს შიდა და გარე ძალების მიერ გარკვეული მექანიზმების შემუშავება მის საწინააღმდეგოდ. პოლიტიკური პოლარიზაციის კლასიკური სიმპტომებია: საზოგადოებაში პოპულისტური ჯგუფების მზარდი პოპულარობა, პოლიტიკური დებატების დამყარება პოპულისტურ ან ემოციურ და არარაციონალურ არგუმენტებზე, პოლიტიკურ ლექსიკაში „ჩვენ“ და „მათ“ დიქტომიის ხელშეწყობა, პოლიტიკური ოპონენტების დეჰუმანიზაცია და მხარდამჭერების მობილიზება მათ წინააღმდეგ საკუთარი იდეების მხარდაჭერის ნაცვლად (რობაქიძე, 2019). სწორედ მსგავსი სიმპტომები ახასიათებს ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, სადაც, თუ „ჩემთან არ ხარ, ჩემი მტერი ხარ“ პოლიტიკა მიმდინარეობს. პოლარიზაციის პრობლემა საქართველოში თანამედროვე მოვლენა არაა, თუმცა ბოლო წლებმა აშკარად ცხადყო რამდენად დიდი პრობლემები შეგვიქმნა. Freedom House-ის 2020 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ პოლიტიკის და მედიის პოლარიზაცია ჩვეულებრივ ნორმას წარმოადგენს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში (Freedom House, 2020).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 31 წელია გასული, დღეს ვხედავთ არათუ შესუსტებულ, არამედ გამწვავებულ პოლარიზებულ სისტემას. პოლიტიკური ელიტების რადიკალიზაცია, შესაბამისად, იწვევს საზოგადოების ფრაგმენტულობასა და

დაპირისპირებას. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა დღესდღეობით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საქართველოში, რომლის აღმოფხვრაც ხელს შეუწყობს და გზას გაუხსნის სახელმწიფოს ევროპულ გზას. ჩემი კვლევით შევეცდები შევეხო დაძაბულობის გამამწვავებელ ძირითად ფუნდამენტურ საკითხებს, რომელიც ახსნის ამ შიდაპოლიტიკურ, არაჯანსაღ დაუსრულებელ ბრძოლებს.

ლიტერატურის მიმოხილვა. საქართველოში პოლიტიკურ პოლარიზაციასთან დაკავშირებით დაინერა უამრავი სტატია თუ კვლევითი ნაშრომი, რომელიც ცდილობდა განესაზღვრა ქვეყნის ხელშემშლელი არეალი და პოლიტიკური გარემო. საინტერესოა როგორი შეხედულებები აქვს პოლარიზაციის პრობლემასთან მიმართებაში სხვადასხვა ავტორს და რა დასკვნამდე მიგვიყვანა მათმა დაკვირვებამ. ჩემს კვლევაში მინდა რამდენიმე სტატია, ნაშრომი თუ კვლევა მიმოვიხილო.

საქართველოს პოლიტიკურ სივრცეს ეხება ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი და მკვლევარი სტივენ ჯონსი თავის ნაშრომში „საქართველო – პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“. აღნიშნული ნაშრომი აყალიბებს სინთეზურ ანალიზს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკური ქცევასთან დაკავშირებით. სტივენ ჯონსი პოლიტიკური კულტურის მარგინალურ სახეს განიხილავს საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობად, რომელიც ადამიანებს ღრმად ჰქონდათ ჩაბეჭდილი და, მიუხედავად დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ქვეყანა იმართებოდა საბჭოური წესებისა და მენტალიტეტის საფუძველზე. სტივენ ჯონსი არგუმენტირებულად აკრიტიკებს საქართველოს პრეზიდენტის მოღვაწეობას და ხაზს უსვამს მათ ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილებას. ჩემი ნაშრომი, წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მეტ-ნაკლებად იზიარებს რა სტივენ ჯონსის ხედვებს, ცდილობს სიღრმისეულად იკვლიოს წარსული გამოცდილების გავლენა დღევანდელ პოლარულ გარემოზე.

ქართული პოლარიზაციის მახასიათებლების კვლევის ერთ-ერთ უახლეს და მნიშვნელოვან კვლევას წარმოადგენს ასევე არჩილ გეგეშიძისა და თომას დე ვაალის ნაშრომი „დაყოფილი საქართველო: პოლარიზაციის მძევალი“. ავტორები პოლიტიკოსთა რადიკალიზაციას უკავშირებენ რესურსების მოპოვება-შენარჩუნებისთვის ბრძოლას. ასევე ისინი გამოყოფენ საარჩევნო სისტემის ხარვეზებს, რაც „ნულოვანი ჯამის პოლიტიკას უკავშირდება“. პოლიტიკოსთა ქცევის ახსნასა და სიღრმისეულ ანალიზს წარმოადგენს ფრენცის ფუკუიამას ნაშრომი „იდენტობა: იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის“. ნაშრომში ჩამოყალიბებულია თეორია, რომლის მიხედვითაც პოლიტიკოსთა ქცევის მიღმა იდენტობის აღიარებისთვის და სტატუსის ამაღლებისთვის ბრძოლაა. რესურსებისთვის რადიკალიზმი და უკომპრომისობა სწორედ აღნიშნულით აიხსნება.

პოლარიზაციის პრობლემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც ეხება ქართული პოლიტიკური პარტიების შეხედულებებსა და იდეოლოგიურ განსხვავებებს. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა პოლიტიკური პარტიების შეხედულებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. კვლევამ დაადგინა, რომ პოლიტიკურ პარტიებს აშკარად გამოხატული განსხვავებული შეხედულებები აქვთ სხვადასხვა შიდა პოლიტიკურ საკითხთან მიმართებით, თუმცა ქვეყნის ძირითად დასავლურ კურსზე და ლიბერალური დემოკრატიის განვითარების კუთხით მათი შეხედულებები ემთხვევა. „პოლიტიკურ პოლარიზაციაზე საუბარი საქართველოში დიდ წილად გადაჭარბებულია“ [კახიშვილი, კემელავა, პაპავა, სიჭინავა, 2021: 37]. ნაშრომი მეტად საინტერესო შედეგს გვიჩვენებს, თუმცა გასათვალისწინებელია ისეთი მოვლენები, სადაც დაპირისპირება პიკს აღწევს და აფერხებს ქვეყნის განვითარებას (2020 საპარლამენტო არჩევნების შემდგომ მიმდინარე პროცესები და 2022 ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების შეფერხება). აღნიშნული

კვლევა მიმდინარეობდა ამ ორ მნიშვნელოვან თარიღს შორის, ამიტომაც საინტერესოა დასკვნის გადასინჯვა. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზაციის გამწვავებაზე დიდ გავლენას ახდენს მედიასივრცე, რომელიც რეალურად ნეიტრალურ მხარედ უნდა მოიაზრებოდეს. აღნიშნულს ეხება ნინო რობაქიძის სტატია – „პოლიტიკური პოლარიზაცია და მედია – რა საფრთხის წინაშე დგას დემოკრატიული პროცესი საქართველოში?“ და კვლევის საფუძველზე ცდილობს გაანალიზოს რამდენად მიკერძოებულია ქართული მედიასივრცე არჩევნების პერიოდში და რა პრობლემებს წარმოშობს ის. ქართული პოლარიზაციის მახასიათებლების აღწერასთან დაკავშირებით საინტერესო ანალიზია წარმოდგენილი საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსის, ნინო სამხარაძის ნაშრომში **“What Does the Polarization in Georgia Look Like and How to Measure it”**. აქ განხილულია ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის დეპოლარიზაციას. გაანალიზებულია 2021 წლის არჩევნებიდან დღევანდელობამდე პერიოდი. ნაშრომი გამოყოფს საქართველოსთვის დამახასიათებელ და აქტუალურ ელიტურ-აფექტურ პოლარიზაციას.

ჩემი კვლევისთვის საინტერესო და მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს კას მიუდეს **“The Populist Zeitgeist”**, სადაც ავტორი საუბრობს პოპულიზმზე, თუ როგორ უწყობს ის ხელს საზოგადოების დაყოფას ორ ანტაგონისტურ ჯგუფად, რასაც პოლარიზაციამდე მივყავართ (Mudde, 2004). პოპულიზმი პოლარიზაციის თანმდევი პროცესია, რომელიც პოლიტიკოსთა რადიკალური ქცევისა და საზოგადოების მობილიზაციის ერთ-ერთი წინაპირობაა.

კვლევის მიზანი. საკვლევი თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩემი კვლევის მიზანია სიღრმისეულად ვიკვლიო, თუ როგორ ხასიათდება პოლარიზაცია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და გამოვყო ის საშინაო პოლიტიკური ფესვები, რომლებიც ამწვავებს მას. მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს 2012 წლიდან დღემდე ჩატარებული არჩევნების შემდგომ პოლიტიკურ ელიტებში წამოჭრილი საკითხებისა და, ზოგადად, გარემოს ანალიზი. ეს საშუალებას მოგვცემს საქართველოში პოლიტიკური სპექტრის შეხედულებების და მისწრაფებების დადგენასა და მათ მიერ წამოჭრილი საკითხების გააზრებაში. პოლარიზაციის პრობლემა საქართველოში პრეცედენტული შემთხვევა არაა, ის სხვა ქვეყნებსაც ახასიათებთ. ქვეყანაში აუცილებელია განსხვავებული აზრი და პოლიტიკურ პარტიათა მრავალფეროვან იდეათა ჭიდილი. თუმცა ეს უკანასკნელი უნდა ეფუძნებოდეს გარკვეულ ლოგიკურ ფუნდამენტს და, უპირველესად, არ უნდა აზიანებდეს ქვეყნის მომავალს. ამიტომაც მნიშვნელოვანი ამოცანაა გავიაზროთ პოლიტიკურ პარტიათა იდეოლოგიური ნარატივი და საყრდენი, რომელიც ეკვივალენტური უნდა იყოს მათ განცხადებებსა თუ ქმედებებთან. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს გავცეთ კითხვებზე პასუხი, თუ როგორ ხასიათდება პოლარიზაცია საქართველოში, რა როლს თამაშობს პოლიტიკურ პარტიათა იდეოლოგიური ჩარჩოს სხვაობა და რატომ მწვავდება დღითი დღე პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხი ქვეყანაში. წინასწარი ვარაუდის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბდა რამდენიმე ჰიპოთეზა. პირველ რიგში, ეს პრობლემა საქართველოსთვის არახალია, ამიტომაც მისი ფესვები წარსულში უნდა ვეძიოთ. მეტად სავარაუდოა, რომ პოლარიზაციის პრობლემას საქართველოში დიდწილად განაპირობებს იმპერიული საბჭოთა პოლიტიკური მემკვიდრეობა. ასევე, საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაცია ხასიათდება არა კონკრეტულ იდეოლოგიათა განსხვავებულობით, არამედ საზოგადოების მტრებად და მეგობრებად დაყოფით, რაც ნოყიერ ნიადაგს უქმნის პოპულიზმის განვითარებას. ამასთანავე, კვლევის ერთ-ერთ ჰიპოთეზას წარმოადგენს პოლიტიკური სპექტრის რადიკალიზაციის საკითხი, რომელიც უკავშირდება ბრძოლას რესურსებისთვის, რაც ქართული პოლიტიკური სისტემის შედეგია.

თეორიული ჩარჩო. პრობლემა, რომელიც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, ეს არის ბრძოლა ხელისუფლებისთვის, რადიკალიზმი და არაჯანსაღი დაპირისპირება. მკვლევართა და

პოლიტოლოგთა უმრავლესობა პოლარიზაციის პრობლემას ხშირად ეკონომიკური რესურსების მოპოვებას უკავშირებს, თუმცა აღნიშნული საკითხის უკეთ გასააზრებლად, ვფიქრობ, ადამიანის მოტივაციისა და ფსიქოლოგიური არსის უფრო სიღრმისეული შესწავლაა საჭირო. სწორედ აღნიშნულ საწყისებზე საუბრობს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი და ფილოსოფოსი ფრენცის ფუკუიამა თავის წიგნში „იდენტობა: იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის“. ავტორი აყალიბებს იდენტობის პოლიტიკის თეორიას, რომელიც მჭიდრო კავშირშია ადამიანების ერთმანეთთან დაპირისპირებასა თუ გაერთიანებასთან. „იდენტობის პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს ან ერის გაერთიანება, ან რევოლუცია, ან ავტორიტარიზმი“ [ფუკუიამა 2018: 31]. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ავტორი ადამიანური ბუნების საწყისებამდე მიდის და თიმოსსა და მის ნაწილებს ეხება. ფუკუიამას განმარტებით, თიმოსი სულის ის ნაწილია, რომელიც ალიარებისკენ და დაფასებისკენ მიიწევს. მასში მოიაზრება ასევე თანასწორად და სხვაზე უპირატესად ალიარების ადამიანური სურვილი. საუკუნეების მანძილზე უამრავი დაპირისპირება თუ სამოქალაქო ომი მომხდარა ღირსების შელახვისა და თანასწორად ალიარების სურვილის დასაკმაყოფილებლად (ქალების უფლებებისთვის ბრძოლა, სამოქალაქო ომი ამერიკაში, შავკანიანთა უფლებების ალიარებისთვის და საფრანგეთის რევოლუცია). ეს იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც აუცილებლად უნდა იყოს გამოხატული და დაფასებული. თუმცა ხასგასასმელია ისიც, რომ ხშირად ადამიანური სურვილი არა მხოლოდ თანასწორად ალიარებისკენ, არამედ უპირატესად ალიარებისკენ მიისწრაფვის, რასაც ავტორი პატივმოყვარეობასთან აკავშირებს (მეგალოთომია). მატერიალური მოტივაცია ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოთხოვნილებაა, თუმცა ის ძლიერ არის გადაჯაჭვული იდენტობასა და ალიარების მოთხოვნასთან. ეკონომისტების აზრით, სარგებლის მოტივაცია რესურსების მოპოვებას უკავშირდება, თუმცა, ფუკუიამას აზრით, აქ მნიშვნელოვანი სიღრმისეული დეტალია უგულვებელყოფილი – ესაა თიმოსი, ანუ საზოგადოებაში სტატუსის ამაღლებისა თუ დამკვიდრების სურვილი. აქედან შეიძლება ითქვას, რომ, თუ ადამიანის მოტივაცია უკავშირდება რესურსების მოპოვების სურვილს, მასში იმალება ალიარების მოთხოვნილება. საქართველოში ხშირად ბრძოლის რადიკალურ მეთოდებს ვაწყდებით, რაც უკიდურესი პოლარიზაციის შედეგია. პოლიტიკოსთა ქცევა და დაპირისპირება მნიშვნელოვნად მეტყველებს არა მხოლოდ მათ, არამედ, ზოგადად, საზოგადოების პოლიტიკურ კულტურაზე. პოსტსაბჭოთა საქართველოს მნიშვნელოვნად გაუჭირდა და უჭირს იმ ნარჩენებისგან განთავისუფლება, რაც საბჭოთა იმპერიულმა პოლიტიკურმა კულტურამ დაუტოვა. სტივენ ჯონსის თეორიის თანახმად, საქართველო იმიტომაც არის გაყოფილი ერი, რომ ხელისუფლებასა და, ზოგადად, პოლიტიკაში მოვიდნენ საბჭოთა თარგზე გამოჭრილ ადამიანთა გაერთიანებები. სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურაში შესინთეზდა საეჭვოდ გამდიდრებული „რეინკარნირებული ნომენკლატურა“ [ჯონსი, 2012: 4]. ლიდერებზე და კულტებზე ორიენტირებულმა საბჭოთა პოლიტიკამ ჩამოაყალიბა საზოგადოების ინდიფერენტული დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიების მიმართ, თუმცა მნიშვნელოვნად გააძლიერა პერსონიფიცირებული პოლიტიკის პრობლემა. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, წარმოშვა ლიდერების გააქტიურებული მობილიზაცია და რადიკალიზმი პირველობისთვის. ზემოთ აღნიშნული იდენტობის პოლიტიკის თეორიის შესაბამისად კი, მიზნის მიღწევისთვის, პოლიტიკოსები ყველანაირ საშუალებებს იყენებენ. ისინი აპელირებენ მწვავე პრობლემებით და ცდილობენ საზოგადოებაში კარგი სახელის მოხვეჭას. შესაბამისად, იდენტობის პოლიტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს პოლიტიკოსთა ქმედებაზე.

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს პოლიტიკური პოლარიზაციის თანმდევი პრობლემა – პოპულიზმი, რომლითაც მარტივად ხდება საზოგადოების მანიპულირება და მწვავე საკითხებით აპელირება. მიუხედავად იმისა, რომ პოპულიზმი სხვადასხვა სახით გვევლინება მსოფლიოში, მის

ერთ-ერთ საერთო მახასიათებლად შესაძლოა გამოვყოთ ის არამყარ იდეოლოგიურ-პოზიციური თუ ღირებულებითი საკითხები, რომლითაც ხშირად მანიპულირებენ პოპულისტები. თეორეტიკოსი და ფილოსოფოსი, პოპულიზმის მკვლევარი თავის წიგნში *“Populism: What’s in a name?”* განიხილავს ამ ფაქტორებს და გვთავაზობს საინტერესო კონცეპტს, რომელსაც „ცარიელ აღმნიშვნელს“ (*empty signifier*) უწოდებს. ლაკლაუს აზრით, საზოგადოების აზრის პოპულისტური მობილიზაცია და მანიპულაცია ხდება იმ საზოგადოებაში, სადაც არის ბევრი ცარიელი აღმნიშვნელი (Laclau 2015). ნებისმიერი მოვლენა, რომელიც არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და არ აქვს მკაფიო მნიშვნელობა, არის ცარიელი აღმნიშვნელი. მისი შევსება შეიძლება მოხდეს როგორც „კარგი“, ისე „ცუდი“ ნარატივებით. შესაბამისად, პოლიტიკურ ოპონენტებს მარტივად შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი მიზნებისთვის აღნიშნული საკითხი და ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე. ცარიელი აღმნიშვნელი, საქართველოს შემთხვევაში, შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც დამოკიდებულებები დასავლეთის მიმართ, რომელიც მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული და მუდმივი გადაფასების პროცესშია. აღნიშნულს კარგად იყენებენ განსაკუთრებით მემარჯვენე პოპულისტური ჯგუფები და ევროპას წარმოადგენენ მტრად, რომელიც ქართულ იდენტობას, ტრადიციებს, სუვერენიტეტს უქმნის საფრთხეს.

სტატიის ფარგლებში განვიხილავ პოპულიზმის ორ მიდგომას (იდეურს და პოლიტიკურ-სტრატეგიულს), რადგან, ქვეყნის პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე ორივე მათგანი უკეთ ასახავს ქვეყნის პოლიტიკურ სპეციფიკას და პოლიტიკური პოლარიზაციის მნიშვნელოვან ასპექტებს. პოლიტიკურ-სტრატეგიული მიდგომა უკავშირდება პოლიტიკოსთა ოპორტუნიზტული ქმედების ახსნას პოპულიზმის ჭრილში, რომელიც მიზანმიმართულია ხალხის მობილიზაციისკენ და მხარდაჭერის მოპოვებისკენ. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის დემაგოგია – ფარისევლობით მასების მართვა და საკითხის არამართებულად ან პირადი ინტერესების შესაბამისად წარმოჩენა (Weyland 2017). აღნიშნული კი ქართული რეალობისთვის უცხო არ არის. დღეს ქვეყანაში პოლიტიკური დებატები შემოიფარგლება ელექტორალური სარგებლის მიღებისთვის გაკეთებული განცხადებებით და რადიკალიზმით. პოპულიზმის მოზღვავენას ადგილი აქვს წინა საარჩევნო დაპირებებისას, როდესაც აპელირება ხდება საზოგადოებისთვის პოპულარულ საკითხებზე. ვეილენი, სტრატეგიულ მიდგომაზე საუბრისას, ყურადღებას ამახვილებს პერსონიფიცირებულ პოლიტიკაზე, როდესაც საზოგადოება საკუთარ თავს აიდენტიფიცირებს ლიდერთან. ბევრ ადამიანს სწყურია საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობა, რომელიც წარმოიქმნება გამოჩენილი, გაბედული ლიდერისადმი ძლიერი ერთგულებით. იქ, სადაც ლიდერი მართავს ქარიზმას და ხალხის დიდ მასას, ვითარდება ღრმა პიროვნული იდენტიფიკაცია (Weyland 2017).

ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ხშირად ვხვდებით პოპულიზმის იდეური მიდგომის ელემენტებსაც ოპოზიციური პარტიების მხრიდან, რომელიც გამოიხატება ხელისუფლებასა და ხალხს შორის უფსკრულის გაღრმავება, გამძაფრება, ხაზგასმის მცდელობებში. პოპულიზმის იდეოლოგიური მიდგომის მომხრე და ფუძემდებელი კას მიუდე მიიჩნევს, რომ საზოგადოება დაყოფილია ორ, ჰომოგენურ და ანტაგონისტურ ჯგუფად, სადაც ერთ მხარეს არის „ხალხი“, მეორე მხარეს კი „კორუმპირებული ელიტა“. მიუდე პოპულიზმს უწოდებს წვრილცენტრულ იდეოლოგიას, რადგან მას შეუძლია შეერწყას ნებისმიერ იდეოლოგიას, მაგ: კომუნიზმს, ნაციონალიზმს ან სოციალიზმს. ამასთანავე, პოპულიზმს ახასიათებს როგორც მანიქეურ მსოფლმხედველობას, სადაც საზოგადოება იყოფა მტრებად და მეგობრებად. ოპონენტები არ არიან უბრალოდ განსხვავებული აზრის მქონე პირები. ისინი „ბოროტები“ არიან. მეორე მხარეს კი „სიკეთე“ დგას (Mudde 2004: 544). საზოგადოების მტრებად და მეგობრებად დაყოფის პოლიტიკა პოლარიზაციისა და რადიკალიზაციის მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომელიც საფრთხეს უქმნის კონსოლიდირებული, დემოკრატიული მთავრობის არსებობას და კონსენსუსს. მიუდეს და კალვასერის მოსაზრებით,

პოპულიზმი წარმოიქმნება იქ, სადაც დემოკრატია სუსტია (Mudde & Kaltwasser 2012). აღნიშნული დაკავშირებულია პოლიტიკური პარტიების მყიფე იდეოლოგიურ საფუძვლებთან, რომელიც ცდილობს არა უბრალოდ საკუთარი მხარდამჭერების ინტერესების დაცვას, არამედ მთელი საზოგადოების მობილიზაციას ნებისმიერი საშუალებით და სრული უმრავლესობით გამარჯვებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, საქართველოს შემთხვევაში, პოპულიზმის ზემოთ აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რადგან პოლიტიკოსი ხშირად ორივე მეთოდს მიმართავს გარემოებებიდან გამომდინარე. პოლიტიკურ-სტრატეგიულ მიდგომას მნიშვნელოვანი პრობლემა ახასიათებს – რთული დავადგინოთ, თუ ვინ არის ნამდვილად პოპულისტი დემაგოგი. შეუძლებელია პოლიტიკოსთა აზრების კითხვა და რაციონალურად დასაბუთება. მას გარკვეული დრო სჭირდება, რათა შეჯერდეს განცხადებათა და ქცევათა ეკვივალენტურობა. როგორც რაღაც დარენდორფმა აღნიშნა, „ერთის პოპულიზმი მეორეს დემოკრატიაა და პირიქით“ [Mudde 2004: 543]. თუმცა დღევანდელი ქართული პოლიტიკური სივრცე მარტივი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ პოპულიზმი ჩვენს რეალობაში არსებობს. პოპულისტი ლიდერები თამაშობენ ადამიანთა ემოციურ მხარეზე და ახდენენ საზოგადოების მობილიზაციას პირადი მიზნებისთვის. აქედან გამომდინარე, ზემოთ მოყვანილი საკითხები ერთმანეთის ჯაჭვური რეაქციაა. იდენტობის თეორია – სხვაზე უპირატესად აღიარების სურვილი დაკავშირებულია რესურსების მოპოვების სურვილთან, ხოლო მატერიალური კეთილდღეობისთვის და სტატუსის ამაღლებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა არჩევნებში გამარჯვება და ხელისუფლებაში მოსვლაა, რა დროსაც უკიდურეს რადიკალიზმს ვაწყდებით. მიზნის მიღწევისთვის მიმდინარეობს ყველა საშუალების გამოყენება, მანიპულირება, დემაგოგია და ა.შ.. საბოლოოდ კი ქვეყანაში მწვავე პოლარიზაცია პრობლემას უქმნის ქვეყნის სტაბილურობას, დემოკრატიულ განვითარებასა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას.

თავი 1

საბჭოთა პოლიტიკური მემკვიდრეობა

როდესაც საქართველოში მწვავე კრიზისზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ პოლიტიკურ კულტურას, რომელიც გამოირჩევა საბჭოური ელემენტებით. კომუნიზმი მეოცე საუკუნის ყველაზე მასშტაბური, მასობრივი და სასტიკი მოვლენა იყო მსოფლიოში. მან პირველ რიგში დაარტყა ქვეყნის ისეთ ძალას, რომელიც განვითარება-წინსვლის სანინდარია – გადაასახლა ან დახვრიტა ინტელიგენციის დიდი ნაწილი, შეიჭრა ადამიანის ყველა სფეროში და მოახდინა მისი ტრანსფორმაცია. მიმდინარეობდა მზარდი „კულტურული რევოლუცია“. სკოლებში განათლება ისწავლებოდა, რა თქმა უნდა, მარქსისტ-ლენინისტური იდეოლოგიის შესაბამისად. ისტორია გამოიყენებოდა, როგორც იდეოლოგიური იარაღი, ხდებოდა მისი გადანერა და არასასურველი ფაქტების შენიღბვა. მარტივად რომ ვთქვათ, ისინი თესავდნენ იმ მარცვალს, რომლის ნაყოფი უპირობო მორჩილება, ერთგულება, თაყვანისცემა და შიში იყო. საბჭოთა პრექტების საფუძველზე გამოიძერწა სრულიად ახალი კულტურული ღირებულებების მქონე „საბჭოთა ადამიანი“. შესაბამისად, ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებულ ღირებულებათა ერთობლიობა მის ნგრევასთან ერთად არ გამქრალა. საქართველოს დამოუკიდებლობას სწორედ საბჭოთა სისტემაში აღზრდილმა მოსახლეობამ დაუჭირა მხარი. გასაკვირი არაა, რომ საზოგადოებას მნიშვნელოვნად გაუჭირდა იმ პრობლემებისა თუ გამოწვევების დაძლევა, რასაც ქვეყანა 1990-იანი წლებიდან წააწყდა. სტივენ ჯონსის აზრით, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საბჭოთა ფსიქოლოგია დაბრკოლებას წარმოადგენდა იმ დემოკრატიისთვის, რომელზეც ქართული საზოგადოება ამყარებდა იმედებს. „ერთ-ერთი ყველაზე საზიანო მემკვიდრე-

ობა, რაც საბჭოთა კავშირმა დაგვიტოვა, სოციალური და პოლიტიკური უფსკრული გახლდათ ელიტებსა და „სუბიექტებს“ შორის“ [ჯონსი 2012: 11]. მათ დანერგეს მტრის ხატის სისტემა, რომელიც მოქმედებდა როგორც გარეგან, ისე შინაგან მტერზე. ნაციონალიზმის აფეთქება, რომელიც დამოუკიდებლობით დაგვირგვინდა, მნიშვნელოვნად ხასიათდებოდა გაყოფილობით „ჩვენ და ისინი“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზვიად გამსახურდიას და, ზოგადად, პოლიტიკურ ელიტას ახასიათებდა სიძულვილის ენით საუბარი. ყოველი განსხვავებული აზრის ავტორი აღქმული იყო, როგორც მტერი. ამიტომაც ხშირი იყო ისეთი რიტორიკა, როგორიცაა: „მტერი“, „მოღალატე“, „რუსეთის აგენტი“, „ჯაშუში“, „პრორუსული“, „კორუმპირებული“ და ა.შ., რასაც დღესაც ხშირად ვისმენთ პოლიტიკური დისკურსის პროცესში. სტივენ ჯონსი აღნიშნავს, რომ, დამოუკიდებლობის გამოცხადების მიუხედავად, პოლიტიკაში რეალურად დაბრუნდნენ ისევ ის პირები, რომლებიც აღზრდილნი იყვნენ საბჭოთა ღირებულებების შესაბამისად. საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რომელიც აქტიურად უპირისპირდებოდა საბჭოთა სისტემას და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იღვწოდა, განვითარდა კომუნისტურ სივრცეში. ვითარება შემდგომ პერიოდში მეტად გამწვავდა. სამოქალაქო ომის პირობებში, ხელისუფლებაში დაბრუნდნენ საეჭვოდ გამდიდრებული პირები, რომლებიც დამოუკიდებლობამდე ემსახურებოდნენ კომუნისტურ პარტიას. დამოუკიდებელი საქართველო, რეალურად, აღმოცენდა არა „კომუნიზმის ნანგრევებზე“, არამედ კომუნიზმის ნანგრევებით“ [ჯონსი 2012: 4], რასაც დევიდ სტარკმა რეკომენდაცია უწოდა. ერის დაქსაქსულობამ და უკიდურესმა ძალადობრივმა მეთოდებმა საბოლოოდ დაამხო ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლება. საქართველოში დაბრუნდა ავტორიტარიზმი, რომელიც ასე ჩვეული იყო პოსტაბჭოთა სივრცის საზოგადოებისთვის. მინდა ხაზი გავუსვა მკაფიოდ იმ მოსაზრებას, რომ აღნიშნული უკავშირდებოდა სწორედ საბჭოთა პოლიტიკური კულტურის ფესვებს და იმ საზოგადოებას, რომელიც ძალიან შორს იყო დემოკრატიული, ჯანსაღი გარემოსგან.

ქართული საზოგადოების კულტურა ყოველთვის ორიენტირებული იყო ერის გამირების ძიებით. სახელმწიფოსადმი უნდობლობამ ეკონომიკის საჯარო საკითხებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ გააჩინა აუცილებლობა ერის ხელმძღვანელისა, რომელიც გაერთიანების შესაძლებლობას მისცემდა ერს და არ დაუშვებდა მარგინალური ძალების მოძრაობას. ქართველების უმეტესობა იდენტიფიცირებს და ენდობა ძლიერ ქარიზმატულ ლიდერებს, ეს აისახება საქართველოს ძლევა-მოსილი მონარქების, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მიმართ ნოსტალგიით (ჯონსი 2012). თანამედროვე პირობებში, აღნიშნული მონარქის პოზიცია ქვეყნის მთავარ-სარდალს უნდა შეეთავსა. საბჭოთა ამ პროექტის საფუძველზე, ქვეყნის მესამე პრეზიდენტის პირობებში, ჩამოყალიბდა სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა, ლიდერის ფართო უფლებამოსილებითა და სუსტი ოპოზიციური პარტიების სახით. საბჭოთა მანქანის მიერ ისტორიის გადანერისა და ქართული საზოგადოების ეროვნული გრძნობის სათავესოდ გადაკეთების შედეგი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ერის გადამრჩენელის და ლიდერის გამუდმებით ძიება, ყოველ ნაბიჯზე თან სდევს დღევანდელობას. მსგავსად დატრიალდა ბორბალი 2012 წელს, როდესაც ქართულ პოლიტიკურ კულტურაში მნიშვნელოვნად ჩაბეჭდილი გმირისა და მზრუნველის ძიებით, საზოგადოებამ „ერის მამად“ შერაცხა ბიძინა ივანიშვილი და მისი პარტია, რომელმაც არჩევნებში ხმათა სრული უმრავლესობა მოიპოვა. აქედან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს პერსონალიზებულ პოლიტიკასთან. ქარიზმატული ლიდერებისადმი ფოკუსირებულია ასევე მედიის ყურადღებაც და ხშირად სხვა პარტიის წევრების შეხედულებები ინტერესს მიღმა რჩება (Rahat & Sheaffer 2007). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უამრავი პარტია ფუნქციონირებს, საპარლამენტო არჩევნების დროს მხარდაჭერა დიდი უთანაბრობით ნაწილდება. აღნიშნული კი მოწმობს იმას, რომ ბევრი პარტიის არსებობა აუცილებლად მრავალპარტიულ სისტემას არ მოიპყრებს. ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ხდება წევრების იერარქიულად დალაგება და აღნიშნუ-

ლი პარტია ასოცირდება ან გათანაბრებულია მათ ლიდერთან. „ასე იყო ყველა მნიშვნელოვანი პარტიის და, განსაკუთრებით, მმართველი პარტიების შემთხვევაში. ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, სწორედ გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილისა და ივანიშვილის პიროვნებებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი მათი პარტიების წარმატებაში“ [ავალიშვილი 2015: 2]. მსგავსმა პერსონიფიკირებამ მკვეთრად შეასუსტა მრავალპარტიული სისტემისა და, ზოგადად, კოალიციური მთავრობის არსებობის იდეა. პერსონალიზებზე ორიენტირებული საზოგადოება დამოკიდებული და მარტივად მართვადია. ქარიზმატული ლიდერის მიმართ ნდობის გრძნობა მაღალია და, შესაბამისად, უკანა პლანზე გადადის საგნობრივი დიალოგი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. პერსონიფიკირებული პოლიტიკა საფრთხეს უქმნის პარტიული სისტემის ინსტრუმენტალიზაციას და კონსოლიდირებული მთავრობის არსებობის შანსს. პირადი მტრობის ფონზე შეუძლებელია საჭირო დიალოგისა თუ დებატების წარმოება, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობისთვის (Bértoa 2017). პერსონიფიკირებამ, ლიდერის/გმირის გარშემო ორიენტირებამ შეაფერხმა დემოკრატიისკენ სვლა. შესაბამისად, საბჭოთა ღირებულებითი სისტემის მარწმუნებში დღესაც მნიშვნელოვნად არის გახვეული ქართული რეალობა. იმისათვის, რომ დღეს გავიაზროთ, თუ რატომ არ ყვავის დემოკრატია საქართველოში, რატომ ვართ ჯერ კიდევ პოლარიზებული და რატომ ვებრძვით ერთმანეთს, პირველ რიგში, აუცილებელია სწორედ საბჭოთა მემკვიდრეობის გააზრება. დიდი ხანი არაა, რაც ამხელა იმპერია განადგურდა. რთულია იმ ფსიქოლოგიური ტრავმების გადალახვა, რომელიც ახასიათებს ქართულ საზოგადოებას. რაც არ უნდა პარადოქსად გვეჩვენებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა გმობს საბჭოთა სისტემურ წყობილებას და ახასიათებს, როგორც უკიდურესი ძალადობის მანქანად, პოლიტიკურ სივრცეში ისევ ვლინდება როგორც საბჭოური ქვეშევრდომული პოლიტიკური ორიენტაციები, ისე პოლარიზაციისა და ფრაგმენტაციის მაღალი დონე პოლიტიკური პარტიების მხრიდან.

1.1. ტოტალიტარული სისტემის გადმონაშთი

როდესაც ვსაუბრობთ პოლიტიკოსებისა და, ზოგადად, საზოგადოების პოლიტიკურ ქცევაზე ან გამოხატვის მეთოდებზე, პირველ რიგში, საქმე გვაქვს პოლიტიკურ კულტურასთან. მასზეა დამოკიდებული პოლიტიკური სისტემის რაობა და ხარისხი. გაბრიელ ალმონდმა და სიდნეი ვერბამ გამოყვეს პოლიტიკური კულტურის რამდენიმე ტიპი – მრევლის, ქვეშევრდომისა და მონაწილის ორიენტაციები (ხუნდაძე 2016). პოლიტიკური რეჟიმი ხელს უწყობს ხალხის პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების პროცესს. მაგალითად, ავტორიტარული და, განსაკუთრებით, ტოტალიტარული სახელმწიფოები ნერგავენ და ქმნიან ქვეშევრდომის ორიენტაციის მქონე საზოგადოებას, სადაც უპირობო მორჩილება, დაბალი აქტივიზმი და პარტიის ან ერთი პიროვნების კულტია აღიარებული. საბჭოთა ისტორიის ფონზე, რთულია ვისაუბროთ საქართველოში პოლიტიკური კულტურის მაღალ დონეზე, რადგან აქ ტოტალიტარული მემკვიდრეობისა და შემდგომ ავტორიტარული რეჟიმების გავლენამ მნიშვნელოვნად შეანელა განვითარება დემოკრატიზაციისკენ. ექსპერტთა აზრით, პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე ხშირად კავშირშია უკომპრომისობასთან, რასაც პოლარიზაციამდე მივყავართ. პოლარიზაცია გარკვეულ დონეზე საჭიროა. პრობლემა არის დაპირისპირების ხარისხში, უფრო მეტად, რადიკალიზმში, ფუნდამენტალიზმსა და ნულოვანი თამაშის წესებში, როდესაც ან ყველაფერს იგებ, ან ყველაფერს კარგავ. უკომპრომისობა და განსხვავებული აზრის მიუღებლობა პოლიტიკური კულტურის ნაწილია. საბჭოთა მანქანამ გავლენა მოახდინა აგრესიული პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე. საბჭოთა კავშირის იდეოლოგიის და შემდგომ სისტემის ნგრევის ფონზე განვითარებულმა სოციალურ-კულტურულმა შოკმა წარმოშვა ნიჰილიზმი, უნდობლობა, კონფორმიზმი, განსხვავებუ-

ლი აზრის მიუღებლობა მწვავე რიტორიკით და პოლარიზაცია. საქართველოში აღნიშნული წარმოადგენს პოლიტიკურ ქცევათა ერთობლიობას, რომელიც პოლიტიკური კულტურის დონეს უკავშირდება.

პოლიტიკური კულტურის მაღალი დონით და მონაწილის ორიენტაციის სიჭარბით საქართველოში დღესაც არაა მაღალი მაჩვენებელი. იმისათვის, რომ დადგინდეს როგორია ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის დონე და რომელი სახე ჭარბობს, აუცილებელია შეჯამდეს ქცევების ერთობლიობა, თუ როგორ რეაგირებს საზოგადოება სისტემის შემავალი და გამომავალი პროცესების მიმართ. ამასთან, პოლიტიკური კულტურის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ინდიკატორს არჩვენები წარმოადგენს. კავკასიის ბარომეტრის 2012-2017 წლის კვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში გამოკითხულთა 80%-ზე მეტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს არჩვენებში მონაწილეობის საკითხს (კავკასიის ბარომეტრი 2012-2017), თუმცა, ცესკოს მონაცემებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო დარეგისტრირებული ამომრჩევლების 51%-მა (CEC 2016), რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელი არაა სახარბიელო. კავკასიის ბარომეტრის კვლევების მიხედვით, ასევე დაბალი მაჩვენებელია საჯარო შეხვედრებში მონაწილეობისა და სხვა სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაბალია პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობა. მაგალითად, 2012 წელს, კითხვაზე „რამდენად ენდობოდნენ საქართველოს პარლამენტს“, ნდობის ხარისხი 44% უტოლდებოდა, ხოლო 2019 წლისთვის ეს მაჩვენებელი 15%-მდე დაეცა (კავკასიის ბარომეტრი 2012, 2019). ამასთანავე, მნიშვნელოვნად დაბალია ნდობა პოლიტიკური პარტიების მიმართ. 2012 წელს გამოკითხულთა 22% არ ენდობა, ხოლო 2019-ში აღნიშნული ციფრი 50%-მდე იზრდება (კავკასიის ბარომეტრი 2012-2019). შესაბამისად, ხშირად ნდობის ფაქტორი განაპირობებს არჩევნებში მონაწილეობის ხარისხსაც. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ მონაწილის ორიენტაციები საქართველოში ნაკლებად ჭარბობს. პოლიტოლოგი გია ნოდია პოლიტიკოსთა რადიკალიზაციას უკავშირებს პოლიტიკურ კულტურას, რომელიც ნდობის დეფიციტით გამოირჩევა. „პოლიტიკურ პარტიათა რადიკალიზაცია შეიძლება დავუკავშიროთ უნდობლობას, უნდობლობა არის ჩვენი სოციალური კულტურული ფენომენი. სოციალური ნდობის დეფიციტი არის მანიშნებელი, რომელიც უკავშირდება პოლარიზაციას. საბჭოთა მემკვიდრეობა იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც შეუწყო ხელი ნდობის შემცირებას ადამიანებს შორის. ადამიანები არ ენდობიან ორგანიზაციებს, არ ენდობიან ერთმანეთს. სერიოზული ორგანიზაციები იმიტომ ვერ იქმნება, რადგან ნდობაა დაქვეითებული. ნდობა არის ლიდერის ძლიერი პიროვნებების მიმართ, რაც ხშირად პოლიტიკის პერსონიფიცირებას გულისხმობს“ – გია ნოდია (პირისპირი ინტერვიუ. 17.01.2024).

1.2. სიძულვილის ენა და საბჭოური ელემენტები

პოლიტიკური ქცევისა და, შესაბამისად, პოლიტიკური კულტურის ნაწილია პოლიტიკოსთა დისკუსიის ფორმა და დამოკიდებულება ოპონენტების მიმართ. ქართულ პოლიტიკურ ელიტას მნიშვნელოვნად ახასიათებს სიძულვილის ენა და ინვექტივის განხორციელება ერთმანეთის მიმართ. ის ძირითადად სცდება ემოციებზე დაფუძნებულ სიტუაციურ შემთხვევითობას და არის მიზანმიმართულად განხორციელებული, ოპონენტის გაშავების მცდელობა. სიძულვილის ენა და პოლარიზაცია მნიშვნელოვან კავშირშია ერთმანეთთან. არაჯანსაღი კონკურენცია ართულებს ერთმანეთთან დიალოგს. პოლიტიკოსთა რადიკალიზაცია ემსგავსება ხელჩართულ ბრძოლას, რომლის ნეგატიური მესიჯები საზოგადოებაზე მწვავე გავლენას ახდენს. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკოსების მიზანმიმართული მწვავე რიტორიკა დაპირისპირებულ ბანაკად ყოფს საზოგადოებას და მანიპულაციის საშუალებით ხდება მობილიზაცია. საბჭოური ტერმინებით გაჯერებული რეალობა მაპოლარიზებელია. მტრის ხატის შექმნით პოლიტიკოსები ცდილო-

ბენ ელექტორატზე ზეგავლენის მოხდენას, რადგან, ცხადია, ყველას სიკეთის მხარეს ყოფნა სურს. ამერიკის ხმასთან აღნიშნულ საკითხზე ისაუბრა აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან ცუცქერიძემ. მისი აზრით, ოპონენტების დემონიზაცია მიზანმიმართულად შექმნილი სტრატეგიაა, რომელიც ორი მხარის, ცუდისა და კარგის, ბოროტისა და კეთილის არჩევას მოითხოვს. ამ პირობებში „ბოროტი“ არის ოპონენტი, რომელიც უნდა განადგურდეს. „ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ძლიერია პოსტსაბჭოური პოლიტიკური კულტურის, სტალინური მეთოდების გავლენა, რაც გულისხმობს მოწინააღმდეგის პოლიტიკურ განადგურებას. გამარჯვება მიღწეულად მიიჩნევა და პატივსაცემია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე არის გადამწყვეტად განადგურებული ან ზის ციხეში“ [დალაქიშვილი 2017]. წარსულზე აპელირებით და წინა ხელისუფლების კრიტიკით რთულდება საუბარი, ერთი მხრივ, ხელისუფლებასა და, მეორე მხრივ, ოპოზიციას შორის. საბოლოოდ კი მივიწყებას მიეცემა ის საერთო სიკეთეები, რომელსაც ქვეყნის განვითარებისთვის ხელისუფლებამ ოპოზიციასთან ერთად უნდა მიაღწიოს. განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომ გააქტიურდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა: „რუსეთის აგენტი“, „მკვლელები“, „სამშობლოს მოღალატე“, „პრო-რუსი“ და ა.შ. მწვავე რიტორიკამ და უკიდურესმა პოლარიზაციამ ქვეყანას ხელი შეუშალა 2022 წელს კანდიდატის სტატუსის მიღებაში. აღნიშნულ საკითხზე საუბრობს „Front News“-თან პოლიტიკური პარტია „გირჩის“ წევრი იაგო ხვიჩია და პარალელს სვამს 90-იან წლებში სამოქალაქო ომსა და ბოლოდროინდელ მწვავე ვითარებას შორის. „ამ ლექსიკამ, მძიმე ბრალდებებმა და ერთმანეთისათვის აგენტების დახებას სადამდეც მიგვიყვანა 90-იანებში, გვახსოვს, ახლა მეორე ჯერზე სად მიგვიყვანს, ვერ გეტყვით“ – იაგო ხვიჩია [მაკარაძე 2022.]. გაშავების პოლიტიკა საქართველოს პრეზიდენტსაც შეეხო, როდესაც 2023 წლის 18 ოქტომბერს ქართული ოცნება დაუპირისპირდა სალომე ზურაბიშვილს და იმპიჩმენტის წესით მოითხოვა მისი გადაყენება. დაიწყო ძველი ფაქტების ქექვა და განცხადებების გაშიფვრა, მაგალითად, 2018 წელს სალომე ზურაბიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ, თითქოს, 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო (საინტერესოა, რამ განაპირობა ხუთი წლის მერე აღმფოთება). ძალიან მოკლე დროში გაისმა ერთმანეთის მიმართ მსგავსი ბრალდებები – „აგენტი“, „პრორუსი“ და ა.შ. თუ „ჩემთან არა ხარ, ჩემი მტერი ხარ“ პოლიტიკა, სამწუხაროდ, ნათლად ვლინდება ქართულ რეალობაში. „მტრის ხატი მეც შემეხო, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც არ გეთანხმება რაღაცაზე, უცებ ხდება რუსეთის აგენტი. ეს გრძელდება ყველა პერიოდში, დღემდე, თუ არ ეთანხმები, ხარ უცებ მოღალატე, მტრის ხატი არის გამოყენებული“ – სალომე ზურაბიშვილი [ფორმულა ნიუსი 2022]. საქართველოში პოლიტიკური ოპონენტის ცნება თითქმის ნაშლილია – ან ხარ ყველაფერში თანამოაზრე, ან ხარ მტერი. მწვავე რიტორიკა განსაკუთრებით პრობლემატური ხდება წინასაარჩევნო პერიოდში. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ სიძულვილის ენა მნიშვნელოვნად დამახასიათებელი იყო პოლიტიკური პარტიებისთვის და განსაკუთრებით დასახელდა „პატრიოტთა ალიანსის“, „ლეიბორისტული პარტიის“ და ასევე „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერები (ISFED 2017). სიტუაცია უფრო მძაფრად შეფასდა 2018 წლის არჩევნების დროს. ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტის სადამკვირვებლო ანგარიშის მიხედვით, წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ საბჭოთა ჩარხზე გამოჭრილი მწვავე რიტორიკა არათუ მცირდება დროთა განმავლობაში, არამედ, პირიქით, უფრო და უფრო რადიკალურ ფორმებს იღებს. ეს პრობლემა მნიშვნელოვნად იწვევს დაძაბულობასა და პოლარიზაციას, რომელზეც ხშირად მიგვითითებენ ჩვენი დასავლელი მეგობრები. პრობლემა ხელს უშლის საქართველოში ჯანსაღი კონკურენციის, კოალიციური მთავრობის, საერთო კეთილდღეობისა და ლიბერალური დემოკრატიის მშენებლობას. პარტიების მიერ მიმდინარეობდა ოპონენტების დემონიზაცია და პირადი თავდასხმები.

თავი 2

ქართული პოლარიზაციის მახასიათებლები

ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა აზრთა სხვადასხვაობის, პოლიტიკოსთა ერთმანეთის კრიტიკის, კონკურენციის და, ხშირად, რიტორიკის გარეშე წარმოუდგენელია. ამასთანავე, აუცილებელია იდეოლოგიათა და შეხედულებათა მრავალფეროვანი სპექტრი. ექსპერტთა აზრით, პოლარიზაციის გარკვეული დონე ქვეყანაში საჭიროა, თუმცა პრობლემა მაშინ წარმოიშობა, როდესაც არაჯანსაღ კონკურენციას მივყავართ პოლიტიკის რადიკალიზაციამდე. „როცა საქართველოს ხელისუფლება ოპოზიციაზე ამბობს, რომ ის კრიმინალურია და არსებობის უფლება არა აქვს, ხოლო ოპოზიცია მას მოღალატედ და ქვეყნის მთავარი მტრის მართულად მიიჩნევს, აშკარაა, რომ პოლარიზაციის ძალიან ცუდი ვარიანტი გვქონია“ [ნოდია 2022]. საქართველო პრეცედენტული შემთხვევა არაა პოლარიზაციის პრობლემის კუთხით, ის სხვა მრავალ დემოკრატიულ ღირებულებებზე მდგომი ქვეყნების გამოწვევაა, თუმცა მისი გაზომვა საერთო მეთოდებით სირთულეს წარმოადგენს, საქართველოს პოლიტიკური პროცესების არასტაბილურობის გამო. მიუხედავად აღნიშნულისა, ექსპერტულ აკადემიურ წრეებში გამოყოფილია ოთხი მიმართულება, საითაც შეიძლება განვითარდეს პოლარიზაცია. ესენია – იდეოლოგიური და აფექტური, რომლებიც შეიძლება ცალ-ცალკე ახასიათებდეთ როგორც ელიტებს, ისე მასებს. მათგან იდეოლოგიურ ელიტური პოლარიზაცია გულისხმობს პარტიების განსხვავებულ იდეოლოგიურ სპექტრს, თუმცა, როდესაც საკითხი მასებს ეხება, ის საზოგადოების იდეოლოგიურ განსხვავებულობას გულისხმობს. რაც შეეხება აფექტურ პოლარიზაციას, მასების შემთხვევაში ის მოიაზრებს საზოგადოების კონკრეტული ჯგუფების დაპირისპირებას, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია აფექტურ-ემოციურ სანყისებზე, ხოლო ელიტების შემთხვევაში პოლიტიკური პარტიების აფექტურობასთან გვაქვს საქმე, როდესაც რადიკალიზმი მათ ერთმანეთისგან ადისტანცირებს და დებატები რეალურად დაფუძნებულია ემოციურ უკომპრომისობაზე (Van der Veen 2021). ეს უკანასკნელი თავის თავში ოპონენტის მიუღებლობას და ხშირად სიძულვილს გულისხმობს, რასაც პოლიტიკური კონკურენციის დესტრუქციულ სახემდე მივყავართ. ქართულ პოლიტიკურ რეალობასთან ბმა სწორედ ამ უკანასკნელს აქვს, რადგან საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობა მნიშვნელოვნადაა დაცლილი იდეოლოგიური მსჯელობებისგან. ამაზე საუბრობს კორნელი კაკაჩია და აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობას, განსაკუთრებით ხელისუფლებაში მყოფს, ძირითადად ახასიათებს წინა ხელისუფლების კრიტიკა და თავიანთ უკეთესობაზე ხაზგასმა. საგნობრივი დებატები და ჯანსაღი კონკურენცია გადაზრდილია ერთმანეთის დამცირება-გამავეებაში. „ჩვენი პოლარიზაცია, სხვათა შორის, არის ძალიან უცნაური, რადგან ეს არ გახლავთ რაღაც ევროპული ტიპის პოლარიზაცია, რომელიც დასავლეთში ხშირად დგას და ეფუძნება იდეოლოგიურ განსხვავებებს. რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ ჩვენში პოლარიზაცია ძირითადად ეფუძნება პერსონალიებს და ეს პერსონალიები ქმნიან გარკვეულწილად ამ პოლარიზებას“, – განაცხადა კორნელი კაკაჩიამ ევრონიუსთან ინტერვიუს დროს [მაქაცარია, 2022]. პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი ნინო სამხარაძე საქართველოში პოლარიზაციის მახასიათებლებზე საუბრისას ხაზს უსვამს იდეოლოგიური განსხვავებულობის სიმცირეს პოლიტიკურ პარტიებში. „იდეოლოგიური პოლარიზაცია მიიჩნევა რომ ნაკლებად არის ქვეყანაში. განსაკუთრებით დაპირისპირებული პარტიებიც კი ერთმანეთთან ძირითად იდეოლოგიურ ხაზებში თანხმობაში მოდიან, ზოგჯერ თავისდა უნებურადაც კი, მაგრამ ფაქტია, რომ ესეთი გამყოფი ხაზები იდეოლოგიებს შორის არ გადის. ხშირად ისინი თანაკვეთენ ერთმანეთს. ეს იმის ბრალიც შეიძლება იყოს, რომ იდეოლოგიები უბრალოდ არ აქვთ პარტიებს მიღმა პლატფორმებში და შესაბამისად ჩვენ ხელში გვხვდება ძი-

რითადად დამაზიანებელი აფექტური პოლარიზაციის კონტურები, როცა ნებისმიერი პარტიის თუ პოლიტიკური სუბიექტის სტრატეგია მიმართულია რაღაცის დაზიანებაზე – ნინო სამხარაძე (პირისპირი ინტერვიუ, 16.01.2024). საგნობრივი დიალოგის დეფიციტის, იდეოლოგიურ ნარატივებზე ყურადღების სიმცირის, პოლიტიკური დებატების არარსებობის და მხოლოდ დესტრუქციული მონოლოგის პირობებში, რელევანტურია, საქართველოში პოლარიზაციას აფექტური ვუნოდოთ. 2012 წლის შემდგომ საქართველოში უამრავი პოლიტიკური პარტია ფუნქციონირებს, თუმცა, 2012, 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, ხალხის ხმათა უმრავლესობას ძირითადად ორი პარტია „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იწინილებს (ცესკო 2012, 2016, 2020). ამასთან, მათ გარშემოა მობილიზებული საზოგადოების უმრავლესობის ყურადღება, რასაც ამწვავებს მათი ერთმანეთის მიმართ გამომჟღავნებული სიძულვილის ენა. ნაშრომის „რა სახე აქვს პოლარიზაციას საქართველოში და როგორ გავზომოთ ის?“ ფარგლებში ჩატარებული კვლევისას, რომელიც ამუშავებდა 2021-2022 წლის „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებულ განცხადებებსა თუ ბრიფინგებს, გამოიკვეთა მეტად საინტერესო შედეგები. ამ წლებში ქართული ოცნების ოფიციალურად გამოქვეყნებული განცხადებების თემატიკის 80% შეეხებოდა ენმ-ს და მისი წევრების ქმედებებს, ხოლო ენმ-ის ასევე ოფიციალური მიმართვების 96% ეხმიანება ქართული ოცნების კრიტიკას. აქ მაპოლარიზებელი ნარატივი 73%-ია, ის პერსონიფიცირებულია, რადგან განცხადებების უმრავლესობა აპელირებს ბიძინა ივანიშვილზე (რობაქიძე, 2022). ორივე პარტიის დღის წესრიგი თითქმის დაფუძნებულია მაპოლარიზებელ რიტორიკაზე, რომელიც ძირითადად სცდება საგნობრივ თუ იდეოლოგიურ დებატებს. ეს არის ერთმანეთის და პარტიის ლიდერების სრული განულება. „შესაძლებელია დასრულდეს პოლარიზაცია? შეუძლებელია, დასრულდეს პოლარიზაცია ბიძინა ივანიშვილის პირობებში... პოლარიზაცია უნდა იყოს კიდევაც. პოლარიზაცია იმ შემთხვევაში არ იქნება, თუ ერთი მხარე დამარცხდება“, – საუბრობს ნიკა მელია „ფორმულა ნიუსთან“ ინტერვიუს დროს [კვირის ფორმულა 2022]. ამიტომაც, როდესაც ვაკვირდებით ქართულ პოლიტიკურ სპექტრს და პოლარიზაციის მახასიათებლებს, მარტივად შესამჩნევი ხდება იდეოლოგიური საფუძვლისგან დაცლილი ნარატივი და აფექტურ-ემოციური რადიკალიზმი.

2.1. პოპულიზმი, როგორც მახასიათებელი

პოპულიზმი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრობლემას წარმოადგენს, რომელიც საჯარო თუ პოლიტიკური დისკუსიების დროს ძირითადად ნეგატიურ კონტექსტში გვხვდება. მის ქვეშ მოიაზრება პოლიტიკოსთა მიერ არაკეთილსინდისიერად გამოყენებული სხვადასხვა სიტუაცია. ხშირად პოპულიზმზე საუბრისას საქმე დემაგოგიასთანაც გვაქვს, როდესაც დაპირებებს არარეალური აბსტრაქტული სახე აქვს ან, უბრალოდ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ არ სრულდება. პოპულისტები ხშირად ადამიანთა განწყობების შესაბამისად ადგენენ დღის წესრიგს, გამოდიან სხვადასხვა განცხადებითა თუ მიმართვით, მაშინ, როდესაც პარტიის იდეოლოგიური ნაწილი მეორე პლანზეა გადასული. პოპულიზმი ოპორტუნიზისტულ ქმედებასაც უკავშირდება, რომელიც ნოყიერ ნიადაგს ქმნის საზოგადოების მხარდაჭერისა და სიმპათიის მოპოვებისთვის. მაგალითად, წინასაარჩევნოდ ხშირია ისეთი ქმედებები, როგორიცაა გადასახადების შემცირება ან პენსიების გაზრდის შესახებ დაპირებები (Mudde 2004). პოპულისტი პოლიტიკოსი ერგება ისეთ საკითხებს, რომელიც დამოკიდებულია დროსა და ადგილზე. ყველა ქვეყანაში განსხვავებული სახით შეიძლება მოგვევლინოს ქვეყნის სოციალური მდგომარეობის, საზოგადოების პოლიტიკური კულტურის, პოლიტიკური პროცესების განვითარების დონის შესაბამისად, ამიტომაც ხშირად მასზე საუბრისას რთულია ერთი უნიკალური შესატყვისის შესაბამება. მიუხედავად

იმისა, რომ ყველა ქვეყანაში განსხვავებული ფორმით შეიძლება შეგვხვდეს პოპულიზმი, შეიძლება ითქვას, რომ, უნივერსალური გაგებით, ყველა მათგანს ახასიათებს საზოგადოების დემარკაცია – ხალხად და ელიტად დაყოფა (მემარჯვენე პოპულიზმში, განსაკუთრებით საქართველოში, სიტყვა ხალხი იცვლება ერით). აკადემიურ სივრცეში თანამედროვე პოპულიზმის რამდენიმე სახეს გამოყოფენ. მათგან განვიხილავ პოლიტიკურ-სტრატეგიულ და იდეურ მიდგომას, რადგან ვფიქრობ, რომ დღეს ქართული პოლიტიკური სპექტრი სწორედ ამ ორი მიდგომის გამძაფრებულ ნაზავს წარმოადგენს. იდეური მიდგომის თანახმად, პოპულიზმი იდეოლოგიური ნარატივების ერთობლიობაა, სადაც საზოგადოება დაყოფილია ორ ანტაგონისტურ ჯგუფად – „ხალხად“ და „ელიტად“ (Mudde 2017). ამ მიდგომის თანახმად, პოპულიზმის მოქნილობა განპირობებულია იმით, რომ ნებისმიერ იდეოლოგიურ ჩარჩოს შეუძლია მოერგოს. საქართველოში პოპულიზმის და ნაციონალიზმის თანაარსებობა მნიშვნელოვნად ვლინდება. რეალურად ქართული მემარჯვენე პოპულიზმი ნაციონალიზმით საზრდოობს და მანიპულირებს ისეთი საკითხებით, როგორცაა: ქართველობა, ქართული იდენტობის დაკარგვა, ტრადიცია, ერი და ა.შ. რაც შეეხება პოლიტიკურ-სტრატეგიულ მიდგომას, ის უკავშირდება პოლიტიკური ლიდერების მიერ საკუთარი მიზნებისთვის საზოგადოების განწყობების გამოყენებას. მსგავსი მექანიზმების წარმატებას ნოყიერ ნიადაგს უქმნის პერსონიფიცირებული პოლიტიკა, რადგან პოპულისტი ლიდერები არ არიან რომელიმე იდეოლოგიის მკაფიო გამომხატველნი. ისინი ლავირებენ სიტუაციების და საზოგადოებიდან წამოსული მესიჯების შესაბამისად. ლუკ მარჩი მსგავსი ტიპის პოპულიზმის გააქტიურებას ლიდერებს და პერსონალებს უკავშირებს, რომელიც პოსტსოციალური სამყაროს ნგრევის შემდგომ წარმოშვა არასტაბილურმა და დესტრუქციულმა გარემომ (Murch 2017). საქართველოში საზოგადოება ულტრანაციონალიზმის მეშვეობით ცდილობდა აეშენებინა ლიბერალური დასავლური ტიპის დემოკრატია. გაურკვევლობის და ურთიერთსაპირისპირო ცნებების პირობებში გამოჩნდნენ „ხალხის ნების“ გამომხატველი ლიდერები, რომლებიც განწყობების შესაბამისად მანიპულირებენ. „პოპულიზმისთვის ყველაზე ნოყიერი ნიადაგი იქმნება იმ საზოგადოებაში, სადაც არსებობს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები, არარეალიზებული სურვილები და პოლიტიკური პროექტები, რადიკალური და ანტაგონისტური ალტერნატივები, გზაჯვარედინზე ეგზისტენციალური არჩევანის წინაშე ყოფნის განცდა“ [ჩხაიძე 2022: 19]. პოლიტიკურ-სტრატეგიული მიდგომის მიხედვით, ლიდერს ცენტრალური ადგილი უკავია საზოგადოებრივი აზრის მობილიზების პროცესში, განსაკუთრებით ისეთ პერსონიფიცირებულ გარემოში, როგორიც საქართველოა. პოლიტიკური პარტიები მთლიანად ცენტრალიზებულია და ლიდერზეა ორიენტირებული, რაც ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის პოპულიზმისთვის. შესაბამისად, ურთიერთშემაჯკვევარ საკითხს წარმოადგენს პოლიტიკის პერსონიფიკაცია, საზოგადოების დეზორიენტაცია-გაორება და პოპულისტი ლიდერების წინა პლანზე წამოწევა. ერნესტო ლაკლაო მიიჩნევს, რომ გარემო, სადაც მტრის ხატის ნარატივი მოქმედებს და დაყოფილია მანიქეურ ანტაგონისტურ ჯგუფად, პოლიტიკა წმინდად პოპულისტურია. საქართველოში, სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ საკითხები, რომლებზეც მნიშვნელოვნად ხდება პოპულისტების აქცენტირება. ეს თემები ძირითადად ეხება 1. მოსახლეობის გაჭირვების მაღალ დონეს; 2. ნაციონალურ და პატრიოტულ რადიკალიზმს, ქართულ ეროვნულ იდენტობას; 3. ქრისტიანულ ფასეულობებს – ოჯახს, ტრადიციას და ხშირად ჰომოფობიას. ექსპერტები და პოლიტოლოგები გამოყოფენ ისეთ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს და მათ ლიდერებს, რომლებიც ხშირად მიმართავენ პოპულისტურ ნარატივების. სხვადასხვა კვლევაზე დაყრდნობით, მსგავს პარტიად შეიძლება მივიჩნიოთ დავით თარხან-მოურავისა და ირმა ინაშვილის პარტია „პატრიოტთა ალიანსი“, რომელიც წარმოადგენს მემარჯვენე პოპულიზმის წმინდა მაგალითს. ისინი ხშირად აპელირებენ წარსულზე, წარსული გამარჯვების მნიშვნელობაზე. მიუ-

ხედავად იმისა, რომ მათი პროგრამა ეწინააღმდეგება ქსენოფობიას (რადგან მას „ქართული ფასეულობა“ გამოირიცხავს), მათი ქმედებები საპირისპიროს მეტყველებს, რასაც მონაწილეს არაერთი ფაქტი. MDF-ს 2020 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ პატრიოტთა ალიანსის ლიდერებთან დაქვემდებარებული ტელეკომპანია „ობიექტივი“ „თურქოფობიულ, ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს“ [MDF, 2021]. რაც შეეხება მემარცხენე პოპულიზმს, მასში მნიშვნელოვნად მოიაზრებენ ლეიბორისტულ პარტიას, რომელიც ხშირად აპელირებს გაჭირვებული ხალხისა და კორუმპირებული ელიტის გამდიდრებულ ჯიბეებზე. ამასთანავე, განცხადებებისა და გამოსვლების დიდი ნაწილი ეთმობა საზოგადოების სოციალური პრობლემების მოუგვარებლობაზე ხაზგასმას – სიღარიბე, უმუშევრობა, ფასების ზრდა და სხვა. „ჩვენ გვეშველება მაშინ, როდესაც ქვეყანაში იქნება ბევრი მდიდარი და არცერთი მილიონერი პოლიტიკაში“ – ვკითხულობთ მათ 2016 წლის საარჩევნო პროგრამაში [lvote.ge 2016]. ექსპერტთა უმრავლესობა მძლავრად პოპულისტურ პარტიად, „პატრიოტთა ალიანსის“ შემდგომ, ასახელებს „ქართულ ოცნებას“. 2019 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ექსპერტთა 17 % მიიჩნევს, რომ პოპულისტები ნაკლებად არიან პროდასავლურები და 27% კავშირს ხედავს პოპულიზმსა და პრორუსულ ორიენტაციებს შორის (GIP 2019). ულტრამემარჯვენე პოპულისტურ ძალას წარმოადგენს პოლიტიკური გაერთიანება ალტ-ინფო, რომელიც რადიკალურ მარგინალიზებულ ქმედებებს ახორციელებს; საზოგადოებაში ნერგავს ანტიევროპულ შეხედულებებს და ჯვრით ხელში ცდილობს პოლიტიკის წარმოებას. საქართველოში ქართული პოპულიზმის ნარატივი მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის ქვეყნის წინსვლას და განვითარებას ევროატლანტიკური სივრცისკენ. მისი პრორუსული ბუნება გვექაჩება უკან, იმპერიულ ბრჭყალებში. საქართველოში ეს პოპულისტური ძალები (ჩემს ნაშრომში მათი არასრული ჩამონათვალია) ანტიევროპულ სკეპტიციზმს თესავენ შიშის დანერგვის ფონზე. ზემოთ მოყვანილი პოპულისტური მოძღვრებებიდან გამომდინარე, მივდივართ ლაკლაუს კონცეპტთან, რომელიც არის „ცარიელი აღმნიშვნელი“. საზოგადოების გაუგებარი და ბუნდოვანი დამოკიდებულება დასავლეთის წარმოდგენების მიმართ ქმნის ნოყიერ ნიადაგს პოპულისტური ნარატივების გამძაფრებისათვის. მათი ხედვები ეწინააღმდეგება ამაში მოდის ლიბერალურ დემოკრატიულ პრინციპებთან; აშკარად დღის სინათლეზე გამოდის პრორუსული ორიენტაცია და ცდილობს მანიპულირებას. ეს ნარატივი, ქვეყანაში თავისი ძალადობრივი მექანიზმებით, ხალხში ნერგავს სიძულვილის შიშს, რასაც რადიკალიზმამდე, გაყოფილობამდე და პოლარიზაციამდე მივყავართ, რომელიც უკავშირდება ქართული იდენტობის დაკარგვას და უნდობლობის გაღრმავებას.

2.2. ევროკავშირი და ქართული პოლარიზაცია

საქართველოსთვის ევროპის გზა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ქვეყნის განვითარებისა და დემოკრატიზაციის თვალსაზრისით. თუმცა ხშირად ეს ორიენტაცია ცალსახა და მკაფიო როდია – საზოგადოებაში პოპულისტური ჯგუფები და რუსული პროპაგანდა კარგად მუშაობს, რის გამოც ისევ არსებობს კითხვები და ისტორიულ გზაგასაყარზე დგომის შეგრძნება. პოპულისტური ჯგუფები, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კარგად იყენებენ ამ გაურკვევლობას და ე.წ. ცარიელ აღმნიშვნელს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების კუთხით. ისინი ქმნიან ევროსკეპტიკურ შეხედულებებს და ეწინააღმდეგებიან საქართველოს ევროპულ გზას. სიძულვილის და დესტაბილიზაციის თესვით პოლარიზაცია უფრო და უფრო მწვავედება. საზოგადოების პოლარიზაცია, ერთი მხრივ, ზემოდან, პოლიტიკოსების მხრიდან, ხელშეწყობილი მაპოლარიზებელი განცხადებებით საზრდოობს, რომელიც პოპულისტურ ნარატივს მოიცავს და ქმნის კონფლიქტის ფონს. შესაბამისად, მსგავსი პოლარიზაციის, დესტაბილიზაციის, ერთმანეთის მიუღებლობის და ოპონენტის სრული განადგურების ფონზე, რთულია ლიბერალურ-დემოკ-

რაციულ-ევროპულ გზაზე სიარული. პოლარიზაცია ხელს უშლის დემოკრატიის განვითარებას და აბრკოლებს გზას ევროკავშირისაკენ. დასავლურ კურსზე აზრთა სხვადასხვაობის გამო, კანდიდატის სტატუსის მიღების პროცესმა საქართველოსთვის წელიწადზე მეტხანს გასტანა, როდესაც უკრაინამ და მოლდოვამ სტატუსი განაცხადის შეტანიდან რამდენიმე თვეში მიიღო. საქართველოს მიენიჭა ევროპული პერსპექტივა და დაუნესდა 12 პირობა. ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან პირველი სწორედ პოლარიზაციის დაძლევის მოთხოვნაა, რომელიც ჯერაც შეუსრულებელია (სტატუსმეტრი 2023). ხაზგასასმელია ისიც, რომ ხელისუფლების მხრიდან ხდებოდა ისეთი შეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა ევროპულ ინტერესებთან, რაზეც დასავლელი პარტნიორებიც მიუთითებდნენ. მაგალითად, „უცხოური აგენტების შესახებ“ კანონის დამტკიცების მცდელობა მასობრივი საპროტესტო აქციების მეშვეობით ჩაიშალა. მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის 8 ნოემბერს საზეიმოდ მივიღეთ კანდიდატის სტატუსი, პოლარიზაციის პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ დგას ქვეყანაში. ჯერ კიდევ აქტუალურია პოპულისტური ნარატივები, სიძულვილის ენა, ოპონენტის მიუღებლობა და უკომპრომისობა. გასათვალისწინებელია ასევე ევროპის დამოკიდებულებები საქართველოს მიმართ. ექსპერტთა აზრით, კანდიდატის სტატუსის მიღება იყო წმინდა წყლის გეოპოლიტიკური ნაბიჯი, რათა, ერთი მხრივ, არ მომხდარიყო საქართველოს რუსეთისკენ უფრო მეტი გადახრა, და, მეორე მხრივ, საზოგადოების მოლოდინების განხილვა და ევროსკეპტიციზმის ხელშეწყობა. რეკომენდაციის ფაქტობრივი შეუსრულებლობა, მათ შორის პოლარიზაციისა, მნიშვნელოვნად ჩანდა როგორც საშინაო, ისე საგარეო თვალთახედვიდან. „დასავლეთს სჭირდება მისი პარტნიორების სტაბილურობა და, შესაბამისად, დეპოლარიზაცია. ის ელის ჩვენგან დეპოლარიზებას. მანამდე არ მგონია, რომ დასავლეთი განსაკუთრებით გვენდოს“, – ნინო სამხარაძე (პირისპირი ინტერვიუ, 16.01.2024). დასავლეთის აღქმებსა და კანდიდატის სტატუსის შემდგომ ვითარებაზე დეტალურად საუბრობს ბატონი ირაკლი ჩხაიძე, რომელიც სტატუსის მიღებამდე ერთი თვით ადრე იმყოფებოდა ცენტრალურ ევროპაში დემოკრატიის ფორუმზე, სადაც შეხვდა და იზიარებდა ჩვენი დასავლელი პარტნიორების წარმომადგენელთა ხედვებს საქართველოს მიმართ. „ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში ყოფნის დროს, 2023 წლის ოქტომბერში, რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა, მაგ: დემოკრატიის ფორუმი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში, სადაც მთელი რიგი ევროპის ქვეყნებიდან, მათ შორის ევროკავშირიდან, პრაქტიკულად, გადაწყვეტილების მიმღები პირები და ასევე აკადემიური სფეროს წარმომადგენლები იყვნენ შეკრებილნი. აღნიშნული ღონისძიება წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. ბუდაპეშტის ფორუმზე დასწრების დროს ვესაუბრე ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, სადაც ნათლად გამოჩნდა არასახარბიელო დამოკიდებულებები საქართველოს მიმართ, რაც ძირითადად გამოიხატებოდა ქვეყნის განვითარების პერსპექტივაში. საქართველო აღიქმება განვითარების უფრო ქვედა ზღვარზე, ვიდრე მოლდოვა და უკრაინა, როდესაც რამდენიმე წლის წინ საპირისპირო ვითარება იყო. ევროკავშირის და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების საუბრებში შეიმჩნეოდა, რომ, კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ, უკრაინასა და მოლდოვასთან მოლაპარაკების გზები უმაღლესი გაიხსნებოდა, თუმცა საქართველოს მიმართ დიდი კითხვის ნიშანი ისმოდა. გეოპოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, ევროკავშირის გადაწყვეტილება დადებითისკენ იხრებოდა, თუმცა მათი ხედვების მიხედვით, გაწევრიანების გზაზე საქართველო ბევრად უკან არის და ბევრად პრობლემატურია ევროპასთან დაახლოების პერსპექტივაში, ვიდრე აღნიშნული ქვეყნები. არ ისმოდა ისეთი მესიჯები, თითქოს საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა დემოკრატიის განვითარების გზაზე, რის გამოც ღირსეულად იმსახურებდა კანდიდატის სტატუსს. ეს ჟღერდებოდა, როგორც ავანსად გაცემული გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომი განვითარებისთვის ჩადებული ინვესტიციაა. შესაბამისად, ერთია ევ-

როკავშირის დამოკიდებულება ჩვენ მიერ მიღებული კანდიდატის სტატუსის მიმართ და მეორეა საქართველოში ხელისუფლება როგორ ყიდის ამას ხალხთან. ამას ყიდის, როგორც თავის ძალიან დიდ დამსახურებად, რომელიც მათმა დიდმა რეფორმებმა გამოიწვიეს. საწყის ეტაპზე ჩანს, რომ კანდიდატის სტატუსის მიღება ვერ იქნება დეპოლარიზაციის ხელშემწყობი ფაქტორი, პირიქით როგორც კი კანდიდატის სტატუსი მივიღეთ, მაშინვე გაჩნდა კარდინალურად ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები. ერთი მხრივ, ხელისუფლება მხოლოდ საკუთარ რეფორმებს აწერს და ადანაშაულებს ოპოზიციას ხელშემშლელ ქმედებებში, და მეორე მხრივ ოპოზიცია გამოიწვია ხელისუფლების წვლილს და ადანაშაულებს საპირისპირო ქმედებაში და სტატუსის მიღებას უკავშირებს საკუთარ და ხალხის ძალისხმევას“ (ირაკლი ჩხაიძე, პირისპირ ინტერვიუ, 15.01.2024). ამ და სხვა ექსპერტთა მოსაზრებები მნიშვნელოვნად ემთხვევა პოლარიზაციის შერბილების საერთო ნების არარსებობის იდეას, კანდიდატის სტატუსის მიღებაც კი გახდა დავის და დაყოფილობის საკითხი, რადგან ორივე მხარე ცდილობდა თავისკენ გადაექაჩა დამსახურება.

თავი 3

ბრძოლა ძალაუფლებისთვის

წინა თავებში ვისაუბრე ქართული პოლარიზაციის მახასიათებლებსა და საბჭოთა ფესვებზე, თუმცა ამ თავში მინდა ხაზი გავუსვა იმ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ასე მარტივად შესამჩნევია, თუმცა მისი სიღრმისეული კვლევა ხშირად მეორე პლანზე იწევს ხოლმე. როდესაც ვსაუბრობთ პოლიტიკურ პოლარიზაციაზე, მის პირველ გამოვლინებად პოლიტიკოსთა რადიკალური ქცევა გვესახება, რომლის მიზანიც ხელისუფლებისთვის ბრძოლაა. ეკონომისტები თვლიან, რომ ადამიანის მოტივაცია მნიშვნელოვნად არის დაფუძნებული რესურსების მოპოვების სურვილთან. შესაბამისად, ბრძოლა რესურსებისთვის რადიკალური ფორმებით – ეს უკვე პოლარიზაციაა. საქართველოში ეს მოტივაცია მეტად მწვავედ მჟღავნდება. ქართული პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვან მახასიათებელს სწორედ „ნულოვანი ჯამის“ პოლიტიკური სტრატეგიები წარმოადგენს, რაც საშუალებას არ იძლევა კოალიციური მთავრობის და პლურალიზმის ჩამოყალიბებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული პოლიტიკის მეშვეობით გამარჯვებულს მიაქვს ხელისუფლება, საპარლამენტო უმრავლესობაც და, შესაბამისად, ძალაუფლება, ოპონენტი კი თამაშვარე ვითარებაში რჩება. როგორც ზემოთ ვისაუბრე, ქართული პოლიტიკური სპექტრი მნიშვნელოვნადაა დაცლილი იდეოლოგიური ნარატივებისგან. ის უფრო გვევლინება აფექტურ ელიტურ რადიკალიზმად, სადაც ორი ბანაკი ერთმანეთის დემონიზაციას ახდენს. მსგავსი იდეოლოგიური დებატებისგან დაცლილი პოლიტიკური პარტიები, რომელსაც განსაკუთრებით პოლარიზებულად მიიჩნევენ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“. ისინი იდეოლოგიურად მკვეთრად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, კონსერვატორული და პროევროპული იმიჯის შექმნით ცდილობენ ქვეყნის ტრადიციებთან თავსებადი ტერმინოლოგიის თუ განცხადებების გაჟღერებას. ამასთან ერთად, ძალაუფლების მოპოვებისა და ხელისუფლების შენარჩუნება/მოსვლის სურვილი ერთმანეთის პირად მტრებად აქცევს პოლიტიკურ ელიტებს. „ენმ“-ისა და „ქართული ოცნების“ რიტორიკა მიმართულია ერთმანეთის უკომპრომისო მტრობისკენ, სადაც დომინირებს, ერთი მხრივ, მიხეილ სააკაშვილის და, მეორე მხრივ, ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგო ნარატივები. იგზავნება საზოგადოებაში იმგვარი მესიჯები, რომ არჩევანი თეთრსა და შავს შორის, სიკეთესა და ბოროტებას შორის უნდა გაკეთდეს, სხვა ალტერნატივა არ არსებობს. შტეფან მაისტერი მიიჩნევს, რომ მსგავსი პოლარიზაცია ხელსაყრელია აღნიშნული პარტიებისთვის, რადგან ისინი ახდენენ საზოგადოების მუდმივ მობილიზაციას საკუთარი ინტერესების შესაბამისად (გეგეშიძე & დე ვაალი 2021). ეს ინტერესები საზოგადოების აზრის ფორმირება,

ხელისუფლებაში მოსვლა და რესურსებზე ხელმისაწვდომობას მოიაზრებს. არჩილ გეგეშიძისა და თომას დე ვაალის აზრით, დაპირისპირება ორ დიდ პოლიტიკურ პარტიას შორის „ზემოდან ქვემოთ მართული, ელიტურ ძალებს შორის ბრძოლის კიდევ ერთი გამოხატულებაა, რომელიც წარმოადგენს ბრძოლას ეკონომიკური რესურსებისთვის“ [გეგეშიძე & დე ვაალი, 2021: 12].

ვიდრე რესურსების საკითხს უფრო დეტალურად განვიხილავ, უპრიანია ვისაუბრო სისტემაზე, რომელსაც უნდა მოეგვარებინა საქართველოში ძალთა გადანაწილება, ავტორიტარიზმი და სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლობა პარლამენტში. ხაზი მინდა გავუსვა 2011 წლის საკონსტიტუციო რეფორმებს, რომლის საფუძველზეც საქართველო საპრეზიდენტო მმართველობის ფორმიდან გადაიქცა საპარლამენტო რესპუბლიკად. კანონი ძალაში 2012 წელს შევიდა და ახალარჩეულმა მთავრობამაც ახალი მოდელის საფუძველზე აღადგინა მუშაობა. პოლარიზაციის ხარისხის დინამიკას თუ გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ საპრეზიდენტო მმართველობაში პოლარიზაციის უფრო დაბალი მაჩვენებელია, ვიდრე საპარლამენტოში. აქ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ საქართველოში პოლარიზაციის პრობლემას, საბჭოთა მემკვიდრეობასთან ერთად, ხომ არ ამწვავებს თვითონ სისტემის მოწყობის წესი? აღნიშნული საკითხის პასუხად ალბათ ცოტა ბუნდოვანი იქნება საპრეზიდენტო სისტემის დახასიათება, როგორც დემოკრატიის ხელშემშლელი ფაქტორისა, რა დროსაც შეზღუდულია განსხვავებული აზრი და გამარჯვებულის ხელშია ძალაუფლების უმეტესი სფერო. ამ არგუმენტის საპირისპიროდ აუცილებელია დავასახელოთ ისეთი ქვეყანა, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ძლიერი საპრეზიდენტო სისტემა და დემოკრატია ერთმანეთის გვერდიგვერდ სამაგალითოდ თანაარსებობს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სხვა შემთხვევაა, პოლიტიკურ სისტემას ვერ დავაბრალებთ პოლიტიკისა თუ საზოგადოებრივ სფეროში პოლარიზაციას. საკითხი იქამდე მიდის, თუ რამდენად ვერგებით ჩვენ ამ სისტემებს. რეალურად საპარლამენტო სისტემამ კი არ ჩამოაყალიბა პოლარიზაცია, არამედ საზოგადოებას საშუალება მისცა კრიტიკული აზროვნებისა, ოპოზიციური პარტიების სიძლიერისა. მაგრამ საქართველოში აღნიშნული დაპირისპირება იმდენად რადიკალურ ფორმებში ვლინდება, რომ ხელს უშლის საზოგადოების ფუნქციონირებას. საპარლამენტო სისტემამ ქართულ საზოგადოებას ალბათ უფრო საშუალება მისცა გამოეფლინათ პოლიტიკური კულტურის კრიზისი, რასაც, სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ხშირად ვაწყდებით (სამოქალაქო კულტურა ჩვენს საზოგადოებაში კი კუს ნაბიჯებით ვითარდება). კითხვა – „აღრე ხომ არ არის საქართველოში საპარლამენტო სისტემა?“ – რომელიც ისმოდა 2012 წლის ცვლილებების საფუძველზე, ეყრდნობოდა ქვეყნის ჯერ არშემდგარ დემოკრატიულ სისტემას. არაგანვითარებულ დემოკრატიებში საპარლამენტო მმართველობა ხშირად პრობლემებს უფრო ამწვავებს, რადგან, ფაქტობრივად, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების შერწყმა ხდება – პარლამენტში უმრავლესობით მოხვედრილი პარტია ქმნის შემდგომ პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტს. პრობლემა იქმნება სასამართლო ხელისუფლების სიძლიერესთან დაკავშირებითაც, რაც ევროპის საბჭოს მითითებებშიც აისახა შესაბამისად. სახეზე გვაქვს „ნულოვანი ჯამის“ პოლიტიკის სტრატეგიები, რადგან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმრავლესობა ერთი და იმავე პარტიის ხელში ხდება, ხოლო სხვა პარტიები თამაშგარე რჩებიან. ეს იწვევს დაპირისპირებას, პროტესტს და ბრძოლას რადიკალური მეთოდებით. ლიდერზე და პერსონალიზებზე ორიენტირებული ვერტიკალური სტრუქტურით მოწყობილი პარტიები ერწყმიან ისეთ სისტემას, რომელიც მორგებულია „გამარჯვებულზე“, სახეზე კი ვიღებთ დესტაბილიზაციას და უკომპრომისო ბრძოლას. ამ პოლარიზაციის აღმოსაფხვრელად და კრიზისული სიტუაციის დასაძლევად დასავლელი პარტნიორების რეკომენდაციებში ხაზი გაესვა ქართულ საპარლამენტო სისტემას, რომელსაც მნიშვნელოვანი ცვლილებები ესაჭიროება. ერთ-ერთია საარჩევნო სისტემის მხოლოდ პროპორციული წესით მოწყობა,

საკანონმდებლო 2% ბარიერით და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების პროპორციული პარტიული სიებით არჩევით (საქართველოს კონსტიტუცია 1995). აღნიშნული ცვლილებები მართლაც შევიდა კანონში, თუმცა შედეგს 2024 წლის შემდგომ ვიხილავთ. მსგავსი სისტემური ხარვეზები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გაყოფილობას, დესტაბილიზაციას, რადიკალიზმს და უკომპრომისო ბრძოლას რესურსებისთვის. კონსენსუსური მოდელი მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ლიბერალური დემოკრატიის პირობებში. ამ მოდელის ამოცანა არა გამარჯვებულის დადგენა და მასზე ორიენტირება, არამედ ყველა ჯგუფის წარმომადგენლის ჩართვაა, სადაც არ არსებობს აბსოლუტურად დამარცხებული ან გამარჯვებული. თუმცა სისტემის ცვლილება არაა გარანტი იმისა, რომ სრულად აღმოიფხვრება პოლიტიკური პოლარიზაცია და დაინგრევა ნულოვანი ჯამის წესები. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ, თეორიულად, პროპორციული სისტემა გვევლინება მრავალპარტიული პარლამენტის მნიშვნელოვან შესაძლებლობად, თუმცა, თუ მრავალპარტიული პარლამენტი დაკომპლექტდება ისეთი პარტიებით, რომელთა კეთილ ნებას არ წარმოადგენს კონსენსუსი და დეპოლარიზაცია, მხოლოდ სისტემისა და პარტიათა ოდენობა ვერაფერს შეცვლის. ხშირად სისტემური ხარვეზები არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი გამამწვავებელი ფაქტორი. „რეალურად პარტიების რაოდენობა, რაც თეორიულად პროპორციული სისტემის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა, საქართველოში პრაქტიკულად ვერ მუშაობს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ პარტიების კეთილი ნება არ არსებობს, კონსოლიდაციის სურვილი არ ჩანს, მინიმუმ რიტორიკის დონეზე დაკვირვებით“ (ნინო სამხარაძე, პირისპირი ინტერვიუ 16.01.2024).

3.1 იდენტობის პოლიტიკა და პოლარიზაცია

ძალაუფლება ერთ-ერთი მამოძრავებელი მოტივაციაა, რომელიც პოლიტიკოსებს უბიძგებს ბრძოლისკენ, ხოლო საქართველოს მსგავს სისტემებში, სადაც სტრუქტურული და ჩვეულებითი ხარვეზებია (საბჭოთა მენტალიტეტი, პოპულიზმი, შეუმდგარი დემოკრატია და სხვა), ეს მოტივაცია ანტაგონიზმამდე მიდის. რესურსებისთვის ბრძოლა არ უნდა გაიგივდეს იმ შემთხვევასთან, როდესაც დაბალი ფენა ცდილობს პოლიტიკაში მოსვლას და შესაბამის რესურსებზე წვდომას. საქართველოში ეს პროცესი სხვაგვარად გვესახება. პოლიტიკაში ძირითადად მაღალი ფენის წარმომადგენლები ტრიალებენ, რომლებსაც აქვთ გარკვეული მაღალი შემოსავალი. აღნიშნულს ისიც მოწმობს, რომ არჩევნები „ძვირი ჯდება“ და პარტია მწირი შემოსავლებით ვერ ახერხებს ცნობადობის გაზრდას და მხარდაჭერების მოზიდვას. შესაბამისად, ხშირად შევხვდებით პარტიათა ჩამონათვალში ბიზნესმენებს, ე.წ. ოლიგარქებს ან ყოფილ „ბანკირებს“, რომლებიც საუბრობენ სიღარიბის მაღალ დონეზე, მაგალითად, პარტია „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა ხაზარაძე, რომელიც „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო. მსგავსი სიტუაციაა სხვა პარტიებშიც, მათ შორის მმართველი პარტიის რიგებში. დეოლიგარქიზაციის პრობლემა საქართველოს მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ბიზნესის წარმომადგენლები იბრძვიან უმაღლეს ეშელონებში შესაღწევად, რადგან ეს გარანტიაა საკუთარი ბიზნესის კეთილდღეობისთვის. შესაბამისად, ბრძოლა რესურსებისთვის ხშირად უკავშირდება იმ სიღრმისეულ ფესვებს, რაზეც მიუთითებდა ფრენცის ფუკუიამა თავის თეორიაში იდენტობის შესახებ. რესურსები მართლაც რომ მნიშვნელოვანი მოტივაციაა პოლიტიკოსთათვის, თუმცა მისი საფუძველი სტატუსის ამაღლება და სხვაზე უპირატესად წარმოჩენაა (ფუკუიამა 2018). დღესდღეობით იმისათვის, რომ სტატუსი აიმაღლო და თავს ბევრის უფლება მისცე, ფინანსებია საჭირო, ამით აიხსნება მათი გამაღებული სვლა სიმდიდრისკენ. აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად ავტორს მოჰყავს ადამ სმიტის „მორალური გრძნობების თეორია“, რომლის თანახმადაც ადამიანები, პატივმოყვარეობის გრძნობის გამო, ცდილობენ და მიიწევენ ხელალებით რესურსების დაუფლეს

ბისა და შეგროვებისკენ. „იყო დანახული და შემჩნეული, ინვესტირებული სიმპათიასა და მონონებას, ის უპირატესობებია, რომლებიც სიმდიდრეს მოაქვს. ჩვენ ხშირად პატივმოყვარეობა გვამოძრავებს, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ყურადღებას გვაქცევენ და მოვწონვართ“ [ფუკუიამა 2018: 101]. აღნიშნული მოსაზრების თანახმად, ადამიანი ძვირად ღირებულ ავტომობილს, მაგალითად, ტესლას არა იმიტომ ყიდულობს, რომ ზრუნავს ეკოსისტემაზე, არამედ ის ძვირად ღირებულია და მისი შეძენაც ყველას არ ძალუძს. შესაბამისად, ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს გამორჩეულობა. ფინანსები საშუალებებია, რათა ვიყოთ უპირატესნი და ავიმაღლოთ სოციალური სტატუსი, ამიტომაც, პოლიტიკურ სივრცეში დაპირისპირებათა და ბრძოლათა უმრავლესობა ხელისუფლების მოპოვება/შენარჩუნებასთან არის ასოცირებული, რაც, თავისთავად, ზედა ეშელონს მოიზრებს. მათ მინიმალური ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები მნიშვნელოვნად დაკმაყოფილებული აქვთ. აბრაამ მასლოუმ, რომელიც იკვლევდა ადამიანის მოთხოვნილებებისა და სურვილების დაკმაყოფილების საკითხებს, შემოგვთავაზა ადამიანის საჭიროების ხუთი ეტაპი. შემდეგ, ე.წ. მასლოუს პირამიდის პირველ საფეხურზე დგას ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები და ეტაპობრივად, ამ საჭიროებების დაკმაყოფილების შემდგომ, ავდივართ პირამიდის წვერში, სადაც ბოლო ეტაპი თვითრეალიზაცია, თვითგამოხატვა, სტატუსის დამკვიდრებაა (იმედაძე 2019). ფუკუიამასა და მასლოუს თეორიებს შორის პარალელის საფუძველზე შეგვიძლია ვისაუბროთ პოლიტიკოსთა ქცევის იმ საფუძველზე, რომელიც ძვეს რესურსებისთვის ბრძოლის მიღმა – ეს არის „მეგალოთომია“ – იგივე სურვილი, იყო ვინმეზე უპირატესი. ფინანსური თუ მედიარესურსების მძლავრი გამოყენება ზრდის შანსებს ძალაუფლების სათავესკენ, რასაც თავისთავად მოაქვს სტატუსი და უპირატესობანი. საქართველოში ამ თეორიის ზუსტი კვლევა და აქსიომის სახით წარმოდგენა, ვშიშობ, მრავალ სირთულესთან არის გაიგივებული, რადგან რთულია ვიკვლიოთ პოლიტიკოსების რეალური ფიქრები, ვიმუშაოთ ფოკუს ჯგუფთან ან ავილოთ ინდივიდუალური ინტერვიუ და დავადგინოთ მათი მოტივაციის წყარო. თუმცა სხვადასხვა განცხადებისა თუ ქმედების დაკვირვების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში პოლიტიკური სპექტრი, რომელიც მაპოლარიზებელი და პოპულისტური განცხადებებით გამოირჩევა, ხასიათდება უკომპრომისო ბრძოლით ძალაუფლებისთვის. ანტაგონიზმამდე მისულ პოლიტიკური ბრძოლის პირობებში იკარგება ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო დემოკრატიული მისწრაფებები. მიზანი ამართლებს ისეთ საშუალებებს, როგორიცაა: პოპულიზმი, დემაგოგია, არაკეთილსინდისიერება, მანიპულაცია, კორუფცია და ა.შ. ეს ჩამონათვალი კი, შესაბამისად, ხშირად მოტივირებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: სისტემის მოწყობის წესი, პოლიტიკური კულტურა, წარსული ტრადიციები და სხვა.

დასკვნა

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პოლარიზაციის საკითხი მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის გზაზე. სამწუხაროდ, პოლარიზაცია პოლარიზაციის მოტივატორი ბევრი სხვადასხვა ფაქტორის ნაზავია. ნაშრომში ვეცადე გამომეყო ის ძირითადი ფუძემდებლური პრობლემები, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ პროცესებს ხსნის. ცნობიერება და პოლიტიკური კულტურა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ჩაინერგა, დღეს აქტიურად ვლინდება ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. სამწუხაროდ, დღეს გვიჭირს განსხვავებული აზრის მიღება, გაანალიზება და უკეთესობისკენ სწრაფვა. „თუ ჩემთან არ ხარ, ჩემი მტერი ხარ“ – ამგვარი დამოკიდებულება ყოველთვის აფერხებდა საზოგადოებას. კვლევის ფარგლებში პოლიტიკოსთა განცხადებების შესწავლამ, დისკურსის ანალიზმა, მეორადი მონაცემების დამუშავებამ და ექსპერტულმა კვლევამ ცხადყო, რომ პოლარიზაცია და პოლიტიკური რადიკალიზაცია ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი თანმდევი მახასიათებელია.

ლია. ჩემ მიერ დასაწყისში წამოჭრილი პირველი ჰიპოთეზა, რომ პოლარიზაციის პრობლემა საქართველოში დიდწილად საბჭოთა პოლიტიკური მემკვიდრეობაა, მნიშვნელოვნად გამართლდა, რადგან საბჭოთა სისტემის ელემენტების პოლიტიკური კულტურა, ოპონენტის დემონიზაცია და სრული განულება დღევანდელი რეალობაა. მეორე ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაცია ხასიათდება არა კონკრეტულ იდეოლოგიათა განსხვავებულობით, არამედ საზოგადოების მტრებად და მეგობრებად დაყოფით, რაც ნოყიერ ნიადაგს უქმნის პოპულიზმის განვითარებას, დადასტურებულად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რადგან, ექსპერტთა შეფასებით, ქართული პოლიტიკური პარტიები გასული არიან საგნობრივ და იდეოლოგიურ განხილვათა დებატებისგან. ამასთან, სხვადასხვა კვლევამ ცხადყო, რომ ქვეყანაში პოპულიზტური ნარატივი საზოგადოებაში აგზავნის ანტიევროპულ მესიჯებს და ექაჩება იმპერიულ წარსულში. მსგავს პოპულიზტ პარტიად გამოვლინდა განსაკუთრებით „პატრიოტთა ალიანსი“, „ლეიბორისტული პარტია“ და დანარჩენი პარტიები, შედარებით მცირე დოზით სხვადასხვა განცხადებიდან გამომდინარე. რაც შეეხება მესამე ჰიპოთეზას, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტოლოგები და ექსპერტები მიიჩნევენ რადიკალიზაციის მიზეზად რესურსების დაუფლების სურვილს, რომელიც მოტივირებულია სისტემური თუ თვისობრივი ხარვეზებით, იდენტობის თეორია, რომლითაც ვეცადე ამეხსნა პოლიტიკოსთა შეძლებული ფენის ბრძოლა რესურსებისთვის, რთულად დასადასტურებელი აღმოჩნდა, რადგან, მართალია, სტატუსის ამაღლება, სახელის მოხვეჭა და უპირატესად წარმოჩენა ადამიანის ბუნების მართლაც მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, თუმცა ჩვენ მაინც ვერ შევძლებთ პოლიტიკოსის ფიქრებში ჩახედვას და ზუსტი მიზნების დადგენას ამ მიმართულებით, რაც კვლევის ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკური ელიტა ყველანაირ საშუალებას იყენებენ რეიტინგის ასაწევად, ოპონენტის გასანადგურებლად და მისი დემონიზაციისთვის, ეს კი უკავშირდება, რა თქმა უნდა, სახელისუფლებო ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. „ნულოვანი ჯამის თამაშის წესებმა“, სადაც გამარჯვებულს ყველაფერი მიაქვს, ჩამოაყალიბა მსგავსი ურთიერთშეჭედილი რადიკალიზმი. ამგვარ დაძაბულობასა და რეიტინგის მენეჯმენტს, რაღა თქმა უნდა, ხელს უწყობს მიკერძოებული მედიასაშუალებები, რომელიც ზეგავლენას ახდენს და სპეკულირებს საზოგადოების და ქვეყნის სრული მოსახლეობის განწყობა-დამოკიდებულებებზე. პოლიტიკური პოლარიზაცია დღეს შეჭრილია საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამიტომაც აუცილებელია ცნობიერების ამაღლება და ამ საკითხზე მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება. სამწუხაროდ, ზემოდან მართული და მიზანმიმართული პოლარიზაცია ზეგავლენას ახდენს საზოგადოების, ერთმანეთის ნდობის ხარისხზე, ხელს უწყობს აგრესიას, უიმედობას და ეკონომიკურ სიდუხჭირეს. სიტყვა „ქსენოფობია“ ქართული საზოგადოებისთვის სასირცხვილოა, ხოლო განსხვავებული აზრის დემონიზაცია და მტრის ხატად შერაცხვა – არა.

ნაშრომი წარმოადგენდა მცდელობას, სიღრმისეული კვლევის საფუძველზე წარმოეჩინა და აეხსნა საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაციის ფესვები. ვფიქრობ, ნაშრომი მცირეოდენ წვლილს შეიტანს ამ საკითხის კვლევაში და სამომავლოდ დაინტერესებულ პირებს კვლევის შედეგების განვითარების საშუალებას მისცემს.

ბიბლიოგრაფია:

ვალიშვილი, ი. საქართველოს პარტიული სტრუქტურა (ძირითადი პრობლემები). რადიო თავისუფლება. თბ., 2015 ივ.: <https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-irakli-avalishvili-partiuli-struktura/26975020.html>

- გეგეშვილი, ა. & დე ვალი, თ. დაყოფილი საქართველო: პოლარიზაციის მძევალი. პროექტი „საქართველოს მომავალი“. თბ., 2021 იხ.: https://mikeladzeoundation.org/uploads/files/2021-12/1639668223_dayofili-saqarthvelo_polarizaciis-mdzevali-1.pdf
- გელაშვილი, თ. საქართველოს პოლიტიკური კრიზისი: პოლარიზაციის აქტორები და ინსტიტუტები. კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი, სამხრეთ კავკასია, თბილისი, 2021 იხ.: https://ge.boell.org/sites/default/files/2021-12/CAD123_georgian.pdf
- დალაქიშვილი, ნ. „ურთიერთგანადგურების წყურვილი ქართულ პოლიტიკაში“, ამერიკის ხმა, 27 იანვარი, 2017 იხ.: <https://www.amerikiskhma.com/a/georgian-political-polarisation/3695652.html>
- დორეული, თ. სიძულვილის ენის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები ქართულ რეალობაში, თსუ 2021, თბილისი, იხ.: www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Tamar_Doreuli.pdf
- ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესრულების მდგომარეობა, დოკუმენტი გამოცემულია „ღია საზოგადოების ფონდის“ შიდა პროექტის „ევროკავშირის კანდიდატის სტატუსმეტრი“ ფარგლებში, 2023.
- ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის განცხადება საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით, თბილისი, 29 ნოემბერი, 2018. იხ.: <https://www.ndi.org/2018-georgia-presidential-election>
- Europetime, ევროპა თაიმი, „კარლ ჰარცელი: მზარდი პოლარიზაცია და მწვავე რიტორიკა პრობლემა საქართველოს წინსვლისთვის არჩევნების დასრულების შემდეგ“. 30 ოქტომბერი, 2021 იხ.: <https://europetime.eu/ka/article/16193-karl-harceli-mzardi-polarizacia-da-mcvave-ritorik>
- იმედაძე, ი. „აბრაამ მასლოუ“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2019. იხ.: https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A3_%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%9B
- კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი, „საქართველოს პოლიტიკური კრიზისი: პოლარიზაციის აქტორები და ინსტიტუტები“, სამხრეთ კავკასია, თბილისი, 2021. იხ.: https://ge.boell.org/sites/default/files/2021-12/CAD123_georgian.pdf
- კავკასიის ბარომეტრი – 2012-2019 წლის მონაცემები. იხ.: <https://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/TRUPARL/>
- კახიშვილი, ლ., კეშელავა, დ., პაპავა გ., სიჭინავა დ. „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, მრავალფეროვნება, პოზიციების თანაკვეთა და თავისუფალი სივრცე“, ფრიდრიხ ემბერტის ფონდი. 2021. იხ.: <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/18418-20220419.pdf>
- კეკოშვილი, ვ. „კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენა მოზარდების სოციალიზაციაზე პოსტსაბჭოთა საქართველოში“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2019. იხ.: https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/V.Kekoshvili-PhD_1570528113.pdf
- კვირის ფორმულა. „ივანიშვილის პირობებში ამ ქვეყანაში პოლარიზაცია არ დასრულდება“, ინტერვიუ ნიკა მელიასთან. 2022. იხ.: <https://www.facebook.com/watch/?v=1125329445074416>
- მაკარაძე, ი. „მოლაღატე, სამშობლოს მტერი, პრორუსი“ – რა დგას ქართველი პოლიტიკოსების მძიმე ურთიერთბრალდებების უკან, Front News Georgia. 2022 იხ.: <https://frontnews.ge/ge/news/details/34640>
- მაქაცარია ს. (21 ივნისი, 2022), „პოლარიზაციის დაძლევა – პირველი რეკომენდაცია ევროკომისიისგან“, ევრონიუს ჯორჯია, 2022. იხ.: <https://euronewsgeorgia.com/2022/06/21/polarizaciis-dazleva-pirveli-rekomendacia-evrokomisisgan/>
- მედიის განვითარების ფონდი (MDF). „ანტიდასავლური პროპაგანდა 2020“, თბილისი 2021. იხ.: <https://mdfgeorgia.ge/uploads/antidasavlurigeo2020.pdf>
- ნიკოლეიშვილი, ლ. „პოლიტიკური ლიდერობა, როგორც საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმი (ისრა-ელისა და საქართველოს მაგალითზე)“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი 2020. იხ.: https://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A3_%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%9B

3%98/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%20%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf

ნოდია, გ. „რას ნიშნავს (დე)პოლარიზაცია“, რადიო თავისუფლება. 2022. იხ.:

[https://www.radiotavisupleba.ge/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1\(%E1%83%93%E1%83%94\)%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90/32150949.html](https://www.radiotavisupleba.ge/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1(%E1%83%93%E1%83%94)%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90/32150949.html)

პირველი არხი, ირაკლი კობახიძის განცხადება, 2020. იხ.: <https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-dghevandel-dghes-hyavs-ertaderti-damarckhebuli-destruqciuli-opozicia-romelmac-ukheshad-daarghvia-8-martis-shetankhmeba-da-daadastura-rom-antisakhelmwifoebrivi-politikuri-dzalaa/>

პირველი არხი, ბიძინა ივანიშვილის განცხადება საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციაზე, 2020. იხ.: <https://1tv.ge/news/bidzina-ivanishvili-fundamenturad-warmoudgenelia-qartveli-khalkhis-kulturis-tradiciebis-msofmlkhedvelobisa-da-nacionaluri-modzraobis-mmartvelobis-tanaarseboba/>

პირველი არხი, „შეფასებები „პატრიოტთა ალიანსის“ ვიზიტზე“, 2022. იხ.:

<https://1tv.ge/video/shefasebebi-patriotta-aliansis-vizitze/>

რობაქიძე, ნ. „პოლიტიკური პოლარიზაცია და მედია – რა საფრთხის წინაშე დგას დემოკრატიული პროცესი საქართველოში?“, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. თბილისი 2019. იხ.:

<https://gip.ge/wp-content/uploads/2020/10/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-19-%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94-1.pdf>

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში, თბილისი 2017. იხ.:

<https://isfed.ge/geo/2016-saparlamento-archevnebi/isfed-is-rekomendatsiebi-da-2016-tslis-saparlamento-archevnebis-mtavari-mignebebi>

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED),

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფოს“ საქმიანობა საქართველოს რეგიონებში. 2022. იხ.:

<https://isfed.ge/geo/angarishebi/220711014334test>

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), „ინციდენტები – 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნები“, 2021. იხ.: <https://www.isfed.ge/geo/2021-adgilobrivi-tvitmmartvelobis/archevnebis-dghis-intsidentebi>

საქართველოს კონსტიტუცია (1995), ბოლო პუბლიკაცია, კონსოლიდირებული ვერსია 2020.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) – ექსპერტული გამოკითხვა – ექსპერტების აზრით, მთავრობა და ოპოზიცია პოლარიზაციისა და პოპულიზმის მზარდ ტენდენციაზე თანაბრად არიან პასუხისმგებელნი. თბილისი 2019. იხ.:

<https://gip.ge/wp-content/uploads/2020/10/%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%9010-1.pdf>

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო

არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა, სატელევიზიო ტექმოუების მედიამონიტორინგის შუალედური ანგარიში, თბილისი 2018. https://mediamonitor.ge/uploads_script/accounts/Talk-Show_Monitoring_Interim_Results_01.08-15.10.pdf

- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში. 2016. იხ.: <https://cesko.ge/static/res/docs/20161029113601-%e1%83%9d%e1%83%a5%e1%83%a2%e1%83%9d%e1%83%9b%e1%83%91%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%98.pdf>
- „ფორმულა ნიუსი“: ზურაბიშვილი – ჩვენი ქვეყანა და საზოგადოება დაავადებულია, მოვნახოთ გამოჯანმრთელების უნარი. 2022. იხ.: <https://formulanews.ge/Phrase/63731>
- ფუკუიამა, ფ. „იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის“, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2018.
- ქართული ოცნება, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადება, 2022. იხ.: <https://1tv.ge/video/qartuli-ocnebis-mimartva-opozicias/>
- ქვარცხავა, მ. „პოლარიზებული და პერსონიფიცირებული ქართული პოლიტიკა“, ამერიის ხმა. 2016. იხ.: <https://www.amerikiskhma.com/a/paul-stronski-interview/3356047.html>
- ჩხაიძე, ი. „ანგელოზი დემონის პირისპირ: დასავლეთის წინააღმდეგობრივი სახე საქართველოში“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2022. იხ.: https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/395065/1/Dasavletis_Saxe.pdf
- CEC (2012). არჩევნების შედეგები. იხ.: <https://archiveresults.cec.gov.ge/results/2012/index.html>
- CEC (2016). არჩევნების შედეგები. იხ.: <https://archiveresults.cec.gov.ge/results/20161008/index.html>
- CEC (2020). არჩევნების შედეგები იხ.: https://archiveresults.cec.gov.ge/results/20201031/#/kage/election_43/dashboard
- CRRC (2019) კავკასიის ბარომეტრის მონაცემები, იხ.: <https://caucasusbarometer.org/ge/nj2017ge/INFSOU1/>
- ხუნდაძე, ც. „ქართული პოლიტიკური კულტურის ძირითადი მახასიათებლები“, უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2016. იხ.: https://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_fsiqologia/cisana_xundadze.pdf
- ჯონსი, ს. „საქართველო, პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“, თბილისი 2013. იხ.: https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/79960/5/Saqartvelo_Politikuri_Istoria_Damoukideblobis_Gamocxadebis_Shemdeg_2013_Gateqstebuli.pdf
- Articles, “Political Polarization”, ECPS, <https://www.populismstudies.org/Vocabulary/political-polarization/2020>
- Bertoa, F. C. Polarizing Politics and the Future of Democracy: Georgia in Comparative Perspective, 2016. Retrieved from: <https://www.semanticscholar.org/paper/Polarizing-Politics-and-the-Future-of-Democracy-%3A-B%C3%A9rtoa/92045f28ecf85672880944f8918542b76b572a68>
- Carothers, T., & O'Donohue, A. How to Understand the Global Spread of Political Polarization. Carnegie Endowment for International Peace, 2019. Retrieved from: <https://carnegieendowment.org/2019/10/01/how-to-understand-global-spread-of-political-polarization-pub-79893>
- Commission on Security and Cooperation in Europe, Georgia's “Rose Revolution”, Washington, 2024. Retrieved from: <https://www.csce.gov/publications/georgias-rose-revolution/>
- DRI, & GYLA. The High Price of Extreme Political Polarisation in Georgia (report). Democracy Reporting International, 2018. Retrieved from: <https://democracy-reporting.org/en/office/global/publications/the-high-price-of-extreme-political-polarisation-in-georgia-report>
- Freedom House, Executive summary 2020. Retrieved from: <https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2020>
- Georgia's “Rose Revolution”. CSCE, 2016. Retrieved from: <https://www.csce.gov/wp-content/uploads/2016/10/Report-on-Georgias-Rose-Revolution.pdf>
- Laclau, E., “Populism: What's in a name?” Post-Marxism, Populism and Critique. Routledge, New York, 2015
- Laclau, E., “On Populist Reason”. Verso, London – New York, 2005. Retrieved from: <https://voidnetwork.gr/wp-content/uploads/2016/09/On-Populist-Reason-by-Ernesto-Laclau.pdf>

- March, L. "Populism in the Post-Soviet States", The Oxford Handbook of Populism. Oxford University Press, 2017. Retrieved from:
https://api.pageplace.de/preview/DT0400.9780192525369_A35502766/preview-9780192525369_A35502766.pdf
- Media: "Threats to the Democratic Process in Georgia", Georgian Institute of Politics. <https://gip.ge/wp-content/uploads/2019/03/Policy-brief-19-Nino-Robakidze.pdf>
- Mude, C., "The Populist Zeitgeist", published online by Cambridge University Press: Government and Opposition Ltd, 2004. Retrieved from: <https://sci-hub.se/https://doi.org/10.1111/j.1477-7053.2004.00135.x>
- Mudde, C. & Kaltwasser, R.C., "Populism in Europe and the Americas: Threat or Corrective for Democracy?" Cambridge University Press, 2012. Retrieved from:
https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=cRy2H220Gi4C&oi=fnd&pg=PA1&ots=YRgzFauc2H&sig=Z05SZDNz%20RoDKy1wNsuXTp0eYPhk&redir_esc=y#v=onepage&q&f=false
- Palonel, E. "Political Polarisation and Populism in Contemporary Hungary", University of Helsinki, 2015. Retrieved from:
https://www.researchgate.net/publication/240592768_Political_Polarisation_and_Populism_in_Contemporary_Hungary
- Rahat, G. & Sheafer, T., "The Personalization(s) of Politics: Israel, 1949–2003", Political Communication, 2007. Retrieved from: <https://sci-hub.se/https://doi.org/10.1080/10584600601128739>
- Samkharadze, N. What Does the Polarization in Georgia Look Like and how to Measure it? Georgian Institute of Politics, 2022. Retrieved from: <https://gip.ge/wp-content/uploads/2022/10/Policy-Memo-60-1.pdf>
- Stanley, B. Populism in Central and Eastern Europe. Oxford Handbooks Online, 2017. Retrieved from:
<https://sci-hub.se/https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780198803560.013.6>
- Taylor, A.K. & Frantz, E. & Wright J., "All Politics is Personalized", 2021. Retrieved from:
https://foreignpolicy.com/2021/03/09/all-politics-is-personalized/#cookie_message_anchor%20-
- Van Der Veen, Olaf. Political Polarisation Compared: Creating a Comprehensive Index of Political Polarisation. MA Thesis. Central European University, 2021. Retrieved from:
https://www.etd.ceu.edu/2021/van-der-veen_olaf.pdf
- Weyland, K. (2017), A Political-Strategic Approach, The Oxford Handbook of Populism, Oxford University Press, 2017. Retrieved from:
https://api.pageplace.de/preview/DT0400.9780192525369_A35502766/preview-9780192525369_A35502766.pdf

TAMUNA GIORGADZE

THE PROBLEM OF POLITICAL POLARIZATION OF THE SOCIETY IN GEORGIA (FROM 2012 TO THE PRESENT DAY)

Summary

Political polarization represents a significant and pressing issue from both domestic and international perspectives, hindering the development of a consolidated and stable democracy in the country. Therefore, it is crucial to perceive and analyze the roots of polarization through a multifaceted lens. The deeper the underlying problems are brought to light, the better they can be reconsidered, changed, corrected, or eliminated.

The presented article examines the problem of political polarization in the Georgian society from 2012 to the present. The aim of the study is to thoroughly investigate the characteristics of polarization in Georgia and to identify the domestic political roots that intensify it. The research employs qualitative methods, specifically in-depth interviews with political experts, analysis of literature on the topic, and processing of secondary data.

The thesis seeks to explain the origins of political polarization through the theoretical perspectives of Francis Fukuyama, Cas Mudde, and Stephen Jones. Within this framework, three hypotheses have been formulated: first – the problem of polarization in Georgia is largely determined by the imperial Soviet political legacy; second – political polarization in Georgia is characterized not by the difference in specific ideologies but by the division of society into enemies and friends, which creates fertile ground for the development of populism; and third – the radicalization of the political spectrum is connected to the struggle for resources, which is a result of the Georgian political system. This thesis aims to confirm or refute these hypotheses. It is an attempt to contribute new insights and enrich the existing general knowledge regarding this issue.

ნინო ზანდუკელი

ილია ჭავჭავაძის ფიგურის ინსტრუმენტალიზაცია საქართველოში (1980-2024)

შესავალი

საქართველოში ილია ჭავჭავაძე საკულტო ფიგურად მიიჩნევა. ქვეყნის განვითარებაში მისი ღვაწლი და დამსახურება საკმაოდ დიდი და მასშტაბურია. მიუხედავად ამისა, ჭავჭავაძის შესახებ განსხვავებული დამოკიდებულებები არსებობს. სხვადასხვა ჯგუფისთვის იგი განსხვავებული ღირებულებების მატარებელია. ამის საფუძველს ქმნიან საზოგადოებრივი აზრები და იდეოლოგიები, რომლებმაც დროთა განმავლობაში ილიას წინააღმდეგობრივი მოდელები შექმნეს. თვალსაჩინოა სხვადასხვა დროსა და კონტექსტში ფიგურის პოლიტიკური ადაპტაციები (1980-2024), რომლებიც დღემდე ლეგიტიმაციის განმტკიცებას ცდილობენ. ჭავჭავაძის მოღვაწეობა ძირითადად ფრაგმენტულად განიხილება და დიქტომიურ ხასიათს ავლენს, ამიტომაც ქართული საზოგადოება ილია ჭავჭავაძის გარშემო მკვეთრად პოლარიზებულია. ეს ფაქტი, ერთი მხრივ, ორგანულ პროცესად შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო, მეორე მხრივ, მანიპულაციის კარგ საშუალებად. პოლიტიკური ჯგუფები ეროვნულ ფიგურებს საკუთარ ინტერესებს უკავშირებენ, რაც ხშირად ძალაუფლების მოპოვებისა და პოპულიზმის გამოხატულებაა. პარტიების ლიდერები და აქტივისტები, საზოგადო მოღვაწეები, სასულიერო პირები თუ ინტელექტუალები გამოხატავენ ამბიციას, რომ სწორედ ისინი აგრძელებენ „ილიას გზას“. თავისთავად, ჭავჭავაძის საქმიანობა განუზომლად დიდია: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება; საბანკო საქმე; საერთო ნიადაგის თეორია; პრესის განვითარება; ენის რეფორმა; თარგმანები და ა.შ. ამრიგად, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისთვის ილია, დროთა განმავლობაში, ყველას მედროშე გახდა.

ილია სოციალ-დემოკრატებისთვის მემამულედ, რეაქციონერად და ფეოდალად ითვლებოდა. 1897 წლის გაზეთ „კვალის“ (კვალი, №1, 1897: 16). პირველ ნომერში მითითებულია: „ახალწლის მილოცვა პროვინციიდან თავადაზნაურებს“. გაზეთში ლექსად არის გაკრიტიკებული ჭავჭავაძე: „ოთხმოცდაათობმეტს დაიწყო, /უცნაური ამბის წერა, / ორი წელია ვუყურებთ, / მგონი რომ ველარ დაწერა“. კვალისა და ივერიის ფურცლებზე ჭავჭავაძის გარშემო ძირითადი დავა მიმდინარეობდა საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის თაობაზე, რასაც მოწმობს ჭავჭავაძის მიერ გაზეთ „ივერიაში“ 1900 წელს გამოქვეყნებული წერილი, „პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან, უმეტრობის ფართი-ფურთი“. წერილში ჟორდანია ბანკის წოდებრივ საკითხზე ედავება ჭავჭავაძეს და ამბობს, რომ ბანკი იმ პირებს ალატაკებდა, ვისაც ბანკის დაფუძნებაში მიუძღოდა წვლილი (იგულისხმება ყველა შემომტანი პირი), ხოლო ილია კრედიტის დანიშნულებას აღწერდა და ამბობდა, რომ „კრედიტი ორპირი მახვილია“; თუ ირაციონალურად მოიხმარს ადამიანი თანხას, იგი ქონებას დაკარგავდა.

1907 წელს ილიას მკვლელობა არ აღმოჩნდა ქართული საზოგადოების უმეტესობისთვის ტრაგედია. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა ფშაველა წერდა: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავდნენ“ (აბაშიძე 2010:214). საყურადღებოა სოციალ-დემოკრატის, კარლო

ჩხეიძის სიტყვები ილიას დაკრძალვის დღეს: „დაე, გიტყვოს შენ თავად-აზნაურობამ, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც მშრომელ ხალხის შრომის ნაყოფით ცხოვრობს“.¹

ილია ჭავჭავაძის ფიგურის საბჭოთა რეაბილიტაცია 1934 წლიდან დაიწყო. ძირითადი აქცენტები მიმართული იყო საბჭოთა მარქსისტული იდეოლოგიის გარშემო, სადაც ილია ჭავჭავაძის რეფორმები ითარგმნებოდა, როგორც კლასთა ბრძოლის ნათელი გამოსახატულება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ფიგურა წარმოჩინდა, როგორც ნაციონალისტური გმირი და მტერთან შეურიგებელი მებრძოლი, რომელიც ქრისტიანული სიმბოლოებით დაიტვირთა.

1987 წელს საპატრიარქო ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა – „წმიდა ილია მართალი ჭავჭავაძე“.² ფიგურის კანონიზაციამ ამბივალენტური დამოკიდებულებები გააჩინა, რაც იმ პერიოდის ეთნორელიგიური იდენტობის განმტკიცებას უკავშირდება. საქართველოში ხშირად ისმის ილიას ტრიადის გაგრძელება, როგორც: „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“, წარმოთქმული საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორის მიერ საკვირაო ქადაგებისას.³ მოდიფიკაცია დაწყებულია ეროვნული მოძრაობის პერიოდში. არაფორმალური ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, ნაციონალისტური განწყობის ასამაღლებლად, ცვლის მას, როგორც: „ენა, მამული, სარწმუნოება“. სამი ელემენტი განსაკუთრებით სადავო გახდა 2022-2024 წელს, ქვეყანაში კანონპროექტის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კვლავ დაინიციერების პერიოდში.⁴ საპარლამენტო უმრავლესობამ განაცხადა, რომ სამოქალაქო სექტორს გამჭვირვალობა აკლდა. კანონპროექტი არასამთავრობო ორგანიზაციებს ავალდებულებს უცხოური ძალის ინტერესების გავლენის გამტარებლად დარეგისტრირებას. როგორც მმართველი პარტია განმარტავდა, ფინანსების გამჭვირვალობის აუცილებლობა განპირობებული იყო სახელმწიფოში გარე ძალების ჩარევის იდენტიფიცირების მიზნით. ამ თვალსაზრისით, მიიჩნევენ, რომ კანონი ევროპული იყო, რადგან ქვეყანას აარიდებდა რევოლუციური სცენარების განვითარების შესაძლებლობას. ქართული მედიის ნაწილმა და არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობამ (500-მდე ორგანიზაცია) პროტესტი გამოხატა. მათი აზრით, კანონი ავტორიტარულ ხასიათს ატარებდა, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებების შეზღუდვას და კონტროლს. მალევე დაიწყო დიდი საპროტესტო გამოსვლები, მოძრაობა ცნობილი, როგორც „არა რუსულ კანონს“⁵ სახელით. ახალგაზრდების მიერ დადებული ფიცი გმირთა მოედანზე, დასრულდა შემდეგი სიტყვებით: „მამული, ენა, ერთობა“. ტრიადის ამგვარმა ფორმულირებამ მოსახლეობაში დაპირისპირებები წარმოშვა. მალევე დაანონსდა სამთავრობო აქცია.⁶ მმართველმა პარტიამ, როგორც თავად იუწყება, ბანერებზე დააბრუნა ილიას სიტყვები: „მამული, ენა, სარწმუნოება“⁷ და ბრალი დასდო ახალგაზრდობას სარწმუნოების უკუგდებისთვის.⁸ ახალგაზრდები აღდგომის დღეს კვლავ გამოვიდნენ ქუჩაში, სადაც ტრიადის სანთლების მეშვეობით დაინერა პირველ სკოლასთან, კვლავ მოდიფიცირე-

¹ „კარლო ჩხეიძის სიტყვა, წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე“. თბილისის ფაბიანური საზოგადოება. 14.08.2014. <https://shorturl.at/CBut4> (ნანახია 04.12.2022).

² „წმიდა ილია მართალი ჭავჭავაძე“. ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი. თბილისი. 2004.

³ „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“. 18.06.2012. <https://shorturl.at/JMLNC> (ნანახია 20.06.2024).

⁴ „ქართული ოცნება კანონპროექტს ხელახლა აინიციერებს“. Civil Georgia.ge 03.04.2024. <https://civil.ge/ka/archives/589758> (ნანახია 20.06.2024).

⁵ აქცია „არა რუსულ კანონს!“. ტელეკომპანია მთავარი. 09.04.2024. <https://shorturl.at/NsWXQ> (ნანახია 20.06.2024).

⁶ აქცია „მამული, ენა, სარწმუნოება“. ტელეკომპანია იმედი. 29.04.2024. <https://shorturl.at/ntf4D> (ნანახია 20.06.2024).

⁷ „ქალაქში ახალი ბანერები გამოჩნდა – „მამული, ენა, სარწმუნოება“. Imedinews.ge. 21.04.2024. <https://shorturl.at/kTwwG> (ნანახია 20.06.2024).

⁸ ი. კობახიძე. „მამული, ენა და სარწმუნოება“. საზოგადოებრივი მაუწყებელი. 1tv.ge 25.04.2024. <https://shorturl.at/TWb0e> (ნანახია 20.06.2024).

ბულ ვერსიად: „მამული, ენა, სარწმუნოება, ერთობა“, ¹ რაც გამოხატავდა დასტურს ერთობისა და სარწმუნოების პატივისცემისა.

კვლევის მიზანია ეროვნული ფიგურის შესახებ წინააღმდეგობრივი მოდელების ძიება. კვლევა ცდილობს გამოაშკარავოს ინტერესთა ჯგუფების მოტივები და პოპულისტური გამოვლინებები. ფიგურის ინსტრუმენტალიზაცია სხვადასხვა პერიოდში მრავალგვარ იდეოლოგიურ სახეს იღებს, რაც იდენტობათა განმტკიცებაზე და კულტურულ დივერგენციაზე მიანიშნებს. ემპირიული მასალის ანალიზი და კონტექსტუალიზაცია მოიცავს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, მის შესახებ დაწერილ აკადემიური ტექსტებს; სტატიებს; საჯარო მოხელეების გამოსვლებს; განცხადებებსა და გადაცემებს. წინასწარი ჰიპოთეზით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ილია ჭავჭავაძის ინსტრუმენტალიზაციის მაღალი მაჩვენებელი ეროვნულ კონსოლიდაციას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ქვეყანაში არსებობს ილია ჭავჭავაძის სახელობითი ტიპის ინსტიტუციები, წრეები, ფონდები, მუზეუმები, დაწესებულებები. თუმცა, ეროვნული ფიგურის მითვისების მცდელობების გამო, პოლარიზაცია იზრდება და მათდამი ნდობა სუსტდება. ამ გადმოსახედიდან მათი ლეგიტიმაცია საკუთრივ ინსტიტუტების წრეებში რჩება.

თეორიული საფუძველი და მეთოდოლოგია. კვლევაში გამოყენებულია გერმანელი კულტურის ისტორიკოსის, ალეიდა ასმანის ნაშრომი „კანონი და არქივი“. ავტორი იყენებს ტერმინს *ისტორიული არქივი*, რომელიც პასიური ტიპის წარსულია (Assmann 2008: 98). არქივიდან მოვლენები საჭიროებისამებრ იძენენ ფუნქციებს. ნებისმიერი წყაროს დამუშავებისას (*sanctification*) ჯეროვნად ხდება ტექსტების, პიროვნებების თუ არტეფაქტების სელექცია, რის საფუძველზეც იწყება ბრძოლა ძალაუფლებისთვის. აღსანიშნავია, რომ *კანონიზაცია* დამოუკიდებელია ისტორიული ცვლილებებისგან და იმუნურია დროის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ *კანონიზაციას* თითოეული თაობა ახლიდან არ აშენებს, არამედ მას ხელახლა გარდაქმნის, მაგალითად, წმინდანების ცხოვრება. ისინი ახსოვთ არა მხოლოდ ისტორიებითა და სურათ-ხატებით, არამედ მუდმივ განმეორებადი კალენდარული დღეების ან რიტუალების გამო. დღეს ტექსტები კანონიზაციას გადიან მაისურებზე, ნაბეჭდი სახით ან სცენებზე სხვადასხვა დადგმით, თეატრებში, მუზეუმებში, გამოფენებსა თუ ინსტალაციებში. აქტიური კომუნიკაციის წყარო კი სახელმძღვანელოებია, ისინი ყოველთვის „მასობრივი დასწავლის იარაღია“ (Assmann 2008: 102). ისტორიული არქივიდან, როგორც საცავიდან, ამოღებულ ტექსტებს, პოლიტიკური არქივები ძალაუფლებრივ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ თვალსაზრისით, ეროვნული ფიგურის გარშემო მივიღეთ ლინგვისტური შემობრუნებების გროვა: „საბჭოთა ილია“; „ეროვნული ილია“/„ერის აღმშენებელი ილია“; „უგვირგვინო მეფე“; „ერის დამფუძნებელი მამა“; „წმინდა ილია“; „კონსერვატორი ილია“; „ლიბერალი ილია“; „სოციალისტი ილია“ და ა.შ.


ფილოსოფოს ერნესტო ლაკლაუს კონცეფცია „რატომ აქვს მნიშვნელობა ცარიელ აღმნიშვნელებს პოლიტიკისთვის?“ (Laclau 2015: 66) გულისხმობს ისეთ მოვლენას ან სიმბოლოს, რომელთაც საკუთრივ მკაფიო განსაზღვრება არ გააჩნიათ და ამიტომაც ისინი მიდრეკილნი არიან სხვა აღმნიშვნელებთან თანაარსებობისთვის. რეპრესიულ რეჟიმებში ცარიელი აღმნიშვნელები განსაკუთრებით ეფექტურად ფუნქციონირებენ, სიმბოლოები თუ მოვლენები წინააღმდეგობრივი ბუნებით ხასიათდებიან, რაც ართულებს დივერგენციაციასა და ჯგუფებს შორის მკაფიო მიკუთვნების განსაზღვრას. მაგალითად, საბჭოთა თუ ცარისტული რეჟიმის რეპრესიული ხასიათი და, ზოგადად, კოლონიური სახელმწიფოების გამოცდილება ზედმეტ განზოგადებას ახდენს, ამიტომაც რეპრესიული რეჟიმი წინასწარ განსაზღვრავს საკუთარ თავს, ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე, ვინაიდან რეპრესიული რეჟიმი ყველგან რეპრესიულია. ცარიელ აღმნიშვნელებს საკუ-

¹ ფოტო „მამული, ენა, სარწმუნოება, ერთობა“. რადიო თავისუფლება. 05.05.2024. <https://shorturl.at/kiAxv> (ნანახია 20.06.2024).

თარი დიფერენციაციის მოხდენა უჭირთ, რადგან სხვა აღმნიშვნელებთან ფიქსაციაზე უარი უნდა განაცხადონ, რაც ასევე კომპლექსური საკითხია, მაგალითად, უთანასწორობის აღკვეთა უთანასწორობით. „ცარიელ აღმნიშვნელად“ მოიაზრება ევროპაც. საზოგადოებების შეხედულებები ევროპაზე ყოველთვის კონტრადიქციულია. განსაკუთრებით თვალსაჩინოა განსხვავებები საქართველოში ევროპეიზაციის დახასიათებისას. იგულისხმება რუსეთის ევროპულობის ცვლადი ან ევროკავშირისა და ევროპის დიფერენციაციის საკითხები. განწყობების დონეზე, ძირითადი აქცენტი ინდივიდუალური თავისუფლებიდან კოლექტიური კეთილდღეობის სხვაობებზე დაიყვანება. „ცარიელი აღმნიშვნელი“ ხასიათდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სტრუქტურული ბუნდოვანება, სისტემური განუსაზღვრელობა, რომელიც ჰეგემონიისკენაა მიმართული (Laclau 2015: 72). ამ კონცეფციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია გამოვყოთ ილია ჭავჭავაძის სოციალურ რეფლექსიათა სახეები. ქართული საზოგადოება ერთი ქოლგის ქვეშ აერთიანებს სხვადასხვა ჯგუფს, რომლის საფარქვეშ მიმდინარეობს დავა. კითხვაზე, თუ რას გულისხმობს ილიას გზა?, პასუხები ბუნდოვანია, ისევე, როგორც ბუნდოვანია, რა იგულისხმება გამონათქვამში „ჩვენ ვირჩევთ ევროპას“. საზოგადოება ჭავჭავაძის გარშემო განზოგადებულად საუბრობს და პირობითად თანხმდება, რომ ის „ერის მამა“ ან კარგი „რეფორმატორი“, მაგრამ, თუ დავსვამთ შეკითხვას, რით არის განპირობებული? (ილიას რეფორმატორობა თუ მისი იდეოლოგია), სხვადასხვა პასუხს მივიღებთ, რომლებსაც ურთიერთდაპირისპირებული შეხედულებები განამტკიცებენ. ფიგურის სოციალურ რეფლექსიათა სახეები შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად: ილია, როგორც:

1. სამართლიანი – კანონმდებელი VS წმინდა ილია VS აზარტული მოთამაშე.
2. პატრიოტი – საქართველოს ეროვნული გმირი VS საბჭოთა გმირი.
3. მწერალი – სუსტი VS გენიოსი.
4. რეფორმატორი – პროგრესული ფიგურა VS არისტოკრატი ჰეგემონი VS ბურჟუა, ფეოდალი VS გლეხთა გამათავისუფლებელი.

ილუსტრაცია №1. ქსელური დიაგრამა



5. იდეოლოგი – კომუნისტი VS კონსერვატორი VS კლასიკური ლიბერალი VS ნეოლიბერალი VS სოციალისტი VS ნაციონალისტი (სხვ. არსებულ იდეოლოგიათა სხვადასხვა კომბინაციით).
6. პოლიტიკოსი – ნიჭიერთა მაძიებელი; წერა-კითხვის გამავრცელებელი; სანიაღვრო თეორეტიკოსი; ბანკის დამაარსებელი.
7. პრაგმატული – მთარგმნელი; გამომცემელი/პუბლიცისტი; იურისტი; ეკონომისტი.

ილია ჭავჭავაძის სოციალურ რეფლექსიათა სახეების წინააღმდეგობრივი ხასიათი ასახულია ილუსტრაციაში.

ისტორიკოს მარია ტოდოროვას წიგნი „განხეთქილების ვაშლი“ (Todorova 2009). ავტორი აღწერს ბულგარეთის ეროვნულ გმირს, ვასილ ლევსკის, რომელსაც ბულგარეთში „თავისუფლების მოციქულს“ უწოდებენ. წიგნი ნათლად ასახავს ვასილ ლევსკისგან გმირის დაბადების პროცესს და მისი გმირობით მანიპულაციებს. ლევსკი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდა და ბულგარეთის პირველ ლეგიონში მსახურობდა. ჩვენი დაკვირვებისთვის ლევსკის შესწავლა, პარალელურია ილია ჭავჭავაძის ფიგურის ინსტრუმენტალიზაციის დაკვირვებისთვის, რადგან საკმაოდ ნიშანდობლივია თანხვედრები. ტოდოროვა 1966 წელს აშშ-ში ესწრებოდა ბულგარეთის საელჩოს მიერ ვაშინგტონისთვის ლევსკის ძეგლის გადაცემასა და გახსნის ცერემონიაზე. ლევსკის ბიუსტზე მისი გამონათქვამები ინგლისურ და ბულგარულ ენებზეა. საკითხი საყურადღებოა, რადგან ბიუსტზე წერია „თავისუფლება და თითოეულს საკუთარი“ (Todorova 2009: 179). ისტორიკოსი წუხს, რომ ინტერპრეტაციები მიახლოებულიც კი არ იყო სინამდვილესთან. ბიუსტის გარშემო შეკრებილი ხალხი და გამომსვლელები აცხადებდნენ, რომ ლევსკი ინდივიდუალურ თავისუფლებებზე მიუთითებდა, რაც კერძო საკუთრების მნიშვნელობის მატარებელი იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო მცდელობა, ლევსკი დაენახათ, როგორც ნეოლიბერალური ფიგურა. (Todorova 2009: 180) დროთა განმავლობაში ლევსკი ნებისმიერი პოლიტიკური ინიციატივისა და ბიზნესცენტრების ლეგიტიმაციის განმტკიცების მნიშვნელოვანი წყარო გახდა. ფაქტობრივად, ძეგლი მიზნად ისახავდა მსოფლიოსთვის ეცნობებინა, რომ ლევსკი გამოხატავს ბულგარელების ღრმად გამჯდარ ინდივიდუალიზმს და საკუთრებისადმი მიდრეკილებებს, როგორც მზარდი პრივატიზების პოტენციალს. ინტერპრეტაცია ჭეშმარიტად ისე, რომ, თითქოს, ბულგარელი ხალხი გამოუსწორებელ, რკინის ფარდის მიღმა ჩამორჩენილ, სოციალისტურად ინფიცირებული მოსახლეობის არახელსაყრელ სტერეოტიპს ებრძოდა. კულტურულად მიუღებელი და არარეფორმირებადი მართლმადიდებლობის მიღმა არსებობდა აზრი, რომ ტიპური რევოლუციონერი სიკვდილით დასაჯეს არა ეროვნული მიზნების გამო, არამედ ნეოლიბერალური იდეების გამო. თუმცა ავტორი იმონებებს 1871 წლის გაზეთ „სვაბოდას“, სადაც ლევსკი შემდეგ იდეას ავითარებს: „ბულგარელები უნდა დაეყრდნონ მხოლოდ საკუთარ ძალებს. დანა უნდა ლაპარაკობდეს, მელანი აღარ შეეღის“ და კომენტარს აკეთებს საკონსულოებსა და მთავრობის უნიათობაზე. ისინი არა მხოლოდ გულგრილები იყვნენ იმ ვითარებისა და გაჭირვების მიმართ, რაც ბულგარელებს გადახდათ თავს, არამედ აქტიურად ეხმარებოდნენ ოსმალურ იმპერიას გაფართოებაში. ლევსკი წერდა: „სლავ-პოლონელები – თურქი ჟანდარმები არიან, ფრანგები – თურქი ინჟინრები; ინგლისელები – თურქი დიპლომატები, კაზაკები – ნეკრასოვები – თურქი პოლიციელები; გერმანელები – თურქი ჯაშუშები; უნგრელები – თურქი ძმები; ჩეხები – თურქი მუსიკოსები. უსარგებლოა ჩივილი და გარედან დახმარების მოლოდინი“ (Todorova 2009: 179).

ილიაც ლევსკის მსგავსად იმედგაცრუებულია: „მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვსტირი?/ იგი აღარ გყავთ ...გმირის დამბადი, ვერანაღ ქმნილა, /თქვენში სპობილა და წაწყმედილა. გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას, /დაგინგრევიათ დიდი მამული“ [ჭავჭავაძე. ი. „აჩრდილი“, 1937, თავი IX].

ბულგარული გაზეთის ამოცანაა, მსოფლიოს აცნობოს ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის შესახებ, ლევსკის წინამძღოლობით: „თითოეული ერი, თუნდაც თურქები, უნდა იყვნენ თავისუფ-

ლები და იცხოვრონ ჩვენ შორის, როგორც მოქალაქეებმა. ჩვენი მოწოდება, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე აღიმართება, მხოლოდ სამ სიტყვას ატარებს: „თავისუფლება და თითოეულს საკუთარი!“ (Todorova 2009: 179). ცხადია, მოწოდება ეხება ეროვნულ უფლებებს, რადგან ბულგარეთი ეგზისტენციალური გამოწვევის წინაშე იყო. ტოდოროვა მიაჩნებს, რომ ნაციონალური გმირის პატივისცემა და დაფასება თავის დროს ვერ მოახერხა ქვეყანამ. ლევსკის ბრალს სდებდნენ ბულგარელი ხალხის შეცდომაში შეყვანის გამო და უწოდებდნენ მას „ჭაიდუკს“.¹ საგულისხმოა, რომ, სიკვდილის შემდეგ, ლევსკიც ისეთივე საკრალიზებული გახდა, როგორიც ილია ჭავჭავაძე. 2000 წელს ბულგარეთში გაიხსნა „ბულგარეთის წმინდანთა მემორიალური სამლოცველო“,² რომელიც ლევსკის ხსოვნას მიეძღვნა. კარლოვოში კი ლევსკის სახლ-მუზეუმს³ 1933 წელს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, ხოლო შენობამ ფუნქციონირება 1937 წელს დაიწყო.

1990-იან წლებში უკვე მოდად იქცა ლევსკის გამონათქვამები. ბულგარელები ამბობენ: „Ако спечеля, печеля за цял народ – ако загубя, губя само себе си“ (თუ მოვიგე, მოვიგე მთელი ერისთვის, თუ წავეგე, მხოლოდ საკუთარ თავს ვკარგავ) (Todorova 2009: 179). აღსანიშნავია ფლავი (იხ. სურათი №1), რომელიც საქველმოქმედო ფონდ „ლედი დიანა – ხალხის პრინცესას“ მიერ დამზადდა.

სურათი 1



Figure 11. Flyer of the charitable foundation "Lady Diana."

Source: Maria Todorova. "Bones of Contention". 2009. Central European University Press. p.179.



წყარო: ტელეკომპანია ფორმულა. ქალაქი ქუთაისი. მარტის აქციები. 2023 წ.

ფლავერში აღწერილია ვედრება ლევსკისადმი, რომელიც რთულ დროს ერთადერთი ნუგეშია და მთავრდება იმით, რომ ბავშვი პათეტიკურად ეკითხება ოჯახის წევრებს: „სად არის თქვენში ლევსკი?, რა გააკეთეთ ბულგარეთისთვის თქვენი წინამორბედების შემდეგ?“. საყურადღებოა საპროტესტო მოძრაობა „არა რუსულ კანონს“, სადაც ბანერები და ნამუშევრები ისტორიული გზიდან გადახვევაზე მიუთითებდა. ახალგაზრდებს ხელში ეჭირათ ბანერი წარწერით: „Ilia is disappointed“ (ილია იმედგაცრუებულია).

ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ „დაფიონი“ შემდეგი ხასიათის განცხადება გააკეთა სოც-ქსელში: „გვეკითხებიან, ვინ გმართავთ, ხოდა ჩვენც ვეუბნებით, რომ ილია ჭავჭავაძე, ვაჟა

¹ Hajduk – ყაჩაღი. ოსმალების მიმართვა ბულგარელების მიმართ. The Free Dictionary by Farlex <https://www.thefreedictionary.com/Hajduk> (ნანახია 07.04.2022).

² ბულგარეთის წმინდანთა მემორიალური სამლოცველო. Vasil Levski National Museum <https://shorturl.at/JZLJF> (ნანახია 20.06.2024).

³ ლევსკის სახლ-მუზეუმი. Vasil Levski National Museum <https://vlevskimuseum-bg.org/en/history/> (ნანახია 20.06.2024).

ფშაველა, აკაკი წერეთელი და სხვა დიდებული ქართველები გვმართავენ ჩვენ¹. საყურადღებოა აგრეთვე, ქვეყანაში ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების² აღნიშვნებიც, რომელიც გადაითარგმნა, როგორც „ილიას გზით ევროპისკენ“. დღეს ილიას და ლევსკის ფიგურები კანონიზებულია, მათ მსგავსი სოციალური და პოლიტიკური დატვირთვა აქვთ.³

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები: დისკურს-ანალიზი; რიტორიკის ანალიზი; კონტენტ-ანალიზი. ძირითადი ტექსტები, რომლებიც ეროვნული ფიგურის იდეებს წარმოაჩენს, ეყრდნობა გაზეთებს, საავტორო წიგნებსა და პუბლიცისტიკას. ქართული საზოგადოების შეფასებები ილია ჭავჭავაძის მიმართ საკმაოდ ცვალებადი და მრავალგანზომილებიანია. ჭავჭავაძის გარშემო არსებული დებატები გულისხმობს დავებს ქართული სახელმწიფოებრივი ხედვების ჩამოყალიბების თაობაზე.

თავი 1. ეროვნული ინტერესი

„საბანკო საქმე“ და „საერთო ნიადაგის თეორია“, ორივე გამსჭვალულია საყოველთაო პროგრესის იდეით. საერთო მოქმედების ნიადაგის პრინციპები, ახალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში ილია ჭავჭავაძის „წოდებათა შერიგების“ იდეის გაგრძელებას და განვითარებას წარმოადგენდა. რეფორმებს შედეგად უნდა განეხორციელებინა სხვა დარგების ამუშავება. სოციალისტების მხრიდან ილიას შექმნილი ბანკი უბრალო „საფინანსო საკრედიტო ფილიალად“ აღიქმებოდა. თუმცა ბანკის ამუშავებას არა ინდივიდუალური გამორჩენის მიზანი ჰქონდა, არამედ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა. ილიას ირგვლივ იყვნენ თავადები, რომლებსაც ნამდვილად ჰქონდათ ამბიციები. ისინი მიწების დაგირავების შემდეგ თანხას ირაციონალურად ხარჯავდნენ. სწორედ ამ საკითხზე აქვს ილიას დავები, განსაკუთრებით მწვავედ – ივანე მაჩაბელთან. ჭავჭავაძემ ქართული ბანკები უკრაინის ბანკების მაგალითზე შექმნა, ერთი ხერსონის, ხოლო მეორე – ხარკოვის. ისინი თბილისსა და ქუთაისის გუბერნიებში უნდა გახსნილიყო. ორივე ბანკს ჰქონდა მიწის სამოქმედო კრედიტის შინაარსი, რომელიც სამი თვისებით გამოირჩეოდა: 1. ხანგრძლივი კრედიტი, 2. თანდათან გადასახადი, 3. მიწით დაიმედებული. ტფილისის საადგილმამულო ბანკი თავადებს სთავაზობდა მამულების ბანკში დაგირავებას. საგლეხკაცო ბანკს კი შეეძლო გლეხკაცობისთვის სესხად თანხა გადაეცა, რომ მამული ეყიდათ. ნაყიდი მამული დაგირავებული იქნებოდა სესხის დაფარვამდე. თუ გლეხკაცობა ყიდვას მოისურვებდა, მამულის პატრონს უნდა გარიგებოდა ხელწერილის საფუძველზე (საბანკო საქმე 2015: 4).

აღსანიშნავია, რომ ბანკის მოგებიდან ფინანსდებოდა: ქართული გიმნაზია, თეატრი, წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გაზეთები და ჟურნალები, გამომცემლობები და მრავალი სხვა ეროვნული საქმე. შეიძლება ითქვას, რომ არა საადგილმამულო ბანკი, უცხოურ კაპიტალს წინ ვერაფერი აღუდგებოდა, რომელიც მთლიანად დაეუფლებოდა საქართველოს ეკონომიკას. ქვეყანამ ილიას შექმნილი ბანკითა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებით შეინარჩუნა საკუთარი ეკონომიკური საძირკველი და თავიდან აირიდა ეროვნული ენის გაქრობის რეალური საფრთხე. საყურადღებოა, რომ საბანკო საქმის წესდებაში უარყოფილი იყო კერძო ინტერესი. საინტერესოა საქართველოს ბანკის მხარდაჭერით გამოცემული წიგნი, სახელწოდებით „ბიზნეს ისტორიები საქართველოდან“. წიგნში ერთ-ერთი თავი ილია ჭავჭავაძეს ეთმობა, რომლის სათაურიც ასეთია: „ილია ჭავჭავაძის ბიზნესსაზოგადოება – პირველი ქართველი ბანკირი და უკანასკნელი ბანკი კერძო ინტერესე-

¹ „ვინ გვმართავენ?“, ავტ. „დაფიონი“. 09.05.2024. <https://shorturl.at/hzly3> (ნანახია 20.06.2024).

² „საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებას აღნიშნავს“. საზოგადოებრივი მაუწყებელი 1Tv.ge. 15.12.2023. <https://shorturl.at/V1F0d> (ნანახია 20.06.2024).

³ იხ. დანართი.

ბის გარეშე“ (Marketer 2023:140). ასევე აღსანიშნავია სტატია სახელწოდებით „ილიას ბიზნეს აზროვნება“, რომელიც არ უარყოფს ეროვნული საქმის ცენტრში წარმოჩენას: „საგანგებო ფულადი ფონდი „საერთო-სასარგებლო კაპიტალის“ სახელწოდებით, რომლის პირდაპირი დანიშნულება იყო ქართული სკოლების, საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, სხვადასხვა ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებების ფულადი დახმარება. ბანკის პირველი წესდების (1874 წ.) მიხედვით, აღნიშნულ ფონდში გადაირიცხებოდა წმინდა მოგების 40%, ხოლო 1881 წლიდან – 35%. ბანკმა ილიას 32 წლოვანი ხელმძღვანელობის პერიოდში, სულ 2 მილიონამდე მანეთი გასცა მსგავსი საზოგადოებრივი საქმიანობების მხარდასაჭერად“.¹

თავი 2. ილია ჭავჭავაძის საბჭოთა რეაბილიტაცია

1907 წელს, გაზეთმა „ისარი“² ქართულ საზოგადოებას ძალიან მოკლედ შეატყობინა: „საგურომოს გზაზე ილია მოუკლავთ და დაუჭრიათ მისი მეუღლე“. 1920-1930-იან წლებში ილია ჭავჭავაძის შესახებ ორგვარი დამოკიდებულება არსებობდა. ნაწილისთვის იგი ბატონყმობის გაუქმებისთვის იბრძოდა, მეორე ნაწილისთვის კი ის საკუთარ წოდებას უფროთხილდებოდა და დაბალი სოციალური ფენების საკითხით არ ინტერესდებოდა (ჯონსი 2022: 33). საბჭოთა მიზანი საბჭოთა ეროვნული იდენტობის განმტკიცებას გულისხმობდა. ეთნიკურობის ნიშნის ქვეშ გაერთიანებულმა სივრცემ შემავალ რესპუბლიკებში საკუთარი პოლიტიკის გატარება დაიწყო. იმისათვის, რომ ნაციონალური გრძნობები საბჭოთა გამხდარიყო, ეროვნული ფიგურების კომუნისტური იდეოლოგიის ენაზე „თარგმნა“ დადგა დღის წესრიგში. 1930-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ილია ჭავჭავაძის რეაბილიტაცია დაიწყო. „საბჭოთა ილიას“ ფორმირების პროცესი გამყარებულია ილიას მიერ რუსული ლიტერატურის თარგმანებით, რუსეთში განათლებამიღებული ახალგაზრდის სტატუსით და ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედებით. ნაწარმოებებში ბატონების, როგორც უარყოფითი და საძულველი პერსონაჟების, აღქმამ, ფიგურა კლასთა ბრძოლის გმირად შერაცხა. შესაბამისად, მანამდე არსებული შეხედულება, როგორც არისტოკრატთა ინტერესების გამგრძელბელი ან გლეხთა ექსპლუატატორი, შეიცვალა ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ სოციალისტ-რევოლუციონერად. საგულისხმოა „პროლეტარ მწერალთა ასოციაციის“ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი „ბრძოლა კლასიკოსებისთვის“, რომლის წინასიტყვაობაც ფილიპე მახარაძეს ეკუთვნის. ასოციაციის წევრებს მიაჩნდათ, რომ აუცილებელი იყო კლასიკური მარქსისტული კრიტიკა, რის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ლიტერატურის სელექცია – რა იყო სასარგებლო და რა – მავნე. მახარაძე ჭავჭავაძეს უარყოფითად აფასებდა. იგი მიიჩნევდა, რომ ილია ფეოდალი იყო, რომ ამგვარი რეაბილიტაცია არ იყო საჭირო, რადგან ის საკუთარ წრეს არასოდეს უღალატებდა (ჯონსი 2022: 35-36). საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, მალაქია ტოროშელიძემ მოსკოვში, პირველ საკავშირო ყრილობაზე, ილიას შესახებ განაცხადა: „ხალისიანად სარგებლობს სოციალისტური იდეებით, მაგრამ ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, უხვად აზავებს მას ქრისტიანობის ელემენტებით და ფიქრობს, რომ ჯვარცმული იენო სოციალიზმის საქმისათვის“ (ჯონსი 2022: 37).

მიუხედავად ბოლშევიკების მცდელობებისა, ილია საბჭოთა იდეოლოგიაში მოექცა, ბოლშევიკების ნაწილი კი თავად საბჭოთა ხელისუფლებამ გაარიდა საზოგადოებას. 1935 წელს სტალინი ილიას დიდ კლასიკოს მწერალს უწოდებს, რომელმაც ფეოდალიზმის მახინჯი ფორმები და გლეხთა გასაჭირი ნათლად დაანახა საზოგადოებას (ჯონსი 2022: 52). საბჭოთა ილიას განმტკიცებაში ასევე დიდი როლი ითამაშა იოსებ ჯულაშვილის „სოსელოს“ ფსევდონიმით გამოქვეყნ-

¹ „ილია ჭავჭავაძის ბიზნეს აზროვნება“. Marketer. 2018. <https://www.marketer.ge/ilia-chavchavadze-biznesistoria/> (ნანახია 20.06.2024).

² გაზეთი „ისარი“. 1907. <https://shorturl.at/3aNdH> (ნანახია 20.06.2024).

ბულმა ლექსმა, სახელწოდებით „დილა“, რომელიც გაზეთ ივერიაში დაიბეჭდა.¹ ამის შესახებ 1947 წლის ჟურნალ-გამოცემა, სახელწოდებით „დილა“ გვამცნობს. სტატიაში სათაურად „დიდი ილია“, ვკითხულობთ: „...ქართველი ხალხი დიდი მადლობით კითხულობს და სწავლობს მის მშვენიერ ნაწარმოებებს: „კაკო ყაჩაღს“, „გლახის ნამბობს“ და მრავალ სხვას. წელს, სექტემბერში შესრულდა 40 წელი ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან“. ჟურნალში დაბეჭდილია ნახატი, რომლის ავტორიც უჩა ჯაფარიძეა. კომპოზიციაში ახალგაზრდა სტალინი ლექსს კითხულობს, ხოლო ილია მას სიამაყით უყურებს.²

საყურადღებოა ისიც, რომ, რეპრესიების პარალელურად, 1937 წელს მოსკოვში მოეწყო ქართული ხელოვნების დეკადა და ამავე წელს საბჭოთა საქართველომ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა ილია ჭავჭავაძის 100 წლის და რუსთაველის 750 წლის იუბილეები (აბაშიძე, ზ. 2013: 618). საბჭოთა საქართველოს სიმბოლური არეები ნელ-ნელა ფართოვდებოდა. 1935 წელს ჩამოყალიბდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი; შეიქმნა პროფესიული ტიპის კავშირები, როგორცაა: მწერალთა კავშირი, მხატვართა კავშირი და ა.შ. 1942 წელს თბილისში დაიდგა შოთა რუსთაველის ძეგლი. 1957 წელს თბილისის მთავარ გამზირს გადაერქვა სახელი და ეწოდა ილია ჭავჭავაძის გამზირი. 1958 წელს დაიდგა ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ძეგლი.³ ფიგურის ამგვარმა რეაბილიტაციამ ბოლშევიკების ნაწილის განწყობები მეტ-ნაკლებად გააქარწყლა, რომლებიც მას ფეოდალ არისტოკრატად მოიაზრებდნენ.

ილიაზე სოციალისტური ნარატივები სწორედ ამ ინერციითაა შენარჩუნებული, თუმცა დღეს მეტად თვალსაჩინოა კომუნისტური და სოციალისტური მიმართულებების ძალიან მწვავე დაპირისპირება. საქართველოში არსებობს მემარცხენე ფლანგის მიერ დანახული ილია და, მეორე მხრივ, ის დისკურსები, რომელშიც „საბჭოთა ილიას“ განმტკიცების მრავალნაირი მცდელობაა. ერთ-ერთი ნარატივი ქართულ საზოგადოებას ატყობინებს, რომ სტალინის გარეშე ილია ჭავჭავაძე არც არაფერი იქნებოდა. ამ ვერსიის მხარდამჭერთა ნათელ მაგალითს წარმოადგენენ საზოგადოება „სტალინელის“ დამფუძნებელი გრიშა ონიანი და გადაცემა „დღის შეჯამების“ წამყვანი ნიკოლოზ მჭავანაძე. ერთ-ერთ რეპორტაჟში, სახელწოდებით „მოსკოვში საქართველოს ელიან“,⁴ ჩართვა კრემლის წინ მიმდინარეობს, სადაც მჭავანაძე ამბობს: „ილიას მკვლელები სტალინმა დაიჭირა, ილიას აღზევებაში სტალინმა მიიღო მონაწილეობა, ილია იქნებოდა რაღაც რიგითი პოეტი, ვითომ რაღაც, არაფერი გაუკეთებია“. მეორე მიმართულება კომუნისტურ წარსულს უარყოფითად აფასებს, თუმცა ითვალისწინებს მათი მხრიდან დაწყებულ მხატვრული ნაწარმოებების დეკონსტრუქციასა და აქტუალიზების საკითხებს. ამის ნათელი მაგალითია, 2017 წელს, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარებული დიდი საერთო-საყოველთაო განხილვა კონსტიტუციაზე, სადაც შეხვედრა ჩაიშალა. მიზეზი ახალგაზრდა სტუდენტების პროტესტი იყო, სახელწოდებით „აუდიტორია 115“. სტუდენტები მმართველ პარტიას ბრალს სდებდნენ შრომითი უსაფრთხოების მიმართ გულგრილობაში, რისი წინაპირობაც იყო შრომითი უსაფრთხოების კანონის მიღება/ჩამატება. იმ პერიოდში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ⁵ „აუდიტორია 115“-ის წევრებს ახალგაზრდა კომუნისტები უწოდა და მათ შემდეგნაირად მი-

¹ ლექსი „დილა“. ავტ. ჯუღაშვილი.ს. ჟურნალი „დილა“ მწიგნობრისა და სიყვარულის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური ორგანო. 09.09.1947. №9 <https://shorturl.at/73367> (ნანახია 20.06.2024).

² „იოსებ სტალინი და ილია ჭავჭავაძე“. ავტ. უჩა ჯაფარიძე. სტალინის სახლ-მუზეუმი. <https://www.stalinmuseumi.ge/eng/museum/canvases/> (ნანახია 20.06.2024).

³ „ილია და აკაკი. ძეგლი. მოქანდაკე ვ.თოფურაძე. არქიტექტორი გ. მელქაძე. 1958“. *Burusi*. <https://burusi.wordpress.com/2009/12/17/valentin-topuridze/img-25/> (ნანახია 20.06.2024).

⁴ რეპორტაჟი. „მოსკოვში საქართველოს ელიან“. *ტელეკომპანია სეზონი* 15.09.2023. <https://t.ly/vYtZl> (ნანახია 20.06.2024).

⁵ „ი. კობახიძემ 115 აუდიტორიის წევრებს ახალგაზრდა კომუნისტები უწოდა“. *ტელეკომპანია იმედი* 15.05.2017. <https://shorturl.at/7VXa3> (ნანახია 20.06.2024).

მართა: „ფასადური სოლიდარობა არის კომუნისტების მოგონილი. ეს არის თქვენი გზა. იარეთ ილია ჭავჭავაძის გზით! კომუნიზმი საქართველოში დამთავრდა! კომუნიზმიც არის ცოდნის დეფიციტის შედეგი. იარეთ ცოდნის გზით, დაამთავრეთ კომუნიზმის გზა!“¹ საპასუხოდ სოციალისტების ნაწილმა კობახიძეს პასუხი გასცეს, რომ წაკითხული ჰქონდათ: „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“ და „კაცია-ადამიანი?!“. საკითხს „აუდიტორია 115“-ის ლიდერი ლევან ლორთქიფანიძე შემდეგნაირად გამოეხმაურა: „კარგად დავიმახსოვროთ – ილია ჭავჭავაძე ქართულ ენასთან, კულტურასთან, ისტორიასთან, მიწასთან, სკოლასთან, არისტოკრატის საკუთრებასთან ერთად, ღარიბ და გაჭირვებულ ადამიანებსაც იცავდა. ის საზოგადოებას მეტი სოლიდარობისა და თანამშრომლობისკენ მოუწოდებდა. სოციალური საკითხი ჭავჭავაძისთვის მემილიონეხარისხოვანი არ ყოფილა“.² აღსანიშნავია, რომ, ერთი წლის შემდეგ, ახალგაზრდა ორგანიზატორებმა დიდი მსვლელობა წამოიწყეს, სადაც იგივე მოთხოვნები ჰქონდათ. ისინი აცხადებდნენ: „2011 წლიდან 2017 წლამდე 1209 მშრომელი დაიღუპა, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და შრომის უსაფრთხოების არარსებობის გამო. ეს არის ომი ხალხსა და ბიზნეს-ელიტის ინტერესებზე მორგებულ სახელმწიფოს შორის“.³

თავი 3. 90-იანი წლების ილია ჭავჭავაძე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის ფიგურამ ფუნდამენტური ცვლილებები განიცადა. ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 1990 წელს, 26 მაისს, ხალხს მიმართავს:⁴ „დღეს ამ მიწაზე, სადაც წინაპართა აჩრდილები თავს დაგვტრიალებენ, სადაც ილია მართალი დაგვცქერის ჩვენ! ჩვენს მიერვე წამებული ილია მართალი!.. ისტორიამ სამსჯავროზე ჩვენს წინაშე გამოიყვანა დიდი ილია და გამოიყვანა ავაზაკი! ჩვენ ავირჩიეთ ავაზაკი! ჩვენ უარყავით ილია და ტყვია ვესროლეთ მას და აი, დადგა ჟამი ჩვენი გათავისუფლებისა, ჩვენ მივიღეთ თავისუფლება, მაგრამ ბარაბას გზით და დავგატყუა მან არნახული სასჯელი, რომელიც 70 წელია გვანადგურებს. რამეთუ უარყავით ქრისტე, ქრისტეს მიერ მოვლენილი კაცი და ავირჩიეთ ბარაბა ავაზაკი, სოციალ-დემოკრატია, აი ჩვენი მიზეზი კატასტროფისა! გაუმარჯოს წმიდა ილიასა და მერაბ კოსტავას გზას“.⁵

1990 წელს ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობა იყო. გამსახურდიას მიმართვიდან მხოლოდ ის ჩანს, თუ როგორი ღვთიური და ტაბუირებული გახდა ფიგურა. როდესაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველო დამოუკიდებელი გახდა, „საბჭოთა ილიას“ სახე-ხატი სრულად დაიმსხვრა. ჭავჭავაძე ეროვნული გმირის სახით დაბრუნდა, როგორც „უგვირგვინო მეფე“, პატრიოტი და მტერთან შეურიგებელი გმირი. დამკვიდრდა ხელახალი ნარატივი, რომ ილია ყოველთვის რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა. შესაბამისად, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია უკუგდებული იყო, რომელიც ჭავჭავაძის წინააღმდეგობას მხოლოდ ცარისტულ რუსეთსა და მონარქიაზე მიმართავდა. საგულისხმოა, რომ საქართველოში ეროვნულობა და ქრისტიანობა დღემდე ამბივალენტურ ხასიათს ატარებს. რელიგიურ-ნაციონალისტური მიმართულება დამოუკიდებლობის მიღებისთანავე გაჩნდა, რომელმაც განამტკიცა „წმინდა ილია მართალი“. 1987 წელს საქართველოს

¹ „საბჭოთა კავშირი, როგორც ისტორიული მეტაფორა“. ავტ. ბადრი ოყუყუა. საზოგადოებრივი არქივი. 24.03.2021. <http://archive.ge/ka/blog/108> (ნანახია 20.06.2024).

² „ილია და სოციალური საკითხი“. ავტ. ლორთქიფანიძე. ლ. mastsavlebeli.ge. 29.05.2017. <http://mastsavlebeli.ge/?p=14325> (ნანახია 20.06.2024)

³ „აუდიტორია 115 მუშების გამო მსვლელობას გამართავს“. ტელეკომპანია იმედი. 11.02.2018. <https://t.ly/LZxuU> (ნანახია 20.06.2024).

⁴ ზვიად გამსახურდიას მიმართვა. 26 მაისი. „გზა ქრისტესი, გზა ბარაბასი“. *GeorgiaTv*. 11. 09. 2013. <https://shorturl.at/Rw01E> (ნანახია 20.06.2024).

⁵ ფოტო. „ზვიად გამსახურდია, ლოკომოტივის სტადიონზე გამართული მიტინგი“. *Burusi*. https://burusi.wordpress.com/2010/01/09/zviad-gamsakhurdia-2/zviadi_lokomotivi/ ნანახია (20.06.2024).

მართლმადიდებელთა ეკლესიამ საზეიმო პარაკლისი გადაიხადა, სადაც კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ ხალხს ილია მართლის დღე მიულოცა. ილია ჭავჭავაძის კანონიზაცია თითქოს გარდაუვალი იყო ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის, რეპუტაციისთვისაც.

საყურადღებოა გადაცემა „საქართველოს დაბადება“, სადაც ფილოსოფოსი ირაკლი ბათიაშვილი ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაზე“ საუბრობს ეროვნული მოძრაობის დროს:¹ „ჩვენ გვინდოდა დამოუკიდებელი, დასავლური დემოკრატია... პრინციპულად შეიცვალა მამული ენა სარწმუნოება, ენა მამული სარწმუნოებით, რადგან თავის ზემოქმედება ქონდა აღმავალ თანმიმდევრობას. ჩვენ ქრისტიანული მრწამსით უნდა შეგვექმნა თანამედროვე ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო“. ბათიაშვილი იხსენებს, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში გაყოფა მოხდა, სადაც ზვიად გამსახურდია არ მიიღეს: „აქ ყველა ვიყავით, მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი, გია ჭანტურია, მე, თამარ ჩხეიძე, მიხეილ ქურდიანი, ზურაბ ჭავჭავაძე, მაგრამ ზვიად გამსახურდიაზე, უმრავლესობა წინააღმდეგი იყო და არგუმენტი იყო, რომ როდესაც იგი დააპატიმრეს 78 წელს, მან გააკეთა საბჭოთა ტელევიზიით მონაწილეობა. ილია ჭავჭავაძის ორგანიზაციის დაფუძნება როცა იწყება, აქ წამოვიდა წინააღმდეგობა მის შემოსვლაზე... ლიდერები ვინც ვიყავით, კატეგორიულად ვითხოვდით რომ საქმეს სჭირდებოდა, ჩვენ მომხრე ვიყავით, მაგრამ უმრავლესობამ გადაწონა“. ტრიალის მოდიფიცირებული ვერსია: „ენა, მამული, სარწმუნოება“, როგორც უკვე ითქვა, ჟღერადი და ნაციონალური ჩანაფიქრი იყო.

1997 წელს, ილია ჭავჭავაძის 160 წლის იუბილეზე,² პარლამენტმა ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. მეორე პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ ქვეყანაში სიკვდილით დასჯა გააუქმა. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ მის განცხადებას გვთავაზობს: „სიკვდილით სასჯელის გაუქმება არის ჩვენი ჰუმანისტი წინაპრების იდეალების ხორცშესხმა, ჩვენი დიდი სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო კულტურის დადასტურებაც და თითოეული ჩვენგანის მაღალი პასუხისმგებლობაც“. ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ილია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული, რაც ბევრი ფაქტორითაა განპირობებული. 1906 წელს თბილისის გუბერნიის საგანგებო კრებამ ილია დაასახელა სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩეველად, ამის შემდეგ იგი პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც მას უკვე რუსეთის საბჭო აირჩევს საქართველოს თავადაზნაურობის წარმომადგენლად. თავად ჯამბაკურ-ორბელიანისთვის გაგზავნილ ტელეგრამაში ვკითხულობთ: „Я избран большинством 61 против семнадцати“ (აბაშიძე 2010: 195). ჭავჭავაძე წერდა, რომ იქ ჩასული მხოლოდ თავადაზნაურთა საჭიროებებზე არ ისაუბრებდა და რომ ეს უბრალო ფორმალბა იყო. იმ პერიოდში საბჭოში სიკვდილით დასჯის გაუქმებას რუსეთის პროგრესული საზოგადოება ითხოვდა. სამეცნიერო წრეში აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, წარმოთქვა თუ არა ჭავჭავაძემ სიტყვა სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით. თუმცა იმჟამინდელი რუსული პრესა ადასტურებს, რომ ილია სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო (აბაშიძე 2010:196). ასევე საგულისხმოა ილიას ნაწარმოები „სარჩობელაზედ“, რომელშიც ავტორი არა მხოლოდ ეწინააღმდეგება სიკვდილით დასჯას, არამედ ყველა ადამიანს თანამონაწილედ აღიქვამს, ვინც თემის ირგვლივ ნეიტრალურია. ასევე მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის მეუღლის, ოლღა გურამიშვილის სურვილიც, არ დაეხვრიტათ ილიას მკვლელები. მიუხედავად ამისა, განაჩენი რუსეთის სამხედრო სასამართლომ მიიღო. ამგვარად, ილიას ფიგურა ნაციონალისტურ და ზედმეტად საკრალიზებულ სახე-ხატად ჩამოყალიბდა.

¹ გადაცემა „საქართველოს დაბადება – ირაკლი ბათიაშვილის ისტორია“. 01.06.2024. <https://youtu.be/7fRHgld1yC0> (ნანახია 20.06.2024).

² „როგორ თქვა უარი სიკვდილით დასჯაზე?“, ავტ. ჯიმშერ რეხვიაშვილი. რადიო თავისუფლება. 10.12.2021. <https://shorturl.at/xZN2w> (ნანახია 20.06.2024).

თავი 4. ილია დღეს

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ქვეყნის იერსახე ჩამოშორდა ე.წ. ბნელ 90-იანების აღქმას. შეიცვალა ქვეყნის ეროვნული სიმბოლოები: დროშა, გერბი, ჰიმნი. პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულებით, ჩამოასვენეს ზვიად გამსახურდიას ნეშტი, 2007 წელს.¹

2006 წელს მისი მხარდაჭერით გაიხსნა ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი. ამ პერიოდში ეროვნული ფიგურა ნაციონალურ ხასიათს ინარჩუნებდა, რომელსაც ემატებოდა ევროპული სტილის რეფორმატორობა და ლიბერალური იდეოლოგიის პოპულარიზაცია.

დღეს საქართველოში ნებისმიერი ბიზნესმენისა თუ დამწყები პოლიტიკოსისათვის მნიშვნელოვანია სტატუსი, რომელიც განპირობებულია ილია ჭავჭავაძის რეფორმების მოდერნული ვერსიებით. მაგალითად, ქართველი ბიზნესმენის, კახა ბენდუქიძის მიერ აშენებული „თავისუფალი უნივერსიტეტი“ მთავარი ლოზუნგი შემდეგნაირად ჟღერს: „ცოდნა, შრომა, თავისუფლება“. ვარდების რევოლუციის შემდეგ, ბენდუქიძე ეკონომიკის მინისტრი იყო.² იგი ხშირად მოიაზრება ლიბერალ რეფორმატორად.³ 2014 წელს ბენდუქიძის გადმოსვენების შემდეგ, ყოფილმა მესამე პრეზიდენტმა ინიციატივა გამოთქვა, რომ იგი მთაწმინდის პანთეონში დაეკრძალათ. იმ დროს თბილისის ყოფილი მერი, გიგი უგულავა საკითხს ციხიდან გამოეხმაურა და ბენდუქიძე ილია ჭავჭავაძეს შეადარა: „... გავა არც ისე ბევრი წელიწადი და ორ ბურთივით მრგვალ ლიბერალს“ შორის შთამომავლობა ძალიან ბევრს იპოვის საერთოს, განსხვავებას კი ძალიან ცოტას!“.⁴ მაშინ პოლიტიკოსი კობა დავითაშვილი ბენდუქიძის ლიბერალობას ასე გამოეხმაურა: „ლიბერალი იყო ილია ჭავჭავაძე. ბენდუქიძე, ჯაფარიძე, ბოკერია და ჩერგოლეიშვილი არიან მემარჯვენე ანარქისტები...“.⁵

ბიზნესმენი მამუკა ხაზარაძეც საკმაოდ ხშირად მოიხსენიებს ხოლმე ილია ჭავჭავაძეს. 1991 წელს ხაზარაძე „თბილისის ბიზნეს ცენტრის“ პრეზიდენტი გახდა (TBC). ყოველწლიური ლიტერატურული პრემია, სახელწოდებით „საბა“, ხაზარაძის ინიციატივით 2002 წელს დაარსდა, რომლის დამფუძნებელიც აღნიშნული ბანკია.⁶ ხშირად საუბრობენ, რომ „საბა“ დიდი მოტივაციის მიმცემია ახალგაზრდა თაობისთვის, რადგან წერა-კითხვის გავრცელებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიზნესმენი პოლიტიკური მოძრაობის – „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერია. პრემია „საბა“, შესაძლებელია ითქვას, რომ თანამედროვე ტიპის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფუნქციის როლის შესრულება სურს. საგულისხმოა ისიც, რომ პრემიას თავად ბანკი აფინანსებს. 2019 წელს ხაზარაძე ანაკლიაში პარტიის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა: „12 რიცხვში ილია ჭავჭავაძე მოკლეს. ეს დამთხვევაა, დამერწმუნეთ. დღესაც 12 რიცხვია, ჩვენ ამის გამო არ შეგვირჩევია ეს დღე, მაგრამ ეს დამთხვევა კიდევ ერთ რამეს მიანიშნებს, ილია ჭავჭავაძეც 12 ინჟინერს ეძებდა, რომ ქვეყანა გადარჩენილიყო. მინდა, რომ ეს ძებნა ყველამ დავინყოთ“.⁷

¹ ზ. გამსახურდიას ნეშტის ჩამოსვენება. 06.05.2020. <https://shorturl.at/rQNUu> (ნანახია 20.06.2024).

² „კახა ბენდუქიძე – დიადი ქართველის დიადი სიტყვები, ფრაზები და ციტატები, თავისუფლებაზე და წარმატებაზე“. 20. 09. 2022. <https://shorturl.at/EPJYo> (ნანახია 20.06.2024).

³ „ბოკერია: ბენდუქიძე ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი რეფორმატორი“. ტაბულა. 23. 04.2015. <https://shorturl.at/iS7s3> (ნანახია 04.12.2022).

⁴ „ვინ როგორ აფასებს კახა ბენდუქიძის მთაწმინდაზე დაკრძალვის იდეას?!“. კვირის პალიტრა. 20.11.2014. <https://shorturl.at/jrqE> (ნანახია 04.12.2022).

⁵ კობა დავითაშვილის ინტერვიუ. „ლიბერალი იყო ილია ჭავჭავაძე. ბენდუქიძე, ჯაფარიძე, ბოკერია, ჩერგოლეიშვილი არიან მემარჯვენე ანარქისტები“. საინფორმაციო პორტალი მხარე. 19.11.2018. <https://bit.ly/3F7AuCl> (ნანახია 04.12.2022).

⁶ პრემია „საბა“ შესახებ. *Saba.com.ge*. <https://saba.com.ge/html/page/18> (ნანახია 04.12.2022).

⁷ „12 რიცხვში ილია ჭავჭავაძე მოკლეს. რისთვის ეძებს მამუკა ხაზარაძე 12 ადამიანს?“. *palitravideo.ge*. 12.09.2019. <https://shorturl.at/46hLW> (ნანახია 04.12.2022).

პოლიტიკოსები, თავიანთი კარიერის დაწყებისას, ხშირად პარალელს ავლებენ იმ პირებთან, რომლებსაც ილია ჭავჭავაძის გზით სიარულის ამბიცია აქვთ. პოლიტიკურ ველზე ახალმოსულთა დისკურსებით ქვეყანაში იქმნება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოებაში ილიას შესახებ არასწორი აღქმები არსებობდა და რომ ახალმოსულების ინტერპრეტაციაა მეტად მართებული. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებელი სწორედ ის ადამიანია, რომელსაც ამ საკითხით მანიპულირება კარგად შეუძლია. ზოგადად, „ჭავჭავაძის გზით სიარულის“ მთავარი დამარწმუნებელი ფაქტი ილიას მიერ გატარებულ რეფორმებზე საუბარს მოიაზრებს, რომელიც ხშირად არაფრის მომცემია და ძირითადად არ პასუხობს თანამედროვე ეპოქაში არსებულ მთავარ გამოწვევებს. ეროვნული ფიგურის გარშემო კამათის დაწყებას მუდამ გაჯიბრების სახე აქვს. ინსტრუმენტალიზაციის თვალსაჩინოებისთვის, საგულისხმოა საქართველოში ულტრამარჯვენე პარტიის, „ქართული მარშის“ ჩამოყალიბების პროცესიც. 2020 წელს, პარტიის ყრილობა ილია-ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა. დაჯგუფების ლიდერის, სანდრო ბრეგაძის თქმით, მისთვის სიმბოლურია, რომ პარტიას ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში აფუძნებს: „ჩვენ, ფუძემდებლურად ვართ ილია ჭავჭავაძის პრინციპების გამგრძელებლები, თორემ „ნაციონალური მოძრაობა“, ბოკერიას პარტია, ეს ურჯულოების კლასტერია ნამდვილად. მე საერთოდ ასეთ წესსაც დავანესებდი, რომ ავუკრძალავდი მათ, არამარტო ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში შემოსვლას, არამედ ყველა ჩვენს ფუძემდებლურ, სახელმწიფოებრივ ადგილას ყოფნას, რომელსაც ისინი ნაბილწავენ“.¹

2012 წლიდან მმართველი პარტია „ქართული ოცნება“, რომლის დამაარსებელიც ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილია. 2013 წელს, როდესაც მან პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმ დროს არსებულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით გააკრიტიკა. მან აღნიშნა: „სააკაშვილი არ არის ილია ჭავჭავაძე, საუბედუროდ, მას არ აქვს ასეთი ნდობა საზოგადოების მხრიდან“.² 2019 წლის 10 თებერვალს, მესამე პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ბელგიის ქალაქ ლიეჟში, კონგრესის სასახლესთან „თანამემამულეთა მსოფლიო კრება“ დააორგანიზა. კრებაზე 5-პუნქტიანი გეგმა განიხილებოდა, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეკონომიკა უნდა გაძლიერებულიყო. „ჩვენ უნდა შევექმნათ, ის რაც თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ გააკეთა, საადგილმამულო ბანკი. ეს იყო მიწების შენარჩუნება ქართველების შემდგომი თაობებისთვის, რომ არ მომხდარიყო ბოლშევიკური კატასტროფა. ეს იყო სუპერსაშვილოშვილო საქმე, რომელიც ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა გააკეთეს. როცა საქართველოში შეიქმნება ნორმალური ხელისუფლება, ის უნდა გახდეს მთავარი აქციონერი. და არა ვილაც ხაზარაძე, მითუმეტეს ივანიშვილი, არა ვილაც რუხაძე“.³ განაცხადა მესამე პრეზიდენტმა. კონგრესის სასახლესთან მალევე საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ე.წ. „სისხლიანი“ ბანერები გამოიტანეს. ისინი ამბობდნენ, რომ სააკაშვილს ემიგრანტების სახელით ლაპარაკის უფლება არ ჰქონდა.⁴ აღსანიშნავია პარტია „ევროპული საქართველოს“ პარტიის წევრის, ჩერგოლეიშვილის განცხადება, რომელიც 2022 წლის მოვლენების განვითარებას გამოეხმაურა (იგულისხმება მესამე პრეზიდენტის ციხეში ყოფნა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა): „მე ძალიან მინდა მიხეილ სააკაშვილი კარგად იყოს და არც კი ვუშვებ, რომ შეიძლება რამე დაე-

¹ „ჩვენ ვართ ილია ჭავჭავაძის პრინციპების გამგრძელებლები – „ქართული მარში პარტიას აფუძნებს“. ტელეკომპანია მთავარი 02.07.2020. <https://shorturl.at/ipoYm> (ნანახია 11. 11.2023).

² „ბ. ივანიშვილი:...სააკაშვილი არ არის ილია ჭავჭავაძე“. IPN.ge 05.03.2013. <https://shorturl.at/jGfHp> (ნანახია 09.01.2023).

³ „მ. სააკაშვილი თანამემამულეთა კრებაზე ლიეჟში“. On.ge. 10.02.2019. <https://bit.ly/404e3YE> (ნანახია 09. 01. 2023).

⁴ „ლიეჟში, თანამემამულეთა მსოფლიო კრების პარალელურად, სააკაშვილის წინააღმდეგ აქცია მიმდინარეობს“. On.ge. 10. 02.2019. <https://bit.ly/3kBO5eH> (ნანახია 09. 01. 2023).

მართოს, მაგრამ საკითხის ასე დაყენება – ის თუ არ იქნება, ქვეყანა დაიღუპება... დავით აღმაშენებელი დაგველუპა, ილია ჭავჭავაძე დაგველუპა და ეს ქვეყანა აგრძელებს არსებობას. თავისთავად, საკითხის ასე დაყენება არასწორია.¹ პოლიტიკოსები ქვეყანაში მიღებულ გადამწყვეტილებებსა და კანონებსაც კი ილია ჭავჭავაძეს უკავშირებენ. მაგალითად, 2022 წელს, დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის ირგვლივ მიმდინარეობდა კამათი. ნეოლიბერალური იდეოლოგიის მქონე პარტია „გირჩის“ ლიდერმა, ვახტანგ მეგრელიშვილმა განაცხადა: „მე-19 საუკუნეში „დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი“ რომ ვიღაცას მიეღო, ილია ჭავჭავაძე ოლიგარქების სიაში მოხვდებოდა – მედიამაგნატი იყო, „ივერიას“ გამოსცემდა, პოლიტიკა აინტერესებდა, ბანკი ჰქონდა და მონოპოლისტი იყო. როგორ შეიძლება პრეზიდენტის სამსახურმა, როგორც ეს უკრაინაშია, შეადგინოს ოლიგარქების რეესტრი? – ჩემი აზრით, ეს კატასტროფაა!“² აღსანიშნავია, რომ პარტიის ვებგვერდზე ვრცელი სტატიაა დაწერილი, სათაურით „ილია ლიბერტარიანელია“.³

2024 წელს მმართველ პარტიას დიდ საპროტესტო მოძრაობასთან უწევს გამკლავება. როგორც ზემოთ აღინიშნა, საუბარია საპროტესტო მოძრაობა „არა რუსულ კანონზე“. ქვეყანა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის ვალდებულია შეასრულოს რეკომენდაციები.⁴ პუნქტებს შორის ჩამოთვლილი იყო, რომ სახელმწიფოს უნდა ეზრუნა ადამიანის უფლებების დაცვაზე და ჩაეტარებინა ე.წ. ვეტინგი.⁵ მმართველი პარტიის მხრიდან დაიწყო საუბარი სუვერენიტეტის დათმობის საკითხზე, რომელიც გადაითარგმნა, როგორც ქვეყანაში ევროკავშირის მხრიდან „ზედმეტად“ ჩარევის პოლიტიკად. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მსგავსი ძალდატანება ქართულ კულტურას აზიანებდა. საუბარი დაიწყო ტრადიციების პატივისცემასა და დაცვაზე. მოსამართლეების კეთილსინდისიერების საკითხი ეჭვქვეშ არავის უნდა დაეყენებინა, რადგან ასეთ შემთხვევაში მოსამართლეთა განაჩენები ბათილად გამოცხადდებოდა.⁶

ტრადიციების დაცვა გამოიხატა გენდერულ დონეზე „LGBTQ“ ადამიანების სტიგმატიზებით. მალევე მმართველმა პარტიამ შემოიღო კანონპროექტი, „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“. აღსანიშნავია, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონპროექტის მომხრეები ილია ჭავჭავაძის ტექსტს იმონებდნენ. მაგალითად, პარტია „ხალხის ძალის“ ლიდერმა, მაჭარაშვილმა განაცხადა: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნეს. ეს არის ილიას სიტყვები და არა ის, რომ ჩვენი თავი ეყუდნეს უცხოელ პარტნიორს“.⁷ ასევე საინტერესოა საკრებულოს წევრის – ვლადიმერ ბოჭაძის განცხადება:⁸ „ილია ჭავჭავაძე ნაკითხული რომ გქონდეთ, გეცოდინებოდათ, რა დანერა. მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთი მნიშვნელობის არიან...ქრისტიანობისთვის გავწყდით, გავიჟლიტენით...ხორცი მივეციოთ სულისათვის. სამი სიტყვა გაქვთ ნაკითხული და მესამე სიტყვა სარწმუნოება პრაიდის თაბაგარს

¹ „ჩერგოლეიშვილი სააკაშვილზე: არასწორია საკითხის დაყენება...“ *Prime Time*. 17.11.2022. <https://shorturl.at/3zMg7> (ნანახია 20.06.2024).

² „ვახტანგ მეგრელიშვილი: მე-19 საუკუნეში „დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი რომ ვიღაცას მიეღო, ილია ჭავჭავაძე ოლიგარქების სიაში მოხვდებოდა“. 11.10.2022. *Newshub.ge*. <https://bit.ly/401qiVX> (ნანახია 20.06.2024).

³ პარტია „გირჩი“, სტატია „ილია ლიბერტარიანელია“. 20.05.2017. <https://shorturl.at/4TwMH> (ნანახია 20.06.2024).

⁴ „რას მოიცავს 9 დათქმა?“. რადიო თავისუფლება. 08.11.2023. <https://shorturl.at/qzZtk> (ნანახია 20.06.2024).

⁵ „ყველაფერი ვეტინგზე“. ავტ. სალომე ჩადუნელი. რადიო თავისუფლება. 15.03.2024. <https://shorturl.at/QzIW0> (ნანახია 20.06.2024).

⁶ „უზენაესი სასამართლო: ე.წ. ვეტინგი ლახავს სასამართლოსა თუ ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას“. საზოგადოებრივი მაუწყებელი *1tv.ge*. 11.03.2024. <https://shorturl.at/zmpua> (ნანახია 20.06.2024).

⁷ გურამ მაჭარაშვილის განცხადება. ტელეკომპანია ფორმულა. 22.04.2024. <https://t.ly/qjSa9> (ნანახია 20.06.2024).

⁸ „ბრავო ვლადიმერ ბოჭაძე“. ავტ. დიდუბელი. მიმართვა საკრებულოდან. <https://shorturl.at/O9pFe> (ნანახია 20.06.2024).

შეაცვლევინეთ ერთობათი¹.¹ ბოჟაძე იმონებს ჭავჭავაძის ორ ტექსტს, ესენია: „ქართველი ერი და ღვანლი წმინდა ნინოსი“² (1888) და „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“³ (გაზ. ივერია, 1898). ზოგადად, საჯარო პირების რიტორიკა ძალიან ფრაგმენტულია და მიმართულია იმ აზრთან, რომ ევროკავშირის რეკომენდაციები შეუთავსებელია ქართულ კულტურასთან. განმეორებელი ფაქტორი ლიბერალიზმია, ლიბერალური კრიტიკა კი, სხვა ტექსტებთან ერთად, „ქვათა ღალატზე“ მიუთითებს. ჭავჭავაძის ტექსტებში ლიბერალიზმის როლი ყოველთვის კონტექსტურია, მაგალითად: „დროა ჭკუას მოვიდეთ და არ შევუშინდეთ იმ ცრუპენტელა ლიბერალებს, იმ ჭეშმარიტის ლიბერალობის ბერიკეებს, რომელნიც განგებ პირში ბურთსა გვჩრიან, რომ თავისი ოინბაზობა, ორპირობა და ცალგულობა მიაფუჩეჩონ და ზედ ლიბერალობის წმინდა კალთა გადააფარონ... ლიბერალობა განა მალვავა, ანუ ხელის წაფარება ტყუილებისა ... და არა მხილება ყოველ ამისი?.. მზეზე გამოტანა ყოველის ფარულის და არა ფარულის ბოროტისა, – იმისდა მიუხედავად, შფოთს ასტებს, თუ არ ასტებს, – განა უწმინდაესი და უპირველესი ღირსება არ არის ჭეშმარიტის ლიბერალობისა, რომელიც-კი მას შეუძენია და დიდი ღვანლითა და ზოგჯერ სისხლის ნთხევეითაცა“. ცხადია, ილია ჭავჭავაძე ცრუ იდეოლოგიის მქონე ადამიანებზე მიუთითებს. ტექსტიდან ჩანს, რომ ლიბერალები სიმართლის სადარაჯოზე იდგნენ.

გადაცემა, სახელწოდებით „ილია და ლიბერი“ გვახსენებს, რომ გადაცემის მიზანია ილია ჭავჭავაძე გააცნოს მსმენელს, როგორც ლიბერალი მოაზროვნე. მეოთხე ეპიზოდის სტუმარი, დიპლომატი გია ჯაფარიძეა, რომლის აზრითაც, ილია ჭავჭავაძე არის პირველი იმ კლასიფიკაციებიდან, რომელიც შეიძლება საქართველოში საუკეთესოებს შორის მან დაასახელოს. იგი ამბობს: „ისე კომუნისტებს ქონდათ კარგი სიტყვა მოძებნილი – პუბლიცისტი. რას ნიშნავს პუბლიცისტი? სინამდვილეში, ილია არის პირველი ქართული თავისუფალი მედიის შემქმნელი, პირველი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის შემქმნელი; პირადი ბანკირი...“⁴ გადაცემის პირველ ეპიზოდში საქართველოს უნივერსიტეტის ლექტორია მინვეული, რომელიც აცხადებს, რომ ილიას თაყვანისმცემელია. შეკითხვაზე, თუ ვინ არის ილია მისთვის? იგი შემდეგნაირად პასუხობს: „ილია მემამყება, ის მთავარი ქართველი ლიბერალი იყო; ჩვენ ვიცით, რომ მას არ ჰქონდა სოციალისტური სენტიმენტები, როდესაც ბისმარკი ცოტა სოციალიზმისკენ გადაიხარა, ჭავჭავაძე გახდა მისდამი კრიტიკული... ლიბერალები არიან ადამიანები, რომლებსაც ცვლილებების არ ეშინიათ, განსხვავებით კონსერვატორებისგან“⁵. პოლიტოლოგი გია ნოდია კი ასეთ აზრს ავითარებს: „პოპულიზმი ყოველთვის კოლექტივიზმია; ნაციონალიზმი თავის ძირში არის ლიბერალიზმი, ილიას სახელით ლიბერალიზმს ებრძვიან“⁶.

როგორც უკვე ვახსენეთ, ილია ჭავჭავაძის ტრიადა: „მამული, ენა სარწმუნოება“, ხშირად ინტერპრეტირდება და ემატება სხვა მიმართებები. თბილისში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის“ წინააღმდეგ გამოსვლები აპრილის თვეში დაიწყო. მკვლევრებმა, იურისტებმა და სხვა პროფესიის მქონე პირებმა კანონი რუსეთში 2012 წელს მიღებულ კანონს მიაშვასეს. ოპოზიცია აცხადებდა, რომ კანონის წინააღმდეგ მოძრაობამ მიიღო ცივილიზაციური არჩევანის წინ მდგომი საქართველოს სახე. ახალგაზრდებმა 19 აპრილს გმირთა მემორიალთან დადეს ფიცი, რომელიც დასრულდა სიტყვებით „ენა, მამული, ერთობა“⁷, რომელიც შთაგონებულია „ოსმალის

¹ იგულისხმება თბილისის პრაიდის დამფუძნებელი გიორგი თაბაგარი.

² გაზ. „ივერია“. 1888. №9

³ გაზ. „ივერია“. 1898. №1 გვ. 1-2 (ი. ჭავჭავაძე. ოც ტომად. ტ13. თბ., 2007. გვ. 492).

⁴ „ილია და ლიბერი“. ჯაფარიძე. გ. (ეპიზოდი 4) *Franklin Club*. 09.01.2023. <https://shorturl.at/ASmHU> (ნანახია 20.06.2024).

⁵ „ილია და ლიბერი“. თოფური. კ. (ეპიზოდი 1) *Franklin Club*. 18.11.2022. <https://t.ly/kjNxn> (ნანახია 20.06.2024).

⁶ „ილია და ლიბერი“ ნოდია. გ. (ეპიზოდი 5) *Franklin Club*. 09.01. 2023 <https://t.ly/nDioz> (ნანახია 20.06.2024).

⁷ ახალგაზრდების ფიცი გმირთა მემორიალთან. ელექტრონული ჟურნალი პუბლიკა. <https://rb.gy/s8u2ch> (ნანახია 20.06.2024).

საქართველოდან: „ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პო-
ულობს თავისი სულის ბგერას, თვის ზნეობით და გონებით აღმატებულებას, თვის ვინაობას,
თვის თვისებას. ჩვენი ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტო-
მობისა ისე არ შეამსჭვალეს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა“
(ჭავჭავაძე 1877).

29 აპრილს დაანონსდა სამთავრობო აქცია, სადაც მმართველმა პარტიამ ახალგაზრდებს
ბრალი დასდო სარწმუნოების შეურაცხყოფაში. სამთავრობო აქციის ბანერებზე ილიას სიტყვები
„მამული ენა, სარწმუნოება“ დაინერა.¹ ახალგაზრდების პროტესტზე, ფილოლოგმა ლევან გიგი-
ნეიშვილმა „ტელეარხ იმედზე“ შემდეგი განცხადება გააკეთა:² „ძალიან პრეტენზიული უნდა იყო,
რომ ილია ჭავჭავაძის ასეთი მნიშვნელოვანი ციტატა შეცვალო, მე თვითონ ფილოლოგი ვარ,
ქართულს ვასწავლი და ამას არ გავაკეთებდი ყველაზე კომმარულ სიზმარშიც კი“. ამავე პერი-
ოდში მწერალმა ლაშა ბულაძემ³ გამოაქვეყნა სტატია, სადაც მიუთითებს, რომ „ენა, მამული და
ისტორია“, საფრანგეთის რევოლუციის ლოზუნგითაა შთაგონებული, რომელიც ჟღერდა, რო-
გორც „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“. შემდგომ კი განმარტავს, რომ ტრიადა საერთო ისტორი-
ულ მესხიერებას ეფუძნება და ასევე ხაზს უსვამს საბჭოთა მემკვიდრეობაზე, რომ სტალინურმა
იდეოლოგიამ ილიას მითვისება სცადა (ბულაძე 2024).

ვინაიდან განხილვის საგანი ევროკავშირში ინტეგრაცია იყო, საზოგადოების მხრიდან ევრო-
პული ლიბერალიზმის კრიტიკა დაიწყო, რამაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის პერიოდის გახსენე-
ბა. მოსახლეობის ნაწილი ფსევდოლიბერალიზმზე აკეთებდა აქცენტს – ან სრულად უარყოფდა
ლიბერალიზმს, რომელიც კვლავ ფიგურით იყო განპირობებული. ნაწილის აზრით, ევროპა ქრის-
ტიანობას გულისხმობდა, თუმცა სხვები იმაზეც კამათობდნენ, რომ ევროპა ადამიანის უფლებე-
ბით გამოირჩეოდა და არა რელიგიური ნიშნით. ასევე აქტიურად განიხილებოდა საბჭოთა კავში-
რი, როგორც ევროპული მოვლენა. ამ კონტექსტში, სადაც „ოსმალის საქართველო“ და „ქვათა
ლაღადი“ მანიპულაციის კარგ საშუალებად იქცა, საინტერესოა ჭავჭავაძის ერთ-ერთი პუბლი-
ცისტური წერილი, სახელწოდებით „მაჰმადიანთ გაქრისტიანება“, რომელიც კარგად აღწერს იმ
რეალობას, რაც მე-19 საუკუნის საქართველოში ბათუმის მაზრის შემოერთებამ განაპირობა: „გა-
ნა არ შეიძლება კაცი ანუ ხალხი არც ქრისტიანი იყოს, არც მაჰმადიანი, არც კერპთაყვანისმცე-
მელი, მაგრამ კარგი კაცი, კარგი ხალხი იყოს, კარგს განათლების გზაზედ დამდგარი და ცხოვრე-
ბაში ყოველმხრივ წარმატებული? სარწმუნოების საქმე სინდისის საქმეა, რა ჩვენი საქმეა – ვინ
როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? თვითონ ჩვენი მაღალის და უზენაესის
მოძღვრის იესო ქრისტეს სიტყვაა, რომ რჯული არ შეიქმს კაცს, არამედ საქმე. ურიგო არ იქნე-
ბა, რომ ამ ქრისტეს სიტყვებითა და ზემოხსენებულ მოსაზრებით იხელმძღვანელონ ყველა იმათ,
ვისაც ბათუმის მაზრის ქართველ მაჰმადიანებთან ექნებათ საქმე“ (ჭავჭავაძე, 1880).

რადგან საზოგადოების მხრიდან სარწმუნოება წყალგამყოფად იქნა მიჩნეული, ბრწყინვალე
აღდგომის დღესასწაულზე, 5 მაისს, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ქანდაკების წინ, ახალ-
გაზრდებმა სანთლები დაანთეს, სადაც დაინერა კვლავ მოდიფიცირებული ვერსია: „ენა, მამული,
ერთობა, სარწმუნოება“.⁴ ფრაზა უპირობო გაერთიანების სიმბოლო გახდა. ამ ჟესტით ახალგაზ-
რდა თაობამ კვლავ შეახსენა ქართულ საზოგადოებას, რომ ერთობა და მრწამსი თანაბრად მნიშ-

¹ „ივანიშვილი სამთავრობო აქციაზე გამოჩნდა“. რადიო თავისუფლება. 29.04.2024. <https://rb.gy/zawcfs> (ნანახია 20.06.2024).

² „გიგინეიშვილი. ლ. ლოზუნგზე“. ტელეკომპანია იმედი. 21.04.2024. <https://t.ly/TVwjL> (ნანახია 20.06.2024).

³ „ილია ჭავჭავაძის უკვდავი სიტყვები“. ავტ. ლაშა ბულაძე. რადიო თავისუფლება. 05.05.2024. <https://shorturl.at/rpoVB> (ნანახია 20.06.2024).

⁴ ფოტო. „ენა, მამული, ერთობა“. რადიო თავისუფლება. 05.05.2024. <https://shorturl.at/kiAxv> (ნანახია 20.06.2024).

ენელოვანია და მათი ნება ურყევი, რაც გულისხმობდა ნებისმიერი სარწმუნოების მქონე პირისთვის დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრებას, რომლის არჩევანიც, მათი თქმით, ევროპა იყო.

დასკვნა

ილია ჭავჭავაძის ფიგურის ინტრუმენტალიზაციის კვლევა ქართულ საზოგადოებაში წარმოადგენს ანალიზს, თუ როგორ გამოიყურება ახლანდელი და ისტორიული ნარატივები პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნისთვის. ჭავჭავაძის ფიგურის ინტრუმენტალიზაციის კვლევამ გამოაშკარავა იდეოლოგიური მითვლების მცდელობები, ტრიადის მოდიფიკაციები და, ზოგადად, ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების კომპლექსური ურთიერთკავშირები. ეროვნული გმირი, ერთი მხრივ, წინსვლისა და პროგრესის სადარაჯოზე წარმოჩინდა, ხოლო, მეორე მხრივ, ფიგურამ წარსულთან უწყვეტობა გამოავლინა. ილია ჭავჭავაძის ფიგურა ერთი ქოლგის ქვეშ აერთიანებს საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომლის გარშემოც დისკურსები მუდმივცვალებადი და კონკურენტულია. ამრიგად, ეროვნული კონსოლიდაცია რთულად მისაღწევია.

ბიბლიოგრაფია:

- აბაშიძე, გ. „ილია ჭავჭავაძე“. გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010.
- აბაშიძე, ზ.; ბახტაძე, მ.; ჯანელიძე, ო. „საქართველო და ქართველები“. საკითხავი წიგნი, თბილისი, 2013.
- „ბიზნეს ისტორიები საქართველოდან“. გამომცემლობა Marketer, 2023.
- გაზეთი „კვალი“, 1897, №1.
- გაზეთი „კვალი“, 1900, №11.
- გაზეთი „ივერია“, 1888. №9.
- ჭავჭავაძე, ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. „რა გითხრათ, რით გაგახაროთ ?“, 1898. ტ. 13, თბილისი, 2007.
- ჭავჭავაძე, ი. „სარჩობელაზედ“. გამომცემლობა თბილისი, 1937.
- ჭავჭავაძე, ი. „აჩრდილი“. ლექსები და პოემები. გამომცემლობა თბილისი, 1937.
- ჭავჭავაძე, ი. „ოსმალის საქართველო“, გამომცემლობა „ივერია“, 1877.
- ჭავჭავაძე, ი. „ქვათა ლაღადი“. წიგნადი ფონდი. გამომცემლობა „ივერია“, 1899.
- ჭავჭავაძე, ი. „საბანკო საქმის შესახებ“. ახალი გამოცემა, ელ. ვერსია, lbooks.ge, 2015.
- ჭავჭავაძე, ი. „მაჰმადიანთ გაქრისტიანება“. თხზულებანი, ტ. XV. „ილიას ფონდი“. თბილისი, 2007.
- ჯონსი ს., თორია მ. (რედ.) „მეხსიერების ადგილები და ქართული ნაციონალური იდენტობის სიმბოლური გარემო“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2022.
- Assmann, Aleida. „Canon and Archive“. Cultural Memory Studies: An International and Interdisciplinary Handbook, Astrid Erll & Ansgar Nünning (Eds). Berlin-New York: Walter de Gruyter, 2008.
- Laclau, Ernesto. „Why Do Empty Signifiers Matter to Politics?“ „Post-Marxism, Populism and Critique“. Routledge, Taylor & Francis Group. London and New-York, 2015.
- Todorova, Maria. „Bones of Contention“, The Living Archive of Vasil Levski and the Making of Bulgaria's National Hero, 2009.



Vagabond: "Cunning politicians left, right and centre justify their actions with Bulgaria's greatest national hero."
<https://shorturl.at/aNZXs>



ვოზზე ბაიდენი და მიხეილ სააკაშვილი, შუაში ილია ჭავჭავაძის პორტრეტი. 2009 წ. წყარო: რადიო თავისუფლება <https://shorturl.at/or2jb>




Bulgarian National Bank. Standard Banknote. 1000 Leva. Demonetized 1999.



საქართველოს ეროვნული ბანკი. ბანკნოტი 20 ლარი. ფუნქციური.



Source: Maria Todorova.
 "Bones of Contention". 2009.
 Central European University Press, p. 637.
 Author's photograph.



„წმიდა ილია“, ხატი. წყარო: 1. ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტის კურთხევით გამოშვებული წიგნი „თქვენი ვარ შვილი“. 2. მართლმადიდებლური ეკლესია ამერიკაში <https://rb.gy/6snk26>

NINO ZANDUKELI

**THE INSTRUMENTALIZATION OF ILIA CHAVCHAVADZE'S
FIGURE IN GEORGIA (1980-2024)**

Summary

The present article examines the instrumentalization of Ilia Chavchavadze's figure in Georgia from 1980 to 2024, exploring its role in shaping Georgian politics and culture. This paper will establish whether Chavchavadze was central to these processes by considering elements that have had the most profound influence upon historical discourses over the legacy of the aforementioned. The hypothesis posits that Georgian society has created competing models of Ilia Chavchavadze and has caused problems for national consolidation. These manipulations, which began in Soviet times, have continued until today through different collective memories. The recent data underlined not only the coexistence of different discourses about Chavchavadze but also cultural divergences reflecting the country's civilizational choice.

The relevance of the problem is based on attempts by many people and groups in the country to make the great figure a symbol of the real continuation of Ilia Chavchavadze's legacy as a way for the renewal of Georgian culture and politics. These efforts gained significant momentum in 2022-2024, when Georgia was seeking integration into the European Union. Although the figure himself is very significant, until now there has been no scholarly research focused on his instrumentalization in this regard.

The greater part of the text gives examples from other countries and discloses insights by foreign researchers who studied the instrumentalization of national figures. To support the hypothesis, the paper uncovers the mechanisms of identification used by populist movements for legitimizing their agenda and shows how these efforts have shaped public perceptions of Ilia Chavchavadze in Georgia.

მიხეილ ნვერაძე

ალტერნატიული მემარჯვენე იდენტობის ფორმირება 2010-იანი წლების დასავლურ ინტერნეტსივრცეში

შესავალი

2010-იანი წლები არის დასავლეთში ალტერნატიული მემარჯვენეობის აღმოცენების პერიოდი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ასოცირდება ხოლმე მიგრაციულ კრიზისთან და ლიბერალური დემოკრატიის მიმართ უკმაყოფილებასთან. იმავე წლებში ხდება ერთგვარი აღმასვლა სოციალური ქსელების გამოყენების და, შესაბამისად, ინტერნეტსივრცეში იწყება მათ შორის პოლიტიკური დისკურსების შექმნა, რომელშიც ასევე ალტერნატიულ მემარჯვენეობას დიდი როლი ექნება.

2015 წელს, დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიის დაწყებასთან ერთად, უფრო და უფრო ნათელი ხდება ინტერნეტის, როგორც ეფექტური საინფორმაციო გამტარის, და, შესაბამისად, ეფექტური იდენტობის მანარმოებლის როლი. დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიას თან სდევს ინტერნეტსივრცეში, სოციალურ ქსელებში პარალელური პოლიტიკური კამპანია, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს მთლიანად დასავლურ პოლიტიკურ დისკურსზე. ამ პერიოდში ინტერნეტში იქმნება ალტერნატიული საინფორმაციო ველი, რომელსაც მოცემულ ტექსტში ვუწოდებ ალტერნატიულ მემარჯვენე საინფორმაციო ველს. მოცემული საინფორმაციო ველი, როგორც მკვლევრები უწოდებენ მას, შექმნის ეგრეთ წოდებულ *alt right pipeline/alt right rabbit hole*-ს, რომელშიც იგულისხმება ადამიანის გარკვეული ტიპის საინფორმაციო დამუშავება, როდესაც გარკვეული, შედარებით უფრო მსუბუქი მემარჯვენე ნარატივების მიცემით ადამიანისთვის, ამ ადამიანს უფრო და უფრო მეტად უბიძგებ, რომ ულტრამემარჯვენე ნარატივებისკენ წავიდეს, რაც, საბოლოოდ, იწვევს ადამიანის რადიკალიზაციას.

ალტერნატიული, მემარჯვენე საინფორმაციო ველი, შესაბამისად, იწყებს გარკვეულწილად კულტურის ტრანსფორმაციის პროცესს და ამიტომ არ არის გასაკვირი, როდესაც მოცემულ საინფორმაციო ველში (მეინსტრიმულ მემარჯვენე მედიასთან ერთად), იქმნება *culture wars*-ის ნარატივი, რომლის მიხედვითაც დასავლეთი იმყოფება კულტურული ომის პირობებში, რომელიც მიმდინარეობს თავად შიგნით დასავლეთში სხვადასხვა სოციოკულტურულ და იდეოლოგიურ ჯგუფებს შორის. მოცემული ტერმინი ჯერ კიდევ ბისმარკის პერიოდიდან მოდის *kulturkampf*, სადაც იგულისხმებოდა ბისმარკის დაპირისპირება კათოლიკურ ეკლესიასთან, თუმცა, დაახლოებით მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, 60-იანი წლების კულტურული რევოლუციით უკმაყოფილო მემარჯვენე გარკვეული ჯგუფები იწყებენ მოცემული ტერმინის გაცოცხლებას ახალი მნიშვნელობით, სადაც კულტურული რევოლუციის და ტრადიციული კულტურის დაპირისპირების ნარატივი შემოდის. 80-იან წლებში მოცემული ნარატივის ერთ-ერთი გამავრცელებელი E. Michael Jones არ არის გასაკვირი, რომ არქმევს თავის ჟურნალს *Culture Wars* და ის უკვე უშუალოდ 2010-იან წლებში იწყებს მოცემული ნარატივის გავრცელებას ინტერნეტსივრცეში. თუმცა E. Michael Jones მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია იმ დიდი მოძრაობის, რომელსაც შეგვიძლია ალტერნატიული მემარჯვენე მოძრაობა ვუწოდოთ. თანამედროვე ამერიკული კულტურული ომების ნათლიად მიჩნეულია ენდრიუ ბრეიტბარდი, რომელიც არის დამაარსებელი *Bretibart Media*-ს და

რომლის სიტყვებიც კულტურული ომის წარმოების გარკვეულ თეორიულ ჩარჩოდ იქცევა: “Politics is downstream from culture”.

თუმცა მოცემულ სტატიაში მე ნაკლებად მაინტერესებს თავად პოლიტიკურ ველზე მოცემული პროცესები. ჩემი კვლევის საგანია ალტერნატიული მემარჯვენე დისკურსები ინტერნეტში და კულტურული ომის განვრცობა სოციალურ ქსელებში. Data&Society-ის კვლევის თანახმად, 2018 წელს ინტერნეტგებსაიტზე, იუთუბზე ერთ-ერთი ყველაზე ნახვადი პოლიტიკური კონტენტი იყო ალტერნატიული მემარჯვენე არხების მიერ წარმოებული. ამის ყველაზე კარგ მაგალითად მათ მოჰყავთ 2018 წლის მონაცემი, რომლის მიხედვითაც, ყველაზე პოპულარული პირდაპირ ეთერში (სტრიმით) გაშვებული ვიდეო იყო დებატი ორ ალტერნატიულ მემარჯვენე ინფლუენსერს შორის (რიჩარდ სპენსერი და სარგონი), რომლებსაც ლაივში უყურებდა 100 000 ადამიანი. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი მაგალითია. 2010-იანი წლების მეორე ნახევარში (განსაკუთრებით 2015 წლიდან), იუთუბი ხდება ჩვეულებრივი საინფორმაციო საბრძოლო ველი კულტურული ომისთვის, სადაც იწყებს ალტერნატიული მემარჯვენე ინფლუენსერების ქსელი თავისი რეალური ძალის ჩვენებას. სოციალური ქსელების უნიკალურ უნარს, რომ გახადოს ნებისმიერი ადამიანი ინფლუენსერი, ალტერნატიული მემარჯვენე ინტერნეტპერსონალიები საკმაოდ ეფექტურად გამოიყენებენ, რასაც მოჰყვება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დასავლური სოციალური ქსელების საინფორმაციო პოლიტიკურ ველში მათი მკვეთრი გამოჩენა და დომინირება.

ალტერნატიულ მემარჯვენე საინფორმაციო ველში მოღვაწე აზრის შემქმნელები სხვადასხვა იდეოლოგიის არიან, დანყებული ცენტრისტი ლიბერალებით, დამთავრებული ულტრანაციონალისტი რასისტებით. მთელი არსი ალტერნატიული ინტერნეტსივრცის არის ზუსტად ის, რომ მათი ერთმანეთთან ინტერაქცია და მათი სპეციფიკური ნარატივები ქმნის გარკვეული ტიპის ანტი-ისტებლიშმენტურ საერთო აზრის ქსელს. მოცემულ ჯგუფებში მე მოვიაზრებ, მაგალითად: Sargon of Akkad-ს (იგივე კარლ ბენჟამინი, რომელიც თავს აიდენტიფიცირებდა, როგორც კლასიკურად ლიბერალი), სტეფან მოლენიუს (ლიბერტარიანელი სოცმედია აქტივისტი), ბენ შაპიროს (კონსერვატორი), სტივენ ქრაუდერს (პოპულისტი, ნაციონალისტი), რიჩარდ სპენსერს (ულტრამემარჯვენე თეთრი ნაციონალისტი). მოცემული ჩამონათვალი მხოლოდ მცირე ჯგუფია იმ ადამიანებისა, ვიზეც მოცემულ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებ. მე სპეციალურად ვუსვამ ხაზს მათ იდეოლოგიურ მიკუთვნებულობებს, რათა მკითხველისთვის ნათელი გახდეს, თუ რამდენად მრავალფეროვანი ჯგუფები მოქმედებდნენ ალტერნატიულ მემარჯვენე ინტერნეტსივრცეში 2010-იან წლებში.

მოცემულ სტატიაში შევეცდები, ერთი მხრივ, გავაანალიზო ინტერნეტსივრცეში მოცემული ალტერნატიული მემარჯვენე საინფორმაციო ველის გაჩენა და ავსხნა, თუ როგორ ხდება, ზოგადად, მსგავსი კომპლექსური ინფლუენსერ ქსელების გაჩენა; მეორე მხრივ, უშუალოდ გავაანალიზებ მოცემული საინფორმაციო ველის მიერ წარმოებულ შედეგებს. შედეგებში ვგულისხმობ უშუალოდ ალტერნატიული მემარჯვენე ინფლუენსერების მიერ წარმოებული ნარატივების ანალიზს და მოცემული ალტერნატიული ნარატივების ზეგავლენას უშუალოდ აუდიტორიაზე, ანუ იმაზე, თუ როგორ იწარმოება ახალი ტიპის იდენტობა, მოცემულის ალტერნატიული მემარჯვენე საინფორმაციო ველის მიერ.

სტატია დაფუძნებულია მასმედიის, კულტურის და პოლიტიკის მიმართების და იდენტობის ფორმირების თეორიებზე. ამისთვის მნიშვნელოვანია იმ ტიპის თეორიული ჩარჩოს შერჩევა, რომელშიც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული ის, თუ რა არის მედია, როგორი მიმართებაა კულტურასა და პოლიტიკას შორის და როგორ ფორმირდება იდენტობა.

ნიკლას ლუმანის მედიათეორიის მიხედვით, რეალობა (სამყაროს აღქმა) იქმნება მედიის მეშვეობით, თუმცა მედია არ უნდა იყოს განხილული მხოლოდ როგორც შუამავალი, მედიატორი,

არამედ თავად ამ რეალობის მანარმოებელი. მოცემულ თეორიაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სისტემურ მიდგომას საინფორმაციო ველის მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საინფორმაციო ველი უნდა განვიხილოთ, როგორც ბევრი სხვადასხვა ელემენტის ერთობლიობა, რომელიც შეიძლება ადამიანური განზრახვით არ იყოს შექმნილი ზემოდან ქვემოთ, არამედ მოცემული საინფორმაციო ველი იქმნება სისტემურად. თუ სხვა მედიათეორიებში მანიპულაციის ეჭვი (როგორც ნიკლას ლუმანი უწოდებს – *suspicion of manipulation*) თამაშობს დიდ როლს, მანიპულაციის ეჭვზე დაფუძნებული ის მედიათეორიები, რომლებიც მედიას განიხილავენ, როგორც ერთი კონკრეტული ადამიანთა ჯგუფის მხრიდან მეორეზე ზეგავლენის მოხდენის ხერხს. ნიკლას ლუმანის თეორია არის ანტიჰუმანისტური (სტრუქტურალიზმის ზეგავლენა), სადაც ადამიანის ავტონომიურობა არ არის სერიოზულად აღქმული, არამედ ნებისმიერი აქტორი, მოცემულ საინფორმაციო ველში, თავად არის სისტემის ნაწილი და სისტემა თავად აორგანიზებს აქტორს. მარტივად რომ ვთქვათ, ნიკლას ლუმანის მედიათეორიაში არ არიან ადამიანები, რომლებიც უკნიდან ჩუმად მართავენ მედიას, არამედ მედია არის სისტემა, რომელიც საკუთარ თავს აწარმოებს ავტონომიურად.

ჩემი სტატიისთვის გამოვიყენებ იმ წყაროებს და მასალებს, რომელიც მოიპოვება ინტერნეტში, რაც ლოგიკურია, ვინაიდან სტატიის მთავარი მიზანია ზუსტად ინტერნეტში წარმოებული დისკურსის ანალიზი. მოცემულ საკითხზე, ერთი მხრივ, იქნება გამოყენებული ის მასალა, რომელიც უშალოდ თავად ჩემი კვლევის ობიექტია – 2010-იან წლებში შექმნილი ალტერნატიული მემარჯვენე საინფორმაციო ველი სოციალურ მედიებში. მეორე მხრივ, ის სტატიები და ნაშრომები, რომელიც აანალიზებს უშალოდ მოცემულ საინფორმაციო ველს და მის გავლენას აუდიტორიაზე და, მთლიანად, პოლიტიკურ პროცესზე. ერთადერთი პრობლემა, რაც შეიძლება შეიქმნას, არის ის, რომ ბევრი მასალა სოციალურ მედიაპლატფორმებზე დღეს უკვე დაბლოკილია რადიკალური შინაარსის გამო, თუმცა ამ შემთხვევაშიც ინტერნეტარქივებში ან მეორად წყაროებში არის შესაძლებელი მოცემული მასალის მოძებნა.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია გააანალიზოს 2010-იანი წლების დასავლურ ინტერნეტ-სივრცეში წარმოებული ალტერნატიული მემარჯვენე ნარატივები. პირველ რიგში, როგორ ჩამოყალიბდა უშალოდ ის ალტერნატიული მემარჯვენე ინტერნეტსივრცე, სადაც უკვე შესაბამისად იქმნებოდა გარკვეული ტიპის ახალი ნარატივები. მეორე მხრივ, უშალოდ წარმოებული ნარატივების ანალიზი და მისი ზეგავლენის ამხსნელი თეორიების გაანალიზება.

მოცემული კვლევის აქტუალურობა, პირველ რიგში, გამოიხატება იმაში, რომ აღნიშნულ ალტერნატიულ მემარჯვენე ინტერნეტსივრცეში წარმოებული ნარატივები არის დღეს საკმაოდ მინსტრიმული მსოფლიოს უამრავ ნერტილში და განსაზღვრავს პოლიტიკურ დღის წესრიგს. მათ შორის საქართველოშიც მოცემული ნარატივები დაინსტალირდა და ვხვდებით უკვე ადგილობრივ პოლიტიკურ დისკურსშიც, რასაც, ბუნებრივია, მკითხველი თავად ნახავს, როდესაც უშალოდ ნარატივების სპეციფიკის ანალიზზე გადავალ.

თავი 1. ალტერნატიული ინტერნეტსივრცე

ინტერნეტის უნიკალურობა მდგომარეობს მის ნაკლებად კონტროლირებადობაში და სიდიდეში. ინტერნეტი შეიცავს ზღვა მასალას, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნებისმიერი ინფორმაციის გაგება და ნებისმიერი ადამიანის მოსმენა (ბუნებრივია, რაც თავსდება ინტერნეტში). ისევე როგორც გუტენბერგმა გამოიწვია პოლიტიკურ კონტექსტზე კარდინალური ზეგავლენა, ასევე ინტერნეტიზაცია მკვეთრად ცვლის პოლიტიკურ კონტექსტს ზუსტად იმით, რომ ჩნდება უამრავი ალტერნატიული ინფორმაცია, რომელზეც წვდომა აქვს ყველა ინტერნეტმომხმარებელს. შესაბამისად, ინტერნეტიზაცია, როგორც მოვლენა, მკვეთრად ცვლის დასავლეთში არსებულ გარკვეულ საინფორმაციო წესრიგს, რომლის თეორიული ფორმულირებაც, ჯერ კიდევ მეო-

ცე საუკუნის პირველ ნახევარში, ამერიკელმა ჟურნალისტმა და მედიათეორეტიკოსმა ვალტერ ლიპმანმა მოახდინა. ლიპმანი იაზრებდა საზოგადოებრივი აღქმების პრობლემურობას და ამიტომ ის თვლიდა, რომ ფუნქციური დემოკრატიული სისტემის შექმნისთვის მნიშვნელოვანი იყო მედიას ეთამაშა სისტემის გეითქიფერობის როლი და შეექმნა თანხმობა მასებში. მოცემული სისტემა იდგა ტრადიციული მედიის გამოყენებაზე, თუმცა, ინტერნეტის გაჩენასთან ერთად, მოცემული სისტემა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება – ინტერნეტს აქვს უნიკალური უნარი ნებისმიერი მსურველისთვის პლატფორმის დათმობის და, შესაბამისად, იდეების გავრცელების, რაც ბუნებრივად აძლევს საშუალებას სხვადასხვა არასისტემურ კულტურულ და პოლიტიკურ ჯგუფებს, რომ მოცემული ახალი გამტარი გამოიყენონ საკუთარი ნებით. ზუსტად ასე ჩნდება ალტერნატიული მემარჯვენე ინტერნეტსივრცე 2010-იან წლებში სხვადასხვა სოციალურ მედიაში. მოცემული სივრცის გაჩენის საშუალებას იძლევა ახალი საინფორმაციო გამტარი ინტერნეტი. ეს იმის ფონზე, რომ, ინტერნეტის გაჩენასთან ერთად, არსებობდა გარკვეული ტიპის ოპტიმიზმი, როგორც გარდიანის სტატიაში არის ნახსენები, რომ მეტი და მარტივად წვდომადი ინფორმაცია გამოიწვევდა სოციალურ პროგრესს, თუმცა ინტერნეტის ზუსტად ეს ღიაობა გახდა ალტერნატიული მემარჯვენეობის შექმნის ერთგვარი საშუალება, რამაც საფრთხე შეუქმნა თავად ლიბერალურ დემოკრაციას, რომელიც ზუსტად ღიაობის პრინციპზე დგას.

სისტემური მიდგომის თანახმად, რომლის ერთ-ერთი მთავარი თეორიული შემქმნელი არის ნიკლას ლუმანი, მედია არ უნდა გავიაზროთ, როგორც ადამიანის მიერ განზრახ მანიპულირებული საშუალება, არამედ თავად მედიასისტემას აქვს თავისი სიცოცხლისუნარიანობა და ის მოქმედებს დამოუკიდებლად, ანუ სუბიექტის განზრახვა სისტემურ მიდგომაში არის მეორეხარისხოვანი. ანალოგიურად, როდესაც ვსაუბრობთ ალტერნატიულ მემარჯვენე ინტერნეტსივრცეზე, ის არ უნდა გავიგოთ, როგორც განზრახ შექმნილი რაიმე ერთობლიობა, სადაც ხდება მკვეთრი კოორდინირება, არამედ სხვადასხვა ელემენტის (ამ შემთხვევაში, სოცმედია პერსონების და აზრის შემქმნელების) გარკვეული ჯგუფი, რომელიც ქმნის გარკვეულ ერთიან მედიასივრცეს. მათი განზრახვები და მოტივაცია შესაძლოა სულაც არ იყოს საერთო – ამის კარგი მაგალითია ზუსტად ის, რომ მოცემულ ალტერნატიულ ინტერნეტსივრცეში მოღვაწე მთავარი აზრის შემქმნელები ერთმანეთისგან იდეოლოგიურად განსხვავებული ხალხი იყო: დაწყებული ცენტრისტი ლიბერალებით, დამთავრებული თეთრკანიანთა უპირატესობის მომხრე ნაციონალისტებით. მიუხედავად ამ სხვაობებისა, ისინი ქმნიან საერთო საინფორმაციო ველს, რისთვისაც მნიშვნელოვანია გავცეთ კითხვას პასუხი, თუ რანაირად ხდება საერთო წერტილის პოვნა მოცემულ ინტერნეტაქტორებში. ამ მოცემულობის ყველაზე კარგი ნიმუში შეგვიძლია ვნახოთ Data&Society-ის 2018 წლის კვლევაში, რომელშიც ილუსტრირებულია სხვადასხვა იდეოლოგიის პერსონების გადაკვეთის წერტილები. მოცემულ ფიგურაზე აღნიშნულია მედიაპერსონალიის ორი მიკროქსელი. პირველი ქსელი (წითლად) არის დეივ რუბინი (ცენტრისტი), კარლ ბენჟამინი – Sargon of Akkad (კლასიკური ლიბერალი) და კოლინ რობერტსონი – Millennial Woes (თეთრი ნაციონალისტი). დეივ რუბინს და კარლს ჰქონდათ გადაკვეთა (გადაკვეთაში იგულისხმება ნებისმიერი ფორმის ინტერაქცია, ინტერვიუ, დებატი, კოლაბორაცია) და ასევე კარლს ჰქონდა ინტერაქცია კოლინთან. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის ერთი მარტივი სივრცის ქსელი, სადაც, პირობითად, მე რომ ვნახო დეივ რუბინის უვნებელი კონტენტი, ძალიან მარტივია, რომ აღმოვჩნდე კოლინის რადიკალურ ინტერნეტსივრცეში, ზუსტად იმის გამო, რომ მათ შექმნეს ეს საერთო გადაკვეთები. მოცემულ ინტერნეტპერსონებს გააჩნიათ ერთმანეთისგან განსხვავებული იდეოლოგიური საფუძვლები და მოტივაციები, თუმცა ზუსტად მათი ინტერაქციები ერთმანეთთან (სხვა თავებში ვნახავთ მათ ნარატიულ გადაკვეთებსაც) ქმნის მოცემულ ალტერნატიულ მემარჯვენე ინტერნეტსივრცეს.


Fig. 1 (detail)

AIN NETWORK PATHS

These graphs show examples of collaborative connections between influencers of differing ideologies and how these collaborations can create pathways to radicalization.

Network Path 1 illustrates how the "classical liberal" Dave Rubin and the white nationalist Colin Robertson (Millennial Woes) are only separated by two degrees, through the anti-feminist Carl Benjamin (Sargon of Akkad), who has appeared on both of their channels.

Network Path 2 shows how conservative pundit Ben Shapiro is connected to white nationalist Richard Spencer through the vlogger and commentator Roaming Millennial; she has appeared on Shapiro's YouTube show and has hosted Spencer for an extended interview on her channel. For more on how these collaborations can create radicalization pathways, see Section 4 (page 35).



ანალოგიურად არის მეორე ქსელი (სტაფილოსფერი) – ბენ შაპირო (კონსერვატორი), Roaming Millennial (თეთრი ნაციონალისტი) და რიჩარდ სპენსერი (თეთრი ნაციონალისტების ერთ-ერთი ლიდერი). მიუხედავად იმისა, რომ, პირობითად, ბენ შაპიროს მკვეთრად მიუღებელი პოზიციები აქვს თეთრკანიანთა ნაციონალიზმის მიმართ (ის წარმოადგენს მეინსტრიმულ კონსერვატიულ ფლანგს), მათი გადაკვეთები ასევე ქმნის საერთო სივრცეს, რაც მოცემული ნებისმიერი ინტერნეტპერსონის მაყურებელს ბუნებრივ გზას უზხნის ზემოთ აღნიშნული სხვა ინტერნეტპერსონის კონტენტამდე. ალტერნატიული მემარჯვენე ინტერნეტსივრცე მსგავსი მიკროქსელების ერთობლიობით იქმნება და ეს არის მოცემული სივრცის სპეციფიკაც. როდესაც თეორი-

ულ ჩარჩოდ გამოვეყენო ნიკლას ლუმანის მედიათეორიას, მოცემული ემპირიული მასალა არის ყველაზე კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ ქმნის მედიასისტემა საკუთარ თავს, ყველანაირი კოორდინაციის და ფარდის უკან მანიპულაციის გარეშე.

თავი 2. ალტერნატიული მემარჯვენე ნარატივები

უკვე ვისაუბრე უშუალოდ ალტერნატიული მემარჯვენე ინტერნეტსივრცის ჩამოყალიბებაზე, მის შემადგენელ ელემენტებზე და სპეციფიკაზე. მნიშვნელოვანია ახლა გაანალიზდეს ის მესიჯები და ნარატივები, რაც მოცემულ სივრცეში იქმნება და ვრცელდება. ასევე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ის, სხვადასხვა ინტერნეტაქტორის მიერ გაუღებელი მესიჯები, რადიკალური თუ რბილი, როგორ ებმის ერთმანეთს და როგორ ყალიბდება ე.წ. „ალტერნატიული მემარჯვენე მილსადენი“. ნარატიული ანალიზის დროს, ყურადღებას არ გავამახვილებ კონკრეტულ სიტყვებზე და წინადადებებზე და არ ჩავუღრმავებ ზედმეტად მათ, როგორც ტრადიციულ ნარატიულ ანალიზში კეთდება ეს ყველაფერი, არამედ გავამახვილებ ყურადღებას იმაზე, თუ თავად კონკრეტული ინტერნეტკონტენტი, როგორც მთლიანობა (მაგალითად, ვიდეო), ჯამურად საერთო სურათში რა ისტორიას ჰყვება და რა სახეხატებს და პერსონაჟებს ქმნის. დავიწყებ შედარებით უფრო რბილი ნარატივებით, რაც დამახასიათებელი იყო ალტერნატიული მემარჯვენე ინტერნეტსივრცისთვის 2010-იან წლებში და, ფაქტობრივად, საიდანაც იწყებოდა ალტერნატიულ მემარჯვენე მილსადენში გავლა. ეს ნარატივები არის უფრო მეტად ზომიერი და, ვისაც და რასაც აკრიტიკებს, წარმოაჩენს რადიკალურად და ირაციონალურად.

მოცემულ ნარატივებში ოპონენტი წარმოდგენილია არა როგორც პოლიტიკური მტერი ან რაიმე კონკრეტული კონსპირატორული ჯგუფის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ეგზისტენციალურ საფრთხეს, არამედ როგორც მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკური ოპონენტი, რომელიც არის სუფელი, აგრესიული, მაგნე და ემოციური. ერთ-ერთი ასეთი ნარატივი/სახე არის რადიკალი მემარცხენის ან SJW-ის სახეხატი, ერთგვარი სტერეოტიპი, რომელიც იქმნება მოცემულ ინტერნეტსივრცეში, სადაც წარმოდგენილია, ხშირ შემთხვევაში, ირაციონალური, ემოციური და, ზოგჯერ, არასტანდარტული იერსახის მქონე ლიბერალის/მემარცხენის სტერეოტიპი, რომელსაც „ანადგურებს“ (არგუმენტირებულად) რაციონალური მონინალმდეგე (რომელიც არის ხშირ შემთხვევაში მემარჯვენე, ლოგიკური, რაციონალური). ასევე რბილ/ზომიერ ნარატივებში შესაძლებელია შევიყვანოთ თანამედროვე ფემინისტის და ფემინიზმის სტერეოტიპის შექმნა. მოცემულ ნარატივში თანამედროვე ფემინიზმი (მესამე ტალღის ფემინიზმი) წარმოდგენილია, როგორც ანტიინდივიდუალისტური და არაადეკვატური. მესამე ტალღის ფემინიზმი მოცემულ ნარატივში არ ემსახურება ქალის ემანსიპაციას, არამედ საზოგადოების დეკომპოზიციას და დაყოფას. ისევე როგორც SJW, თანამედროვე ფემინიზტიც წარმოდგენილია, როგორც ემოციური, ირაციონალური, სუფელი და უშნო, რითაც იქმნება შესაბამისი სახე. ასევე ზომიერ ნარატივებში შეგვიძლია შევიყვანოთ ისლამის, როგორც დასავლური ცივილიზაციისთვის შეუსაბამო და საფრთხის შემქმნელი რელიგიის, ნარატივი და ასევე იმიგრანტების ნეგატიური სახე, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, არიან დანახულები, როგორც კრიმინალები და მავნეები დასავლური საზოგადოებისთვის.

ალტერნატიულ მემარჯვენე შუალედურ ნარატივებში მე მოვიაზრებ იმ ტიპის ნარატივებს, რომლებიც, ერთი მხრივ, იზიარებენ ზემოთ აღნიშნულ ზომიერ ნარატივებს, როგორც ფაქტებს და მოცემულობებს, თუმცა, მეორე მხრივ, შედიან უფრო მეტ სიღრმეში და მოცემულ ფაქტებს კონკრეტულ მიმართულებას აძლევენ – ისინი ასახელებენ კონკრეტულ კონსპირატორულ მიზეზს, თუ საიდან იქმნება მათ ნარატივში არსებული მტრული მავნე იდეოლოგია (მემარცხენეობა, ფემინიზმი, გენდერის პოლიტიკა და სხვა). ერთ-ერთი ნარატივი, რომელიც შეგვიძლია შევიყ-

ვანო ზომიერი ნარატივების კლასში, არის „კულტურული მარქსიზმის“ ნარატივი, რომლის მიხედვითაც, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, მარქსიზმი, ტრანსფორმირებული და რევოლუციური კლასი, მუშათა კლასიდან გადავიდა სხვადასხვა ჩაგრულ და მოწყვლად იდენტობის ჯგუფებზე, როგორებიც არიან ეთნიკური, რელიგიური და რასობრივი უმცირესობები, ლგბტ თემის წარმომადგენლები და ქალები. მოცემულ ნარატივში, კულტურული მარქსიზმი არის წარმოდგენილი, როგორც მთავარი იდეოლოგიური მიზეზი დასავლური ღირებულებების შესუსტების. ასევე შუალედურ ნარატივებში შეგვიძლია შევიყვანოთ „ფრანკფურტის სკოლის“ ნარატივი, რომლის მიხედვითაც ფრანკფურტის სკოლის თეორეტიკოსებმა მიზანმიმართულად შეიმუშავეს შესაბამისი კონცეფციები და იდეები (რასაც ჯამურად ეძახიან კულტურულ მარქსიზმს), რაც ვნებს დასავლურ კულტურას.

რადიკალური ნარატივები არის იმ ტიპის ნარატივები, რომლებიც, ერთი მხრივ, იზიარებენ ზომიერ ნარატივებში წარმოდგენილ ფაქტებს და, მეორე მხრივ, შუალედურ ნარატივებს თავის ლოგიკურ საბოლოო სახეს აძლევენ – ანუ კრავენ. რადიკალური ნარატივების ერთ-ერთი გამორჩეული ნაწილი არის „ებრაული ლობის“ ნარატივი, რომლის მიხედვითაც, ებრაელები მიზანმიმართულად ცდილობენ, შესაბამისი პოლიტიკის და თეორიების ლობირებით, დასავლური ცივილიზაციის განადგურებას. ასევე არის „თეთრკანიანთა გენოციდის“ ნარატივი, რომლის მიხედვითაც, დასავლეთში დღეს არსებული კულტურა და პოლიტიკა მიზანმიმართულად ებრძვის დასავლურ თეთრკანიან მოსახლეობას შესაბამისი საიმეგრაციო, კულტურული, მედია, განათლების და სხვა პოლიტიკების წარმოებით.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია ზომიერი, შუალედური და რადიკალური ნარატივების, თუმცა მნიშვნელოვანი.

მოცემულ ტექსტში დავახასიათებ სამი ტიპის ნარატივი, რომლების დიფერენცირებაც მოვახდინე, როგორც ზომიერი, შუალედური და რადიკალური. ჩემი მიზანია, მოცემული ტიპის ნარატივები დავაკავშირო ერთმანეთთან ისე, რომ მკითხველისთვის გასაგები იყოს, რატომ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ეს თითქმის ერთმანეთისგან დაშორებული ნარატივები. მოცემულ ტექსტში ნახსენები სოციალური მედიის ინფლუენსერების დიდი ნაწილი ერთმანეთთან საერთოდ არ არის დაკავშირებული პირდაპირ და მეტიც, მათ დიდ ნაწილს ერთმანეთის მიმართ ღია ანტიპათია გააჩნია. თუმცა, სისტემური მიდგომის (ნიკლას ლუმანი) თანახმად, მედიასივრცე არის თავისთავად ქმნადი, რაც იმას ნიშნავს, რომ მედიასისტემას არ აინტერესებს სუბიექტის განზრახვები და მიზნები, სუბიექტის მიერ გაჟღერებული ნარატივები; საკუთარ სიცოცხლისუნარიანობას იძენენ, როგორც კი ისინი საინფორმაციო ველში შედიან. მოვიყვანოთ ზემოთ აღნიშნული რამდენიმე ნარატივი და დავაკავშიროთ ისინი ერთმანეთთან. მაგალითად, ბენ შაპიროს ან ჯორდან პიტერსონის მიერ ნარატიულად შექმნილი სახე SJW-სი (სოციალური სამართლიანობისთვის მებრძოლის), რომელიც არის არალოგიკური, არაადეკვატური, ემოციური და რადიკალურად მემარცხენე ტიპაჟი. შემდგომ მოვიყვანოთ მაგალითი უკვე შუალედური ნარატივებიდან „კულტურული მარქსიზმის“ და „ფრანკფურტის სკოლის“, რაც არის ერთგვარი დიაგნოზი ზომიერი ნარატივების. თუ ზომიერ ნარატივებში ეს ყველაფერი ცუდი, რაც „დასავლეთს“ სჭირს, არ არის ახსნილი, თუ საიდან გამომდინარეობს, უკვე შუალედურ ნარატივებში ჩვენ ვხვდებით ამ ამხსნელს და ერთ-ერთი ასეთი ამხსნელი არის „კულტურული მარქსიზმი“ და „ფრანკფურტის სკოლა“, როგორც გამომწვევი დასავლეთის დეგრადაციის და მათ შორის SJW ტიპაჟის შემქმნელი. ბოლოს კი მოვიყვანოთ მაგალითი რადიკალური ნარატივებიდან. მაგალითად, მაიკ ენოქის ნარატივი იმის შესახებ, რომ ებრაული ლობი მიზანმიმართულად ქმნიდა მეტანარატივებს თეთრკანიანების წინააღმდეგ. მარტივად რომ დავანყოთ: SJW (ზომიერი ნარატივი), „კულტურული მარქსიზმი“ და „ფრანკფურტის სკოლა“ (შუალედური ნარატივი), ებრაული ლობი, რომელიც მიზანმიმართულად

ცდილობს დასავლეთის განადგურებას (რადიკალური ნარატივი). SJW არის სახე დასავლურ ტრადიციულ ღირებულებებთან მებრძოლი აქტივისტის; კულტურული მარქსიზმი ის იდეოლოგიაა, რომელიც ვრცელდება დასავლური ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ; ფრანკფურტის სკოლა, როგორც ადგილი, სადაც იქმნება კულტურული მარქსიზმი; ებრაული ლობი, რომელიც მიზანმიმართულად ანადგურებს დასავლეთს. ბოლო ნაწილი იმით არის საინტერესო და იმით ებმება სხვებს, რომ ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლები იყვნენ ეთნიკურად ებრაელები. ეს ერთი შემკვერელი მაგალითი კარგი ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ შეიძლება გადაებას ერთმანეთს ერთმანეთთან თითქოს დაუკავშირებელი ნარატივები და ქმნიდეს ერთგვარ „მილსადენს“, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება რადიკალიზაცია იმ ადამიანის, ვინც მოცემულ ნარატივებს აითვისებს და მთლიანობაში მიიღებს საკმაოდ ტოქსიკურ ალქმას სამყაროსი. მოცემულს შეგვიძლია ვუწოდოთ „გრანდ ნარატივი“. მოცემული კონცეფცია შექმნა ფრანგმა ინტელექტუალმა ჟან-ფრანსუა ლიოტარმა და აღნიშნავს გარკვეულ შეჯამებას ან შეერთებას სხვადასხვა ნარატივის, რომლებიც ქმნიან ერთ გარკვეულ ალქმულ რეალობას. შესაბამისად, შევეცდებით, ნარატივების კლასიფიკაციის და მათი მიმართების დადგენის შემდგომ, ვაჩვენოთ, თუ რა თეორიები შეიძლება ხსნიდეს მოცემული ნარატივების და გრანდნარატივის წარმოშობას და გაფორმებას. ჩემთვის საინტერესოა ის, თუ როგორ ინსტალირდება ეს ყველაფერი აუდიტორიაში და ასევე, რა ზეგავლენას ახდენს ის უშუალოდ მათზე.

თავი 3

ალტერნატიულ მემარჯვენე სივრცეში წარმოებული ნარატივების ამხსნელი თეორიები

2021 წლის მაისში, იუთუბერმა Adam Something-მა გამოაქვეყნა ვიდეო, სახელწოდებით “How I Escaped the Alt-Right”, სადაც ის ჰყვება თავის გამოცდილებაზე, თუ როგორ ჩამოუყალიბდა ალტერნატიული მემარჯვენე იდენტობა, გარკვეული კონტენტის ეტაპობრივი მოხმარების შედეგად იუთუბზე. ის თხრობას იწყებს იმით, თუ რითი იყო დაინტერესებული თავდაპირველად; ეს არის იუთუბ ათისტების კონტენტი, სადაც ძირითადად წარმოდგენილია დებატები მორწმუნეებთან და არგუმენტაცია მათ წინააღმდეგ. მისი თქმით, დაახლოებით 2010-იანი წლებიდან ჩნდება ახალი კონტენტი იუთუბზე, რომელიც იწყებს კრიტიკას ისლამის და ფემინისტების და ის ხდება უფრო და უფრო რადიკალური. მაგალითად, ფემინისტების დაცინვა (ან SJW-ების) ნელ-ნელა გადაიქცა ნარატიულად ბევრად უფრო რადიკალურად და თუ აქამდე ისინი მხოლოდ დასაცინები იყვნენ, შემდგომ უკვე ისინი წარმოადგენდნენ ეგზისტენციალურ საფრთხეს მთლიანად საზოგადოებისთვის. მოცემული ნარატივის რადიკალიზაცია ხდება, ერთი მხრივ, იმ სოციალურ მედია-ინფლუენსერებში, რომლებსაც თავად Adam Something იყენებდა და ამასთან ერთად, არსებულ კონტენტ კრეატორებთან ის ნახულობდა მსგავს ახალ ნარატივებს. ერთ-ერთი ასეთი იუთუბ ინფლუენსერი იყო Sargon of Akkad, რომელიც პოზიციონირებდა, როგორც კლასიკურად ლიბერალი და სკეპტიკოსი, რომლის გავლენის ქვეშაც მოექცა Adam Something. ნარატივი იმდენად რადიკალური გახდა, რომ ის ეჩეხებოდა ისეთ იუთუბ კონტენტს, სადაც იყო ნაჩვენები, თუ SJW-ები და ფემინისტები როგორ ჩაგრავენ ადამიანებს, რომლებიც განსხვავებულ აზრს გამოხატავდნენ, რაც ბუნებრივად იწვევდა მასში აღშფოთებას. მოცემული ალქმა სამყაროსი მას უფრო და უფრო უბიძგებდა პოლიტიკურად მემარჯვენე პლატფორმისკენ და ერთადერთი გზა ამის წინააღმდეგ იყო კონსერვატიზმი. მოცემული მაგალითი მხოლოდ ერთი, შედარებით რბილი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდება ეტაპობრივი რადიკალიზაცია. რბილ მაგალითს იმიტომ ვუწოდებ, რომ Adam Something არ გასულა უფრო მეტად რადიკალურ, მაგალითად, ანტისემიტურ კონტენტზე, რასაც შესაძლოა ზეგავლენა მოეხდინა მის იდენტობაზე, თუმცა ის ცენტრისტული ლიბე-

რალური ათეისტური მდგომარეობიდან გადავიდა მკვეთრად კონსერვატიულ ანტიპროგრესულ იდეებზე. მოცემულ ვიდეოში ის ასევე ამბობს, თუ როგორ გამოვიდა ამ ალტერნატიული მემარჯვენე ცნობიერებიდან, რაც მოცემული სტატიის პირობებში არ არის ჩემი კვლევის საგანი. ბევრად უფრო რადიკალური მაგალითი არის **Caleb Cain**-ის, იუთუბერის, რომელიც ბოლომდე რადიკალიზდა ალტერნატიული მემარჯვენე ნარატივებით, მიუხედავად იმისა, რომ მან მხოლოდ **Self-help** კონტენტის ყურებით დაიწყო. ის ინტერვიუში საუბრობს იმაზე, თუ როგორ ხდება ჯერ ლიბერტარიანელობიდან კონსერვატორი, იმის გამო, რომ ბენ შაპიროს და სტივენ ქროუდერის კონტენტს მოიხმარდა. თუმცა შემდგომ ის საუბრობს იმაზე, თუ როგორ ეცნობა **Lauren Southern**-ის კონტენტს, რომელიც ბევრად უფრო რადიკალურია და დაფუძნებულია დასავლური ცივილიზაციის განადგურების კონსპირაციაზე, რაც გულისხმობს ფემინიზმის, იმიგრაციის, ლიბერალების და ჯორჯ სოროსის გავლენას. ამის შემდგომ კი ის იწყებს თეთრკანიანი ნაციონალისტური კონტენტის მოხმარებას, რომელიც ალგორითმის მეშვეობით მას ბუნებრივად რეკომენდაციებში ხვდება, სადაც საუბარია იმაზე, თუ თეთრკანიანების ჩანაცვლება როგორ ხდება მიგრანტების „ურდოებით“. მისი თქმით, ის თავიდან ვერ ამჩნევდა მოცემული ნარატივების რადიკალურ ბუნებას, მანამ, სანამ ყველაზე რადიკალურ კონტენტს არ გაეცნო, როგორიც არის, მაგალითად, ებრაელების კონსპირაციები და ის, რომ დასავლური ღირებულებები არის თეთრკანიანების ღირებულებები და მსგავსი (მაგალითად მას მოჰყავს ჯარედ ტეილორი, რომელიც ვახსენეთ უკვე რადიკალურ ნარატივებში). **Caleb Cain**-იც გამოვიდა ალტერნატიული მემარჯვენე ზეგავლენისგან და ნიუ იორკ თაიმსში მისი ისტორია მოყოლილია სტატიაში სახელწოდებით **“The Making of a Youtube Radical”**. მოცემული ორი მაგალითის საფუძველზე შეგვიძლია გავიაზროთ ალტერნატიული მემარჯვენე მილსადენის თეორია. **Data and Society**-ის ანგარიშში მკვლევარი რეზეკა ლევისი ზუსტად განსაზღვრავს იუთუბ კავშირების ამ ქსელს და ასახელებს მას – **“Alternative Influence Network”**. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულია მათი რწმენითა და სტილით, ინტერნეტში ცნობილი ადამიანების, მეცნიერების, კომიკოსებისა და ექსპერტების ეს ასორტიმენტი იზიარებს კოლექტიურ ზიზლს პროგრესული პოლიტიკის მიმართ. ამ წითელი ძაფით გაერთიანებული და 81 არხზე 65 ინფლუენსერისგან შემდგარი ეს სამყარო საკმარისად დიდია იმისთვის, რომ ლევისმა აღწეროს ის, როგორც „სრულად მოქმედი მედიასისტემა“ (ფიგურა N2).

მოცემული ფიგურა კარგად აჩვენებს, თუ რამხელა მედიაქსელს ქმნის ალტერნატიული მემარჯვენე ინტერნეტსივრცე, სადაც სხვადასხვა პოლიტიკური პოზიციის ინფლუენსერები ქმნიან ერთ დიდ მემარჯვენე ალტერნატიულ საინფორმაციო ველს, სადაც ძალიან მარტივია ზომიერი ნარატივიდან მაყურებელმა მიაგნოს შუალედურ და რადიკალურ ნარატივებს, მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ მოცემულ კონტენტკრეატორებს აქვთ ერთმენეთთან კომუნიკაციური გადაჯაჭვის დიდი ქსელი. მოცემული სისტემა ხელს უწყობს ალტერნატიული მემარჯვენე მილსადენის თეორიის უფრო მეტად გამყარებას, სადაც რიგითი მაყურებელი ნელ-ნელა, ზომიერი ნარატივიდან იწყებს უფრო და უფრო მეტ რადიკალიზაციას. ბუნებრივია, მილსადენის თეორია ჩვენ არ გვეუბნება იმას, რომ, თუ ზომიერ ალტერნატიულ მემარჯვენე ნარატივებს აითვისებს ადამიანი, ის ავტომატურად რადიკალიზდება, თუმცა ზომიერი ნარატივიდან გადასვლა შუალედურ და შემდგომ რადიკალურზე არის ერთგვარი შესაძლებლობა, რომელიც ეძლევა ნებისმიერ მაყურებელს, რომელიც შეაბიჯებს მოცემულ ალტერნატიულ მემარჯვენე ინტერნეტსივრცეში. იუთუბის ალგორითმის და მოცემული კონტენტკრეატორების ურთიერთქმედებების საფუძველზე, მოცემული დაქსელილი სისტემა არის საშუალება რადიკალიზაციის და მოცემული რადიკალიზაცია 2010-იანი წლების ინტერნეტსივრცეში საკმაოდ ინტენსიურად ხდებოდა. შინაარსი, რომელიც მოიცავს ალტერნატიულ მემარჯვენე მილსადენს, წარმოუდგენლად მრავალფეროვანია. დაწყებული ისლამოფობიიდან, რეპროდუქციის მაჩვენებლებამდე, საიმიგრაციო დებატებამდე ან ფემინისტების „გა-


Fig. 1

THE ALTERNATIVE INFLUENCE NETWORK ON YOUTUBE

GUEST APPEARANCES ON THE NETWORK FROM JANUARY 1, 2017 THROUGH APRIL 1, 2018

The graph is a partial representation of collaborative connections within the Alternative Influence Network (AIN)—a network of controversial academics, media pundits, and internet celebrities who use YouTube to promote a range of political positions from mainstream versions of libertarianism and conservatism to overt white nationalism. While collaborations can sometimes consist of debates and disagreements, they more frequently indicate social ties, endorsements, and advertisements for other influencers.

Each line indicates that two connected influencers appeared in the same YouTube video during the period of January 1, 2017 and April 1, 2018, serving as guests, hosts, or collaborators. The size of nodes is determined by the number of other influencers with whom they connect—demonstrating how much a given influencer serves as a conduit for viewers to other influencers in the AIN. The colors of nodes are determined by their total connectivity within the network, or how close the influencer is to all other influencers.



Data & Society Research Institute

datasociety.net

10

ნადგურებამდე“, იდეების ფართო სპექტრია. ერთი რაიმე საინფორმაციო ძაფის ნაცვლად, არსებობს მთელი რიგი საკითხები, რომლებშიც უნდა ჩაყვინთოთ და იდენტიფიცირდეთ. თუმცა, როგორც ლუისმა აღნიშნა, სისტემა იდეოლოგიურად შეკრულია და, იუთუბის მახასიათებლების გათვალისწინებით, ტექნიკურადაც შეკრულია. ამ საინფორმაციო ველში არ არსებობს ნიშანი, რომელიც მიუთითებს ერთი იდეოლოგიიდან მეორეზე გადასვლას, რომელიც არის სწორხაზოვანი. შემდეგი ვიდეო ავტომატურად ირთება, შემდეგი კომენტარი ავტომატურად ნაჩვენებია, შემდეგი ვიდეო რეკომენდებულია. რეკომენდაციების წესებიდან გამომდინარე, თითოეული ვიდეოს შინაარსი უნდა იყოს ნაცნობი მაყურებლისთვის, შემოთავაზებული მომხმარებლის წინა ვიდეო-

ბის ყურების ისტორიიდან, მაგრამ ასევე ახალი, რაც ჯერ არ არის მოხმარებული და რომელიც არის შინაარსობრივად დაკავშირებული რაღაცით მაინც. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ეს ბილიკები/გზები შეიძლება ჩანდეს და განსხვავდებოდეს, ისინი საბოლოოდ აცილებენ მომხმარებელს ამ მილსადენის გასწვრივ. ზუსტად ამას ჰქვია ალტერნატიული მემარჯვენე მილსადენი, რომელიც არ არის ერთგზიანი, არამედ მრავალმხრივი, თუმცა, ყველა შემთხვევაში, წინ გზა მიდის რადიკალიზაციისკენ, რა თქმა უნდა, თუ თავად მაყურებელი რჩება მოცემულ ალტერნატიულ მემარჯვენე ინტერნეტსივრცეში და აგრძელებს იმავე შინაარსების კონტენტის მოხმარებას.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ თეორიული ჩარჩო. ნიკლას ლუმანის მედიის თეორიის თანახმად, მედია არის სისტემა, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი სიცოცხლისუნარიანობა, ეს კი გამორიცხავს მოცემულ სისტემაში ჩართული, მათ შორის ინფლუენსერის ავტონომიურობის როლს, რაც ნიშნავს იმას, რომ, პირობითად, მეინსტრიმ კონსერვატორ ბენ შაპიროს, რომც არ მოსწონდეს ალტერნატიული მემარჯვენე სივრცის წარმომადგენლების უმრავლესობა, ვინაიდან ის არის ამ მედიასისტემის ნაწილი, ის ავტომატურად აცოცხლებს მოცემულ ველს და, შესაბამისად, მისი ნების საწინააღმდეგოდ, მოცემული ველი ასევე გააძლიერებს ისეთ ანტისემიტ, თეთრ ნაციონალისტ ინფლუენსერს, როგორიც არის რიჩარდ სპენსერი. მოცემული მაგალითი იმიტომაცა საინტერესო, რომ ბენ შაპირო რელიგიურად და ეთნიკურად ებრაელია და მკვეთრად ეწინააღმდეგება ნებისმიერ ანტისემიტურ და ნეონაციისტურ იდეოლოგიებს. ეს მაგალითი ნათელი ილუსტრაციაა თავად მოცემული ალტერნატიული მემარჯვენე საინფორმაციო ველის მრავალფეროვნების და თავად ამ ველის ინფლუენსერების ერთმანეთისგან მკვეთრი განსხვავებულობის, რაც მოცემულ საკითხს კიდევ უფრო მეტად საინტერესოს ხდის.


ისევე, როგორც ალტერნატიული მემარჯვენე მილსადენის თეორია, სიძულვილის პირამიდის თეორიაც არის ერთგვარი ეტაპობრივი რადიკალიზაციის ამხსნელი სისტემა. მოცემული პირამიდა შეიმუშავა დეფამაციის საწინააღმდეგო ლიგამ (Anti-Defamation League), რომელიც არის სიძულვილის ენასთან და ჯგუფებთან მებრძოლი ყველაზე დიდი ორგანიზაცია. სიმბოლურად მოცემული პირამიდის შექმნა მოხდა 2018 წელს, ანუ 2010-იან წლებში, როდესაც აქტუალურობას იძენს ალტერნატიული მემარჯვენეობა.

მას პირამიდის ფორმა იმიტომ აქვს, რომ ისაა დაყოფილი სხვადასხვა დონედ ვერტიკალურად და ხსნის სიძულვილის ენის გარკვეულ ეტაპობრივ განვითარებას. პირველ დონეზე ჩვენ ვხვდებით ტენდენციურ დამოკიდებულებებს: სტერეოტიპები, არასენსიტიური შენიშვნები, განსხვავებების შიში, არაინკლუზიური ენა, მიკროაგრესია და სხვა; მეორე დონე არის ტენდენციური ქმედებები: ბულინგი, დაცინვა, სახელების შერქმევა, ცილისწამება, ეპითეტები, დეჰუმანიზაცია და სხვა; მესამე დონე არის დისკრიმინაცია: ეკონომიკური, პოლიტიკური, საგანმანათლებლო, დასაქმება, სეგრეგაცია და სხვა; მეოთხე დონე არის ტენდენციებისგან გამონეული ძალადობა: მკვლელობა, გაუპატიურება, თავდასხმა, ვანდალიზმი, ტერორიზმი, მუქარები და სხვა; მეხუთე დონე კი არის გენოციდი. პირამიდა – ფიგურა N3.

მოცემული თეორია ჩვენ გვცხმარება გავიაზროთ ის ფაქტორი, თუ როგორ აწარმოებს შესაბამისი ნარატივები და ენის გამოყენება კონკრეტულ პოლიტიკურ ქმედებებს. გარკვეული ტიპის სიტყვების და შინაარსების წარმოება საჯარო დისკურსში ბუნებრივად ქმნის გარკვეული ტიპის აღქმებს იმ ადამიანების თუ ჯგუფების მიმართ, რომლებთან მიმართებაშიც მოცემული ტიპის სიტყვები და შინაარსები გამოიყენება. აღნიშნული თეორია არის, ფაქტობრივად, სიტყვის და თავისუფლების გამოხატვის კონტექსტში რა დებატებიც არსებობს, მოცემული დებატების კონკრეტული მხარის ყველაზე ძლიერი და მარტივი ამხსნელი სქემა, თუ რატომ არის საჭირო მათ შორის საჯარო დისკურსის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა. სიმბოლურია ის, რომ ალტერნატიული მემარჯვენე სივრცის ერთ-ერთი ყველაზე მეტად საძულველი ფენომენი იყო/არის ეგრეთ წო-

ADL PYRAMID OF HATE

The Pyramid of Hate illustrates the prevalence of bias, hate and oppression in our society. It is organized in escalating levels of attitudes and behavior that grow in complexity from bottom to top. Like a pyramid, the upper levels are supported by the lower levels; unlike a pyramid, the levels are not built consecutively or to demonstrate a ranking of each level. Bias at each level reflects a system of oppression that negatively impacts individuals, institutions and society. Unchecked bias can become "normalized" and contribute to a pattern of accepting discrimination, violence and injustice in society. While every biased attitude or act does not lead to genocide, genocide takes place within a system of oppression in which the attitudes and actions described at the lower levels of the pyramid are accepted. When we challenge those biased attitudes and behaviors in ourselves, others and institutions, we can interrupt the escalation of bias and make it more difficult for discrimination and hate to flourish.



დებული პოლიტიკური კორექტულობა, რომელიც არის ალტერნატიულ მემარჯვენე ნარატივებში წარმოდგენილი, როგორც განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების გაჩუმების ხერხი. მოცემულ ნარატივებში „ლიბერალური ელიტა“, ან „კულტურული მარქსისტები“, ან „ებრაელები“ პოლიტიკური კორექტულობის არგუმენტით აჩუმდებიან და დევნიან მოსახლეობას. ამ მსხვერპლის როლის შექმნა ძალიან ირონიულია იმ თვალთახედვით, რომ მოცემული პირამიდა ზუსტად აჩენს, როგორ შეიძლება შეიქმნას ჯერ ნარატიულად და შემდგომ უკვე კონკრეტული მოქმედებებით რეალური მსხვერპლი.

2017 წელს აშშ-ში, შარლოტსვილში ჩატარდა „Unite the Right“ მარში, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ ალტერნატიული მემარჯვენე ჯგუფები. მარშის მიზანი იყო გენერალ რობერტ ლის ძეგლის მოხსნის ინიციატივის გაპროტესტება. აღნიშნული მარშისას დემონსტრანტები ყვიროდნენ „შენ ჩვენ ვერ ჩაგვანაცვლებ, ებრაელები ჩვენ ვერ ჩაგვანაცვლებენ“. ამ დემონსტრაციას მოჰყვა დიდი შეტაკებები, უამრავი ადამიანი დაშავდა, დაიღუპა ერთი კონტრდემონსტრანტი და ორი პოლიციელი. ეს მარში ორგანიზებული იყო ზუსტად იმ ადამიანების მიერ, რომლებიც შეგვიძლია მივიჩნიოთ რადიკალური ალტერნატიული მემარჯვენე ინტერნეტსივრცის ინფლუენსერებად (მაგალითად, რიჩარდ სპენსერი). ეს არის ერთი მაგალითი მხოლოდ იმისა, თუ როგორ

არის შესაძლებელი ინტერნეტში წარმოებული რადიკალური ნარატივები გადაიქცეს კონკრეტულ პოლიტიკურ და ძალადობრივ ქმედებებად.

2015 წლის 17 ივნისს, აშშ-ში, ჩარლსტონში ახალგაზრდა შეიარაღებულმა მამაკაცმა მასობრივი ხოცვა მოაწყო შავკანიანების ეკლესიაში, რამაც იმსხვერპლა 9 ადამიანი. მოცემული სიძულვილის აქტის განმახორციელებელი იყო 21 წლის ახალგაზრდა დილან რუფი. ფედერალურმა პროკურორმა პირდაპირ თქვა, რომ დილან რუფი იყო რადიკალიზებული ონლაინ სივრცეში. 2019 წლის 15 მარტს, ავსტრალიაში, ქრაისტჩერჩის მეჩეთში ახალგაზრდა მამაკაცმა მოაწყო მასობრივი ხოცვა, რასაც შეეწირა 51 ადამიანის სიცოცხლე. მოცემული მასობრივი ხოცვა მოაწყო ბრენტონ ტარანტმა, რომელმაც მიზანმიმართულად განახორციელა თავდასხმა მუსულმან მოსახლეობაზე. დამნაშავემ შემდგომ გამოძიებასთან თავისით აღიარა, რომ ონლაინ სივრცეს დიდი ზეგავლენა ჰქონდა მის მოტავადიებაზე, მათ შორის იუთუბსაც.

მოცემული ორი მაგალითი არის კარგი ილუსტრაცია იმისა, თუ როგორ ახერხებს ალტერნატიული მემარჯვენე ინტერნეტსივრცე იმ დონის ზეგავლენის მოხდენას ადამიანებზე, რომ მათ მოაწიონ, მათ შორის, მასობრივი ხოცვა ადამიანების. როდესაც მე მოცემული სტატიის სათაურად ვიყენებ იდენტობის ფორმირებას ინტერნეტსივრცეში, ზუსტად ამას ვგულისხმობ. ის ნარატივები, რომელთა ინსტალირებაც ხდება აუდიტორიის თავებში, შემდგომ აყალიბებენ ახალ აღქმებს სამყაროსი და, შესაბამისად, ახალ იდენტობებს.

სიძულვილის პირამიდის სქემით მარტივად არის შესაძლებელი დავაკავშიროთ ერთმანეთთან ნარატივები და ქმედებები. მაგალითად, კონკრეტული ჯგუფების მიმართ სტერეოტიპული წარმოდგენების შექმნა, შემდგომ მათი ბულინგი, დისკრიმინაცია და რადიკალურ შემთხვევებში ხოცვა, არის ერთგვარი ეტაპობრივი სვლა ადამიანის რადიკალიზაციამდე. ნებისმიერი ტიპის რადიკალიზაცია და სხვა ჯგუფების დევნა მოცემულ სქემაში იწყება ენიდან. ჯერ უნდა მოხდეს იდენტიფიცირება და წარმოსახვა კონკრეტული ჯგუფების, მათ მიმართ შესაბამისი წარმოდგენების შექმნა და შემდგომ იწყება უკვე ქმედებებზე გადასვლა, რაც ყველაზე მეტად რადიკალურ შემთხვევებში, რასაც ვხვდებით ისტორიაში მათ შორის, მთავრდება გენოციდით და კონკრეტული ჯგუფების მასობრივი განადგურებით.

დასკვნა

2016 წელს, ინტერვიუში ვაის ნიუსთან, რიჩარდ სპენსერმა თქვა, რომ ალტერნატიული მემარჯვენეობისთვის დამახასიათებელია, რომ ის მოდის ინტერნეტიდან და არსებობს მიზეზები რატომაც ხდება ასე. პირველ რიგში, ყველა ახალი მოძრაობა წამოვა მომავალში ინტერნეტიდან. მოცემული განცხადება ალტერნატიული მემარჯვენე ინტერნეტსივრცის ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური და გავლენიანი წარმომადგენლისგან საერთოდ არ არის გასაკვირი, ვინაიდან ალტერნატიული მემარჯვენე იდენტობა არის ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური იდენტობა, რომელიც დაკონსტრუირდა ინტერნეტის მეშვეობით.

ბუნებრივია, ინტერნეტი, როგორც გლობალური და ახალი საინფორმაციო გამტარი, არის უნიკალური თავისი ღიაობით, მასშტაბურობით და, რაც მთავარია, ის არის საზღვრებს მიღმა. ინტერნეტზე წვდომა, 2023 წლის მონაცემებით, აქვს დაახლოებით მსოფლიო მოსახლეობის 63%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემულ სტატიაში წარმოდგენილ ნარატივებზე წვდომა ექნებოდა და აქვს დღესაც ყველას, ვისაც, რა თქმა უნდა, ინგლისური ენა ესმის და 2023 წლის მონაცემებით ეს არის მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 18%. ამის გათვალისწინებით შეგვიძლია თავისუფლად ვთქვათ, რომ ეს ახალი საინფორმაციო გამტარი არის ყველაზე მეტად ყოვლისმომცველი და, შესაბამისად, ეფექტური.

2010-იან წლებში წარმოებული მოცემული ინტერნეტნარატივები გაცოცხლდა უკვე უშუალოდ პოლიტიკურ პროცესებში. ბევრი მათგანი გახდა ნორმალიზებული და ათვისებული სხვადასხვა მეინსტრიმული მემარჯვენე პოლიტიკური ჯგუფების მიერ და, მეტიც, მთავარი რიტორიკული და იდეოლოგიური იარაღიც გახდა მათი. სხვა ნარატივები, განსაკუთრებით, უფრო რადიკალური (მაგალითად, ანტისემიტური) კი კვლაც დარჩა ნორმალიზების მიღმა, თუმცა ეს მხოლოდ პოლიტიკურ-პრაგმატული სელექციის საკითხია. დასავლურ მემარჯვენე პოლიტიკურ ჯგუფებში ფემინიზმის, პოლიტიკური კორექტულობის, ისლამის და გენდერის პოლიტიკის კრიტიკა, მათ შორის კულტურული მარქსიზმის კონცეფციის და ფრანკფურტის სკოლის გამოყენებითაც კი გახდა ჩვეულებრივი ამბავი. მოცემულის ახსნა შესაძლებელია ზუსტად ახალი კულტურულ-პოლიტიკური იდენტობების ჩამოყალიბებით უშუალოდ საზოგადოებრივ ველზე, რომლებშიც ინსტალირდა ეს ნარატივები და, შესაბამისად, გაფორმდა ახალი ელექტორალური იდენტობები შესაბამისი მოთხოვნებით. მოცემულ სტატიაში ნახსენები „კულტურული ომების“ საკითხი გახდა ბევრი პოლიტიკური ჯგუფის მთავარი საყრდენი დასავლეთში, ამიტომაც ხშირად შევხვდებით კამათს დასავლურ მეინსტრიმულ მედიაში ისლამზე, იმიგრაციაზე, ფემინიზმზე და გენდერზე. როგორც ენდრიუ ბრეიტბარტმა თქვა – „Politics is downstream from culture“, შესაბამისად, თუ პოლიტიკას განაპირობებს კულტურა, კულტურა კი ყალიბდება აღქმებით და ღირებულებებით, რომლებსაც აყალიბებს შესაბამისი ნარატივები, მაშინ ნებისმიერი ტიპის იდენტობა ყოველთვის უნდა იქნეს განხილული ნარატიულ კონტექსტში: იდენტობა კონსტრუირდება ნარატიულად.

ის ნარატივები, რომლებიც მოცემულ სტატიაში გავაანალიზე, შესაძლებელია მოვისმინოთ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მათ შორის საქართველოშიც. ამიტომაც მნიშვნელოვანია აკადემიური სივრცის ყურადღება გამახვილდეს მოცემული საინფორმაციო გამტარის გავლენის ანალიზზე ნებისმიერ სფეროში, განსაკუთრებით კი სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ, ანუ იმ სფეროებზე, რომლებიც აყალიბებენ საზოგადოებრივ დისკურსს და, შესაბამისად, საზოგადოებრივ იდენტობას.

MIKHEIL TSVERAVA

THE FORMATION OF ALTERNATIVE RIGHT-WING IDENTITY IN THE 2010S WESTERN INTERNET SPHERE

Summary

The 2010s are a period of emergence of the alternative right in the West, which is often associated with the migration crisis and dissatisfaction with liberal democracy. In the same years, there is a kind of rise in the use of social networks, and accordingly, the creation of political discourses begins in the Internet space, in which the alternative right will also have a big role. With the launch of Donald Trump's election campaign in 2015, the role of the Internet as an effective tool for spreading information and therefore an effective identity producer is becoming clearer.

Moreover, Donald Trump's election campaign is accompanied by a parallel political campaign in the Internet space, on social networks, which has had a great impact on the Western political discourse as a whole. During this period, an alternative network is created on the Internet, which I call an alternative right-wing network in this text. This network, as researchers call it, will create the so-called alt right pipeline/alt right rabbit hole, which refers to a certain type of transformation of a person when, by giving certain relatively lighter right-wing narratives to a person, you are pushing this person more and more to go to ultra-right narratives, which ultimately leads to radicalization.

The alternative right-wing network begins the process of cultural transformation to a certain extent, and therefore it is not surprising when in this network (along with the mainstream right-wing Media), the narrative of culture wars was created, according to which the West is in the conditions of cultural war, which is taking place within the West, between different socio-cultural and ideological groups. This term comes from the Bismarck period *kulturkampf*, which meant Bismarck's confrontation with the Catholic Church, although around the second half of the twentieth century, certain right-wing groups dissatisfied with the cultural revolution of the 60s begin to revive the given term in a new sense, where the narrative of the cultural revolution vs traditional culture is created.

It is not surprising that E. Michael Jones, one of the creators of this narrative in the 80s, calls his magazine *Culture Wars*, and already in the 2010s he begins to spread this narrative on the Internet. However, E. Michael Jones is only one small part of the big movement that we can call an alternative right-wing movement. Andrew Breitbart, who is the founder of Breitbart Media and whose words become a certain theoretical framework for the production of cultural warfare, is considered the godfather of modern American culture wars: "Politics is downstream from culture".

However, in this paper I am less interested in the processes given in the political field itself, but the subject of my research is alternative right-wing discourses on the Internet and the spread of cultural warfare in social networks. According to data&Society research, in 2018, one of the most viewed political contents on the Internet website, YouTube, was created by alternative right-wing channels. The best example of this is the 2018 data, according to which the most popular live (stream) video was a debate between two alternative right-wing influencers (Richard Spencer and Sargon of Akkad), watched live by 100,000 people. This is certainly just one example.

In the second half of the 2010s (especially since 2015), YouTube becomes an information battleground for culture wars, where a network of alternative right-wing influencers begins to show their real power. The unique ability of social networks to make anyone an influencer is used quite effectively by alternative right-wing Internet influencers, which will be followed by their sharp appearance and dominance in the informational/political field of Western social networks for some time. The opinion makers operating in the alternative right-wing network are people of different ideologies, starting with centrist liberals and ending with ultra-nationalist racists.

The whole point of alternative Internet space is precisely that their interaction with each other and their specific narratives create a certain type of anti-establishment grand narrative. In these groups, I will consider, for example: Sargon of Akkad (the same as Carl Benjamin, who identified himself as classically liberal), Stefan Molyneux (libertarian social media activist), Ben Shapiro (conservative), Steven Crowder (populist, nationalist), Richard Spencer (far-right white nationalist). This list is just a small group of people that I will focus on in this paper. I specifically focused on their ideological affiliations to make it clear to readers how diverse groups operated in the alternative right-wing Internet space in the 2010s.

In this paper, I will try, on the one hand, to analyze the emergence of an alternative right-wing network in the Internet space, where I will explain how complex influencer networks generally are created, on the other hand, I will directly analyze the results produced by the given network. By results, I mean the analysis of narratives produced directly by alternative right-wing influencers and the impact of the given alternative narratives directly on the audience, that is, on how a new type of identity is produced by the given alternative right-wing network.

გილად ჰირშბერგერი

ჰერცლიას ინტერდისციპლინური ცენტრი, ჰერცლია, ისრაელი

კოლექტიური ტრავმა და მნიშვნელობის სოციალური კონსტრუირება¹

კოლექტიური ტრავმა კატაკლიზმური მოვლენაა, რომელიც არღვევს საზოგადოების საბაზისო ქსოვილს. შემზარავი ადამიანური მსხვერპლის გარდა, კოლექტიური ტრავმა მნიშვნელობის კრიზისიცაა. ეს ნაშრომი სისტემურად აღწერს პროცესს, რომელიც იწყება კოლექტიური ტრავმით, გარდაიქმნება კოლექტიურ მეხსიერებად და კულმინაციას აღწევს მნიშვნელობათა სისტემაში, რომელიც საშუალებას აძლევს ჯგუფს, ხელახლა განსაზღვროს საკუთარი ვინაობა და სამომავლო ორიენტირები. მსხვერპლთა შემთხვევაში ტრავმის მეხსიერებას, შესაძლოა, ადაპტაციური ფუნქცია ჰქონდეს გადარჩენის პროცესში, თუმცა, ამავე დროს, ის ზრდის ეგზისტენციალურ საფრთხეს, რაც განაპირობებს ტრანსგენერაციული კოლექტიური „მე“-ს კონსტრუირებას. დამნაშავეთა შემთხვევაში ტრავმის მეხსიერება კოლექტიურ იდენტობას უქმნის საფრთხეს, რომლის გადალახვის შესაძლო გზებია ისტორიის უარყოფა, საკუთარი ბრალეულობის მინიმუმამდე დაყვანა, მოვლენის მეხსიერების შეცვლა, ისტორიისთვის ზურგის შექცევა ან მასზე პასუხისმგებლობის აღება. ხშირად პასუხისმგებლობის აღიარებას თან სდევს ჯგუფთან იდენტიფიკაციის წყვეტა. თუმცა დისონანსი, ერთი მხრივ, ისტორიულ დანაშაულებსა და, მეორე მხრივ, ჯგუფის დადებითი იმიჯის შენარჩუნების საჭიროებას შორის სხვაგვარადაც შეიძლება გადაილახოს. ამ შეუთავსებლობამ შესაძლოა განაპირობოს ჯგუფის ახალი ნარატივის შექმნა, რომელიც აღიარებს დანაშაულს და ამით ხაზს უსვამს ჯგუფის ანმყო პოზიტიურ ქმედებას. როგორც მსხვერპლი, ისე დამნაშავე მხარის მიერ ტრავმის მნიშვნელობის განსაზღვრა უწყვეტი პროცესია. ტრავმა მუდმივად განიხილება როგორც ჯგუფების შიგნით, ისე ჯგუფებს შორის. ეს განაპირობებს დავას წარსულის შესახებ, თუმცა, ამავე დროს, შეიცავს პოტენციალს, შექმნას ჯგუფთაშორისი ურთიერთგაგების საფუძველი.

საკვანძო სიტყვები: კოლექტიური ტრავმა, მნიშვნელობა, სოციალური იდენტობა, ვიქტიმიზაცია, კოლექტიური მეხსიერება.

შესავალი

ტერმინი *კოლექტიური ტრავმა* აღნიშნავს ფსიქოლოგიურ რეაქციას ტრავმულ მოვლენაზე, რომელიც მთელ საზოგადოებაზე ახდენს გავლენას. ის უბრალოდ კი არ ასახავს ისტორიულ მოვლენას, მოგონებას ადამიანთა ჯგუფის მიერ განცდილი საშინელი მოვლენის შესახებ, არამედ გულისხმობს, რომ ტრავმადია ჯგუფის კოლექტიურ მეხსიერებაში დაილექა. როგორც მეხსიერების ყველა ფორმა, ისიც მოიცავს არა მხოლოდ მოვლენების რეპროდუქციას, არამედ ტრავმის მიმდინარე რეკონსტრუქციის პროცესსაც, რომლის მიზანი მისი გააზრებაა. ტრავმის კოლექტიური მეხსიერება განსხვავდება ინდივიდუალური მეხსიერებისაგან, რადგან კოლექტიური მეხსიერება განაგრძობს არსებობას იმ ადამიანების სიცოცხლის შემდეგაც, რომელთაც ტრაგიკული მოვლენები უშუალოდ გამოიარეს; ტრავმის კოლექტიური მეხსიერება ჯგუფის იმ წევრების მეხსიერებაა, რომლებიც ტრავმული მოვლენებისაგან დაშორებულნი არიან დროსა და სივრცეში. ტრავმას

¹ Hirschberger G (2018) Collective Trauma and the Social Construction of Meaning, *Frontiers in Psychology*, 9:1441. doi: 10.3389/fpsyg.2018.01441

გადარჩენილთა შემდგომ თაობებს, რომლებიც თავად არ ყოფილან ტრავმული მოვლენების მომსწრენი, შესაძლოა, უშუალო მოწმეთაგან განსხვავებულად ახსოვდეთ ისინი. შესაბამისად, წარსული მოვლენების კონსტრუირება განსხვავებულ ფორმას იძენს თაობიდან თაობამდე. ჯგუფის წინაპართა მიერ წარსულში განცდილი კატასტროფის კოლექტიურმა მეხსიერებამ, შესაძლოა, ბიძგი მისცეს *რჩეული ტრავმის* დინამიკას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ტრავმას, მეხსიერებასა და ონტოლოგიურ უსაფრთხოებას (Volkan, 1997). რჩეული ტრავმები კონცეპტუალიზდება ნარატივების სახით, რომლებიც ხაზს უსვამს „სისხლიანი გზის გავლის“ აუცილებლობას თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ჯგუფის უსაფრთხოების მისაღწევად (Resende and Budryte, 2014). ამ ნაშრომში ვაჩვენებ, რომ ტრავმული მოვლენების კოლექტიური მეხსიერება დინამიკური სოციალური ფსიქოლოგიური პროცესია, რომელიც, უპირველესად, მნიშვნელობის კონსტრუირებისკენაა მიმართული. მნიშვნელობის შექმნა და შენარჩუნება გულისხმობს თვითუნწყვეტობის განცდას, საკუთარ თავს, სხვებსა და გარემოს შორის კავშირს (Baumeister and Vohs, 2002; Heine et al., 2006) და რწმენას, რომ ადამიანის არსებობა მნიშვნელოვანია. ეს არის იდენტობის კონსტრუირების პროცესი, რაც მოიცავს საკუთარი ღირსების, უწყვეტობის, გამორჩეულობის, მიკუთვნებულობის, ეფექტურობის და, საბოლოოდ, მნიშვნელობის განცდას (Vignoles et al., 2006). შესაბამისად, ნაშრომში სწორედ ამ პრინციპების საფუძველზეა შესწავლილი ისტორიული ტრავმის მნიშვნელობის ჩამოყალიბების პროცესი კოლექტიურ დონეზე როგორც მსხვერპლ, ისე დამნაშავე ჯგუფებში.

სტატიაში წარმოდგენილი თეორიისა და კვლევის დიდი ნაწილი ფოკუსირებულია ჰოლოკოსტზე, რადგან ის მე-20 საუკუნის პროტოტიპულ გენოციდადაა მიჩნეული და სხვა კოლექტიურ ტრავმებზე უფრო მეტი ყურადღება და ნაშრომი ეთმობა (Mazur and Vollhardt, 2015). შეიძლება თუ არა ჰოლოკოსტის შედარება გენოციდისა და მასობრივი მკვლელობის სხვა შემთხვევებთან და უნდა გაკეთდეს ასეთი შედარება თუ არა? ჰოლოკოსტის ცნობილი მკვლევრის, იეჰუდა ბაუერის (Yehuda Bauer) თანახმად, ჰოლოკოსტი, მიუხედავად მისი უნიკალური მახასიათებლებისა, შესაძლებელია და აუცილებელიც კი, რომ შედარდეს მსგავსი ბუნების სხვა მოვლენებს. სხვა შემთხვევაში, რატომ უნდა ისწავლებოდეს ის ფილადელფიის, ნიუ იორკის ან ტიმბუქტუს საჯარო სკოლის სისტემის ფარგლებში (Bauer, 1979)? იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ ყოველი სპეციფიკური ტრავმა უნიკალურია, მაგრამ მათ საფუძველზე გამოტანილი დასკვნები შესაძლოა უნივერსალური იყოს, ამ ნაშრომში განხილულია კოლექტიური ვიქტიმიზაციის განსხვავებული ფორმების მსგავსი გრძელვადიანი შედეგები.

მსხვერპლთა ჯგუფების შემთხვევაში, კოლექტიური ტრავმის მნიშვნელობას შემდეგი ფაქტორები აყალიბებს: (ა) საფრთხის შესახებ კულტურულად განსაზღვრული ცოდნისა და ტრადიციის გადაცემა, რაც ხელს უწყობს ჯგუფის დაცვასა და შენარჩუნებას; (ბ) საფრთხის ეს ტრადიციები აძლიერებს ეგზისტენციალურ შფოთვას და ზრდის მოტივაციას, რომ ტრავმა მნიშვნელობათა სიმბოლური სისტემის ნაწილი გახდეს; (გ) ტრავმა აძლიერებს ტრანსგენერაციულ კოლექტიურ „მე“-ს, ამით ხელს უწყობს მნიშვნელობის განცდას და ეგზისტენციალური საფრთხის შემცირებას; (დ) ისტორიული კოლექტიური „მე“-ს განცდა ასევე აძლიერებს ჯგუფის ერთიანობას და ჯგუფურ იდენტიფიკაციას, რაც ხელს უწყობს მნიშვნელობის ფორმირებასა და ეგზისტენციალური შფოთვის შემსუბუქებას; (ე) კოლექტიური ტრავმიდან წარმოქმნილი მნიშვნელობის ძლიერი განცდა ახანგრძლივებს ტრავმის მეხსიერებას და ამცირებს წარსულის დავინწყების სურვილს; (ვ) დროთა განმავლობაში ტრავმა იქცევა ჯგუფის იდენტობის ეპიცენტრად და ერთგვარ სათვალედ, რომლის საშუალებითაც ჯგუფის წევრები აღიქვამენ საკუთარ სოციალურ გარემოს.

დამნაშავეთა ჯგუფების შემთხვევაში, კოლექტიური ტრავმა წარმოადგენს *საფრთხეს იდენტობისათვის* (Branscombe et al., 1999), რადგან ის განაპირობებს დაძაბულობას ჯგუფის პოზი-

ტიურად აღქმის სურვილსა (Tajfel and Turner, 1979) და წარსულში ჩადენილი მძიმე მორალური დანაშაულების აღიარებას შორის. იმან, რომ შეუძლებელია ჯგუფის ანმყო მახასიათებლების შეთავსება მის მახასიათებლებთან წარსულში, ჯგუფის წევრებს, განსაკუთრებით ძლიერი იდენტიფიკაციის მქონეთ, შეიძლება უბიძგოს ჯგუფის ისტორიული წყვეტის აღქმისაკენ, რაც დააშორებს ჯგუფის ანმყო წევრებს წარსულის დამნაშავეთაგან (Roth et al., 2017). ხანდახან ეს წყვეტა გამოიხატება ისტორიისათვის ზურგის შექცევის და წარსულისაკენ აღარასოდეს მიბრუნების სურვილში (Imhoff et al., 2017); ზოგჯერ ჯგუფის ისტორიის უსიამოვნო ეპიზოდები „გასუფთავებულია“, რაც კოლექტიურ მეხსიერებაში უხერხულ სიცარიელეს ქმნის და მიუთითებს წარსულში არასასურველის არსებობაზე. შესაძლოა, რომ დამნაშავე ჯგუფის წევრები საკუთარი ისტორიის ბნელ მონაკვეთებს მოვლენების სრული უარყოფით, მათგან გამიჯვნითა და პასუხისმგებლობის აღებაზე უარის თქმით გაუმკლავდნენ. თუმცა, უფრო ხშირად, უსიამოვნო ისტორიაზე რეაქცია უფრო კომპლექსურ ფორმას იძენს. ჯგუფის წევრები ტრავმის რეკონსტრუქციას მათთვის ხელსაყრელი ფორმით ახდენენ და ისე წარმოაჩენენ მას, რომ შეამცირონ კოლექტიური პასუხისმგებლობა. ზოგ შემთხვევაში დისონანსი ჯგუფის ანმყო ღირებულებებსა და წარსულის ქმედებას შორის იმდენად დიდია, რომ ჯგუფისაგან გამიჯვნა ერთადერთ გამოსავლად რჩება (Čehajić and Brown, 2010; Hirschberger et al., 2016 b).

ტრავმის გავლენის გააზრება კოლექტიურ მნიშვნელობაზე კიდევ უფრო კომპლექსური ხდება იმის გათვალისწინებით, რასაც პრიმო ლევიმ *ნაცრისფერი ზონა* უწოდა (Levi, 1959) – ესაა ბუნდოვანი არეალი, რომელშიც მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის განსხვავება ყოველთვის მკაფიო არაა. მსხვერპლი, შესაძლოა, იქცეოდეს როგორც დამნაშავე და დამნაშავე იყოს მსხვერპლი. ჯგუფის წევრები, რომლებიც კოლექტიური მეხსიერების ამ არეალში იმყოფებიან, ხშირად თავდაცვითი პოზიციიდან ცდილობენ ისე წარმოაჩინონ საკუთარი ისტორია, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს მათი მსხვერპლი და ნაკლებად შესამჩნევი იყოს დანაშაული (Bilewicz et al., 2014; Hirschberger et al., 2016b). შესაძლოა, რომ ეს ჯგუფები ჩაერთონ მსხვერპლად ყოფნის შეჯიბრში სხვა ჯგუფებთან, რომლებიც ასევე ითხოვენ ნამდვილ მსხვერპლად აღიარებას (Noor et al., 2012). ხანდახან ერთი ჯგუფის ვიქტიმიზაცია საფრთხეს ქმნის სხვა, მასთან კავშირის არმქონე მსხვერპლი ჯგუფისათვის, რადგან მისი ვიქტიმიზაცია გადაიფარება და არ იღებს შესაბამის ყურადღებას და აღიარებას. მაგალითად, ბელგიაში, ემიგრანტები სუბსაჰარული აფრიკიდან უფრო მეტად გამოხატავდნენ ანტისემიტიზმს, რადგან მათ ჯგუფს, როგორც მსხვერპლს, ნაკლებად აღიარებდნენ. ეს იყო მსხვერპლად ყოფნის შეჯიბრი ებრაელებთან, რომელთა მსხვერპლი მეტადაა აღიარებული (De Guissmé and Licata, 2017). ამ ნაშრომში შემოთავაზებულია ვარაუდი, რომლის თანახმად, ისტორიის ბნელ ეპიზოდებთან დაკავშირებული შიდაჯგუფური და ჯგუფთაშორისი პრობლემები უფრო მეტია, ვიდრე წარსულის დანაშაულებზე პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მცდელობა ან დავა მსხვერპლის სტატუსის პრივილეგიების გამო. არასასურველ წარსულთან შეგუების აუცილებლობა წარმოადგენს მნიშვნელობის კრიზისს; იგი უნდა გადაიჭრას იმისათვის, რომ ჯგუფმა, თვითაღქმის დეკონსტრუირებით და რეკონსტრუირებით, შეიძინოს იდენტობა, რომელიც ჯგუფის წევრებს შეუქმნის უწყვეტობის, თანამიმდევრულობის და საკუთარი მნიშვნელობის განცდას. ისტორიული დანაშაულების მეხსიერება საფრთხეს უქმნის ფუნდამენტურ ღირებულებებს, თვითშეფასებას და კონსტრუქციული კოლექტიური მიზნის არსებობის განცდას (Baumeister, 1991; Vignoles et al., 2006). ამგვარად, მნიშვნელობის ძიების პროცესი უნდა მოიცავდეს ამ საბაზისო ელემენტთა რეკონსტრუქციას.

მსხვერპლ და დამნაშავე ჯგუფებში ტრავმის შედეგად წარმოქმნილი მნიშვნელობის ანალიზი აჩენს თამამ ვარაუდს, რომ ტრავმა არა მხოლოდ დესტრუქციული მოვლენა, არამედ კოლექტიური მნიშვნელობის კონსტრუირების შეუცვლელი კომპონენტიც არის. შესაბამისად, შესაძლოა,

რომ კოლექტიურმა ტრავმამ მსხვერპლ ჯგუფებს მოუტანოს გარკვეული სარგებელი, რომელიც, ხშირად, შეუმჩნეველი რჩება: ტრავმის მეხსიერების შენარჩუნება უბიძგებს მომდევნო თაობებს, რომ ტრავმა საკუთარი კოლექტიური „მე“-ს ნაწილად მოიაზრონ. დამნაშავე ჯგუფების შემთხვევაში, ტრავმა კატალიზატორის როლს თამაშობს და ხელს უწყობს ახალი სოციალური რეპრეზენტაციის კონსტრუირებას, რაც, წარმატების შემთხვევაში, დაეხმარება ჯგუფს, აღიაროს წარსულის შეცდომები ისე, რომ ის არც თავდაცვითი იყოს და არც დამახინჯებული; ხელს შეუწყობს პოზიტიური სოციალური იდენტობის ფორმირებას (მაგ., Vignoles et al., 2006), რომელიც წარსულის შეცდომებზე გამარჯვებას დაეფუძნება. ამ საფუძველზე, სტატიაში განხილულია კოლექტიური ტრავმის დამახსოვრების ალტერნატიული გზები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია, ერთი მხრივ, წარსულის აკვიატებული გაცოცხლებისა და, მეორე მხრივ, თავდაცვითი დინამიკისგან თავის დაღწევა; ამ ხერხებმა, შესაძლოა, შეარიგონ პრობლემური ისტორიის მქონე ჯგუფებს შორის მიმდინარე მნიშვნელობათა ომები და შეამციროს ჯგუფთაშორისი დაძაბულობა და მტრობა.

დეზინტეგრაციიდან ახლად აღმოჩენილ მნიშვნელობამდე

კოლექტიური ტრავმა გამანადგურებელი მოვლენაა, რომელიც არა მხოლოდ უშუალო მსხვერპლზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე ზემოქმედებს. ზუსტად ისევე, როგორც ინდივიდუალური ტრავმა ამსხვრევს წარმოდგენას საკუთარ თავსა და ადგილზე სამყაროში (Janoff-Bulman, 1992), კოლექტიური ტრავმა ცვლის გადარჩენილთა მსოფლალქმას და მიმართებას სხვა, თუნდაც თავდაპირველ ვიქტიმიზაციასთან კავშირის არმქონე ჯგუფებთან (Alexander et al., 2004; Vollhardt, 2012). ტრავმა ადამიანური ბუნების ბნელი მხარის წინაშე აყენებს ჯგუფის წევრებს, რის შედეგად შეიძლება დაირღვეს მნიშვნელობათა მთელი სისტემა (Park, 2013). შესაბამისად, მნიშვნელობის შექმნა განსაკუთრებით აქტუალურია, როცა ინდივიდები (ან ჯგუფები) ტრავმულ გამოცდილებას იღებენ (Park, 2013). სოციოლოგი კაი ერიკსონი ამომწურავად აღწერს მსგავსებებსა და განსხვავებებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ ტრავმას შორის და მათ გავლენას „მე“-ზე:

„ინდივიდუალურ ტრავმად მოვიაზრებ ფსიქიკაზე დარტყმას, რომელიც ისე მოულოდნელად და სასტიკი ძალით არღვევს ადამიანის თავდაცვას, რომ იგი ვეღარ ახერხებს მომხდარზე ეფექტიან რეაგირებას ... მეორე მხრივ, კოლექტიური ტრავმად მოვიაზრებ სოციალური ყოფის საბაზისო ქსოვილზე იერიშს, რომელიც აზიანებს ადამიანთა შორის კავშირებს და ასუსტებს ერთიანობის განცდას. კოლექტიური ტრავმა ნელა და მზაკვრულად იპარება იმ ადამიანთა ცნობიერებაში, რომლებიც განიცდიან მას ... ამგვარად, ეს არის ეტაპობრივი გაცნობიერება იმისა, რომ ერთობა, როგორც ეფექტიანი დასაყრდენი, აღარ არსებობს, რომ იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილი გაქრა ... „ჩვენ“ აღარ არსებობს, როგორც ურთიერთდაკავშირებული წყვილი ან უჯრედთა ერთობა დიდი საზიარო სხეულისა“ (Erikson, 1976, pp. 153–154).

კოლექტიური ტრავმის შედეგად ერიკსონის მიერ აღწერილი სოციალური მხარდაჭერის სისტემის დაშლა ნათელყოფს მნიშვნელობის კრიზისს და ეხმიანება Baumeister and Vohs-ის (Baumeister and Vohs, 2002, p. 608) მტკიცებას, რომ „მნიშვნელობის არსი კავშირია“. კოლექტიური ტრავმა ასუსტებს დაცულობის ფუნდამენტურ განცდას, რაც ხანგრძლივი ეფექტის სახით ვლინდება გადარჩენილთა მეორე და მესამე თაობებში. ინდივიდუალურ დონეზე ამ პირებში ფსიქოლოგიური დისტრესის საგრძნობლად მაღალი მაჩვენებელი ვლინდება (Yehuda et al., 2002); სოციალურ დონეზე გადარჩენილთა მომდევნო თაობები ამჟღავნებენ გაძლიერებულ ინდივიდუალურ და კოლექტიურ შიშს, მონყვლადობის განცდას, შელახულ ეროვნულ ღირსებას, დამცირებას (Lifton, 2005), იდენტობის კრიზისსა და ახალ საფრთხეებზე გამძაფრებული სიფხიზლით რეაგირების მიდრეკილებას, თითქოს წინა თაობების ტკივილი შერწყმულია აწმყო თაობის წინაშე არსებულ საფრთხეებთან (Canetti et al., 2018).

კოლექტიური ტრავმის გრძელვადიანი ზემოქმედების კატასტროფული, თუმცა მართებული სურათი, რომელიც ერიკსონმა აღწერა, მონეტის მხოლოდ ერთი მხარეა და აჩვენებს ტრავმული ისტორიული მოვლენის გავლენას ინდივიდებსა და ჯგუფზე. ამ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია კოლექტიური ტრავმის სხვა მნიშვნელოვან ასპექტზე – კოლექტიური ტრავმისა და მნიშვნელობის კონსტრუირების ურთიერთმიმართებაზე, რასაც ნაკლები ყურადღება ეთმობა. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა უდავოდ დესტრუქციულია, უბედური შემთხვევებისას მნიშვნელობა ხშირად მოულოდნელად ჩნდება (Frankl, 1959/1976) და ვითარდება ამ მოვლენების გააზრების პროცესში (Davis et al., 1998). ტრავმამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ნაციონალური ნარატივის (Alexander et al., 2004), იდენტობის განცდის (Canetti et al., 2018) და კოგნიტური მუშაობის მოდელების შექმნას, რაც უზრუნველყოფს ჯგუფის კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას და აღჭურავს მას სამომავლო ღირებულებებითა და ორიენტირებით (Bar-Tal and Antebi, 1992; Hirschberger et al., 2017). ამგვარად, კოლექტიურმა ტრავმამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს მნიშვნელობისა და სოციალური იდენტობის სხვადასხვა ელემენტის – მიზნის, ღირებულებების, ქმედითობის და კოლექტიური ღირსების კონსტრუირებას (Vignoles et al., 2006). პარადოქსულია, რომ ტრავმის ასეთი გავლენა კოლექტიური მნიშვნელობის კონსტრუირებაზე, დროის სვლასთან ერთად, შესაძლოა გაიზარდოს კიდევ (Klar et al., 2013), რადგან მეხსიერების ფოკუსი სიცოცხლის მტკივნეული დანაკარგიდან ტრავმის იმ გრძელვადიან გაკვეთილებზე ინაცვლებს, რომელსაც ჯგუფი ტრავმის შედეგად იღებს.

კოლექტიური ტრავმა გავლენას ახდენს მნიშვნელობის კონსტრუირებაზე არა მხოლოდ მსხვერპლი ჯგუფის შემთხვევაში, რომელსაც სჭირდება საკუთარი თავის ხელახლა შექმნა და აღდგენა იმ ყველაფრისა, რაც დაკარგა, არამედ დამნაშავე ჯგუფის შემთხვევაშიც, რომელმაც ხელახლა უნდა განსაზღვროს საკუთარი თავი და შექმნას ჯგუფის პოზიტიური მორალური იმიჯი ჩადენილი სისასტიკის ფონზე (Shnabel and Nadler, 2008; Hirschberger et al., 2016b; Imhoff et al., 2017). ნაშრომში შესწავლილია ისტორიულ მსხვერპლთა და დამნაშავეთა მიერ მნიშვნელობის კონსტრუირების პროცესი და შემოთავაზებულია მოსაზრება, რომ, თუმცა ტრავმის საფუძველზე შექმნილი მნიშვნელობის ზოგიერთი ასპექტი პათოლოგიურია, მნიშვნელობათა ეს სტრუქტურები, საბოლოოდ, აძლიერებს ჯგუფურ იდენტობასა და ერთიანობას, უზრუნველყოფს ისტორიისა და ბედისწერის განცდას და უბიძგებს ჯგუფებს, მტკივნეული გამოცდილება აქციონ პლაცდარმად წინსვლისათვის.

ტრავმა განაპირობებს მნიშვნელობის ძიებას

ინდივიდები და ერები ფლობენ კოლექტიურ მეხსიერებას (Halbwachs, 1980) ისტორიული მოვლენებისა, ისეთებისაც კი, რომლებიც მათ დაბადებამდე ბევრად ადრე მოხდა (Licata and Mercy, 2015). ეს კოლექტიური მეხსიერება არ წარმოადგენს ისტორიის ზუსტ ასახვას, არამედ კონსტრუირებულია ჯგუფის წევრების მიერ. ისინი „მოყვარული ისტორიკოსების“ (Klein, 2013) როლს ასრულებენ პროცესში, რომლის მიზანია, მიანიჭოს ისტორიას მნიშვნელობა და შექმნას გამოყენებადი წარსული (Wertsch, 2002; Licata and Mercy, 2015), რომელსაც მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს აწმყოში. კოლექტიური მეხსიერების უპირველესი ფუნქცია სოციალური იდენტობის შექმნა და შენარჩუნებაა: „ისტორია გვამარაგებს ნარატივებით, რომლებიც მოგვითხრობს ვინ ვართ, საიდან მოვედით და სად უნდა წავიდეთ. ის განსაზღვრავს ტრაექტორიას, რომელიც ხელს უწყობს ჯგუფის იდენტობის არსის კონსტრუირებას“ (Liu and Hilton, 2005, p. 537). კოლექტიური მეხსიერება ხელს უწყობს არა მხოლოდ იდენტობის კონსტრუირებას, არამედ პოზიტიური კოლექტიური იდენტობისა (Tajfel and Turner, 1979) და ღირსების განცდის შენარჩუნებასაც (Vignoles et al., 2006). ეს მიიღწევა სხვა ჯგუფებთან სოციალური შედარებითა და მათი დაკნინე-

ბით, ასევე რეალობისა და მეხსიერების იმგვარი რეკონსტრუქციით, რომელიც ჯგუფის პოზიტიურ იმიჯს განამტკიცებს.

კოლექტიურმა ტრავმამ, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ჯგუფის იდენტობას, ნამოჭრას კითხვები ჯგუფის მნიშვნელოვნებისა და მისი რწმენის საბაზისო სისტემების შესახებ როგორც მსხვერპლის (მაგ., „სად იყო ღმერთი, როცა ტრავმა მოხდა?“), ისე დამნაშავეს (როგორ შეიძლება ბოდა ჩემს ხალხს მსგავსი დანაშაულები ჩაედინა?) შემთხვევაში; ტრავმამ, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მსხვერპლ ჯგუფთან კავშირის შენარჩუნების კეთილგონიერულობა, რადგან ეს, შესაძლოა, ფიზიკურად საფრთხის შემცველი იყოს და, ამასთან ერთად, ინვესტეს დამცილებისა და ქმედითობის დაკარგვის განცდას (Shnabel and Nadler, 2008).

ტრავმამ დამნაშავე ჯგუფთან მიკუთვნებასაც შეიძლება შეუქმნას საფრთხე, რადგან მის წევრებს გარდაუვლად უწევთ დანაშაულის ტვირთთან გამკლავება. ამ პროცესებმა შესაძლოა შეასუსტოს ჯგუფის ერთიანობა და გამოიწვიოს მისი დაშლა. თუმცა, კოლექტიური ტრავმა ყოველთვის უარყოფით გავლენას არ ახდენს ჯგუფის იდენტობასა და ერთობაზე. ხშირად საზიარო ბედისწერის განცდა აძლიერებს ჯგუფთან მიკუთვნებულობას – ტრავმული გამოცდილება ინტეგრირდება ინდივიდის იდენტობასა და ნარატივში (Gillies and Neimeyer, 2006). მაგალითად, მასობრივი მკვლევლობები და სამხედრო მარცხები, რამდენადაც შემზარავი არ უნდა იყოს, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის იმ კულტურული ნარატივებისა და საზიარო ღირებულებათა სისტემის შექმნისათვის, რომლებიც, ტრაგიკული მოვლენის შემდგომ, აყალიბებენ მნიშვნელობებს და ამყარებენ სოციალურ იდენტობას (Weber, 1946; Olick et al., 2011; László, 2013). ამგვარად, ისტორიული ტრავმა, შესაძლოა, ინტეგრირდეს როგორც მსხვერპლი, ისე მოძალადე ჯგუფების სოციალურ რეპრეზენტაციაში („ჩვენ ვართ ისტორიული მსხვერპლი და ვაგრძელებთ არსებობას ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად“; „ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავაძლიეროთ შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის ღირებულებები“), შედეგად ტრავმამ, შესაძლოა, გამაძლიერებელი და იდენტობის მშენებლობისათვის ხელშემწყობი როლი ითამაშოს, რამდენადაც ის კოლექტიური მეხსიერებისა და ჯგუფის ნარატივის მთავარ მახასიათებლად იქცევა (Bar-Tal et al., 2009).

ნაწილი I. მსხვერპლი

რატომ სურთ მსხვერპლებს გახსენება?

კოლექტიური ტრავმის ისტორიულმა მეხსიერებამ, შესაძლოა, ათწლეულები გასტანოს ჯგუფებში, რომლებიც აღნიშნავენ ანტიკური და მეტიც, ბიბლიური პერიოდის ტრავმულ მოვლენებს. მუსლიმებს ახსოვთ ჰატინის ბრძოლა ჯვაროსნებთან; ებრაელებს უბრძანეს, არასოდეს დაივიწყონ ამაღლეკი – ბიბლიური ხალხი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ისრაელიტებს; მოგვიანებით ირლანდიელები იხსენებენ აჯანყებებს ბრიტანელების წინააღმდეგ; კორეელებს დღემდე შემორჩათ მძიმე იაპონური მმართველობის იარები; ბოსნიელები ვერასდროს ამოშლიან სრებრენიცას სიასტიკეს, ხოლო ჰოლოკოსტის მემკვიდრეობაა – არასოდეს დაივიწყო. ვიქტიმიზაციის ეს მოგონებები, რომლებიც, შესაძლოა, შეულამაზებლად წარმოსახავდეს ჯგუფის სისუსტესა და უძლურებას (Shnabel et al., 2009; Vollhardt, 2012), აჩენს კითხვას: რატომ ებლაუჭებიან ეს და ბევრი სხვა ხალხი ტრავმულ მოგონებებს, როგორც სანუკვარ საგანს? რატომ არ სურთ გააგრძელონ ცხოვრება და წარსული წარსულში დატოვონ? მომდევნო ქვეთავებში თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი, თუ როგორ ფუნქციონირებს ტრავმის მტკივნეული მეხსიერება, როგორც ადაპტაციური მექანიზმი, ინდივიდებსა და ჯგუფებში. პირველ, საბაზისო ევოლუციურ დონეზე, ტრავმის მეხსიერება ხელს უწყობს სიფხიზლის გამძაფრებას, რაც, შესაძლოა, დაეხმაროს ჯგუფს გადარჩენასა და ქმედითუნარიანობის განცდის აღდგენაში. თუმცა ტრავმის მეხსიერების როლი ინდივიდებისა და ჯგუფის საჭიროებების უზუნველყოფაში გაცილებით დიდია და არ შე-

მოიფარგლება მხოლოდ ჯგუფის გადარჩენაში შეტანილი წვლილით. ტრავმის მეხსიერება და მისი თანმდევი ეგზისტენციალური საფრთხე უკიდურესად მძიმე გამოცდილებისათვის მნიშვნელობის მინიჭების სურვილს აღვივებს. მნიშვნელობის კონსტრუირების ამ პროცესში ტრანსგენერაციული კოლექტიური „მე“ იკვრება, იქმნება ისტორიული იდენტობა, რომელიც სცდება ცალკეული ინდივიდის ფარგლებს და წარმოშობს უწყვეტობის განცდას ჯგუფის წარსულ, აწმყო და მომავალ წევრებს შორის (Kahn et al., 2017). ეს ტრანსგენერაციული კოლექტიური „მე“ აძლიერებს ჯგუფის ერთიანობას, მისი მნიშვნელოვნების და საზიარო ბედისწერის განცდას, ერთგულებას ჯგუფური იდენტობისადმი. ტრავმის ეს ასპექტები აღადგენს კონტროლის შეგრძნებას, აღვივებს ინდივიდუალური და კოლექტიური ღირსების განცდას და უზიძგებს ტანჯვის მნიშვნელობის ძიებას. აქედან გამომდინარე, ტრავმისაგან გათავისუფლება ძალიან უსიამოვნო და რთული პროცესია. ეს კოლექტიური მნიშვნელობის უარყოფას ჰგავს. ამ მნიშვნელობისათვის საფრთხის შექმნის თავიდან ასარიდებლად საზოგადოებები მობილიზებული არიან, რომ ცოცხლად შეინარჩუნონ ტრავმა, როგორც წარსულის გაკვეთილი მომავლისთვის.

ტრავმული მეხსიერება ადაპტაციურია

2004 წლის ცუნამის ინდოეთის ოკეანეში უდიდესი განადგურება და ტრაგიკულად მაღალი მსხვერპლი მოჰყვა – ზოგან გარდაცვლილთა რიცხვმა მოსახლეობის 90 პროცენტი შეადგინა. 1930 წელს იმავე მაგნიტუდის ცუნამი პაპუა ახალ გვინეას დაატყდა თავს, მაგრამ იქ დაღუპულთა რიცხვი მოსახლეობის 1 პროცენტზე ნაკლები იყო. კვლევამ, რომელიც ცუნამზე სხვადასხვა კულტურის რეაქციებს სწავლობდა (Mercer et al., 2012), გამოავლინა, რომ, ორი მსგავსი ბუნებრივი კატასტროფის შედეგად, სიკვდილიანობის მაჩვენებლის ეს საინტერესო განსხვავება, შეიძლება, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელი მიზეზით – ზეპირი ტრადიციით აიხსნას. პაპუას კულტურაში საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობაში გადაცემული ადათები შეიცავდა მკაფიო ინსტრუქციას, რომ ზღვის უკან დახვეისას ადამიანები უნდა გაქცეულიყვნენ შემალეებული ადგილებისკენ. მართლაც, პაპუელები, რომლებიც არ დაეჭვდნენ ამ ტრადიციის მნიშვნელობაში, წარმატებით გადაურჩნენ თითქმის უეჭველ დაღუპვას. 2004 წელს ყველაზე მეტად დაზარალებული მოსახლეობის ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი, ძირითადად, ახალი ემიგრანტები იყვნენ ზღვისპირა რეგიონებში. მათ არ გააჩნდათ ცუნამის კოლექტიური მეხსიერება და არ ჰქონდათ ამ საფრთხის ამოცნობისა და მისგან თავდაცვის ტრადიცია (Mercer et al., 2012). ცუნამის ამ ორი შემთხვევის შედარება ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება კოლექტიური ტრავმის მეხსიერებამ (ან მისმა არქონამ) პირდაპირი გავლენა იქონიოს ჯგუფის გადარჩენაზე და მის ეფექტიანობაზე სიცოცხლის შენარჩუნების თვალსაზრისით.

ბუნებრივ კატასტროფებსა და ადამიანის მიერ განზრახ გამონვეულ ტრავმებს შორის ბევრი საერთოა – ორივე საფრთხის ამოცნობისა და მასზე ეფექტიანი პასუხის გზამკვლევად ევლინება მომავალ თაობებს. მაგრამ, თუ ცუნამი ყოველთვის ცუნამი იქნება და მისი წარსული გაკვეთილები მუდამ გამოსადეგი იქნება მომავალი თაობებისთვის, ადამიანთა საზოგადოებები იცვლება და ვითარდება, წარსულის ბოროტმოქმედები შეიძლება გარდაიქმნან და შეიცვალონ დამოკიდებულება მსხვერპლი ჯგუფის მიმართ. ამ შემთხვევაში წარსულის გაკვეთილები ისევ გამოსადეგი უნდა იყოს მომავალი თაობებისათვის?

ევოლუციური თვალსაზრისით, ზედმეტი სიფხიზლე გამართლებულია, როდესაც დანამდვილებით არაა ცნობილი, რომ ლეოპარდმა მართლაც შეიცვალა ლაქები ან როცა ეს მოჩვენებითი ცვლილება წინასწარგანზრახულია და, შესაძლოა, არაგულწრფელად გამოიყურებოდეს. მსხვერპლი ჯგუფებისათვის გონივრულია, იყვნენ ფხიზლად, წარსულში მოძალადეების მიმართ ფრთხილი და თავშეკავებული დამოკიდებულება ჰქონდეთ და უზრუნველყონ, რომ მომავალ თაობებს ესმოდეთ და ახსოვდეთ პოტენციური საფრთხე.

კორეა-იაპონიის ურთიერთობაში, მაგალითად, კვლავ იკვეთება კორეული მხარის შიში ცუში-მას სრუტის მეორე მხარეს მყოფი მეზობლის მიმართ (Holmes, 2015). იმის მიუხედავად, რომ იაპონია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში მშვიდობიან, მეტიც, პაციფისტ ქვეყანად გარდაიქმნა, რომლის სამხედრო ხარჯი, მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებით, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია, მისი აგრესია კორეის წინააღმდეგ მე-16 საუკუნიდან იღებს სათავეს. ამიტომ კორეელები დღემდე უფროსიან ყოფილ ოკუპანტებს და ფხიზლად არიან იმ შესაძლებლობის გამო, რომ ტოკიო ოდესმე აგრესიულ იმპერიალისტურ წარსულს დაუბრუნდება. ეს უნდობლობა გამოწვეულია არამხოლოდ კორეელთა იმედგაცრუებით იაპონიის ბოლოდროინდელი, ბევრის აზრით, არაგულწრფელი ბოდიშით სექსმონობის გამო. ეს უნდობლობა, შესაძლოა, მიანიშნებდეს ინსტინქტურ ქმედებზე – თავი აარიდონ იმ ჯგუფს, რომელმაც წარსულში დიდი ზიანი მოუტანა მათ. კორეელების მიერ იაპონიასთან მტკიცენიული გამოცდილების წარსულში დატოვებაზე უარის თქმა ხშირად აღიქმება, როგორც ადაპტაციისთვის ხელის შემშლელი, რადგან ის აბრკოლებს ჯგუფთაშორის ჰარმონიას. მაგრამ, თუ ჯგუფის უსაფრთხოება უპირველესი მიზანია და ჯგუფთაშორისი ურთიერთობა მხოლოდ საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად, შესაბამისად, სრულიად ლოგიკურია ძველი მტრისადმი უნდობლობა და სიფრთხილე.

ანალოგიურად, გერმანია ძირეულად გარდაიქმნა და გაცნობიერებული ძალისხმევის შედეგად განწყვიტა ყველანაირი კავშირი ამჟამინდელ გერმანიასა და მესამე რაიხს შორის (Hein and Selden, 2000). გერმანიის ბევრი მეზობელი, მაგალითად, საფრანგეთი (Hanke et al., 2013) და პოლონეთი (Imhoff et al., 2017) აღიარებს ამ ტრანსფორმაციას და შეუძლია გამიჯნოს წარსულის გერმანია თანამედროვესაგან. ამისგან განსხვავებით, ისრაელელი ებრაელების რეაქცია არ არის ცალსახა. ისინი უფრო ყოყმანობენ და არ სურთ, წარსულში დატოვონ ჰოლოკოსტი. ისინი უფრო მეტად აკავშირებენ წარსულს აწმყოსთან, შესაბამისად, მათი დამოკიდებულება თანამედროვე გერმანიასთან წარსულითაა განპირობებული (Imhoff et al., 2017). რადგან ჰოლოკოსტი გერმანული და ევროპული საუკუნეობრივი ანტისემიტის ტრაგიკული კულმინაციაა, ბევრი ებრაელი თავს იკავებს წარსულის დავიწყებისაგან; ჰოლოკოსტი ხშირად იმპლიციტურად თან სდევს ებრაელების ურთიერთობას თანამედროვე გერმანელებთან მაშინაც კი, როდესაც საკითხი წარსულს არ ეხება (Imhoff, 2009).

წარსულში დამნაშავე ჯგუფსა და ამ ჯგუფის თანამედროვე წევრებს შორის უწყვეტი კავშირის აღქმის მოტივაციები ირეკლება ფრთხილი დამოკიდებულება იმ ჯგუფისადმი, რომელიც კვლავაც აღიქმება პოტენციურად საფრთხის შემცველად. მაგალითად, ლიბანელი მარონიტი ქრისტიანები ცხადად ხედავდნენ კავშირს ყოფილი მტრული ჯგუფის, ლიბანელი მუსლიმების, წარსულ და თანამედროვე წევრებს შორის (Licata et al., 2012), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი მოტივირებული არიან, თანამედროვე ჯგუფი პოტენციურად ისეთივე მზაკვრული განზრახვების მქონედ აღიქვან, როგორიც ისტორიული ჯგუფი იყო.

კოლექტიური რეაქციები ტრავმულ წარსულზე ბევრი თვალსაზრისით მსგავსია ინდივიდუალური პოსტტრავმული რეაქციისა. ინდივიდუალურ დონეზე ტრავმულმა გამოცდილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს პოსტტრავმული რეაქცია, რომელიც გამძაფრებული სიფხიზლით, მოვლენის ხელახალი განცდით და მისი შემახსენებელი სტიმულების თავიდან აცილებით ხასიათდება (Solomon and Mikulincer, 2006). მიუხედავად იმისა, რომ ეს უკიდურესი რეაქცია, შესაძლოა, გამომწვევად იყოს, მისთვის დამახასიათებელი ადაპტაციური ელემენტები არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა. სიკვდილთან პირისპირ აღმოჩენის გამოცდილება ასწავლის ადამიანებს, რომ საფრთხის მიმართ განსაკუთრებული სიფხიზლე და ყურადღება აუცილებელია სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი ვითარების კვლავ წარმოშობის პრევენციისათვის.

საბაზისო ევოლუციურ დონეზე, „რძით პირდამწვარი დოსაც სულს უბერავდა“ დინამიკა შეიძლება აიხსნას, როგორც შიშის განპირობებულობა – ადაპტაციური პასუხი საფრთხის შემცველ სტიმულზე, რომელიც მარტივად ათვისებადია, მაგრამ მდგრადია ცვლილებისადმი (LeDoux, 1996). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ იგივე მექანიზმები, რომლებიც იცავს ინდივიდებს საფრთხისგან, უზრუნველყოფს ჯგუფის გადარჩენას გამძაფრებული სიფხიზლის შენარჩუნებით იმ ჯგუფის მიმართ, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა წარსულში.

ადაპტაციური სიფხიზლიდან პოსტტრავმულ მსოფლალქმამდე

ეს შედარებით სწორხაზოვანი ევოლუციური ახსნა არ არის საკმარისი ტრავმის მექანიზმების ცოცხლად შენარჩუნების ადაპტაციური ფუნქციების სრულყოფილად გასაგებად, რადგან, ზოგ შემთხვევაში ისტორიული დამნაშავე აღარ არსებობს. ამ დროს პოტენციურად სახიფათო მტრის მიმართ სიფხიზლე ევოლუციურად არ აიხსნება. ისტორიული მექანიზმების შემუშავების/კულტივაციის კიდევ ერთი ევოლუციური ახსნის თანახმად, ტრავმის შედეგად წარმოშობილი სიფხიზლე არაა აუცილებელი მხოლოდ კონკრეტულ დამნაშავე ჯგუფთან მიმართებაში ჩამოყალიბდეს; ის შეიძლება განზოგადდეს და გარდაიქმნას ქრონიკული სიფხიზლის მდგომარეობად, რომელიც ყველა სხვა ჯგუფზე ვრცელდება. როგორც ვოტსონისა და რეინერის (Watson and Rayner, 1920) სასტიკი ექსპერიმენტში პატარა ალბერტმა დაისწავლა შიშის განზოგადება ყველა ბალნიან საგანზე, ჯგუფებსაც შეუძლიათ დაისწავლონ, რომ სხვა ჯგუფის წევრები მტრულად არიან განწყობილი მათ მიმართ და რომ მოძალადე მხოლოდ სახეს იცვლის და არა მტრულ განზრახვას. შიშის ასეთი განზოგადება, შესაძლოა, ასახავს იმ ფაქტის მტკიცებულებას, რომ ჯგუფი, სინამდვილეში, ბევრის ზიზლის საგანია, რის შემდეგაც სხვა ჯგუფის წევრების მხრიდან ცუდად მოპყრობის მოლოდინი ლოგიკური ხდება.

მაგალითად, დევნის ხანგრძლივმა ისტორიამ ხელი შეუწყო უარყოფის სენსიტიურობის ერთგვარი ფორმის დამკვიდრებას ებრაელთა შორის, რომლებიც ხშირად აღიქვამენ გარე სამყაროს, როგორც იმთავითვე მტრულად განწყობილს მათ მიმართ (Hirschberger et al., 2010). დღეს, როდესაც ანტისემიტიზმის ღიად გამოხატვა მიუღებელია ბევრ საზოგადოებაში, თუმცა მზარდია ისრაელის პოლიტიკის კრიტიკა, სულ უფრო რთული ხდება საკამათო პოლიტიკისადმი ლეგიტიმური ოპოზიციის გარჩევა ლეგიტიმურობით შენიღბული ღრმად ფესვგადგმული ზიზლისგან. კვლევების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში ანტიისრაელური განწყობების მნიშვნელოვანი წილი პირდაპირ კავშირშია ანტისემიტიზმთან, ისრაელის კრიტიკოსთა უმრავლესობა სულაც არ ამჟღავნებს ანტისემიტურ განწყობებს (Kempf, 2011). ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიშანი იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ლეგიტიმურ კრიტიკას ღვარძლიანი ზიზლი უდევს საფუძვლად, არის კრიტიკის ტონი – ორმოცდაათი ევროპული ქვეყნის რეპრეზენტატიული ნიმუშების კვლევამ აჩვენა, რომ ისრაელის წინააღმდეგ უკიდურესად ჰიპერბოლური ენის გამოყენება ანტისემიტურ მოტივებზე მიაწინებდა (Kaplan and Small, 2006). სიგნალის ამოცნობის თვალსაზრისით (Macmillan et al., 2002), კეთილგანწყობილი კრიტიკისა და სიძულვილის (ყალბი პოზიტივი) ერთმანეთისაგან ვერგარჩევა უფრო მეტად შეიძლება იყოს ჯგუფის გადარჩენისათვის ხელშემწყობი, ვიდრე ის, რომ ვერ შეამჩნიო (გამოგრჩეს) სიძულვილი. ეს გადანონის ამ პარანოიდული მსოფლალქმის უარყოფით მხარეებს.

თუმცა, ეს, ერთი შეხედვით, ადაპტაციური სიფრთხილე შეიძლება გადაიზარდოს პოსტტრავმულ მსოფლალქმამდე, რომელიც ხასიათდება გადაჭარბებული სიფხიზლითა და აკვიატებული ყურადღებით საშიშროების მიმართ, რასაც შეიძლება თან ერთვოდეს უყურადღებობის სიბრმავე სხვა ჯგუფების მხრიდან პოზიტიური სიგნალებისადმი და განცდა, რომ ჯგუფი მართა ამ სამყაროში და თავად უნდა იზრუნოს საკუთარ თავზე (Hirschberger et al., 2017). სამყაროს ასეთმა აღქმამ, ინდივიდუალურ დონეზე შესაძლოა გამოიწვიოს შფოთვა და წარუმატებლობა (Mendoza-

Denton et al., 2002); კოლექტიურ დონეზე სხვების მიმართ ქრონიკულმა უნდობლობამ შეიძლება შედეგად გამოიღოს უკიდურესი კონცენტრირება საკუთარ ძალებზე და აგრესიულობა ნებისმიერი, დიდი თუ მცირე საფრთხის მიმართ. თუ ცხოვრება არაპროგნოზირებადია და ჯგუფი მართა მთელი სამყაროს პირისპირ, მაშინ ყველანაირი საფრთხე ეგზისტენციალურ საფრთხედ უნდა იყოს მიჩნეული, რადგან დაუშვებელია შეცდომა და უგულებელყოფა საშიშროებისა, რომელიც შეიძლება რეალური აღმოჩნდეს. პასუხი უნდა იყოს დაუყოვნებელი და ძლიერი და რადგან თავად სიცოცხლე დევს სასწორზე, ქმედების მორალურობა ეჭვგარეშეა (Hirschberger et al., 2017). ეს პოსტტრავმული მსოფლმხედველობა, შესაძლოა, აღარ ემსახურებოდეს ევოლუციურ ადაპტაციურ ფუნქციას – ჯგუფის გადარჩენას. რაც არ უნდა ირონიულად ჟღერდეს, მან, შესაძლოა, მოწყვლადიც კი გახადოს ჯგუფის წევრთა უსაფრთხოება იმით, რომ ხელს უწყობს აგრესიული პოლიტიკის შენარჩუნებას, რომელიც შეიძლება ყველა შემთხვევაში არ იყოს აუცილებელი და უბიძგებდეს ჯგუფს არასაჭირო კონფლიქტებში ჩართვისკენ. მაშინ, რატომ ვერ თმობენ ჯგუფის წევრები, ერთი შეხედვით, საზიანო მსოფლალქმას, რომელიც, შესაძლოა, არ ემსახურებოდეს მათ საუკეთესო ინტერესებს?

ტრავმა დაკავშირებულია სიკვდილთან, სიკვდილი წარმოშობს მნიშვნელობას

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი ტრავმა ყოფით მეტყველებაში, ხშირად, შედარებით მსუბუქი მოვლენების აღსაწერად გამოიყენება (მაგალითად, „ჩემი სტომატოლოგთან ვიზიტი ტრავმული იყო“), ტრავმის ფსიქოლოგიური განმარტება ამ ფენომენის ცენტრალურ კომპონენტად მოიზარებს სიკვდილის საშიშროების წინაშე აღმოჩენას ან სიკვდილის შიშით გამონეულ შფოთვისას (Galea et al., 2003; Smelser, 2004). აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება გავიგოთ, როლი აქვს სიკვდილს კოლექტიურ ტრავმაში და რა კავშირი აქვს მას მნიშვნელობის კონსტრუირებასთან იმისათვის, რომ ნათელი მოვფინოთ მოტივაციებს, რომლებიც განაპირობებს კოლექტიური ტრავმის მეხსიერების შენარჩუნებას, მიუხედავად ზიანისა, რაც ამ მეხსიერებამ შეიძლება გამოიწვიოს.

წაშრომში „მნიშვნელობის დაბადება და სიკვდილი“ კულტურანთროპოლოგი ერნესტ ბეკერი ამტკიცებს, რომ „დიდწილად საზოგადოებაა პასუხისმგებელი ადამიანთა ფორმირებაზე, მათთვის უფრო თავისუფლად და უფრო უშიშრად განვითარების შესაძლებლობის მიცემაზე. თუმცა ამ განვითარებას აფერხებს და ართულებს ადამიანის საბაზისო ცხოველური შიშები: ღრმა და მუდმივი შფოთვა საკუთარი უძლურებისა და სიკვდილის წინაშე, შიში, რომ შთაინთქმება სამყაროსა და სხვების მიერ. ყოველივე ეს ანიჭებს მის ცხოვრებას მამოძრავებელ ძალას, სასონარკვეთას და მისი არსისა და საკუთარი, როგორც არსების, მნიშვნელობით ობსესიას“ (Becker, 1975).

ბეკერი (1973, 1975) შემდეგ აღნიშნავს, რომ ადამიანები სოციალური ცხოველები არიან არა მხოლოდ ევოლუციური ბუნების, არამედ მათთვის დამახასიათებელი ფუნდამენტური მოთხოვნების გამო – ეძიებდნენ არსსა და მნიშვნელობას. არსის ძიების უმთავრეს ასპექტს წარმოადგენს სიკვდილი, როგორც ადამიანის ფუნდამენტური პრობლემა. სხვა მოკვდავი არსებებისგან განსხვავებით, რომლებიც მარადიულ ანმყოში ცხოვრობენ და არ ფიქრობენ საბოლოო ხვედრზე, ადამიანები დაჯილდოებული არიან რთული, კოგნიტური სისტემით, რომელიც თვითშეგნებას აყალიბებს. ის საშუალებას გვაძლევს, გვახსოვდეს ჩვენი წარსული, წარმოვიდგინოთ ჩვენი მომავალი და გონებაში წარმოვისახოთ საკუთარი თავი დროსა და სივრცეში, იქ, სადაც ჩვენ შეიძლება გვსურდეს ყოფნა. ამ განსაკუთრებულ უნარს თან ახლავს ერთგვარი შფოთისმომგვრელი გვერდითი მოვლენა – მტკივნეული გაცნობიერება ყოფიერების შეზღუდული, წარმავალი ბუნებისა. ტერორის მართვის თეორიის მიხედვით (TMT – Terror Management Theory: მაგ., Pyszczynski et al., 2015), ინსტინქტური თვითგადარჩენით მოტივირებულ ცხოველში სიკვდილის ცნობიერება განაპირობებს დაუძლეველ/წარმოუდგენელ/impossible დაძაბულობას სიცოცხლის სურვილსა და

იმის საბოლოო აღიარებას შორის, რომ სიკვდილი გარდაუვალია და რომ ამ ბედისწერის შეცვლის ყველანაირი მცდელობა მარცხისთვისაა განწირული. ამ გადაუჭრელ შფოთვისთან გასამკლავებლად ადამიანებმა შექმნეს კულტურული მსოფლმხედველობები – ეგზისტენციალური ილუზიები (Greenberg, 2012), რომლებიც ცხოვრებას არსს, მნიშვნელობას და მიზანს ანიჭებს. ამ მსოფლმხედველობებს არ შეუძლიათ სიკვდილის პრობლემის გადაჭრა, თუმცა ისინი ქმნიან ნუგეშის მომგვრელ ილუზიებს, რომ „მე“-ს ნაწილი გადაურჩება ფიზიკურ სიკვდილს და გააგრძელებს არსებობას კულტურული რიტუალების, სიმბოლოებისა და რწმენის სისტემების მეშვეობით. სიმბოლური უკვდავების (Lifton, 1973) ასეთი განცდა უზრუნველყოფს მოჩვენებით უწყვეტობას, რაც ფიზიკური „მე“-ს ძალებს აღემატება და ამით არა მხოლოდ ამსუბუქებს ინდივიდის ეგზისტენციალურ შფოთვის, არამედ ათავსებს მას სიმბოლურ კოლექტიურ ერთობაში, რომელიც არსებობდა მის დაბადებამდე და, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს გააგრძელებს არსებობას მისი გარდაცვალების შემდეგაც. აქედან გამომდინარე, ამ სიმბოლურ კოლექტიურ ერთობასთან მჭიდრო კავშირი და მასთან იდენტიფიკაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სიკვდილის ტერორის სამართავად. [ეს კავშირი] იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კოლექტივის მეხსიერება ინდივიდის მეხსიერებად იქცევა, კოლექტივის მისწრაფებები ინდივიდის მისწრაფებები ხდება და ამ კოლექტივის ტკივილი და უბედობა განიცდება, როგორც რეალური ინდივიდუალური ტანჯვა.

ამგვარად, ეგზისტენციალური თვალსაზრისით, სწორედ ის ძალები, რომლებიც ჯგუფის რღვევას მოასწავებს, პარადოქსულად, შესაძლოა, ჯგუფის ჩამოყალიბების განმაპირობებელი გახდეს. კერძოდ, კოლექტიური ტრავმის მეხსიერება, რომელიც ამძაფრებს ინდივიდუალური და კოლექტიური ეგზისტენციალური საფრთხის განცდას, ბიძგს აძლევს კოლექტიური მნიშვნელობის ძიებას ჯგუფთან მჭიდროდ დაკავშირებისა და მასთან იდენტიფიკაციის გზით (Hirschberger et al., 2016a). იდენტიფიკაციის ეს პროცესი აუცილებლად გულისხმობს ჯგუფის, როგორც მსოფლიოში განსაკუთრებულის და უნიკალურის, აღქმას, იმდენად, რომ მისთვის ტანჯვა და თავის განწირვა კი მნიშვნელოვანი და საპატიოა, როგორც ეს ძველ ლათინურ ანდაზაშია ნათქვამი *“dulce et decorum est pro patria mori”* (ტკბილი და ღირსეულია სამშობლოსთვის სიკვდილი). ამ პროცესში ჯგუფის ისტორია და, განსაკუთრებით, ტრავმული წარსული, ჯგუფის თანამედროვე ბრძოლისა და კონფრონტაციებისათვის მნიშვნელობით უზრუნველყოფს შეუცვლელი მექანიზმი ხდება. ტრავმისათვის მნიშვნელობის მინიჭების მცდელობა და, სხვაგვარად, აზრს მოკლებული სიკვდილის გამირობად წარმოჩენა ეხმარება ჯგუფის წინააღმდეგ ძალადობის კოლექტიურ მეხსიერებას და კულმინაციას აღწევს, როცა ჯგუფის წევრების სიკვდილი, პარადოქსულად, ჯგუფის უწყვეტობისა და უკვდავების სიმბოლოდ გარდაიქმნება.

სუიციდური ტერორიზმი, მაგალითად, არის *wanton*/უაზრო/უზნეო ძალადობის ფორმა უდანაშაულო მოქალაქეების წინააღმდეგ, როცა ტერორისტი სწირავს საკუთარ სიცოცხლეს სხვა, შემთხვევითი ადამიანების მკვლელობის პროცესში. ამ, ერთი შეხედვით, ირაციონალური და აზრს მოკლებული ქმედების ზოგიერთი განმარტების თანახმად, სწორედ მნიშვნელობის ძიება განაპირობებს თვითმკვლელი ტერორისტის მოტივაციას (Kruglanski et al., 2009). ჯგუფისთვის თავის განწირვით ტერორისტი მოწამედ აღიქმება და სხვების თვალში რიგითი, არაფრით გამოჩეული ადამიანიდან, ერთფეროვანი მასის წევრიდან, კვარცხლბეკზე მდგომ უკვდავ გამირად გარდაიქმნება. ჯგუფისთვის უკიდურესი თავგანწირვა ჯგუფის სავარაუდო მტრის წინააღმდეგ არა მხოლოდ ამაღლებს ტერორისტის სტატუსს და ანიჭებს მას სიმბოლურ უკვდავებას ფიზიკური მოკვდაობის სანაცვლოდ, არამედ აკავშირებს ამ ქმედებას ჯგუფსა და სხვა ჯგუფებს შორის ისტორიულ დაპირისპირებასთან და აიგივებს მას ლეგენდარულ ისტორიულ ფიგურებთან (Acosta, 2016). ამით ახალგაზრდა თვითმკვლელი ტერორისტის სიკვდილი ინდივიდუალური ტრავმადიდან ჯგუფის უკვდავების სიმბოლოდ გარდაიქმნება და ხელახლა დასტურდება კავშირი ისტორიული გამირობისა და თანამედროვე მოწამეების მიერ გაღებულ მსხვერპლს შორის.

ომები, ხოცვა-ჟლეტა და გენოციდი ადამიანებს უბიძგებს იმის მტკიცებულებას, რომ ადამიანის სიცოცხლე უკიდურესად მყიფე და მოწყვლადია და რომ ძალადობრივ დროში ადამიანის სიცოცხლე თითქმის სრულიად უფასურდება. სწორედ ასეთ დროს ხდება კოლექტიური „მე“ ფასდაუდებელი. ის ანაცვლებს ინდივიდის ფრუსტრირებულ სწრაფვას სიცოცხლისაკენ იმ იმედით, რომ კოლექტივი გადარჩება და გააგრძელებს არსებობას დროში. როგორც ფრანგი სოციოლოგი ოგიუსტ კონტი ამტკიცებდა: „ერთადერთი ნამდვილი ცხოვრება რასის [ჯგუფის] კოლექტიური ცხოვრებაა. ინდივიდუალურ სიცოცხლეს არ აქვს არსი, მხოლოდ აბსტრაქცია“ (Gane, 2006). როდესაც ადამიანები მასობრივი სიკვდილის პირისპირ აღმოჩნდებიან და უნარი არ შესწევთ, გაუმკლავდნენ მას, ისინი იწყებენ მნიშვნელობის ძიებას და ნუგეშს ჯგუფში პოულობენ – კოლექტიურ სომბოლურ სტრუქტურაში, რომელიც გაცილებით დიდი და გამძლეა, ვიდრე ფიზიკური „მე“ (Becker, 1973) და რომელიც მოიცავს მნიშვნელობისა და იდენტობის საბაზისო ელემენტებს: ღირებულებებს, ქმედითობას, მიზანს და მნიშვნელოვნებას (Vignoles et al., 2006).

ტრავმა ბიძგს აძლევს თვითუწყვეტობას

ეგზისტენციალური საფრთხე ბიძგს აძლევს თვითუწყვეტობას და სიმბოლური უკვდავებისკენ სწრაფვას სოციალური იდენტობის მეშვეობით (მაგ., Castano et al., 2002), მაგრამ როგორია უწყვეტი „მე“-ს ბუნება და რა როლი აქვს მას ტრავმებისათვის მნიშვნელობის მინიჭების პროცესში? უკანასკნელ წლებში სოციალური ფსიქოლოგიის თეორიამ და კვლევამ აღიარა დროის განზომილების მნიშვნელობა სოციალური იდენტიფიკაციისათვის; მზარდია ასევე ისტორიის როლით დაინტერესება ჯგუფის იდენტობის ფორმირებაში (მაგ., Reicher and Hopkins, 2001). მაგალითად, სოციალური რეპრეზენტაციების თეორიის (Moscovici, 1988; Liu and Hilton, 2005) თანახმად, ის, თუ როგორ კონსტრუირდება და აიხსნება ისტორიული მოვლენები, შესაძლოა, დიდ გავლენას ახდენდეს ანმეოსადმი დამოკიდებულებასა და მომავალთან დაკავშირებულ მოლოდინებზე. სხვა თვალსაზრისით, სოციალური ინფორმაცია, რომელიც წარსულიდან ანმეოში მოგზაურობს, ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: კულტურული უწყვეტობის აღქმა – რამდენად გადაეცემა ჯგუფის ღირებულებები და ნორმები თაობიდან თაობას, და ისტორიული უწყვეტობის აღმა – რამდენად არის მიზეზშედეგობრივად ურთირთდაკავშირებული და ჯგუფის თანამედროვე იდენტობაში ინტეგრირებული მოვლენები ჯგუფის წარსულიდან (Sani et al., 2007, 2009).

ჯგუფის დროში უწყვეტობის კონცეპტუალიზაცია ერთმანეთისაგან განასხვავებს ჯგუფის აღქმას, როგორც ინტრაგენერაციული ერთობისა, რომელიც ჯგუფის მხოლოდ ცოცხალ წევრებს მოიცავს და ჯგუფის აღმას, როგორც ტრანსგენერაციული ერთობისა, რომელიც აერთიანებს ჯგუფის ყველა წევრს: წარსულს, ანმეოს და მომავალს (Kahn et al., 2017). ისრაელელებთან, პალესტინელებსა და შვედებთან ჩატარებულმა კორელაციურმა და ექსპერიმენტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ინდივიდებს, რომლებიც აღიქვამენ ჯგუფს ტრანსგენერაციულ ერთობად, მეტი მიმდებლობა აქვთ მსხვერპლის მიმართ, რომელიც ჯგუფის ინტერესების ხელშეწყობის აუცილებელ პირობადაა მიჩნეული. ამ შემთხვევაში კოლექტიურ მნიშვნელობას უპირატესობა ენიჭება ინდივიდთა სიცოცხლესთან შედარებით (Kahn et al., 2017).

ჯგუფის ტრანსგენერაციული კონცეფციის კვლევამ გამოკვეთა სხვაობა ჯგუფის წევრების ფიზიკურ სიცოცხლესა და სიმბოლური კოლექტივის არსებობას შორის, რაც ადასტურებს ზემოთ მოყვანილ ეგზისტენციალურ განმარტებებს. კერძოდ, ინდივიდები, რომლებიც ჯგუფის განსაზღვრისას მასში აერთიანებენ წარსული და მომავალი ჯგუფის წევრებს, უფრო სავარაუდოა, რომ ჯგუფის ანმეო წევრების სიცოცხლეს ნაკლებად მნიშვნელოვნად თვლიან, თუ ეს მსხვერპლი ჯგუფის უწყვეტობისათვის ხელშემწყობად მიიჩნევა. შესაბამისად, კოლექტიურმა ტრავმამ, შესაძლოა, არა მხოლოდ გაზარდოს უწყვეტი სიმბოლური კოლექტივის შენარჩუნების სურვილი,

არამედ გადაიტანოს ყურადღება ტრავმის ზემოქმედების ინდივიდუალური განზომილებიდან იმ გავლენაზე, რომელიც ტრავმამ შეიძლება იქონიოს ჯგუფის მომავალზე.

ისტორიული უწყვეტობისა და ტრანსგენერაციული იდენტიფიკაციის კვლევა კიდევ ერთ ასპექტს გვთავაზობს ტრავმის როლის გასააზრებლად კოლექტიური მნიშვნელობის კონსტრუირების პროცესში. თუ ტრავმისაგან წარმოქმნილი ეგზისტენციალური შფოთვა ბიძგს აძლევს სიმბოლური უწყვეტი კოლექტიური „მე“-ს კონსტრუირებას იმდენად, რომ ჯგუფის უკვდავყოფისაკენ სწრაფვისას ინდივიდის სიცოცხლე უმნიშვნელო ხდება (Pyszczynski et al., 2006; Routledge and Arndt, 2008), ტრანსგენერაციული სოციალური იდენტობის წარმატებული კონსტრუირება ტერორის მართვის კულმინაციაა. ის ეხმარება ინდივიდებს იმ ინსტიტუტური შიშის დაძლევაში, რომელსაც ჯგუფის სხვა წევრების ტანჯვისა და სიკვდილის ნახვით განიცდიან. ტრანსგენერაციული იდენტობა გულისხმობს დისტანციურ ხედვას, რომელიც უგულებელყოფს აწმყო მსხვერპლს, სცილდება აწმყო და ცხადად წარმოიდგენს მხოლოდ იმ სარგებელს, რომელიც ჯგუფმა მომავალში შეიძლება მიიღოს (Kahn et al., 2017). ალბათ ამ ტრანსგენერაციული აზროვნების წესიდან გამომდინარე ამტკიცებდა ნაპოლეონი, რომ „სიკვდილი არაფერია, მაგრამ დამარცხებული და სახელგატყეხილი ცხოვრება ყოველდღიური სიკვდილია“.

მნიშვნელობა არ არის მონოლითური: ტრავმის სოციალური რეპრეზენტაციები

კოლექტიური ტრავმისა და მნიშვნელობის ანალიზისას ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ წარმოშობს ტრავმა მნიშვნელობას მსხვერპლი ჯგუფების შემთხვევაში. ის ამსუბუქებს ეგზისტენციალურ საფრთხეს, ბიძგს აძლევს კოლექტიური მნიშვნელობის ძიებას, ხელს უწყობს ინდივიდის მოთავსებას სოციალურ ჯგუფში, რომელიც სცილდება ფიზიკურ არსებობას, ავითარებს უწყვეტ ისტორიულ „მე“-ს, რომელიც მოიცავს საუკუნეებს და ათასწლეულებს და უფრო ღირებულად მიიჩნევა, ვიდრე ინდივიდუალური სიცოცხლე, და აძლიერებს ჯგუფურ იდენტიფიკაციას და ერთობას. ტრავმული ისტორიის მქონე საზოგადოებები ტრავმის მნიშვნელობის კონსტრუირებისა და რეკონსტრუირების მუდმივ პროცესში არიან, რაც, წარსულის გაგებაზე მეტად, აწმყო გააზრების მწვავე საჭიროებითაა გამოწვეული. რამდენადაც აწმყო განსაზღვრავს მეხსიერების ფორმირებას, აწმყო პირობების ცვლილებასთან ერთად წარსულის ამა თუ იმ სახით დამახსოვრების მოტივაციაც, შესაძლოა, შეიცვალოს (Rimé et al., 2015). მნიშვნელობის ეს რეკონსტრუქცია წარმოადგენს საბაზისო კავშირების ხელახლა შექმნას (Baumeister and Vohs, 2002); მიზნის, ღირებულებების, მნიშვნელოვნების და ქმედითობის განცდის აღდგენას, განსხვავების გამოსაკვეთად. თუმცა ეს დასკვნები მონოლითური კავშირის არსებობას გულისხმობს ტრავმას, მეხსიერებასა და მნიშვნელობას შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსალოდნელია, ჯგუფის ყველა წევრმა ერთგვარი მნიშვნელობა მიანიჭოს ერთსა და იმავე კოლექტიურ ტრავმას. მაგრამ ადამიანებს ისტორია განსხვავებულად ესმით და ის, რაც დანაშაულის განცდას იწვევს ზოგიერთში, სხვებში სიამაყეს შეიძლება აღძრავდეს. ეს დამოკიდებულია მათ მიერ წარსულის რეპრეზენტაციასა და საკუთარი ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის ატრიბუციაზე (Doosje and Branscombe, 2003; Imhoff et al., 2017). ზოგიერთისათვის ევროპაში გენოციდის ისტორია დანაშაულის განცდას აღძრავს და იწვევს სურვილს, აანაზღაუროს ჩადენილი დანაშაული ევროპაში მიმდინარე ემიგრაციის პროცესისადმი კეთილგანწყობით (Rees et al., 2013); სხვებისათვის იგივე ისტორია შეიძლება გულისხმობდეს სხვა კულტურებთან შერევის საშიშროებას და დასავლური ცივილიზაციის დაცვის საჭიროებას არასასურველი გავლენებისაგან.

მსგავსად, ჰოლოკოსტთან დაკავშირებული დიქტუმი „ალარასდროს“ ზოგიერთი ისრაელელი ებრაელის მიერ აღიქმება, როგორც მონოდება ბრძოლისაკენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ებრაელი ხალხი ალარასდროს აღმოჩნდეს განადგურების საფრთხის წინაშე. სხვათათვის იგივე ისტორია მორალური იმპერატივია, რომ ებრაელები, რომლებმაც უკიდურესი რასობრივი სიძულვი-

ლის შედეგები გამოსცადეს, ფრონტის წინა ხაზზე უნდა იდგნენ ყოველგვარი ცრურწმენისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში და განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ, რომ თავად არ მოახდინონ სხვათა ვიქტიმიზება (Bauer, 1979; Klar et al., 2013). ამგვარად, როგორც ჩანს, არსებობს ინდივიდუალური განსხვავებები იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ახსოვთ ჯგუფის წევრების კოლექტიური ტრავმა და რა დასკვნა გამოაქვთ მისგან. სოციალური რეპრეზენტაციის თეორია გვთავაზობს ჩარჩოს ისტორიის გააზრებას ვარიაციებისა და იმის გასაგებად, თუ რა გავლენას ახდენს ეს ვარიაციები მნიშვნელობის კონსტრუირებაზე.

ისტორიის სოციალური რეპრეზენტაციების კვლევა მიუთითებს მზარდ გააზრებაზე იმისა, რომ აუცილებელი არაა, ისტორიის კოლექტიური რეპრეზენტაცია ისტორიულ ჭეშმარიტებას ასახავდეს. ის წარმოადგენს ისტორიული ფაქტებისა და იმ საზიარო მითების და რწმენების კომბინაციას, რომლებიც არსებითია ჯგუფის იდენტობის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისათვის (e.g., Reicher and Hopkins, 2001; Liu and Hilton, 2005). სოციალური რეპრეზენტაციები არა მხოლოდ ჯგუფის წევრების მიერ კონსტრუირებულ წარსულის ხედვას ემყარება, არამედ სხვა ჯგუფის წევრების აღქმასაც. შიდა და გარე ჯგუფის მიერ ჯგუფის ისტორიის განსხვავებული აღქმები, შესაძლოა, ჯგუფთაშორისი დაძაბულობის წყარო იყოს.

უთანხმოება შეიძლება არსებობდეს არა მხოლოდ დაპირისპირებულ ჯგუფებს, არამედ ერთი ჯგუფის წევრებს შორისაც. მოსკოვიცი (Moscovici, 1988) განასხვავებს ჰეგემონურ რეპრეზენტაციებს, რომლებიც გაზიარებულია პოლიტიკური პარტიის წევრების ან ერის უდიდესი ნაწილის მიერ; ემანსიპირებულ რეპრეზენტაციებს – ვარიაციებს ჰეგემონური რეპრეზენტაციებისა, რომლებიც დაშვებულია და არ არის სადავო; და პოლემიკურ რეპრეზენტაციებს, რომლებიც საზოგადოებაში არსებულ სოციალურ კონფლიქტებსა და დაპირისპირებებს უკავშირდება.

ეს განსხვავებები შეთანხმებულ და სადავო სოციალურ რეპრეზენტაციებს შორის არსებითია იმის გასაგებად, თუ როგორ იაზრებენ ადამიანები ისტორიას და საკუთარი და სხვა ჯგუფების როლს მასში. მაგალითად, მოძალადეების ქმედებები, ხშირად, რთული გასაგებია, ამიტომ მკვლევრებიც და რიგითი ადამიანებიც ატრიბუციას მიმართავენ დამნაშავეთა ქმედების ასახსნელად. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელების ქმედების განმაპირობებელი ფაქტორების საკითხი, რომელიც 1940-იანი წლების დასაწყისიდან განიხილებოდა, პოლემიკური რეპრეზენტაციის კლასიკური მაგალითია. ნაწილი შინაგან თვისებებზე/ბუნებაზე საუბრობს და გერმანელებს ახასიათებს, როგორც „საუკუნოვან აგრესორებს“ (Hearnshaw, 1940), რომელთა მუდმივი მახასიათებლები საფუძვლად უდევს მათ აგრესიას: „თუ თვისების საფუძველია მუდმივობა და არასპეციფიკურობა, ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ამ ინდივიდების თვისებას ვუწოდოთ აგრესიულობა“ (Schreier, 1943, p. 211). თანამედროვე ესენციალისტური ხედვა ყურადღებას ამახვილებს ფიქსირებულ მსოფლალქმებსა და რწმენით სისტემებზე, რომლებიც გერმანული საზოგადოების უნიკალურ მახასიათებლად მიიჩნევა (Dawidowicz, 1975; Goldhagen, 1996; Imhoff et al., 2017).

სხვები უარყოფენ შინაგანი ბოროტი ბუნების ცნებას, რომელიც საფუძვლად უდევს ბოროტ მოქმედებას. ამის სანაცვლოდ, დანაშაულს იმ გარე ფაქტორებით ხსნიან, რომელიც ზემოქმედებს მოძალადე ჯგუფზე, მაგალითად, როგორიც არის ძლიერი და დაუნდობელი რეჟიმების ზეწოლა. გერმანიის შემთხვევაში, ნაცისტური ტერორი და შიში რიგით გერმანელებს შორის, შესაძლოა, შემოთავაზებული იყოს როგორც ალტერნატიული ატრიბუცია ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი საშინელებებისა (Imhoff et al., 2017). კიდევ ერთი ატრიბუცია, რომელიც მიზეზს გარემოებებში ხედავს და არა ჯგუფში, ისტორიულ დანაშაულებს იმ უკიდურესად მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობების საბოლოო შედეგად მიიჩნევს, რომლებიც აგრესიული დიქტატორების აღზევებას უწყობს ხელს (Imhoff et al., 2017). ისტორიკოსი კრისტოფერ ბრაუნინგი იშველიებს კონფორმულობის, დამყოლობის და განმეორებითი უარყოფის სოციალურ ფსიქოლოგიურ პროცესებს, რათა ახსნას რიგითი ადამიანების ტრანსფორმაცია მასობრივ მკვლელებად (Browning, 1992).

ეს განსხვავებული ატრიბუციები ისტორიის განსხვავებულ რეპრეზენტაციებს უდევს საფუძვლად, ხოლო ამ განსხვავებულ რეპრეზენტაციებს დიდი გავლენა აქვთ ტრავმისათვის მინიჭებულ მნიშვნელობაზე. მოძალადის ქმედების ახსნა მისი შინაგანი, ბოროტი ბუნებით, ხაზს უსვამს მორალურ სხვაობას მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის და ამყარებს მსხვერპლი ჯგუფის მორალურად აღმატებულ პოზიციას; ეს მსხვერპლს საშუალებას აძლევს თავი აარიდოს უსიამოვნო კითხვას, მსგავს გარემოებებში თავადაც თუ მოიქცეოდა იმავენაირად. დამნაშავე ჯგუფისთვის კი ასეთი ატრიბუცია საფრთხის შემცველია; ის წარსულის გამო სამუდამო დამნაშავედ აქცევს ჯგუფს, რომლის ყოველ შემდგომ თაობას მოუწევს წინაპართა მიერ ჩადენილი დანაშაულის ტვირთის ტარება. ის ასევე აფერხებს ნებისმიერი ცვლილების პროცესს, რადგან ჯგუფის შინაგანი ბუნების შეცვლა თითქმის შეუძლებელია. ჩადენილი ბოროტმოქმედების შემდეგ, აზრიანი და პოზიტიური ჯგუფური იდენტობის აღსადგენად, დამნაშავე ჯგუფის წევრები ცდილობენ, ისტორიული დანაშაულები გარე, კონტროლის მიღმა არსებულ გარემოებებს მიაწერონ (Imhoff et al., 2017). ეს პროცესი შეესაბამება ატრიბუციის ძირითად შეცდომას (Pettigrew, 1979) – ატრიბუციის შეცდომის ჯგუფური დონე, როცა ადამიანები მიდრეკილი არიან, საკუთარი ჯგუფის მიერ განხორციელებული ნეგატიური ქცევა გარე მიზეზებს მიაწერონ. ეს ათავისუფლებს მათ დანაშაულის ტვირთისგან და საშუალებას აძლევს, მკაფიოდ გამიჯნონ ერთმანეთისაგან ჯგუფის ამჟამინდელი და ძველი წევრები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს მათ ჯგუფის იმგვარი სოციალური რეპრეზენტაციის ფორმულირების შესაძლებლობას აძლევს, რომელიც გამოაცალკევებს წარსულის არასასურველ ეპიზოდს და იზოლირებულად წარმოაჩენს მას, როგორც გამონაკლისი ხასიათის მქონე შეცდომას. გერმანიის ულტრამემარჯვენე AfD-ის¹ ლიდერის, ალექსანდერ გოლანდის სიტყვებით, „ჰიტლერი და ნაცისტები მხოლოდ მცირე წერტილია გერმანიის ათასწლოვან წარმატებულ ისტორიაში“.

ამგვარად, ისტორიის სოციალური რეპრეზენტაციები არა მხოლოდ მომხდარის ახსნის მცდელობას, არამედ სოციალური იდენტობის კონსტრუირების საფუძველსაც წარმოადგენს. ტრავმული მოვლენის პერიოდში ჯგუფთა შორის არსებულ მტრობას ხშირად ენაცვლება მეხსიერების ომები, რომელთა სადავო საკითხებია ტრავმის ატრიბუციები და ტრავმის მნიშვნელობა როგორც მსხვერპლი, ისე დამნაშავე ჯგუფების იმიჯისათვის. ეს გამოუცხადებელი მეხსიერების ომები, რომლებიც მიმდინარეობს მსხვერპლ და დამნაშავე ჯგუფებს შორის და თითოეული ამ ჯგუფის შიგნით, წარმოადგენს ჭიდილს პრობლემურ ისტორიასთან, ასევე შიდაჯგუფურ და ჯგუფთაშორის დისკუსიას კოლექტიური მნიშვნელობის თაობაზე.

ნაწილი II. დამნაშავეები

დამნაშავეთათვის ტრავმა მნიშვნელობას უქმნის საფრთხეს

კოლექტიურ მეხსიერებაში ისტორიული ტრავმის რეპრეზენტაციის ფორმამ, შესაძლოა, განაპირობოს იდენტობის საფრთხე დამნაშავე ჯგუფის წევრთათვის (Branscombe et al., 1999) და მნიშვნელობის დაკარგვით გამოწვეული მორალური ზიანი მიაყენოს მას (Litz et al., 2009); პასუხისმგებლობის შეხსენება წარულში ჯგუფის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო ადამიანებში იწვევს საკუთარი მნიშვნელობის დაკნინებას (Castano and Giner-Sorolla, 2006) და ნეგატიურ დამოკიდებულებას მსხვერპლი ჯგუფის მიმართ; ის განაპირობებს თავდაცვით რეაქციას, რაც გამოიხატება ისტორიული დანაშაულის მინიმიზაციის მცდელობით (Doosje and Branscombe, 2003), მოვლენის მეხსიერების დამახინჯებით (Frijda, 1997; Dresler-Hawke, 2005; Sahdra and

¹ Alternative für Deutschland (ალტერნატივა გერმანიისათვის) – მემარჯვენე პოლიტიკური პარტია გერმანიაში (მთარგმნელის შენიშვნა).

Ross, 2007) და საკუთარი ჯგუფის ქცევის გამართლებით (Staub, 2006). დამნაშავე ჯგუფის წევრების არასასურველ მოვლენასთან დაკავშირებულ მეხსიერებაში ხშირად ჩნდება „ჩავარდნები“, რომლებიც მათ შიდა უთანხმოების აღმოფხვრაში ეხმარება (Frijda, 1997, p. 109; Dalton and Huang, 2014). ისინი ასევე ხშირად უარყოფენ წარსულის რელევანტურობას აწმყოში და ითხოვენ ისტორიის ამ ეპიზოდის შესახებ დისკუსიის დასრულებას (Hanke et al., 2013; Imhoff et al., 2017). დანაშაულებრივი წარსულის გამო ჯგუფის მორალური იმიჯის შელახვა განსაკუთრებით მტკივნეულია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ჯგუფთან ძლიერ იდენტიფიცირებას ახდენენ (Ellemers et al., 2002). მათთვის ისტორიის თავდაცვითი რეპრეზენტაცია (Hirschberger et al., 2016b) აუცილებელია დადებითი სოციალური იდენტობის აღსადგენად, რაც მათ მე-კონცეფციაზე აისახება (Tajfel and Turner, 1979); ისინი განსაკუთრებით არიან მოტივირებული, სჯეროდეთ, რომ მათი ჯგუფი ზნეობრივი და კარგია (Leach et al., 2007). მათთვის, ვინც ჯგუფთან ნაკლებად ძლიერ იდენტიფიცირების ახდენენ, კოლექტიური დანაშაული, გარკვეულწილად, მისაღებია, მაგრამ ძლიერი მიკუთვნებულობის განცდის მქონეთათვის დანაშაულის აღიარება მიუღებელია (Klein et al., 2011); ისინი ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის შეხსენებაზე თავდაცვითი მოსაზრებებით რეაგირებენ (de Hoog, 2013), სუსტი მიკუთვნებულობის განცდის მქონე წევრებთან შედარებით ნაკლებად განიცდიან კოლექტიურ დანაშაულს (Doosje et al., 1998) და მათი დაპირისპირება სხვა ჯგუფის მიმართ იზრდება (Smeekes and Verkuyten, 2013).

ტრავმის უარყოფა

ყველაზე ექსტრემალური ფორმა იმ საფრთხისგან თავის დასაცავად, რომელსაც კოლექტიური ტრავმა მოძალადეთა მორალურ იმიჯს უქმნის, იმის უარყოფაა, რომ ტრავმული მოვლენა ნამდვილად მოხდა. თუ ტრავმა არასოდეს მომხდარა, არა მხოლოდ სავარაუდო დამნაშავეები თავისუფლდებიან ბრალისგან, არამედ სრულიად იცვლება დამნაშავესა და მსხვერპლს შორის მიმართება და მსხვერპლი გამოდის აგრესორი, რომელიც ცრუ ბრალდებებს უყენებს სხვებს, ულახავს რეპუტაციას და იღებს დაუმსახურებელ რეპარაციებს იმ ზიანისთვის, რომელიც მათთვის არასდროს მიუყენებიათ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობის კრიზისი, რომელიც დანაშაულის ჩამდენ ჯგუფს ემუქრება, იქცევა მორალური პოზიციის გამყარების შესაძლებლობად. მსხვერპლის ამგვარი დადანაშაულება, რაც ხშირია სექსუალური ძალადობის დროს (Campbell and Raja, 1999), უფრო რთულად დასასაბუთებელია კოლექტიური ტრავმის შემთხვევაში, რადგან ბევრია თვითმხილველი და ფიზიკური მტკიცებულება, რომელთა უგულებელყოფა რთულია. მიუხედავად ამისა, დროსთან ერთად ქრებიან უშუალო თვითმხილველები და უფრო და უფრო რთულდება ამგვარ ისტორიულ რევიზიონიზმთან დაპირისპირება (Lipstadt, 2012).

ტრავმის რეკონსტრუქცია

კოლექტიური ტრავმის შემდეგ მსხვერპლის მოძალადეებისგან გამიჯვნა, ისევე როგორც ნებაყოფლობითი კოლაბორაციონისტებისა იძულებითი კოლაბორაციონისტებისაგან – ხშირად არაა მკაფიო. სწორედ ეს გაურკვევლობა ქმნის ნოყიერ ნიადაგს ისტორიის რეკონსტრუქციისა და ჯგუფისთვის ხელსაყრელი კოლექტიური მეხსიერების შესაქმნელად. უნგრეთისა და პოლონეთის როლი მეორე მსოფლიო ომში, როდესაც ისინი მსხვერპლი-მოძალადეს მიჯნის ორივე მხარეს იყვნენ წარმოდგენილი, იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ჯგუფებმა შექმნან ისტორიის შერჩევითი ნარატივი, რომელიც ჯგუფის შესახებ მხოლოდ სასურველ ინფორმაციას შეიცავს, ხოლო მისი პოზიტიური იმიჯისთვის საზიანო ცნობებს კი უგულებელყოფს ან ამახინჯებს.

ეჭვგარეშეა, რომ პოლონელები ნაცისტების მსხვერპლნი იყვნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს მათ სამი მილიონი ეთნიკურად პოლონელი გაანადგურეს. თუმცა, ამავე დროს, უკანას-

კნელ წლებში გამოვლინდა პოლონელების მიერ, საკუთარი ნებით და არა ნაცისტების ზეწოლით, ებრაელი მეზობლების მასობრივი მკვლელობების შემზარავი ფაქტები (მაგ., Gross, 2001; Grabowski et al., 2013). ეს ცნობები აბათილებს გავრცელებულ ნარატივს, რომ პოლონელები მხოლოდ უბრალო მოწმენი ან მსხვერპლნი იყვნენ, საფრთხეს უქმნის ჯგუფის მორალურ იმიჯს და პოლონეთში იწვევს აქტიურ დებატებს სიმართლისა და მეხსიერების შესახებ (Bilewicz et al., 2014). გარდა ამისა, მსხვერპლის შეუბღალავი იმიჯის შენარჩუნების მცდელობამ განაპირობა მსხვერპლად ყოფნასთან დაკავშირებული ანტისემიტიზმი (Bilewicz and Stefaniak, 2013). ცოტა ხნის წინ პოლონეთის სენატმა დაამტკიცა საკამათო კანონი, რომელიც კანონდარღვევად ცნობს პოლონელი ხალხის ან სახელმწიფოს დადანაშაულებას ჰოლოკოსტში თანამონაწილეობაში (John, 2018). ეს მიუთითებს იმაზე, რომ მეხსიერების ომები არ არის მხოლოდ ინტელექტუალური დებატები ისტორიის შესახებ, არამედ ჯგუფის იმიჯის და მასთან დაკავშირებული მნიშვნელობის შენარჩუნების სასოწარკვეთილი მცდელობაა მღელვარე წარსულის პირისპირ.

მსგავსად, თუმცა უდავოა, რომ მეორე მსოფლიო ომს ბევრი უნგრელი ემსხვერპლა (მემარცხენე მოძრაობის წევრები და სხვა დისიდენტები). ისტორიული ცნობები ცხადყოფს საბოლოო გადანყვეტილებაში უნგრეთის ოფიციალური და ფართო ჩართულობის უსიამოვნო ფაქტს (Stauber, 2010). თუმცა, პოლონეთისგან განსხვავებით, რომელიც ოფიციალურად არასოდეს თანამშრომლობდა ნაცისტებთან, ისრის ჯვრის უნგრეთის ფაშისტური რეჟიმი ნაცისტური გერმანიის ოფიციალური მოკავშირე იყო (Deak, 1979). მიუხედავად ამისა, ბევრი უნგრელი დღეს არჩევს, თვალი აარიდოს უნგრეთის მთავრობის ოფიციალური კოლაბორაციის ფაქტს და სანაცვლოდ ამტკიცებს, რომ უნგრელები მათი ნების საწინააღმდეგოდ იყვნენ იძულებული, ეთანამშრომლათ ნაცისტებთან და მეტიც, თავად იყვნენ ნაცისტების მსხვერპლი. ეს თავდაცვითი სტრატეგია, რომელსაც ისტორიკოსებმა „ისტორიულ მეხსიერებაზე თავდასხმა“ უწოდეს (Braham, 1999), ასოცირდება მძაფრ ნაციონალიზმსა და ანტისემიტიზმთან (Hirschberger et al., 2016b), რაც მიუთითებს იმაზე, რომ მსხვერპლის სტატუსის მიღების სურვილი მოიცავს შეჯიბრებითი მსხვერპლობის დინამიკას (Noor et al., 2012). თუმცა დანაშაულებრივი წარსულის მქონე ჯგუფები ყოველთვის არ ცდილობენ ბრალისგან თავის დაღწევს; ისინი ან შეიმუშავენ ამკრძალავ ნორმებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ, არ იგრძნონ თავი დამნაშავედ (Bonnot and Krauth-Gruber, 2018), ან ჯგუფის ზოგიერთი წევრი, მაგალითად, უფროსი თაობის წარმომადგენლები, საკუთარი ჯგუფის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებისაგან თავს იცავს კოლექტიური მეხსიერების შეცვლით (Licata and Klein, 2010).

დებატები პოლონეთისა და უნგრეთის როლზე ჰოლოკოსტში დღეს ისეთი მწვავეა, როგორც არასდროს და ის წარმოადგენს ნამდვილ ბრძოლას ჯგუფის მნიშვნელობის გადარჩენისათვის. 2015 წელს, შეერთებული შტატების ჰოლოკოსტის მუზეუმის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ სადილზე, გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილმა ხელმძღვანელმა ჯეიმს ბ. კომიმ ჰოლოკოსტში უნგრეთისა და პოლონეთის როლზე ისაუბრა, რასაც დიდი დიპლომატიური ვნებათაღელვა – ამერიკის ელჩების დაბარება, ბრალდების აღშფოთებული უარყოფა და ბოდიშის მოთხოვნა მოჰყვა; შორეულ წარსულთან დაკავშირებულ მეხსიერებაზე ასეთი გაღიზიანებული რეაქცია მიუთითებს ძლიერ კავშირებზე ტრავმას, მეხსიერებასა და ჯგუფის თანამედროვე მნიშვნელობას შორის.

ტრავმისთვის ზურგის შექცევა

განსხვავებით მესამე მხარის კოლაბორაციონისტებისაგან, რომელთაც, გარკვეულწილად, შეუძლიათ პოზიტიური კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირება წარსულის უხეშად გაყალბების გარეშე, ტრავმის უშუალო შემოქმედებს/უშუალო დამნაშავეებს ამის ფუფუნება არ აქვთ. მათ ან თვალი უნდა გაუსწორონ საკუთარ წარსულს, ან უარყონ ის, ან, უბრალოდ, ზურგი აქცი-

ონ იტორიას და აღარასდროს მიიხედონ უკან. ისტორიაზე უარის თმა, შესაძლოა, სიკეთის მომტანი აღმოჩნდეს როგორც მსხვერპლთათვის, ისე დამნაშავეთათვის, როდესაც ეს შერიგების პროცესის ნაწილია (Hanke et al., 2013). ამ შემთხვევაში ისტორიის დახურვა შეიძლება მიანიშნებდეს წარსულისგან სიმბოლურ დისტანცირებაზე, რაც კონფლიქტთან დაკავშირებით შეთანხმებული მეხსიერების კონსტრუირებას განაპირობებს. მაგრამ, როდესაც ისტორიისათვის ზურგის შექცევის სურვილი მხოლოდ მოძალადე ჯგუფისგან მომდინარეობს, ეს, შესაძლოა, ბრალეულობის ტვირთით გამონეული დაცულობის გამოხატულება იყოს და მსხვერპლი ჯგუფისადმი მტრულ დამოკიდებულებად იყოს აღქმული (Imhoff et al., 2010).

მაგალითად, ბევრი გერმანელი მიიჩნევს, რომ აღარ უნდა იტანჯებოდეს წინაპართა ცოდვებით და აღიზიანებს მოწოდება, რომ ჰოლოკოსტის გამო დამნაშავედ უნდა გრძნობდეს თავს (Ahlheim and Heger, 2002; Imhoff et al., 2010). მეორე მხრივ, ბევრ ებრაელს მიაჩნია, რომ არ შეიძლება ჰოლოკოსტის პატიება ან დავიწყება და მოელიან, რომ გერმანელები აღიარებენ კოლექტიურ პასუხისმგებლობას (Cherfas et al., 2006). სხვა ტრავმის მსხვერპლი ჯგუფები ასევე ავლენენ ხსოვნის შენარჩუნების ძლიერ მოთხოვნილებას, უჭირთ პატიება და ხანგრძლივად, თაობების განმავლობაში, ინარჩუნებენ ანტიპათიას ყოფილი მტრების მიმართ (e.g., Olick and Levy, 1997; Pennebaker et al., 1997; Paez and Liu, 2011; Hanke et al., 2013).

განსხვავებული დროითი პერსპექტივები, ერთი მხრივ, დამნაშავე ჯგუფისა, რომელიც მოწადინებულია იყუროს წინ და ზურგი შეაქციოს წარსულს (Hanke et al., 2013; Imhoff et al., 2017) და, მეორე მხრივ, მსხვერპლი ჯგუფისა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს წარსულს, როგორც იდენტობის წყაროს (Kahn et al., 2017) და პრიზმას ანმეოს აღსაქმელად (Hirschberger et al., 2016a, 2017; Canetti et al., 2018), მსხვერპლსა და დამნაშავეთა შორის მეხსიერებათა ომების კიდეც ერთ განზომილებას წარმოაჩენს. ერთი მხარისათვის წარსული უდიდეს საფრთხეს უქმნის მნიშვნელობას, მეორე მხარისათვის კი მნიშვნელობის არსი სწორედ ამ ტრავმული წარსულიდან მომდინარეობს. იდენტობის პროცესის თვალსაზრისით (Vignoles et al., 2006), დანაშაულის ჩამდენი ჯგუფისთვის, რომელიც ემიჯნება წარსულს, თვითშეფასებაზე ზრუნვა გადწინის უწყვეტობის საჭიროებას (იმისთვის, რომ საკუთარი ჯგუფის გამო თავი ცუდად არ იგრძნონ, ისინი მოტივირებული არიან, განეცვიტონ კავშირი წარსულთან), მსხვერპლი ჯგუფის შემთხვევაში კი თვითშეფასება მჭიდროდ უკავშირდება უწყვეტობას. რუანდის გენოციდთან დაკავშირებულმა საინტერესო კვლევამ ცხადყო, რომ მსხვერპლი ჯგუფის ყველა წევრს არ აქვს ერთნაირი დამოკიდებულება წარსულის მიმართ. ძალადობას უშუალო გადარჩენილებს უფრო უჭირთ ცხოვრების გაგრძელება და სხვა ჯგუფთან შერიგება, ვიდრე ჯგუფის იმ წევრებს, რომლებიც არ ყოფილან ძალადობის უშუალო მომსწრენი (Kanazayire et al., 2014). ამგვარად, წარსულის გაკვეთილები განსხვავებულია არა მხოლოდ მსხვერპლი და დამნაშავე ჯგუფებისთვის, არამედ თავად ამ ჯგუფების შიგნითაც.

პასუხისმგებლობის აღიარება

დამნაშავე ჯგუფებისათვის ერთ-ერთი ურთულესი საკითხი არის გადაწყვეტილების მიღება, აღიარონ თუ არა პასუხისმგებლობა წარსულში ჩადენილი დანაშაულის გამო და ითხოვონ თუ არა პატიება მიყენებული ზიანისათვის. პასუხისმგებლობის აღიარება შეიძლება გამანადგურებელი იყოს ჯგუფის მორალური იმიჯისათვის და მისი მნიშვნელობისა და ღირებულების განცდილობისათვის. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ ბევრ ჯგუფს არ სურს აღიაროს საკუთარი ბრალი და მორალური მარცხი. სწორედ ასეთია თურქეთისა და სომხების გენოციდის შემთხვევა, იაპონიის მიერ მანჯურიისა და კორეის ოკუპაცია და პალესტინური ნაკბა ისრაელის დამოუკიდებლობის ომის დროს. ყველა ამ და სხვა მრავალ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის აღება ჯგუფს ძვირად უჯდება, რადგან ეს ეროვნული ნარატივის ცვლილებას მოითხოვს. საჭირო ხდება მსხვერპლის

ნარატივის ინკორპორაცია და იმის აღიარება, რომ ჯგუფის ტრიუმფალურ მომენტებს (როგორცაა, დამოუკიდებლობის მოპოვება) ხშირად თან ახლდა მძიმე დანაშაული სხვა ჯგუფების მიმართ, რამაც, შესაძლოა, ჩრდილი მიაყენოს ამ ღირსშესანიშნავ მოვლენებს (Bar-Tal and Salomon, 2006; Hammack, 2011).

ისტორიული დანაშაულების გამო ჯგუფის პასუხისმგებლობის საკითხზე არსებული ლიტერატურა წარმოაჩენს კომპლექსურ სურათს, სადაც იკვეთება როგორც ჯგუფის დაცვის, ისე სხვა ჯგუფთან ურთიერთობების გაუმჯობესების მოტივაცია (Gausel et al., 2012). დამნაშავე ჯგუფის წევრები, რომლებიც აღიარებენ მათი ჯგუფის მიერ წარსულში ჩადენილ დანაშაულს, უფრო პოზიტიურად არიან განწყობილნი მსხვერპლი ჯგუფის მიმართ (Čehajić-Clancy et al., 2011; Hirschberger et al., 2016b), უფრო მეტი კონტაქტი აქვთ მის წევრებთან და უფრო მეტად შეუძლიათ მსხვერპლის პერსპექტივის მიღება (Čehajić and Brown, 2010).

თუმცა ჯგუფის წარსულის ასეთ მიმდებლობას თავისი ფასი აქვს. საკუთარი ჯგუფის დანაშაულის აღიარება იწვევს დისონანსს. სურვილი – სწამდეთ, რომ ჯგუფი კეთილშობილია, წინააღმდეგობაში მოდის მის მიერ წარსულში ჩადენილ ბოროტმოქმედებასთან. შედეგად, მოძალადე ჯგუფის დანაშაულმა, შესაძლოა, მისი წევრები მიიყვანოს დანაშაულთა ჩამდენებისგან გამიჯვნის გადანეყვებილებამდე (Marques et al., 1988; Branscombe et al., 1993). დისონანსი ჯგუფის დადებითად აღქმის სურვილსა და მისი ბნელი წარსულის ფაქტს შორის, შესაძლოა, გადაიჭრას ან ჯგუფის ისტორიის თავდაცვითი რეპრეზენტაციით, რომელიც გაამართლებს მას (და ჩამოაყალიბებს ექსკლუზიური მსხვერპლის ცნობიერებას, როგორც ეს აღწერა Vollhardt, 2012 ან შეჯიბრებითი მსხვერპლობის განცდას, როგორც ნაჩვენებია Noor et al., 2012), ან ჯგუფისაგან დისტანცირებითა და რეპუტაციამელახულ ჯგუფთან ასოცირებისაგან თავის არიდებით.

მიუხედავად იმისა, რომ წარსულზე პასუხისმგებლობის აღება შეუთავსებელი ჩანს დამნაშავე ჯგუფის წევრების ამჟამინდელ ჯგუფურ/in-group იდენტიფიკაციასთან (Čehajić and Brown, 2010; Hirschberger et al., 2016b), ზოგიერთმა ისტორიულმა დამნაშავეებმა სცადეს საკუთარი ჯგუფისათვის ახალი მნიშვნელობის შექმნა ბნელი წარსულის არა უარყოფის, არამედ აღიარების გზით. მაგალითად, გერმანიაში ტერმინი *Vergangenheitsbewältigung* ნიშნავს წარსულის ნეგატიური მემკვიდრეობის დაძლევას კოლექტიური ბრალეულობისა და ჯგუფური პასუხისმგებლობის შესახებ უსიამოვნო კითხვების დასმით. გერმანიის ეკლესიები სათავეში ედგნენ ამ პროცესს და განავითარეს ომის შემდგომი მონანიების თეოლოგია. ამავე დროს, ჰოლოკოსტი სასკოლო კურიკულუმის ნაწილია დაწყებით კლასებში და სწავლის შემდგომ საფეხურებზე. გერმანიაში ამჟამინდელი დომინანტური ლიბერალური მიდგომა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მულტიკულტურალიზმს და ეწინააღმდეგება ნებისმიერი ფორმის მილიტარიზმის, შესაძლოა, არის ახალი კულტურული იდენტობა, რომელიც კონსტრუქციულად იყენებს პრობლემურ წარსულს დადებითი თანამედროვე იმიჯის შესაქმნელად. წარსულში ჩადენილი დანაშაულის აღიარების გზით მნიშვნელობის რეკონსტრუქციის შესახებ დღემდე მხოლოდ რამდენიმე ემპირიული კვლევაა ჩატარებული (e.g., Rensmann, 2004).

დასკვნა

კოლექტიური ტრავმა გამანადგურებელი მოვლენაა ჯგუფის ისტორიაში, რომელსაც გრძელვადიანი ზემოქმედების ძალა აქვს და მოვლენების დასრულებიდან მრავალი წლის შემდეგაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც დამნაშავე, ისე მსხვერპლ ჯგუფებზე. ბოლო დრომდე ფსიქოლოგიური ლიტერატურა თითქმის მთლიანად ფოკუსირებული იყო ფსიქოპათოლოგიასა და კოლექტიური ტრავმის შედეგებზე, რომლებიც ჯანმრთელობას უკავშირდება (მაგალითად, Yehuda et al., 2002). თუმცა დღეს მზარდი ინტერესი დანაშაულებრივი ქმედებისა და ვიქტიმიზა-

ციის სოციალური და პოლიტიკური შედეგების გააზრებისაკენ არის მიმართული (Vollhardt, 2012). ამ ლიტერატურამ უკვე გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, მაგალითად, წარმოაჩინა ურთიერთმიმართება მსხვერპლის კოლექტიურ რწმენებსა და თანამედროვე პოლიტიკური ძალადობის გამართლებასა და ლეგიტიმაციას შორის (Maoz and Eidelson, 2007; Wohl and Branscombe, 2008; Vollhardt, 2012); ასევე გამოკვეთა კოლექტიური მსხვერპლობის გამოცდილება, მატერიალური სარგებელი და კონკურენცია ამ სარგებლის გამო (Noor et al., 2012).

ამ ნაშრომში შემოთავაზებულია განსხვავებული პერსპექტივა, რომელიც არც პათოლოგიას ეფუძნება და არც ტრავმის მძიმე შედეგებს. ამის ნაცვლად, კოლექტიური ტრავმა გააზრებულია, როგორც რეალური გამოცდილება, რომელსაც რეალური გავლენა აქვს შემდგომ თაობებზე. ისტორიული ვიქტიმიზაციის კვლევების უმრავლესობა ჯგუფთაშორისი ურთიერთობების შესახებ არსებული ლიტერატურის ფარგლებში თავსდება (Noor et al., 2017) და მისი მიზნებისა და ძირითადი მოსაზრებების გავლენას განიცდის. რადგან ჯგუფთაშორისი ურთიერთობების კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანი კონფლიქტის მოგვარებისა და შერიგების გააზრება და ხელშეწყობაა, კოლექტიური ტრავმის გრძელვადიანი შედეგები, ხშირად, სწორედ ამ კრიტერიუმებით ფასდება. შესაბამისად, ისტორიული ვიქტიმიზაცია, როგორც წესი, მიჩნეულია მშვიდობის დამყარების დამბრკოლებელ ფაქტორად და დამახინჯებულ ხედვად (Schori-Eyal et al., 2017). ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ვიქტიმიზაციის მეხსიერებას ახასიათებს როგორც ადაპტაციური, ისე ადაპტაციისთვის ხელის შეშლელი გამოვლინებები. მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლთა ჯგუფის წევრები შეიძლება ნაკლებად ენდობოდნენ მტრებს და თავს იკავებდნენ კომპრომისისა და შერიგებისგან, ამ რეაქციამ ზოგჯერ შეიძლება დაიცვას ჯუფი არაგულწრფელი მტრისგან შემოთავაზებული მოჩვენებითი მშვიდობიანი ქმედებებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმის მეხსიერებამ, შესაძლოა, გააღვივოს პარანოიდული და ქმედითუნარიანობის დამთრგუნველი პოსტტრავმული მსოფლალქმა, ასევე შესაძლებელია, რომ მანვე შეუწყოს ხელი წინსვლას ტრავმისაგან მომდინარე მნიშვნელობაზე დაყრდნობით. ეს მნიშვნელობა ხაზს უსვამს ჯგუფის მედეგობას და მძიმე განსაცდელის შემდეგ აღდგენისა და ცვლილების უნარს. ეს შედეგები განსაკუთრებით რელევანტურია, რამდენადაც მსხვერპლი და დამნაშავე ჯგუფების შემდგომი თაობები ცდილობენ ისეთი სოციალური მნიშვნელობის კონსტრუირებას, რომელიც ახსნის წარსულს, უზრუნველყოფს ჯგუფს გზამკვლევით აწმყო გამონგვევებთან გასამკლავებლად და მოამზადებს მას მომავლისათვის.

ავტორის წვლილი

ავტორი ადასტურებს, რომ ამ ნაშრომის ერთადერთი შემსრულებელია და დაამტკიცა ის გამოსაცემად.

დაფინანსება

ნაშრომი დაფინანსდა ISF-ის გრანტით 427/13 და BSF გრანტით 2007230.

ბიბლიოგრაფია:

- Acosta, B. (2016). Dying for Survival. *J. Peace Res.* 53, 180–196. doi: 10.1177/0022343315618001
- Alexander, J. Eyerman, R., Giesen, B., Smelser, N., and Sztompka, P. (eds). (2004) *Cultural Trauma and Collective Identity: Toward a Theory of Cultural Trauma*. Berkeley, CA: University of California Press.
- Ahlheim, K., and Heger, B. (2002). Die unbequeme Vergangenheit. NSVergangenheit, Holocaust und die Schwierigkeiten des Erinnerns [The Unpleasant Past. The History of National Socialism, the Holocaust and the Difficulties of Remembering]. Schwalbach: Wochenschau-Verlag.
- Bar-Tal, D., and Antebi, D. (1992). Beliefs about negative intentions of the world: a study of the Israeli siege mentality. *Polit. Psychol.* 13, 633–645. doi: 10.2307/3791494

- Bar-Tal, D., Chernyak-Hai, L., Schori, N., and Gundar, A. (2009). A sense of self perceived collective victimhood in intractable conflicts. *Int. Rev. Red Cross* 91, 229–258. doi: 10.1017/S1816383109990221
- Bar-Tal, D., and Salomon, G. (2006). "Israeli-Jewish narratives of the Israeli-Palestinian conflict: evolvment, contents, functions and consequences," in *Israeli and Palestinian narratives of conflict: History's Double Helix*, ed. R. I. Rotberg (Bloomington: Indiana University Press).
- Bauer, Y. (1979). Right and wrong teaching of the Holocaust. Paper Presented at the International Conference on Lessons of the Holocaust, Yad Vashem.
- Baumeister, R. F. (1991). *Meanings of Life*. New York, NY: Guilford.
- Baumeister, R. F., and Vohs, K. D. (2002). "The pursuit of meaningfulness in life," in *Handbook of Positive Psychology*, eds C. R. Snyder and S. J. Lopez (New York, NY: Oxford University Press), 608-618.
- Becker, E. (1973). *The Denial of Death*. New York, NY: Simon and Schuster.
- Becker, E. (1975). *Birth and Death of Meaning*. New York, NY: Simon and Schuster.
- Bilewicz, M., and Stefaniak, A. (2013). "Can a victim be responsible? Anti-Semitic consequences of victimhood-based identity and competitive victimhood in Poland," in *Responsibility: A Cross-Disciplinary Perspective*, ed. B. Bokus (Piasescno: Lexem).
- Bilewicz, M., Stefaniak, A., and Witkowska, M. (2014). *Polish Youth Confronting Jewish Past: Antagonistic History and Pathways to Reconciliation. Reconciliation in Bloodlands: Assessing Actions and Outcomes in Contemporary Central-Eastern Europe*. Frankfurt am Main: Peter Lang.
- Bonnot, V., and Krauth-Gruber, S. (2018). Guilt norms regarding historical violence and implications for intergroup relations in France. *Int. J. Intercult. Relat.* 62, 43–54. doi: 10.1016/j.ijintrel.2017.05.003
- Braham, R. L. (1999). The assault on historical memory: Hungarian nationalists and the Holocaust. *East Eur. Q.* 33, 411-425.
- Branscombe, N. R., Ellemers, N., Spears, R., and Doosje, B. (1999). "The context and content of social identity threat," in *Social Identity: Context, Commitment, Content*, eds N. Ellemers, R. Spears, and B. Doosje (Oxford: Blackwell), 35-58.
- Branscombe, N. R., Wann, D. L., Noel, J. G., and Coleman, J. (1993). In-group or out-group extremity: importance of the threatened social identity. *Pers. Soc. Psychol. Bull.* 19, 381-388. doi: 10.1177/0146167293194003
- Browning, C. R. (1992). *Ordinary Men: Reserve Police Battalion 101 and the Final Solution in Poland*, Vol. 1998. New York, NY: HarperCollins.
- Campbell, R., and Raja, S. (1999). Secondary victimization of rape victims: insights from mental health professionals who treat survivors of violence. *Violence Vict.* 14, 261-275.
- Canetti, D., Hirschberger, G., Rapaport, C., Elad-Strenger, J., Ein-Dor, T., Rosenzvieg, S., et al. (2018). Holocaust from the Real World to the Lab: the effects of historical trauma on contemporary political cognitions. *Polit. Psychol.* 39, 3-21. doi: 10.1111/pops.12384
- Castano, E., and Giner-Sorolla, R. (2006). Not quite human: inhumanization in response to collective responsibility for intergroup killing. *J. Pers. Soc. Psychol.* 90, 804-818. doi: 10.1037/0022-3514.90.5.804
- Castano, E., Yzerbyt, V., Paladino, M. P., and Sacchi, S. (2002). I belong, therefore, I exist: ingroup identification, ingroup entitativity, and ingroup bias. *Pers. Soc. Psychol. Bull.* 28, 135-143. doi: 10.1177/0146167202282001
- Čehajić, S., and Brown, R. (2010). Silencing the past effects of intergroup contact on acknowledgment of in-group responsibility. *Soc. Psychol. Pers. Sci.* 1, 190-196. doi: 10.1177/1948550609359088
- Čehajić-Clancy, S., Effron, D. A., Halperin, E., Liberman, V., and Ross, L. D. (2011). Affirmation, acknowledgment of in-group responsibility, group-based guilt, and support for reparative measures. *J. Pers. Soc. Psychol.* 101, 256-270. doi: 10.1037/a0023936

- Cherfas, L., Rozin, P., Cohen, A. B., Davidson, A., and McCauley, C. R. (2006). The framing of atrocities: documenting the wide variation in aversion to Germans and German related activities among Holocaust survivors. *Peace and Conflict. J. Peace Psychol.* 12, 65-80. doi: 10.1207/s15327949pac1201_5
- Dalton, A. N., and Huang, L. (2014). Motivated forgetting in response to social identity threat. *J. Consum. Res.* 40, 1017-1038. doi: 10.1086/674198
- Davis, C. G., Nolen-Hoeksema, S., and Larson, J. (1998). Making sense of loss and benefiting from the experience: two construals of meaning. *J. Pers. Soc. Psychol.* 75, 561-574. doi: 10.1037/0022-3514.75.2.561
- Dawidowicz, L. S. (1975). *The War against the Jews 1933-1945*. New York, NY: Holt, Rinehart and Winston.
- De Guissmé, L., and Licata, L. (2017). Competition over collective victimhood recognition: when perceived lack of recognition for past victimization is associated with negative attitudes towards another victimized group. *Eur. J. Soc. Psychol.* 47, 148-166. doi: 10.1002/ejsp.2244
- De Hoog, N. (2013). Processing of social identity threats: a defense motivation perspective. *Soc. Psychol.* 44, 361-372. doi: 10.1027/1864-9335/a000133
- Deak, I. (1979). Collaborationism in Europe, 1940–1945: the case of Hungary. *Austrian Hist. Yearb.* 15, 157-164. doi: 10.1017/S0067237800012728
- Doosje, B., and Branscombe, N. R. (2003). Attributions for the negative historical actions of a group. *Eur. J. Soc. Psychol.* 33, 235-248. doi: 10.1002/ejsp.142
- Doosje, B., Branscombe, N. R., Spears, R., and Manstead, A. S. R. (1998). Guilty by association: when one's group has a negative history. *J. Pers. Soc. Psychol.* 75, 872-886. doi: 10.1037/0022-3514.75.4.872
- Dresler-Hawke, E. (2005). Reconstructing the past and attributing the responsibility for the Holocaust. *Soc. Behav. Pers.* 33, 133–148. doi: 10.2224/sbp.2005.33.2.133
- Ellemers, N., Spears, R., and Doosje, B. (2002). Self and social identity. *Annu. Rev. Psychol.* 53, 161-186. doi: 10.1146/annurev.psych.53.100901.135228
- Erikson, K. T. (1976). *Everything in its Path*. New York, NY: Simon and Schuster. Frankl, V. E. (1959/1976). *Man's Search for Meaning*. New York, NY: Pocket.
- Frijda, N. H. (1997). "Commemorating," in *Collective Memory of Political Events: Social Psychological Perspectives*, eds J. W. Pennebaker, D. Paez, and B. Rimé (Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum), 103-127.
- Galea, S., Vlahov, D., Resnick, H., Ahern, J., Susser, E., Gold, J., et al. (2003). Trends of probable post-traumatic stress disorder in New York City after the September 11 terrorist attacks. *Am. J. Epidemiol.* 158, 514–524. doi: 10.1093/aje/kwg187
- Gane, M. (2006). *Auguste Comte*. New York, NY: Routledge.
- Gausel, N., Leach, C. W., Vignoles, V. L., and Brown, R. (2012). Defend or repair? Explaining responses to in-group moral failure by disentangling feelings of shame, rejection, and inferiority. *J. Pers. Soc. Psychol.* 102, 941-960. doi: 10.1037/a0027233
- Gillies, J., and Neimeyer, R. A. (2006). Loss, grief, and the search for significance: toward a model of meaning reconstruction in bereavement. *J. Constr. Psychol.* 19, 31-65. doi: 10.1080/10720530500311182
- Goldhagen, D. J. (1996). *Hitler's Willing Executioners*. New York, NY: Alfred A. Knopf.
- Grabowski, J. (2013). *Hunt for the Jews: Betrayal and Murder in German-Occupied Poland*. Bloomington: Indiana University Press.
- Greenberg, J. (2012). "From Genesis to Revelations," in *Meaning, Mortality, and Choice: The Social Psychology of Existential Concerns*, eds Shaver, P. R., and Mikulincer, M. E. (Worcester, MA: American Psychological Association).

- Gross, J. T. (2001). *Neighbors: The Destruction of the Jewish Community in Jedwabne, Poland*. Princeton, NJ: Princeton University Press. doi: 10.1515/9781400843251
- Halbwachs, M. (1980). *The Collective Memory*. New York, NY: Harper & Row.
- Hammack, P. L. (2011). *Narrative and the Politics of Identity: The Cultural Psychology of Israeli and Palestinian Youth*. New York, NY: Oxford University Press.
- Hanke, K., Liu, J. H., Hilton, D. J., Bilewicz, M., Garber, I., Huang, L. L., et al. (2013). When the past haunts the present: intergroup forgiveness and historical closure in post World War II societies in Asia and in Europe. *Int. J. Intercult. Relat.* 37, 287-301. doi: 10.1016/j.ijintrel.2012.05.003
- Hearnshaw, F. J. C. (1940). *Germany the Aggressor throughout the Ages*. London: W. and R. Chambers.
- Hein, L. E., and Selden, M. (2000). *Censoring History: Citizenship and Memory in Japan, Germany, and the United States*. Armonk, NY: ME Sharpe.
- Heine, S. J., Proulx, T., and Vohs, K. D. (2006). The meaning maintenance model: on the coherence of social motivations. *Pers. Soc. Psychol. Rev.* 10, 88-110. doi: 10.1207/s15327957pspr1002_1
- Hirschberger, G., Ein-Dor, T., Leidner, B., and Saguy, T. (2016a). How is existential threat related to intergroup conflict? Introducing the multidimensional existential threat (MET) model. *Front. Psychol.* 7:1877. doi: 10.3389/fpsyg.2016.01877
- Hirschberger, G., Ein-Dor, T., Lifshin, U., Seeman, S., and Pyzczynski, T. (2017). When criticism is ineffective: the case of historical trauma and unsupportive allies. *Eur. J. Soc. Psychol.* 47, 304–319. doi: 10.1002/ejsp.2253
- Hirschberger, G., Kende, A., and Weinstein, S. (2016b). Defensive representations of an uncomfortable history: the case of Hungary and the Holocaust. *Int. J. Intercult. Relat.* 55, 32-43. doi: 10.1016/j.ijintrel.2016.08.006
- Hirschberger, G., Pyzczynski, T., and Ein-Dor, T. (2010). An ever-dying people: the existential underpinnings of Israelis' perceptions of war and conflict. *Cah. Int. Psychol. Soc.* 87, 443-457. doi: 10.3917/cips.087.0443
- Holmes, J. (2015). Why Korea still fears Japan. *The National Interest*. Available at: <http://nationalinterest.org/feature/why-korea-still-fears-japan-13725>
- Imhoff, R. (2009). "Holocaust at the table – Experiences from seven years of "German-Israeli Exchange," in *Dissonant Memories – Fragmented Present. Exchanging Young Discourses between Israel and Germany*, eds C. Misselwitz, and C. Siebeck (Bielefeld: transcript), 35-43.
- Imhoff, R. (2010). *The Dynamics of Collective Guilt Three Generations after the Holocaust: Young Germans' Emotional Experiences in Response to the Nazi Past*. Hamburg: Verlag Dr. Korac.
- Imhoff, R., Bilewicz, M., Hanke, K., Kahn, D. T., Henkel-Guembel, N., Halabi, S., et al. (2017). Explaining the inexplicable: differences in attributions to the Holocaust in Germany, Israel and Poland. *Polit. Psychol.* 38, 907-924. doi: 10.1111/pops.12348
- Janoff-Bulman, R. (1992). *Shattered Assumptions: Towards a New Psychology of Trauma*. New York, NY: Free Press.
- John, T. (2018). Poland Just Passed a Holocaust Bill that is Creating Outrage. Here's What You Need to Know. *Time Magazine*. Available at: <http://time.com/5128341/poland-holocaust-law/>
- Kahn, D. T., Klar, Y., and Roccas, S. (2017). For the sake of the eternal group: perceiving the group as trans-generational and endurance of ingroup suffering. *Pers. Soc. Psychol. Bull.* 43, 272-283. doi: 10.1177/0146167216684123
- Kanazayire, C., Licata, L., Mélotte, P., Dusingizemungu, J. P., and Azzi, A. E. (2014). Does identification with rwanda increase reconciliation sentiments between genocide survivors and non-victims? The mediating roles of perceived intergroup similarity and self-esteem during commemorations. *J. Soc. Polit. Psychol.* 2, 489-504. doi: 10.5964/jspp.v2i1.319

- Kaplan, E. H., and Small, C. A. (2006). Anti-Israel sentiment predicts antisemitism in Europe. *J. Conflict Resolut.* 50, 548-561. doi: 10.1177/0022002706289184
- Kempf, W. (2011). Criticism of Israel, Modern Antisemitism and the Media. *Diskussionsbeiträge der Projektgruppe Friedensforschung. Konstanz, No. 70.* Berlin: Regener.
- Klar, Y., Schori-Eyal, N., and Klar, Y. (2013). The “Never Again” state of Israel: the emergence of the Holocaust as a core feature of Israeli identity and its four incongruent voices. *J. Soc. Issues* 69, 125-143. doi: 10.1111/josi.12007
- Klein, O. (2013). “The lay historian: how ordinary people think about history,” in *Narratives and Social Memory: Theoretical and Methodological Approaches*, eds Cabecinhas, R., and Abadia, L (Braga: Communication and Society Research Centre), 25-45.
- Klein, O., Licata, L., and Pierucci, S. (2011). Does group identification facilitate or prevent collective guilt about past misdeeds? Resolving the paradox. *Br. J. Soc. Psychol.* 50, 563-572. doi: 10.1111/j.2044-8309.2011.02028.x
- Kruglanski, A. W., Chen, X., Dechesne, M., Fishman, S., and Orehek, E. (2009). Fully committed: suicide bombers’ motivation and the quest for personal significance. *Polit. Psychol.* 30, 331-357. doi: 10.1111/j.1467-9221.2009.00698.x
- László, J. (2013). *Historical Tales and National Identity: An Introduction to Narrative Social Psychology.* New York, NY: Routledge
- Leach, C. W., Ellemers, N., and Barreto, M. (2007). Group virtue: the importance of morality vs. competence and sociability) in the positive evaluation of in-groups. *J. Pers. Soc. Psychol.* 93, 234-349. doi: 10.1037/0022-3514.93.2.234
- LeDoux, J. (1996). *The Emotional Brain: The Mysterious Underpinnings of Emotional Life.* New York, NY: Simon & Schuster.
- Levi, P. (1959). *Survival in Auschwitz.* New York, NY: The Orion Press. Licata, L., and Klein, O. (2010). Holocaust or benevolent paternalism? Intergenerational comparisons on collective memories and emotions about Belgium’s colonial past. *Int. J. Conflict Violence* 4, 45-57.
- Licata, L., Klein, O., Saade, W., Azzi, A. E., and Branscombe, N. R. (2012). Perceived out-group (dis)continuity and attribution of responsibility for the Lebanese civil war mediate effects of national and religious subgroup identification on intergroup attitudes. *Group Process. Intergroup Relat.* 15, 179-192. doi: 10.1177/1368430211414445
- Licata, L., and Mercy, A. (2015). “Collective memory, social psychology,” in *International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences*, Vol. 4, 2nd Edn, ed. J. D. Wright (Oxford: Elsevier), 194-199. doi: 10.1016/B978-0-08-097086-8.24046-4
- Lifton, R. J. (1973). The sense of immortality: On death and the continuity of life. *Am. J. Psychoanal.* 33, 3-15. doi: 10.1007/BF01872131
- Lifton, R. J. (2005). Americans as survivors. *N. Engl. J. Med.* 352, 2263-2265. doi: 10.1056/NEJMp058048
- Lipstadt, D. E. (2012). *Denying the Holocaust: The Growing Assault on Truth and Memory.* New York, NY: Simon and Schuster.
- Litz, B. T., Stein, N., Delaney, E., Lebowitz, L., Nash, W. P., Silva, C., et al. (2009). Moral injury and moral repair in war veterans: a preliminary model and intervention strategy. *Clin. Psychol. Rev.* 29, 695-706. doi: 10.1016/j.cpr.2009.07.003
- Liu, J. H., and Hilton, D. J. (2005). How the past weighs on the present: social representations of history and their role in identity politics. *Br. J. Soc. Psychol.* 44, 537-556. doi: 10.1348/014466605X27162
- Macmillan, N. A. (2002). “Signal detection theory,” in *Stevens’ Handbook of Experimental Psychology*, Vol. 4, eds H. Pashler and J. Wixted (New York: John Wiley & Sons), 43-90.
- Maoz, I., and Eidelson, R. J. (2007). Psychological bases of extreme policy preferences: how the personal beliefs of Israeli-Jews predict their support for population transfer in the Israeli-Palestinian conflict. *Am. Behav. Sci.* 50, 1476-1497. doi: 10.1177/0002764207302465

- Marques, J. M., Yzerbyt, V. Y., and Leyens, J. (1988). The “black sheep effect”: extremity of judgments towards ingroup members as a function of group identification. *Eur. J. Soc. Psychol.* 18, 1-16. doi: 10.1002/ejsp.2420180102
- Mazur, L. B., and Vollhardt, J. R. (2015). The prototypicality of genocide: implications for international intervention. *Anal. Soc. Issues Public Policy* 16, 290-320. doi: 10.1111/asap.12099
- Mendoza-Denton, R., Downey, G., Purdie, V. J., Davis, A., and Pietrzak, J. (2002). Sensitivity to status-based rejection: implications for African American students’ college experience. *J. Pers. Soc. Psychol.* 83, 896-918. doi: 10.1037/0022-3514.83.4.896
- Mercer, J., Gaillard, J. C., Crowley, K., Shannon, R., Alexander, B., Day, S., et al. (2012). Culture and disaster risk reduction: lessons and opportunities. *Environ. Hazards* 11, 74-95. doi: 10.1080/17477891.2011.609876
- Moscovici, S. (1988). Notes towards a description of social representations. *Eur. J. Soc. Psychol.* 18, 211-250. doi: 10.1002/ejsp.2420180303
- Noor, M., Shnabel, N., Halabi, S., and Nadler, A. (2012). When suffering begets suffering: the psychology of competitive victimhood between adversarial groups in violent conflicts. *Pers. Soc. Psychol. Rev.* 16, 351-374. doi: 10.1177/1088868312440048
- Noor, M., Vollhardt, J. R., Mari, S., and Nadler, A. (2017). The social psychology of collective victimhood. *Eur. J. Soc. Psychol.* 47, 121-134. doi: 10.1002/ejsp.2300
- Olick, J. K., and Levy, D. (1997). Collective memory and cultural constraint: Holocaust myth and rationality in German politics. *Am. Sociol. Rev.* 62 921-936. doi: 10.2307/2657347
- Olick, J. K., Vinitzky-Seroussi, V., and Levy, D. (2011). *The Collective Memory Reader*. Oxford: Oxford University Press.
- Paez, D., and Liu, J. H. (2011). “Collective memory of conflicts,” in *Intergroup Conflicts and Their Resolution: A Social Psychological Perspective*, ed. D. Bar-Tal (New York, NY: Psychology Press), 105-124.
- Park, C. L. (2013). “Trauma and meaning making: Converging conceptualizations and emerging evidence,” in *The Experience of Meaning in Life*, eds J. A. Hicks, and C. Routledge (New York, NY: Springer), 61-76.
- Pennebaker, J., Paez, D., and Rimé, B. (1997). *Collective Memory of Political Events*. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum.
- Pettigrew, T. F. (1979). The ultimate attribution error: extending allport’s cognitive analysis of prejudice. *Pers. Soc. Psychol. Bull.* 5, 461-476. doi: 10.1177/ 014616727900500407
- Pyszczynski, T., Abdollahi, A., Solomon, S., Greenberg, J., Cohen, F., and Weise, D. (2006). Mortality salience, martyrdom, and military might: the Great Satan versus the Axis of Evil. *Pers. Soc. Psychol. Bull.* 32, 525-537. doi: 10.1177/ 0146167205282157
- Pyszczynski, T., Solomon, S., and Greenberg, J. (2015). Chapter one-thirty years of terror management theory: from genesis to revelation. *Adv. Exp. Soc. Psychol.* 52, 1-70. doi: 10.1016/bs.aesp.2015.03.001
- Rees, J. H., Allpress, J. A., and Brown, R. (2013). NieWieder: group-based emotions for in-group wrongdoing affect attitudes toward unrelated minorities. *Polit. Psychol.* 34, 387-407. doi: 10.1111/pops.12003
- Reicher, S., and Hopkins, N. (2001). Psychology and the end of history: a critique and a proposal for the psychology of social categorization. *Polit. Psychol.* 22, 383-407. doi: 10.1111/0162-895X.00246
- Rensmann, L. (2004). >>>Collective guilt, national identity, and political processes in contemporary Germany,” in *Collective guilt: International Perspectives*, eds N. R. Branscombe, and B. Doosje (Cambridge: Cambridge University Press), 169-190. doi: 10.1017/CBO9781139106931.012
- Resende, E., and Budryte, D. (eds). (2014). *Memory and Trauma in International Relations: Theories, Cases and Debates*. New York, NY: Routledge.

- Rimé, B., Bouchat, P., Klein, O., and Licata, L. (2015). When collective memories of victimhood fade: generational evolution of intergroup attitudes and political aspirations in Belgium. *Eur. J. Soc. Psychol.* 45, 515-532. doi: 10.1002/ejsp. 2104
- Roth, J., Huber, M., Juenger, A., and Liu, J. H. (2017). It's about valence: historical continuity or historical discontinuity as a threat to social identity. *J. Soc. Polit. Psychol.* 5, 320-341. doi: 10.5964/jsp.v5i2.677
- Routledge, C., and Arndt, J. (2008). Self-sacrifice as self-defence: mortality salience increases efforts to affirm a symbolic immortal self at the expense of the physical self. *Eur. J. Soc. Psychol.* 38, 531-541. doi: 10.1002/ejsp.442
- Sahdra, B., and Ross, M. (2007). Group identification and historical memory. *Pers. Soc. Psychol. Bull.* 33, 384-395. doi: 10.1177/0146167206296103
- Sani, F., Herrera, M., and Bowe, M. (2009). Perceived collective continuity and ingroup identification as defense against death awareness. *J. Exp. Soc. Psychol.* 45, 242-245. doi: 10.1016/j.jesp.2008.07.019
- Sani, M., Bowe, M., Herrera, C., Manna, T., Cossa, X. Miao, X., and Zhou, Y. (2007). Perceived collective continuity: seeing groups as entities that move through time. *Eur. J. Soc. Psychol.* 37, 1118-1134. doi: 10.1002/ejsp.430
- Schori-Eyal, N., Klar, Y., and Ben-Ami, Y. (2017). Perpetual ingroup victimhood as a distorted lens: effects on attribution and categorization. *Eur. J. Soc. Psychol.* 47, 180-194. doi: 10.1002/ejsp.2250
- Schreier, F. (1943). German aggressiveness – its reasons and types. *J. Abnorm. Soc. Psychol.* 38, 211-224. doi: 10.1037/h0055571
- Shnabel, N., and Nadler, A. (2008). A needs-based model of reconciliation: satisfying the differential emotional needs of victim and perpetrator as a key to promoting reconciliation. *J. Pers. Soc. Psychol.* 94, 116-132. doi: 10.1037/0022-3514.94.1.116
- Shnabel, N., Nadler, A., Ullrich, J., Dovidio, J. F., and Carmi, D. (2009). Promoting reconciliation through the satisfaction of the emotional needs of victimized and perpetrating group members: the needs-based model of reconciliation. *Pers. Soc. Psychol. Bull.* 35, 1021-1030. doi: 10.1177/0146167209336610
- Smeekes, A., and Verkuyten, M. (2013). Collective self-continuity, group identification and in-group defense. *J. Exp. Soc. Psychol.* 49, 984-994. doi: 10. 1016/j.jesp.2013.06.004
- Smelser, N. J. (2004). Psychological trauma and cultural trauma. *Cult. Trauma Collect. Identity* 4, 31-59. doi: 10.1525/california/9780520235946.003.0002
- Solomon, Z., and Mikulincer, M. (2006). Trajectories of PTSD: a 20-year longitudinal study. *Am. J. Psychiatry* 163, 659–666. doi: 10.1176/ajp.2006.163. 4.659
- Staub, E. (2006). Reconciliation after genocide, mass killing, or intractable conflict: understanding the roots of violence, psychological recovery, and steps toward a general theory. *Polit. Psychol.* 27, 867-894. doi: 10.1111/j.1467-9221.2006. 00541.x
- Stauber, R. (ed.). (2010). *Collaboration with the Nazis: Public Discourse after the Holocaust*. New York, NY: Routledge.
- Tajfel, H., and Turner, J. C. (1979). "An integrative theory of intergroup conflict," in *The Social Psychology of Intergroup Relations*, eds W. G. Austin and S. Worchel, (Monterey, CA: Brooks/Cole), 33-47.
- Vignoles, V. L., Regalia, C., Manzi, C., Gollledge, J., and Scabini, E. (2006). Beyond self-esteem: influence of multiple motives on identity construction. *J. Pers. Soc. Psychol.* 90, 308-333. doi: 10.1037/0022-3514.90.2.308
- Volkan, V. (ed.) (1997). "Chosen trauma: unresolved mourning," in *Bloodlines: From Ethnic Pride to Ethnic Terrorism*, (New York, NY: Farrar, Straus, & Giroux), 36-49.
- Vollhardt, J. R. (2012). "Collective victimization," in *Oxford Handbook of Intergroup Conflict*, ed. L. Tropp (New York, NY: Oxford University Press), 136-157.

- Watson, J. B., and Rayner, R. (1920). Conditioned emotional reactions. *J. Exp. Psychol.* 3, 1-14. doi: 10.1037/h0069608
- Weber, M. (1946). *From Max Weber: Essays in Sociology*. Trans. H. H. Gerth, and C. Wright Mills (New York, NY: Oxford University Press).
- Wertsch, J. V. (2002). *Voices of Collective Remembering*. Cambridge: Cambridge University Press. doi: 10.1017/CBO9780511613715
- Wohl, M. J. A., and Branscombe, N. R. (2008). Remembering historical victimization: collective guilt for current in-group transgressions. *J. Pers. Soc. Psychol.* 94, 988-1006. doi: 10.1037/0022-3514.94.6.988
- Yehuda, R., Halligan, S. L., and Bierer, L. M. (2002). Cortisol levels in adult offspring of Holocaust survivors: relation to PTSD symptom severity in the parent and child. *Psychoneuroendocrinology* 27, 171-180. doi: 10.1016/S0306-4530(01)00043-9

განცხადება ინტერესთა კონფლიქტის შესახებ: ავტორი აცხადებს, რომ კვლევა ჩატარდა ისეთი კომერციული ან ფინანსური ურთიერთობების არარსებობის პირობებში, რომელიც შეიძლება იქნეს გაგებული, როგორც ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი.

საავტორო უფლება © 2018 Hirschberger. ეს არის ღია წვდომის სტატია, რომელიც ვრცელდება *Creative Commons Attribution License (CC BY)* პირობებით. გამოყენება, გავრცელება ან რეპროდუქცია ნებადართულია სხვა ფორუმებზე იმ პირობით, რომ თავდაპირველი ავტორ(ებ)ი და საავტორო უფლებების მფლობელ(ებ)ი არიან დასახელებული და ამ ჟურნალის ორიგინალური პუბლიკაცია ციტირებულია მიღებული აკადემიური პრაქტიკის შესაბამისად. დაუშვებელია გამოყენება, გავრცელება ან რეპროდუქცია, რომელიც არ შეესაბამება ამ პირობებს.

თარგმნა მარიამ თათრიშვილმა

ავტორები AUTHORS

ვლადიმერ (ლადო) ვარდოსანიძე – არქიტექტორი, ურბანისტი

Vladimer (Lado) Vardosanidze – Architect, Urbanist

თეა გერგედავა – დოქტორანტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი, თსუ

Tea Gergedava – PhD Student, Faculty of Psychology and Education Sciences, TSU

მაია ნადარეიშვილი – საერთაშორისო ჟურნალისტიკის დოქტორი, თსუ, კრიმინოლოგიის აკადემიკოსი (სკმა)

Maia Nadareishvili – PhD in International Journalism, TSU, Academician of Criminology (GACS)

ესმა კუნჭულია – კულტურის კვლევების დოქტორი, თსუ

Esma Kunchulia – PhD in Cultural Studies, TSU

ოლეგ კაპანაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მონვეული ლექტორი, გერმანული ფილოლოგიის კათედრა, თსუ

Oleg Kapanadze – Doctor of Philological Sciences, Invited lecturer, Chair of German Philology

ნუნუ კაპანაძე – ასოცირებული პროფესორი, გერმანული ფილოლოგიის კათედრა, თსუ

Nunu Kapanadze – Associate Professor, Chair of German Philology, TSU

თამუნა გიორგაძე – კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, თსუ, პოლიტიკის მეცნიერებების ბაკალავრი, თსუ

Tamuna Giorgadze – MA Student, Cultural Studies, TSU

ნინო ზანდუკელი – კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, თსუ

Nino Zandukeli – PhD Student in Cultural Studies, TSU

მიხეილ წვერავა – კულტურის კვლევების მაგისტრი, თსუ

Mikheil Tsverava – MA in Cultural Studies, TSU

გამომცემლობის რედაქტორები:

გარეკანის დიზაინერი

დამკაბადონებელი

გამოცემის მენეჯერი

მარინე ვარამაშვილი

ნანა კაჭაბავა

ნინო ებრალიძე

ლალი კურდღელაშვილი

მარიკა ერქომაიშვილი

TSU Press Editors:

Cover Designer

Typesetter

Edition Manager

Marine Varamashvili

Nana Katchabava

Nino Ebralidze

Lali Kurdghelashvili

Marika Erkomaishvili

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>